

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ამირან ჯიბუტი, ივანე ღლონტი

**საქართველოს  
სახელმწიფო საბარეო  
ვალი**



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი 2003

ნამროში განხილულია საქართველოს საგარეო და შიდა ვალების წარმოქმნის მიზეზები, განსაზღვრულია მათი ღინამიკა და სტრუქტურა, დახასიათებულია საგარეო დავალიანების სიმძიმის შეფასების კრიტერიუმები, გაანალიზებულია საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა და დადგენილია საგარეო ვალის ძირითადი თანხისა და მომსახურების გადასახდელების დაფარვის შესაძლებლობები. ამასთან, შემუშავებულია სახელმწიფო ვალის მართვის სრულყოფისა და უფექტიანად გამოყენებისათვის საჭირო ღონისძიებები.

ნამროში განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებლების, ასპირანტებისა და სტუდენტებისათვის. კელევის შედეგების გამოყენება შეიძლება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის დეპარტამენტის პრაქტიკულ საქმიანობაში, აგრეთვე პარლამენტსა და მთავრობაში საგარეო და შიდა ვალების შესახებ კანონპროექტებისა და ღონისძიებების შემუშავების დროს. იგი, გარკვეული თვალსაზრისით, საინტერესო იქნება მკითხველთა ფართო წრისათვის.

**რედაქტორი** **ელგუჯა გეგაიშვილი**  
 ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
 პროფესორი

**რეპენზენტები:** **იაკოვ მისხია**  
 ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
 პროფესორი  
**შოთა შისტაური**  
 ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
 პროფესორი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003

0601000000

№                     

608(06)-03

ISBN 99940-20-18-8

## შესავალი

საქართველო ამჟამად თავისი ისტორიული განვითარების ერთ-ერთ ურთულეს ეტაპზე იმყოფება. დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი წლები როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, უმძიმესი იყო საქართველოს ისტორიაში.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ახალ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის პროცესს უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. წარმოქმნილი ფრიად არაორდინალური ვითარების მეოხებით, ეკონომიკის დაქვეითებამ საქართველოში მასშტაბური და ინტენსიური ხასიათი მიიღო.

ამ პერიოდში მიღებულმა მცდარმა პოლიტიკურმა გადაწყვეტილებებმა სავალალო მიმართულება მისცა საზოგადოებრივ ცხოვრებას. სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი მნიშვნელოვნად გაამწვავა შიდა პოლიტიკურმა დაპირისპირებამ, რამაც ქვეყანა 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ცნობილ მოვლენებამდე მიიყვანა. ქვეყნის გარედან ინსპირირებულმა სეპარატისტულმა მოძრაობებმა და სამოქალაქო ომმა 1992-1993 წლებში დაარღვია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ქვეყნის სახელმწიფოებრიობას საფრთხე შეუქმნა.

ჯერჯერობით შეუძლებელია ამ ნგრევის არათუ სოციალური და მორალური შედეგების, არამედ პირდაპირი ზარალის ზუსტი შეფასებაც. თუმცა, წინასწარი მონაცემებით, იგი 9 მლრდ დოლარს აჭარბებს. გარდა ამისა, დიდი იყო ზარალი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკას მიაღება აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის სამეურნეო პოტენციალის სრული პარალიზებით.

1990-1993 წლებში კატასტროფულად შემცირდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობა. ამასთან, დამახასიათებელი გახდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა. ამას მოჰყვა ინფლაციის ფანტასტიკური მატება, ვინაიდან დეფიციტი ძირითადად ფულის ემისიის გადიდებით იფარებოდა.

ეკონომიკის დაქვეითებისა და მზარდი ბიუჯეტური დეფიციტის პირობებში საქართველოს მთავრობას საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის პრობლემების გადასაჭრელად ფაქტობრივად სხვა არჩევანი არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ მიემართა საზღვარგარეთის მთავრობებისა და საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებისათვის სესხებისა და დახმარებებისათვის.

1992 წლიდან საქართველოს მთავრობამ მზარდი სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად ეროვნული ბანკის პირდაპირ კრედიტებთან ერთად დაიწყო საგარეო სესხების გამოყენებაც.

საქართველოს დღეისათვის საკმაოდ დიდი საგარეო ვალი დაუგროვდა. ამასთან, წლების განმავლობაში იგი პერმანენტულად იზრდებოდა. თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მთავრობას ასევე დიდი შიდა ვალი აქვს (1.176.6 მლნ ლარი), დავრწმუნდებით, რომ საქართველოში სავალო კრიზისის რეალური საშიშროებაა.

ასეთ პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ვალის მართვის სრულყოფისა და მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას.

სახელმწიფო ვალის მართვისა და ეფექტიანად გამოყენების პრობლემის კვლევა საქართველოში ახალი საქმეა. 90-იან წლებამდე საქართველოს დამოუკიდებელი სავალო ვალდებულებები არ ჰქონია. სახელმწიფო ვალთან დაკავშირებული ოპერაციები მხოლოდ საკავშირო მასშტაბით წარმოებდა<sup>1</sup>. სსრ კავშირის როგორც საგარეო, ისე შიდა ვალების და, განსაკუთრებით, საგარეო აქტივებისა და პასივების შესახებ მონაცემები გასაიდუმლოებული იყო და ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციას არ ექვემდებარებოდა. ამდენად, საბჭოური ვალების მართვისა და ეფექტიანად გამოყენების საკითხებზე ეკონომიკური გამოკვლევებიც არ არსებობდა.

საგარეო და შიდა ვალების შესახებ კვლევა ჩვენში მხოლოდ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო.

---

<sup>1</sup> თ. კასრაძე, სახელმწიფო ვალის მართვისა და ორგანიზაციის სრულყოფის საკითხები საქართველოში, დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1999. გვ. 5.



90-იან წლებში სახელმწიფო საგარეო და შიდა ვალის სხვადასხვა ასპექტები შუქდებოდა მხოლოდ საგაზეთო და საჟურნალო სტატიების სახით. რაც შეეხება დასრულებულ მონოგრაფიულ გამოკვლევას სახელმწიფო ვალის შესახებ, იგი დღემდე არ არსებობს.

ასევე, სათანადოდ არ არის შესწავლილი სახელმწიფო (საგარეო და შიდა) ვალის მართვისა და მისი მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენების საკითხები.

ამდენად, საქართველოში სახელმწიფო ვალთან დაკავშირებული პრობლემები სერიოზული კვლევის საგანია.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მიზნად დავისახეთ საქართველოს საგარეო და შიდა ვალების დინამიკისა და სტრუქტურის განსაზღვრა და ვალების მართვისა და ეფექტიანად გამოყენების სრულყოფისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება, ქვეყნის მიერ საგარეო ვალის დაფარვის შესაძლებლობების (გადახდისუნარიანობის) დადგენა, საგარეო ვალების ძირითადი თანხისა და მომსახურების პროცენტის დაფარვის უზრუნველსაყოფად ქვეყნის საფინანსო, საბიუჯეტო, ფულადსაკრედიტო, საგარეო სავაჭრო და სავალუტო ურთიერთობების მონესრიგებისა და გაუმჯობესების მიმართულებით რეკომენდაციების შემუშავება.

ვფიქრობთ, წიგნი გარკვეულ დახმარებას გაუწევს უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური სპეციალობების სტუდენტებსა და ასპირანტებს, მეცნიერ-ეკონომისტებს, სახელმწიფო მოხელეებს, ეკონომიკის დარგის მუშაკებს და, საერთოდ, ამ პრობლემით დაინტერესებულ ყველა მკითხველს. ო

## სახელმწიფო ვალის არსი და სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია

### 1.1. სახელმწიფო ვალის არსი და წარმოქმნის მიზეზები

სახელმწიფო ვალი წარმოადგენს დროის გარკვეული მომენტისათვის სახელმწიფო სექტორის (მთავრობის, ცენტრალური და ადგილობრივი სამთავრობო ორგანოების, აგრეთვე ავტონომიური დანაყოფების, სახელმწიფო ორგანიზაციების, სანარმოებისა და სხვა დანესებულებების) მიერ გამოყენებულ, მაგრამ დაუფარავ სავალო ვალდებულებათა ჯამს. სახელმწიფოს მიერ აღებული ყველა სესხი მათზე დარიცხული საპროცენტო გადასახდელებით, რომლებიც მოცემული მომენტისათვის დაფარული არ არის, ქმნის სახელმწიფო ვალს<sup>1</sup>.

არსებობს სახელმწიფო შიდა და საგარეო ვალი.

*სახელმწიფო შიდა ვალი* - მოცემული ქვეყნის მთავრობის მიერ მისი მოქალაქეებისაგან აღებული ვალია.

*სახელმწიფო საგარეო ვალი* - მოცემული ქვეყნის მთავრობის მიერ სხვა ქვეყნებისა და ორგანიზაციებისაგან აღებული სესხია და გულისხმობს მსესხებელი ქვეყნის სავალო ვალდებულებას გამსესხებელი ქვეყნის წინაშე.

სახელმწიფო ვალს წარმოქმნის დეფიციტური ბიუჯეტის პირობებში სამთავრობო ხარჯების გადიდება, რაც ისტორიულად ყოველთვის დაკავშირებულია ომთან და ეკონომიკურ დაქვეითებასთან<sup>2</sup>.

ჩვეულებრივ, ომის დროს, ეკონომიკის მნიშვნელოვანი რესურსები სამოქალაქო დანიშნულების პროდუქციის წარმოებიდან სამხედრო პროდუქციის წარმოებაზე მიიმართება და, შესაბამისად, იზრდება შეიარაღებისა და სამხედრო მოსამსახურეთა შენახვის ხარჯები.

<sup>1</sup> *სამუელსონი პ, ნორდჰაუსი.*, „ეკონომიკა“, ტ. IV, თბ., 2000, გვ. 152.

<sup>2</sup> *თ. კასრაძე.*, სახელმწიფო ვალის მართვისა და ორგანიზაციის სრულყოფის საკითხები, დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1999, გვ. 13

მეორე მსოფლიო ომის დროს ეკონომიკის მნიშვნელოვანი რესურსები სამოქალაქო დანიშნულების პროდუქციის წარმოების ნაცვლად სამხედრო პროდუქციის წარმოებას ხმარდებოდა. ამან ომში მონაწილე ქვეყნების სახელმწიფო ვალი მნიშვნელოვნად გაზარდა. ასევე, ეკონომიკური დაქვეითების პირობებში, როცა ქვეყნის მეპ-ის წარმოების მოცულობა მცირდება, ავტომატურად მცირდება საგადასახადო შემოსავლები და ბიუჯეტის დეფიციტის წარმოქმნის ტენდენცია ყალიბდება.

ორივე შემთხვევაში იქმნება სამთავრობო ხარჯების გადიდების და, აქედან გამომდინარე, შიდა ან საგარეო ვალის აღების აუცილებლობა.

აქ მოტანილი ორი ისტორიული ანალოგის პარალელურად არსებობს მესამე გარემოებაც, რაც ბიუჯეტის დეფიციტის მიზეზი ხდება. ესაა ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების მიზნით გადასახადების განაკვეთების შემცირება. მაგალითად, 80-იანი წლების დასაწყისში აშშ-ს ბიუჯეტის დეფიციტის მნიშვნელოვანი ნაწილის მიზეზი გახდა გადასახადების განაკვეთების შემცირების შესახებ მიღებული კანონი, რითაც მნიშვნელოვნად შემცირდა როგორც პირადი საშემოსავლო გადასახადი, ისე კორპორაციათა მოგების გადასახადებიც.

1981 წელს გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების შემცირებამ, ქვეყნის ეკონომიკის დაქვეითებასთან ერთად, გამოიწვია ბიუჯეტის მზარდი დეფიციტი, რამაც 1982 წელს 146 მლრდ დოლარი შეადგინა, ხოლო 1986 წლისათვის დეფიციტმა 206 მლრდ დოლარს მიაღწია. ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით აშშ-ს მთავრობა იძულებული იყო აეღო შიდა ვალი<sup>1</sup>.

ამრიგად, სახელმწიფო ვალის მნიშვნელოვანი ნაწილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა დროს წარმოქმნილი იყო სამხედრო პერიოდის დანახარჯებით, ეკონომიკის ციკლური დაქვეითებით ან გადასახადების შემცირების მიზეზებით.

მაშასადამე, სახელმწიფოს მიერ სესხის აღების აუცილებლობა ნებისმიერ შემთხვევაში უკავშირდება სახელმწიფო ხარჯების გადიდებას.

<sup>1</sup> *სამუელსონი პ, ნორდჰაუსი., „ეკონომიკა“, ტ. IV, თბ., 2000, გვ. 153.*

საერთოდ, არსებობს გადიდებული სამთავრობო ხარჯების დაფინანსების სამი ვარიანტი: ა) გადასახადების გადიდება; ბ) საჭირო რაოდენობაზე მეტი ფულის დაბეჭდვა და მიმოქცევაში გაშვება; გ) სახელმწიფოს მიერ შიდა და საგარეო ვალის აღება.

ჩვეულებრივ, გადასახადების გადიდების ხარჯზე ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება ძირს უთხრის ქვეყანაში შრომისა და მენარმეობის სტიმულებს, ხოლო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად ფულის დამატებითი მასის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკაზე მძლავრი ინფლაციური დანოლა. ამდენად, სახელმწიფოები სამთავრობო ხარჯების ძირითადი ნაწილის დაფინანსებას უპირატესად ახორციელებენ სახელმწიფო შიდა ან საგარეო ვალების აღების გზით.

სახელმწიფო ვალის სიმძიმეს, პირველ ყოვლისა, განსაზღვრავს:

ა) რა სახისაა იგი – სახელმწიფო შიდა ვალია, თუ სახელმწიფო საგარეო ვალი; ბ) სახელმწიფო ვალის სიდიდე ან სიმცირე იზომება და განისაზღვრება ქვეყნის მეპ-ისა და მშპ-ის სიდიდესთან შეფარდებით; გ) სახელმწიფო ვალის სიმძიმე დამოკიდებულია აღებული ვალის სარგებლის დონეზე; დ) სახელმწიფო ვალის ტვირთი დიდადაა დამოკიდებული აღებული სესხის მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებაზე.

სწორედ ამ კრიტერიუმების გამოყენებით უნდა განიხილებოდეს როგორც სახელმწიფო შიდა ვალის, ასევე სახელმწიფო საგარეო ვალის პრობლემა.

სახელმწიფო ვალი წარმოადგენს მთავრობის მიერ ამ სესხის გადახდის პირობას.

ამასთან დაკავშირებით, პოპულარულია თვალსაზრისი, რომ ვალი ტვირთია, რომელიც ართულებს ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებას.

ამიტომ, ცდილობენ რა თავიდან აიცილონ მოსალოდნელი სოციალური და ეკონომიკური დაძაბულობა, მთავრობა უპირატესობას ანიჭებს შიდა სესხების მოზიდვას.

გარკვეული მოსაზრების თანახმად, რომ საგარეოსთან შედარებით შიდა ვალი ქვეყნისათვის ნაკლები ტვირთია, რადგან იგი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ვალი, რომელიც მას

თვითონ მართებს, რომლის დაფარვის დროს ქვეყანაში შექმნილი პროდუქციის გატანა არ ხდება (სარგებლის ან ვალის ძირითადი ნაწილის სახით). თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ შიდა ვალი საშიში არ არის. ამასთან დაკავშირებით, ისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა მზარდმა შიდა ვალმა რაღაც მომენტში კრახამდე მიიყვანოს ერი, სახელმწიფომ დაკარგოს საკუთარი ფინანსური ვალდებულებების დაფარვის უნარი და მთავრობა გაკოტრდეს? პასუხი ცალსახაა: არა, რადგან სახელმწიფოს აქვს: ა) შიდა სესხის რეფინანსირების; ბ) გადასახადების განაკვეთების გადიდების და გ) საჭიროზე მეტი რაოდენობის ფულის მასის დაბეჭდვისა და მიმოქცევაში გადასროლის შესაძლებლობანი.

ა) *ვალის რეფინანსირება*. როგორც კი დადგება შიდა ვალის რაღაც ნაწილის გადახდის წინასწარ განსაზღვრული ვადა, მთავრობა, როგორც წესი, არც ხარჯებს შეამცირებს და არც გადასახადებს გაზრდის, არამედ ვადადამდგარი ობლიგაციების დასაფარავი სახსრების მისაღებად მოახდენს მხოლოდ ვალის რეფინანსირებას, ე.ი. დაბეჭდავს და გაავრცელებს ახალ ობლიგაციებს და დამატებით მიღებული თანხებით დაფარავს ობლიგაციების მფლობელთათვის გასაცემ ვალდებულებებს.

ბ) *გადასახადების განაკვეთების გადიდება*. სახელმწიფოს ყოველთვის შეუძლია გადასახადების გადიდება (თუ ეს იმ კონკრეტულ პირობებში მისაღებია). აღნიშნული ღონისძიება გამოიყენება შემოსავლების, სახელმწიფო ვალის ნაწილისა და სარგებლის თანხის გადასახდელად.

გ) *საჭიროზე მეტი რაოდენობის ფულის დაბეჭდვა და მიმოქცევაში გაშვება*. საჭიროზე მეტი რაოდენობის ფულის მასის დაბეჭდვისა და მიმოქცევაში გადასროლის გზით სახელმწიფო იხდის შიდა ვალის ძირითად თანხასაც და სესხის სარგებელსაც. ამას შეიძლება მოჰყვეს საინფლაციო ეფექტი, მაგრამ ეს საშიში არ არის.

საკუთარი ფინანსური ვალდებულებების დასაფარავად, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო იყენებს ერთ ან ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებას.

ამდენად, სახელმწიფო შიდა ვალის აღება ნებისმიერ ქვეყანას არანაირ საშიშროებას არ უქმნის, მით უმეტეს ეს ითქმის ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებზე. მაგალითად, აშშ-ის სახელმწიფო შიდა ვალი 1998 წლისათვის შეფასებული იყო 2.6 ტრილიონ დოლარად. ეს კოლოსალური თანხაა. თუ 2.6 ტრილიონ ერთდოლარიან კუპონურებს დავალაგებთ ერთიმეორის მიყოლებით, მიღებული „ლენტი“ 240 მლნ მილზე, ანუ დედამიწიდან მზემდე და უკან გამოიჭიმება და მეტი იქნება კიდევ. თუ 2.6 ტრილიონ დოლარის ასდოლარიანი კუპონურებით შემდგარ შეკვრებს სიმაღლეზე დავალაგებდით, იგი 174 მილის სიმაღლის იქნება<sup>1</sup>.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ბიუჯეტის დეფიციტი გამოვიდა კონტროლიდან, რომ გაზრდილი სარგებლის განაკვეთები აიძულებენ ამერიკის მთავრობას გაზარდოს გადასახადები? პასუხი ცალსახაა – არა, რადგან აშშ-ს მთლიანი ეროვნული პროდუქტი იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე ვალი.

თუ ვალის ზრდას თან არ ახლავს ეკონომიკური ზრდა, შიდა (და მით უმეტეს, საგარეო) ვალის ხარჯზე ბიუჯეტის დაბალანსების ყოველგვარი მცდელობა ბოლოს და ბოლოს კრახით მთავრდება.

მიუხედავად ასეთი კოლოსალური სიდიდისა, შიდა ვალი აშშ-ის ეკონომიკისათვის სრულიად არ არის საშიში, რამდენადაც აშშ-ის ეკონომიკის პოტენციალი საოცრად დიდია და იგი ყოველწლიურად გიგანტური ტემპებით იზრდება. 1988 წელს აშშ-ში წარმოებული იყო 4 ტრილიონ 862 მილიარდი დოლარის საქონელი და მომსახურება, ანუ უფრო მეტი, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. წარმოებული პროდუქციის მოცულობამ მოსახლეობის ერთ სულზე 16840 დოლარი შეადგინა. აშშ-ის სახელმწიფო შიდა ვალი ქვეყნის მეპ-ის მოცულობის 53 %-ს არ აღემატება.

გადასახადების აბსოლუტურ მოცულობასთან ერთად აშშ-ში მკვეთრად გაიზარდა სარგებლის გადასახდელების მოცულობა. მისმა ყოველწლიურმა მოცულობამ 150 მლრდ დოლარს

---

<sup>1</sup> მაკკონელი რ., ბრიუ ლ., „ეკონომიკის“, თბ., 1993. ტ. II, გვ. 440.

გადააჭარბა, მაგრამ ეს სრულიადაც არ წარმოადგენდა საშიშროებას, რადგან ამ დანიშნულებით გადასახდელი თანხა აშშ-ს მეპ-ის ღირებულების 3 %-ს არ აღემატებოდა.

სახელმწიფო შიდა ვალის აბსოლუტური მოცულობა აშშ-ში 1940-1988 წლებში 50-ჯერზე გაიზარდა, მაგრამ აშშ-ს მეპ-ის მოცულობა ამავე პერიოდში 55 -ჯერზე მეტად გადიოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ვალის შედარებითი სიდიდე პრაქტიკულად თითქმის 1940 წლის დონეზე დარჩა.

აშშ-ს სახელმწიფო შიდა ვალი არავითარ ტვირთს არ აკისრებს ქვეყნის მომავალ თაობებს. ამერიკის სახელმწიფო ვალის სავალო ვალდებულებების მფლობელთა თითქმის 1/4-ს არასამთავრობო დანესებულებები და ბანკირები წარმოადგენენ, ხოლო დანარჩენი 3/4 შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანიზაციებზე, კერძო პირებზე, კომერციულ ბანკებზე, სადაზღვევო კომპანიებზე და ა.შ. მოდის. როგორც ცნობილი ამერიკელი მეცნიერ-ეკონომისტები აღნიშნავდნენ, „ყოველი დაბადებული ბავშვი სამყაროში არ შევა ბებიაქალის გალანუნიებისა და ძია სემის 10586-დოლარიანი სავალო ვალდებულებებით“<sup>1</sup>, რადგან აშშ-ს სამთავრობო ობლიგაციათა 87 % მოთავსებულია ქვეყნის შიგნით, ე.ი. მოქალაქეებისა და ორგანიზაციების, ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, სამთავრობო დანესებულებების ხელში იმყოფება, ანუ სახელმწიფო შიდა ვალი ამ შემთხვევაში ამავდროულად საზოგადოებრივი აქტივაციაა. ამ ვალების დიდი ნაწილი, ამასთანავე, ამერიკელ მოქალაქეთა (როგორც აქციებისა და ობლიგაციების მფლობელების) აქტივებს წარმოადგენს. შიდა სახელმწიფო ვალის შემთხვევაში სახელმწიფო ობლიგაციების განაღდებას დროს, რომლებიც მოცემული ქვეყნის რეზიდენტთა განკარგულებაშია, არ ხდება საქონლისა და მომსახურების ქვეყნის ფარგლებიდან გატანა და დაკარგვა.

მაშასადამე, ამერიკაში დაბადებულები, რომლებმაც საშუალოდ სახელმწიფო ვალის 10586 დოლარის სავალო ვალდებულება მიიღეს მემკვიდრეობით, იმავდროულად ამავე თანხის სამთავრობო ობლიგაციების მემკვიდრენი გახდნენ<sup>2</sup>.

<sup>1</sup> მაკკონელი რ., ბრიუ ლ., „ეკონომიკისი“, თბ., 1993. ტ. II, გვ. 46.

<sup>2</sup> იქვე.

ამრიგად, დიდი სახელმწიფოებისათვის სახელმწიფო შიდა ვალი არ წარმოადგენს ეკონომიკური ტვირთის სიმძიმის ერთი თაობიდან მეორეზე გადაკისრების საშუალებას.

ასე იყო სსრ კავშირშიც. ომის ტვირთი თითქმის მთლიანად გადაიტანეს იმათ, ვინც ომის პერიოდში ცხოვრობდა; სწორედ მათ მოუხდათ მრავალ სამომხმარებლო საქონელზე უარის თქმა, რათა ფაშიზმზე გაემარჯვათ.

ეს დამამიმედებელი მოტივები სრულიადაც არ ნიშნავს შიდა სახელმწიფო ვალის გამართლებას. მისი არსებობა ნამდვილად აყენებს ზოგიერთ რეალურ და პოტენციურ პრობლემას.

როცა შიდა ვალით ვერ მიიღწევა სასურველი შედეგები, ქვეყნის შიგნით მაკროეკონომიკური არასტაბილურობის თავიდან ასაცილებლად მთავრობები საგარეო სესხებს მიმართავენ.

უცხოური კრედიტები ქვეყანას საშუალებას აძლევს მოიხმაროს ან დააბანდოს მასზე მეტი თანხა, ვიდრე ამას შიდა ვალით შეძლებდა, ე.ი. საგარეო ვალი, მისი მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენების შემთხვევაში, საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული ქვეყნის ეკონომიკაში არასასურველი შედეგები, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოში შექმნილი პროდუქციის მეტი ნაწილის გატანა ხდება უცხო ქვეყნების ვალის დასაფარავად.

მაშასადამე, საგარეო ვალის აღება გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ეკონომიკურ ზრდას და, აქედან გამომდინარე, ასევე სწრაფად იზრდება ექსპორტიდან შემოსავალი – ეს უზრუნველყოფს ქვეყანაში საკმარისი რაოდენობით უცხოური ვალუტის შემოსავალს, რის ხარჯზეც უნდა დაიფაროს მუდმივად მზარდი საგარეო ვალის საპროცენტო (მომსახურების) გადასახდელები და ძირითადი თანხა. მაგრამ, თუ გადასახდელები საგარეო ვალის მომსახურებისათვის იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე შემოსავალი უცხოურ ვალუტაში, მაშინ წარმოიქმნება საგადასახდელო ბალანსისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პრობლემები<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> თ. კასრაძე, მ. კაციტაძე, „საგარეო ვალის ზრდის პრობლემა და მისი დაძლევის გზები“, ჟურნალი „ეკონომიკა“, 1996. №12. გვ. 18.



ამდენად, თუ ქვეყანაში არ ხდება ეკონომიკური ზრდა (და, შესაბამისად, ექსპორტიდან შემოსავლების ზრდა), საგადასახდელო ბალანსისა და ბიუჯეტის დეფიციტი ყველა უარყოფითი შედეგით კიდევ უფრო ძლიერდება.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს მთავრობას ფაქტობრივად არჩევანი არ ჰქონდა, თუ რომელი წყაროთი დაეფინანსებინა მზარდი ბიუჯეტური დეფიციტი - ეროვნული ბანკის პირდაპირი კრედიტებითა თუ მოსახლეობიდან მოზიდული სახსრებით. ორივე ეს წყარო უკვე ამონურული იყო.

ეროვნული ბანკის კრედიტებით ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებამ 1992-1994 წლებში საქართველო პიპერინფლაციამდე მიიყვანა, რამაც ქვეყნის ეკონომიკა დაანგრია და კერძო ინვესტირების განვითარების პერსპექტივაც დააკნინა. ახალი ეროვნული ვალუტის - ლარის შემოღებით ცხადი გახდა, რომ დეფიციტის ფულადი დაფინანსების გაგრძელება, თავისი ინფლაციური ბუნების გამო, ლარის დესტაბილიზაციას გამოიწვევდა. ამიტომ 1994 წლიდან საქართველოს მთავრობამ ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად ეროვნული ბანკის პირდაპირ კრედიტებთან ერთად დაიწყო საგარეო სესხების გამოყენება.

საქართველოს დღეისათვის საკმაოდ დიდი საგარეო ვალი დაუგროვდა. ქვეყნის საგარეო ვალი 2003 წლის 31 იანვრისათვის 2,1 მლრდ. აშშ დოლარს შეადგენდა. ამასთან, იგი პერმანენტულად იზრდება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს (რუსეთთან ერთად), პოსტ-საბჭოურ ქვეყნებს შორის მოსახლეობის ერთ სულზე საგარეო ვალის მოცულობით „პირველი“ ადგილი უკავია (450 დოლარი). ამ მაჩვენებლის მიხედვით ყველაზე უკეთესი მდგომარეობა აქვთ თურქმენეთს (70 დოლარი), სომხეთსა (145 დოლარი) და მოლდოვას (166 დოლარი). სამწუხაროდ, საქართველო პოსტ-საბჭოურ ქვეყნებს შორის ყველაზე ცუდი მაჩვენებლით ხასიათდება (საგარეო ვალის მოცულობის მშპ-სთან შეფარდების მაჩვენებლით). 2002 წლის მონაცემებით ეს მაჩვენებელი საქართველოში 55.6 %-ს შეადგენდა.

დღეისათვის მეტად არადაძაკმყოფილებელია საქართველოს საგარეო ვალის სტრუქტურა. ტექნიკური კრედიტების

წილი კრედიტების საერთო მოცულობაში შეადგენს 14 %-ს, სასაქონლო კრედიტებისა – 42 %-ს და სარეაბილიტაციო კრედიტების – 44 %-ს.

საქართველოს ხელისუფლება ყოველწლიურად ზრდის ვალის რაოდენობას, ამასთან, სათანადო დონეზე ვერ აკონტროლებს კრედიტების მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას, რის გამოც მათი დიდი ნაწილი გამოიყენება არადაანიშნულებისამებრ ან ხვდება კორუმპირებულთა ხელში.

## 1.2. განვითარებადი ძვეყნების საგარეო დავალიანების პრობლემა

თანამედროვე ეტაპზე კაპიტალი გამუდმებით მოძრაობს ქვეყნიდან ქვეყანაში, რათა მისმა მფლობელმა მიიღოს მეტი მოგება. ამასთან, განვითარების არათანაბარი დონე, ქვეყნების დაყოფა განვითარებულ და განვითარებად (ე.წ. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებად), კაპიტალის მოძრაობის ნაკადს ცალმხრივ მიმართულებას აძლევს, ანუ ფული მიემართება მდიდარი ქვეყნებიდან ღარიბი ქვეყნებისაკენ. XX საუკუნის მინურულს კი მსოფლიო პოლიტიკური რუკის ტრანსფორმაციამ და პოსტსოციალისტური და პოსტსაბჭოური დამოუკიდებელი ქვეყნების აღმოცენებამ ამ უკანასკნელთა წინაშე დააყენა ინვესტიციების გადიდების, ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის, სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნებისა და სხვა ხასიათის ურთულესი პრობლემები, რომელთა დაძლევა უცხოური კრედიტების გარეშე თითქმის შეუძლებელი ხდება.

საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტების მონაცემებით, დღეისათვის მსოფლიო დავალიანება, ანუ გადაუხდელი საგარეო ვალების მოცულობა, განვითარებად, განვითარებულ და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ერთად აღებული, შეადგენს ნ ტრილიონ აშშ დოლარზე მეტს. ამასთან, რაც უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ფინანსური გლობალიზაციის პროცესი, მით მეტად იზრდება საგარეო ვალების მოცულობაც. შეიძლება ითქვას, რომ საგარეო ვალების აღება და საგარეო დავალიანება თანამედროვე ეკონომიკის განუყოფელი ელემენტი გახდა. ცნობილია, რომ საგადასახადო ბალანსის ქრონიკულ დეფიციტს ადგილი აქვს ისეთ განვითარებულ

ქვეყნებშიც კი, როგორცაა დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ავსტრალია, შვედეთი და სხვები.

ასეთ ფონზე გასაკვირი არ არის, როცა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საგარეო დავალიანების მოცულობა მაღალი ტემპით იზრდება.

ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები სესხებს იღებენ ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების კერძო სექტორისგანაც. თუ სესხებს მოკლევადიან საგარეო დავალიანებასაც დავუმატებთ, მაშინ საგარეო ვალის საერთო მაჩვენებლები გაცილებით მეტი აღმოჩნდება. 80-90-იან წლებში მსოფლიო მეურნეობაში განსაკუთრებული სიმწვავეთ გამოვლინდა განვითარებადი ქვეყნების გიგანტური საგარეო ვალი, რომელმაც 3 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა, იგი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა როგორც მსესხებელი, ისე გამსესხებელი ქვეყნებისათვის, რომლის შედეგები განუჭვრეტელი და საკმაოდ საშიშია. წმინდა ეკონომიკური საკითხებიდან დღეს იგი გადაიქცა არსებითი მნიშვნელობის მრავალი წინააღმდეგობების წარმომშობ პოლიტიკურ პრობლემად და ამიტომ გადაუდებელ ყურადღებას მოითხოვს<sup>1</sup>.

ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები, მიუხედავად უცხოური კაპიტალური დაბანდებებისა და დახმარებების მოდენისა, კმაყოფილი როდი არიან მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან თავიანთი დამოკიდებულებით.

როგორც ცნობილია, განსხვავება ქვეყნების ამ ორ ჯგუფს შორის თანდათანობით იზრდება. უფრო მეტიც, მართალია, სუსტად განვითარებულმა ქვეყნებმა პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მიაღწიეს, მაგრამ ისინი თავს ეკონომიკური ნეოკოლონიალიზმის ზეგავლენის ქვეშ გრძნობენ. როგორც ამტკიცებენ, კერძო კაპიტალდაბანდებებიცა და სახელმწიფო დახმარებებიც ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების ექსპლუატაციის, მდიდარი ქვეყნებისადმი მათი დამოკიდებულების გახანგრძლივებას ემსახურება. სუსტად განვითარებული ქვეყნები თვლიან,

---

<sup>1</sup> ეკონომიკური თეორია, სახელმძღვანელო. გ. ადგიშვილისა და რ. ასათიანის რედაქციით. გამომცემლობა „სიანლე“, თბ., 1998 წ. გვ. 529.

რომ მათი ახლანდელი დავალიანება მისი მასშტაბების გამო სერიოზული დაბრკოლებაა ეკონომიკური ზრდის გზაზე.

ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები, მიუხედავად მათ ეკონომიკაში უცხოური კაპიტალური დაბანდებების (და სხვა დახმარებების) გამოყენებისა, კმაყოფილნი არ არიან განვითარებულ ქვეყნებთან და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობებით<sup>1</sup>.

ისინი მიიჩნევენ, რომ უცხოური დახმარება არასაკმარისი და არაეფექტიანია, რამდენადაც განვითარებული ქვეყნების მიერ მომსახურების სახით ყოველწლიურად „წართმეული“ სახსრების მოცულობა მათი მეპ-ის საერთო რაოდენობის 1/3 და ზოგჯერ უფრო მეტსაც შეადგენს, ე.ი. საპროცენტო განაკვეთი მაღალია.

განვითარებადი ქვეყნები განსაკუთრებით არ ემაღლიერებიან საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს, მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდს.

1. სსფ კრედიტს აძლევს არა კერძო ფირმებსა და კორპორაციებს, არამედ იგი სესხს აძლევს მხოლოდ სახელმწიფოს. კერძო ფირმას შეუძლია მიიღოს სსფ კრედიტი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სახელმწიფო დაუდგება გარანტიად (ისიც გამონაკლის შემთხვევაში);

2. სახელმწიფოს, რომელიც სსფ-დან იღებს სესხებს, უფლება არა აქვს იგი გამოიყენოს კაპიტალური დაბანდებებისათვის, ანუ უშუალოდ ეკონომიკის განვითარებისათვის. ძირითადად, სსფ სესხს იძლევა ეროვნული ვალუტის კურსის გასამყარებლად, ენერგომატარებლებისა და სამომხმარებლო საქონლის შესაძენად. ამით იგი ხელს არ უწყობს ამ ქვეყანაში ეროვნული ეკონომიკის განვითარებას და ქმნის ყველა პირობას იქ უცხოური ინვესტიციების შეღწევისათვის;

3. სსფ პირდაპირ მოითხოვს (კარნახობს) შემცირდეს ხარჯები მეცნიერებაზე, განათლებაზე, ჯანდაცვაზე და ა.შ. და ამ გზით (ვდილობს განსაკუთრებით პოსტსაბჭოური ქვეყნების მესამე სამყაროს ქვეყნების რიგში გადაყვანას;

---

<sup>1</sup> *ბაბაჯა ვლ.*, საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები, თბ., 2000. გვ. 35-76.

4. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარება არაფექტიანია, რადგან მათი ყველა სახის დახმარება დონორ ქვეყანაზეა მიბმული. მაგალითად, ამერიკული დახმარება უნდა დაიხარჯოს მხოლოდ ამერიკული საქონლისა და მომსახურების შესაძენად და ა.შ;

5. ხშირ შემთხვევაში დონორ ქვეყნებში განვითარებული ინფლაციური პროცესები მნიშვნელოვნად აფერმკრთალებს და ამცირებს ვალის მიმღები ქვეყნებისათვის გადაცემული დახმარების ღირებულებას.

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის, ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორის ჯეფრი საქსის აზრით, ბოლო უნდა მოეღოს იმ მავნე პრაქტიკას, როდესაც ფონდი კარნახობს ქვეყნებს და მთავრობებს, რა არის მათთვის კარგი და რა – ცუდი. დღეს მსოფლიოს ბევრი ცნობილი ეკონომისტი და პოლიტიკოსი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს სსფ-ს საქმიანობას და მოუწოდებს მას უარი თქვას გლობალურ უნიფიცირებულ მიდგომებზე ცალკეულ სახელმწიფოთა ეკონომიკასთან მიმართებაში და გაითვალისწინოს მათი სპეციფიკა<sup>1</sup>.

ამრიგად, ექსპერტთა და მენარმეთა ერთი ნაწილის აზრით, სსფ არანაირად არაა „საერთაშორისო დახმარების სალარო“, არამედ იგი წარმოადგენს გიგანტურ საერთაშორისო მანქანას, რომელიც სხვადასხვა ხერხით შეაღწევს რა გაჭირვებულ ქვეყნებში, აჩვენებს მათ მცირე ზომის კრედიტების აღებას და ისეთნაირად „აუწყობს“ ეკონომიკას, რომ მათ ვერ შეძლონ კრედიტების გარეშე არსებობა. ქვეყანა, რომელსაც არ ძალუძს საკუთარი ეკონომიკის განვითარება, ვერასოდეს გადაიხდის ვალებს და ვერ გახდება კონკურენტუნარიანი, ანუ სამუდამოდ დარჩება სუსტად განვითარებულ სსფ-ის შესანახ და მორჩილ ობიექტად.

ცნობილი ეკონომისტი, მსოფლიო ბანკის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი და მთავარი ეკონომისტი *ჯოზეფ სტიგლიცი* წერს: „საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის დაარსებიდან ორმოცდაათი წელი იმაზე მეტყველებს, რომ

<sup>1</sup> Сакс Дж., Рыночная экономика и Россия. М., экономика, 1995. стр. 283-285.

გარკვეული ჯგუფების მეშვეობით ამ ინსტიტუტების მიერ უფრო მეტი საზიანო საქმეა გაკეთებული“.<sup>1</sup>

ზოგიერთი ეკონომისტი საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოლიტიკას განიხილავს, როგორც ღარიბი ქვეყნებისადმი „იმპერიალისტური საფინანსო დისციპლინის“ თავსმოხვევას; როგორც ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ინტერესების რეალიზაციის ინსტრუმენტს, რომელიც „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში სიღარიბისა და მონობის, „საერთაშორისო ფეოდალური დამოკიდებულების“ შენარჩუნებისთვისაა გამიზნული.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ გამოთქმულია უამრავი ეპითეტები: „საფინანსო კოლონიალიზმი“, „საფინანსო იმპერიალიზმი“, „კოლონიალიზმი და გენოციდი“, „ნეოკოლონიალიზმი“, „სპეკულაციური საფინანსო ბუშტი“, „საფინანსო მაფია“, „კარიკატურული მონეტარიზმი“ და ა.შ. გაკვირვებას იწვევს აგრეთვე საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამების თეორიული საფუძვლებისადმი დაცინვითი ხასიათის სხვა შეფასებებიც.

ჯეფრი საქსის აზრით, „საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარება პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის სიძნელეების შესამსუბუქებლადაა მოწოდებული, მაგრამ საფინანსო დახმარების მისაღებად ფონდის მიერ წამოყენებული პირობები ხშირ შემთხვევაში იმდენად მკაცრია, რომ ისინი კიდევ უფრო ამძიმებენ შესაბამისი რეფორმების სიძნელეებს“. საერთაშორისო სავალუტო ფონდი თავისი ქმედებებით მუდმივად შერცხვენილის მდგომარეობაშია. ფინანსური დახმარება საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან არა კარტ-ბლანშის სახით უნდა მიეცეს, არამედ მკაცრი პირობების შესრულების შემთხვევაშიც და, ამავე დროს, ეს დახმარება უნდა იყოს მნიშვნელოვანი, რათა რეფორმის სიძნელეები შეამსუბუქოს<sup>2</sup>. კიდევ უფრო მწვავედ აყენებს საკითხს ნობელის პრემიის ლაურეატი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი გარი ბეკერი. მისი აზრით, ფინანსური დახმარების გარეშე მთავრობას ძლიერი შინაგანი სტიმული

<sup>1</sup> Стиллиц Дж., Куда ведут реформы? (К десятилетию начала переходных процессов). Вопросы экономики, 1999, №7. стр. 82-84.

<sup>2</sup> Сякс Дж., Рыночная экономика в России. М., экономика, 1995. стр. 283-285.

ექნებოდა მიზანმიმართულად და სწრაფი ტემპით განხორციელებინა რეფორმები<sup>1</sup>.

ჯოზეფ სტიგლიცის აზრით, მიუღებელია აგრეთვე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუშაობის სტილი, „როცა ამა თუ იმ ქვეყანაში ჩასული მისი ექსპერტები რალაც ორიოდ კვირის განმავლობაში განიხილავენ და აზუსტებენ ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველ მონაცემებს და მათ საფუძველზე რეფორმების პოლიტიკისათვის მაკროეკონომიკურ რეკომენდაციებს იძლევიან“<sup>2</sup>.

ცხადია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდს მართლაც აქვს სერიოზული ნაკლოვანებები. ხშირ შემთხვევაში იგი ვერ ითვალისწინებს ქვეყნების ისტორიას, კულტურულ და ეროვნულ თავისებურებებს და, აქედან გამომდინარე, მათ თავს ახვევს არასწორ რეკომენდაციებს და ა.შ. მაგრამ მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა მისი დიდი დამსახურების უგულვებელყოფაც.

პროფ. ვლ. პაპავა საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის შეფასებისადმი მიძღვნილ ნაშრომში სრულიად სამართლიანად აღნიშნავს საქართველოში მისი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე დაშვებულ შეცდომებს. ამასთან, გამოყოფს სსფ-ის მოღვაწეობის ყველაზე მთავარ დადებით შედეგებს:

1. ქვეყნის საბიუჯეტო ფულად-საკრედიტო პროცესების დარეგულირების მიზნით საფინანსო მონყობის საკანონმდებლო ბაზის შექმნა;

2. ეროვნული ბანკის მიერ გატარებული მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გზით ჰიპერინფლაციის მოთოკვა და ფულის რეფორმის განხორციელება (ლარის შემოღება);

3. ფასების განთავისუფლების გზით ფასების ლიბერალიზაციის პროცესის პრაქტიკულად დასრულება;

4. 1995 წლიდან მოყოლებული ქვეყნის წლიური დამტკიცებადი ბიუჯეტის შემოღება;

5. ყოფილი საბჭოთა ბანკების პრივატიზების დასრულება;

6. ორიარუსიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება;

---

<sup>1</sup> Becker G.S., Becker G.N., The economics of life. New York, 1997, p. 129-130.

<sup>2</sup> Стиглиц Дж., Куда ведут реформы? (К десятилетию начала переходных процессов). Вопросы экономики, 1999, №7. стр. 83-84.

7. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია;

8. უცხოური ვალების რესტრუქტურის მიღწევა და საქართველოსათვის საგარეო ვალების მომსახურებისა და ზოგადად გადახდისუნარიანი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის შექმნა<sup>1</sup>.

ამრიგად, 1982-1983 წლებში იმპორტულ პროდუქციაზე ფასების მკვეთრმა ზრდამ, საექსპორტო შემოსულობათა შემცირებამ, სარგებლის განაკვეთის გადიდებამ, დოლარის კურსის ზრდამ და კერძო სესხების შემცირებამ – ყველა ამ ფაქტორთა შეხამება-შეერთებამ სავალო კრიზისი გამოიწვია. ეკონომიკურად ჩამორჩენილი ბევრი ქვეყანა უძლური აღმოჩნდა საგარეო დავალიანების მორიგი გადახდისათვის. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა 80-იანი წლების ბოლოს წინა პერიოდთან შედარებით კიდევ უფრო გაღარიბდა, უკლებლივ ყველა ქვეყნის ეკონომიკამ უსასტიკესი ეკონომიკური ვარდნა განიცადა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ამ ქვეყნებს უზარმაზარი შიდა და საგარეო ვალები დაუგროვდათ. ვალების მომსახურების თანხები მათ ფინანსურ შესაძლებლობებს დიდად აღემატებოდა.

1980 წელს მექსიკა ვალის გადახდის შეჩერების ზღვარზე აღმოჩნდა და კრედიტორები იძულებული გახდნენ გადახდის ვადა გაეგრძელებინათ მისთვის ახალი სესხის მიცემით. მექსიკურმა სავალო კრიზისმა ეკონომიკურად ჩამორჩენილი, მაღალი დავალიანების მქონე ბევრი ქვეყნისადმი კრედიტუნარიანობის ნდობის დაკარგვა გამოიწვია.

1982 წლის ეკონომიკური კრიზისის პერიოდში 38 ქვეყანამ ვერ შეძლო საგარეო ვალებზე გადასახადების გრაფიკის დაცვა. მსოფლიოს უმსხვილესი ბანკები აღმოჩნდნენ გაცემული კრედიტების დაკარგვის საშიშროების წინაშე. საერთაშორისო ფინანსურ სტრუქტურებს დაშლის საფრთხე დაემუქრათ. მაგალითად, არგენტინამ არანაკლებ 6-ჯერ განაცხადა უარი გადახდა საზღვარგარეთული დავალიანებებზე. იგივე ითქმის გვა-

---

<sup>1</sup> *ქაპაეა ელ.*, საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები, თბ., 2000. გვ. 165.



ტემალაზეც. ასე მოხდა 1929-1933 წლებში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, როცა მთელ პლანეტას გადაუარა მრავალი ქვეყნის მიერ ვალის გადახდაზე უარის თქმის ტალღამ.

განსაკუთრებით დიდი დავალიანება აქვთ ლათინური ამერიკის ქვეყნებს (ბრაზილია, მექსიკა, არგენტინა, ვენესუელა და სხვ.), რაც ამჟამად 607,2 მლრდ დოლარს შეადგენს. მეორე ადგილზეა აზიის რეგიონი ( ინდოეთი, ინდონეზია, ერაყი, ჩინეთი, სამხრეთ კორეა და სხვ.).

პრობლემა უკიდურესად გაამწვავა სესხების აღებასა და ვალის გადახდას შორის უარყოფითმა სალდომ. მაგალითად, ჯერ კიდევ 1982 წელს აღინიშნა ამ ქვეყნებისათვის გამოყოფილი რესურსების თანდათანობითი კლება, 1984 წელს კი – სესხის მიღების სალდო უკვე უარყოფითი იყო. ამ წელს „მესამე სამყაროს“ ქვეყნებმა საგარეო ვალზე მომსახურების სახით 92 მლრდ დოლარი გადაიხადეს და მიიღეს ახალი სესხი 85 მლრდ დოლარის ოდენობით. 1983-1986 წლებში საგარეო ვალის გამო განვითარებადმა ქვეყნებმა უზარმაზარი თანხა – 400 მლრდ დოლარი გადაიხადეს, მათ შორის, სარგებლის სახით – 204 მლრდ დოლარი, ახალი სესხის მოცულობამ კი იმავე პერიოდში შეადგინა 344 მლრდ დოლარი. ამგვარად, განვითარებადი ქვეყნებიდან ამოღებული თანხა 56 მილიარდით აჭარბებდა ამ ქვეყნებში შემოსულ თანხას<sup>1</sup>.

თანამედროვე ეტაპზე საგარეო ვალის პრობლემამ მეტად გლობალური ხასიათი მიიღო. იგი დესტაბილიზაციით ემუქრება არა მარტო განვითარებადი, არამედ განვითარებული ქვეყნების ფინანსურ სისტემებსაც. სავალო კრიზისი კრედიტორებისათვის ნიშნავს დიდ მატერიალურ დანაკარგებს, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისათვის იმ პროცესებისაკენ დაბრუნებას, რომელთაც მათ თავი დააღწიეს.

სუსტად განვითარებული ქვეყნების სავალო კრიზისის დაძლევის ერთადერთი გზა – სავალო ტვირთის შემსუბუქებაა. გადაუხდელი ვალის მნიშვნელოვანი ნაწილის „პატიებაც შეიძლება“, საგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ

---

<sup>1</sup> კანნიაშვილი ჯ., მაკროეკონომიკა. თეორია და პოლიტიკა. ნაწ. II., თბ., 1997. გვ. 418-419.

კრედიტორები, რომლებსაც 80-იანი წლების მწარე გამოცდილება აქვთ, ამას დათანხმდებიან.

70-იან წლებში „პარიზის კლუბი“ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და „ლონდონის კლუბთან“ თანამშრომლობით ცდილობდა ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების სავალო კრიზისის დაძლევის ცალკეულ სახელმწიფოებს შორის შეთანხმების გზით. 1985 წლის ბოლოს, „ბეიკერის გეგმის“ თანახმად, ხოლო 1989 წელს ბრეიდის „ვალის ბაზრის“ არგუმენტების მიხედვით, მევალე ქვეყნებთან მოლაპარაკებები „ვალის სცენარში“ მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ წარმატებით დამთავრდა.

ეკონომიკურად ჩამორჩენილ ბევრ ქვეყანას ვალები განუვადდა, რამაც შესაძლებელი გახადა სარგებლისა და ძირითადი ვალის ყოველწლიური გადასახადების დროებით შემცირება. მაგრამ, ამ დათმობათა სანაცვლოდ, სუსტად განვითარებულ ქვეყნებს შემოთავაზებულ მკაცრ საშინაო ეკონომიკის პროგრამებზე დათანხმება მოუხდათ.

მექსიკა პირველი ქვეყანა იყო, სადაც განხორციელდა „ბრეიდის“ გეგმა. მექსიკამ თხოვნით მიმართა კრედიტორებს, მისთვის შეემცირებინათ საგარეო ვალი. 1989 წელს, ხანგრძლივი მოლაპარაკებებისა და აშშ-ს შუამდგომლობით, განიხილებოდა რამდენიმე ვარიანტი:

1. სავალო ვალდებულებების კონვერსია ობლიგაციებში 30-წლიანი დაფარვის პერიოდით. ობლიგაციის ღირებულება უტოლდებოდა სესხის 65 %-ს. შენარჩუნებული იქნებოდა მერყევი პროცენტული ფსონი;

2. სავალო ვალდებულებების კონვერსია 30-წლიანი დაფარვის ვადით დაბალი ფიქსირებული პროცენტული განაკვეთით;

3. ახალი კრედიტების მიცემა, ადრე მიცემული კრედიტების ღირებულების 25 %-ის მოცულობით. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, მსოფლიო ბანკმა და იაპონიამ ერთად გამოყვეს 7 მილიარდი დოლარი ახალი ობლიგაციების გამოსაშვებად.

1990 წლის თებერვალში ბანკების მიერ წამოყენებული საბოლოო ვარიანტის მიხედვით, მექსიკის საგარეო ვალის ნომინალური ღირებულება შემცირდა დაახლოებით 12 პროცენტით.

მექსიკა დღეს წარმოადგენს სამაგალითო მოვალეს, რომელიც ზუსტად ასრულებს თავის ვალდებულებებს რესტრუქტურისებულ ვადებში.

ანალოგიურად, წლების განმავლობაში, კომერციულ ბანკებთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ საგარეო ვალების შემცირების შესახებ ფილიპინები, ვენესუელა, კოსტა-რიკა, ურუგვაი და ნიგერია. ასევე, 1992 წელს არგენტინამ და ბრაზილიამ კრედიტორებთან მიაღწიეს შეთანხმებას საგარეო ვალების შემცირებასთან დაკავშირებით. როგორც იქნა, მსხვილმა და მცირე მოვალე ქვეყნებმა სავალო კრიზისი გადალახეს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სუსტად განვითარებულ ქვეყნებს გადასახადების გადახდაზე უარის თქმა, ე.წ. „დეფოლტი“, არ მოუტანს დადებით შედეგებს.

ჯვალის (როგორც ძირითადი თანხის, ასევე მომსახურების პროცენტების) გადახდის სიმძიმისგან თავის დაღწევის ყველაზე კარგი ვარიანტია მოვალის მიერ ახალი სესხის იმ მოცულობით მიღება, რომელიც აღემატება კრედიტის ძირითადი ნაწილის და პროცენტების სახით დასაბრუნებელ, აგრეთვე ქვეყნიდან სხვა ფორმით კაპიტალის გადინების თანხებს, რაც ფორმულით შეიძლება წარმოვიდგინოთ.

$$RT = L - S + O,$$

სადაც  $L$  – ახალი კრედიტების მოცულობაა;

$S$  – კრედიტორისათვის (კრედიტის ძირითადი ნაწილისა და პროცენტის) გადასახდელი თანხა;

$O$  – მოვალე ქვეყნიდან კაპიტალის სუფთა გადინება.

თუ  $RT$  დადებითია, მაშინ ახალი კრედიტების მოცულობა, რომელსაც მოვალე იღებს, აჭარბებს გადასახადებს და ადგილი აქვს რესურსების მოდინებას.

როცა  $RT$  უარყოფითია, ეს ნიშნავს, რომ ახლად მიღებული კრედიტები ვერ ფარავს კრედიტის ძირითად ნაწილს და მომსახურების თანხებს, ე.ი. ხდება მოვალე ქვეყნებიდან კაპიტალის გადინება.

მოვალე ქვეყანა არ იტყვის უარს სესხის დაბრუნებაზე მანამ, სანამ კრედიტორებისაგან რესურსები მოედინება, ე.ი. ვიდრე  $RT$  დადებითია. მოვალე ყოველთვის შეასრულებს ვალის

ძირითადი ნაწილისა და მომსახურების თანხების დაბრუნების ხელშეკრულებას, თუ ახალ სესხებს უმტკივნეულოდ მიიღებს კრედიტორისაგან.

ამავე დროს, მოვალე ქვეყანა გადანყვეტილებას – უარი თქვას ვალის გადახდაზე, მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ვალის მომსახურების თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების დარღვევისაგან გამონეულ სავარაუდო ხარჯებს.

მაგალითად, 1980-1992 წლებში რესურსების სუფთა მოდინება ხდებოდა მდიდარი (კაპიტალის მქონე) კრედიტორი ქვეყნებისაგან ნაკლებგანვითარებული ქვეყნებისაკენ; ხოლო 1984 წლიდან დაიწყო რესურსების უკუგადინება მოვალე ქვეყნებიდან კრედიტორი ქვეყნებისაკენ და ამ თანხამ 41 მლრდ დოლარი შეადგინა. აქედან გამომდინარე, ნათელია, თუ რატომ თქვეს უარი განვითარებადმა ქვეყნებმა მიღებული საგარეო ვალების დაბრუნებაზე. „მესამე სამყარო“ მრავალ ქვეყანაში წარმოების გლობალური დაცემის შედეგად მოხდა ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება. იმავდროულად გაიზარდა საპროცენტო გადასახადების მოცულობა და დაიწყო სავალო კრიზისი.

მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს აგრეთვე მევალე ქვეყნის მიერ მესამე ქვეყნისათვის ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით გაცილებით დაბალ ფასებში საგარეო სავალო ვალდებულებების (ე.წ. „რუხ ბაზარზე“) მიყიდვის ფაქტები, როგორც მოვალისა და მევალის, ასევე მესამე მხარის მონაწილეობით.

ეკონომისტთა ერთ ჯგუფს მიაჩნია, რომ ე.წ. „მეორად ბაზარზე“ სავალო ვალდებულებების ფასების დაბალი დონე უზრუნველყოფს საგარეო დავალიანების პრობლემის ადვილად გადაწყვეტას, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. მეორად ბაზარზე სავალო ვალდებულებების გამოსყიდვა ან მსგავსი ოპერაციები ვერ უზრუნველყოფს მოვალე ქვეყნის სავალო პრობლემების გადაწყვეტას. ერთადერთი, ვინც იღებს ამგვარი ოპერაციებით, კრედიტორია. ამის მაგალითია ბოლივიაში შექმნილი სიტუაცია, სადაც სავალო ვალდებულებების გამოსყიდვამ, ქვეყანაში მდგომარეობის შემსუბუქების ნაცვლად, დიდი მოგება მოუტანა კრედიტორებს.

1989 წელს ბოლივიამ ანონიმური ქვეყნების ჯგუფისაგან მიიღო 34 მლნ დოლარი, რათა მას კომერციული ბანკებისაგან გამოეხსნა თავისი სავალო ვალდებულებები. სავალო ვალდებულებების საბაზრო თანხა შეადგენდა 53 მლნ დოლარს. გამოსასყიდი ფასი იყო 7 ცენტი 1 დოლარზე. გამოსყიდვის შემდგომ დარჩენილი ფასი შეადგენდა საბაზრო ფასით 43,4 მლნ დოლარს. ბოლივიას ნაჩუქრობიდან (34 მლნ დოლარიდან) მხოლოდ 9.6 მლნ დოლარი მოგება დარჩა, ხოლო კრედიტორების მოგებამ 24.4 მლნ დოლარი შეადგინა.

სავალო ვალდებულებების გამოსყიდვის ოპერაციების დროს განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს ვალის ანულირება, როცა კრედიტორები მოვალეებს პატიობენ ან ჩამოაწერენ ვალის ნაწილს. ვალის გამოსყიდვის თანხებს იხდიან კრედიტორები.

მაგალითად, 1989 წელს არგენტინის საგარეო ვალი მეორად ბაზარზე გაიყიდა 1 დოლარი 17,5 ცენტად. ასეთი აქცია უმსუბუქეებს მოვალე ქვეყნებს მდგომარეობას არა მარტო სავალო ვალდებულებების მოცულობის, არამედ ხარჯებისა და დარჩენილი ვალის საჯარიმო გადასახადების შემცირებით.

სამწუხაროდ, ანულირების პოლიტიკა აწყდება სერიოზულ პრობლემებს. ხშირად ხდება ჩამონერვილი საგარეო ვალის ნაწილის შემდგომ დარჩენილი ვალის საბაზრო ფასის გადიდება. ამ სიტუაციაში თითოეული კრედიტორი მოცდას ამჯობინებს, სანამ სხვა კრედიტორები არ გამოვლენ ვალის ნებაყოფლობით ჩამონერვის ინიციატორებად. ასეთი აქცია ხორციელდება მხოლოდ სახელმწიფოთა მთავრობებისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების შეთანხმებით.

მაშასადამე, ზემოთ განხილული საშუალებებითა და გზებით განვითარებადი ქვეყნების სავალო დავალიანებების პრობლემებს გადაწყვეტა არ უნერია.

მაშ, რა შეიძლება გაკეთდეს სუსტად განვითარებული ქვეყნების სავალო კრიზისის დასაძლევად, ან უკიდურეს შემთხვევაში, შესამსუბუქებლად?

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია ფასებისა და სარგებლის განაკვეთების დანევა, ამასთან, უნდა შემცირდეს დოლარის კურსი და დაძლეულ იქნეს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკუ-

რი უძრავობა, რომელიც მთლიანად აღმავლობით უნდა შეიცვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების დავალიანება უნინდებურად მწვავე პრობლემად დარჩება.

### 1.3. საგარეო დავალიანებების შეფასების კრიტერიუმები

საგარეო დავალიანების პრობლემის კვლევა ითვალისწინებს განსაზღვრული კრიტერიუმების გამოყენებას. მათ შორის მნიშვნელოვანია: ქვეყნის გადახდისუნარიანობა და ლიკვიდურუნარიანობა.

გადახდისუნარიანობაში იგულისხმება დებიტორი ქვეყნის უნარი და შესაძლებლობა აღებული სესხების მაღალეფექტიანი გამოყენების გზით უზრუნველყოს ეკონომიკის ზრდის მაღალი და სტაბილური ტემპი, რაზეც უშუალოდ დამოკიდებულია საგარეო ვალის დროული გადახდა.

ეკონომიკური ზრდის დასადგენად გამოიყენება მთლიანი ეროვნული პროდუქტისა და მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების მოცულობა. ორივე ეს მაჩვენებელი ნათელ წარმოდგენას იძლევა ეკონომიკური ზრდის ტენდენციის შესახებ.

რაც შეეხება ლიკვიდურუნარიანობას, აქ იგულისხმება განსაზღვრული პერიოდის შემდეგ (ამ ვალების დაფარვის დადგენილი ვადებისათვის) ქვეყანაში საკმარისი ფულადი სახსრების (შემოსულობათა) არსებობა, რათა მან დროულად დაფაროს მიმდინარე სავალო ვალდებულებები.

ლიკვიდურუნარიანობის შეფასება ხდება საგარეო ვალის მიმდინარე გადასახდელების სიდიდესა და ქვეყანაში ლიკვიდური სახსრების (საექსპორტო შემოსავლის, ოქროსა და უცხოური ვალუტების რეზერვების და სხვა) არსებულ მოცულობას შორის შეფარდების გზით.

როგორც წესი, გადახდისუნარიანობის პერიოდი ხანგრძლივია და მისი დაძლევისათვის საჭიროა ქვეყნის ეკონომიკაში რადიკალური ცვლილებები. გადახდისუნარიანობის კრიზისის დაძლევა შეიძლება მოხდეს დავალიანების რეფინანსირების, რესტრუქტურულიზაციის (სესხის დაფარვის შეღავათიანი პირო-

ბების დანესების), ხოლო უკიდურეს შემთხვევაში ვალების ჩამონერის გზით. სულ სხვა ხასიათისაა ლიკვიდურუნარიანობის კრიზისი. იგი გამოიხატება მხოლოდ და მხოლოდ მიმდინარე სავალო ვალდებულებების დაფინანსებისათვის აუცილებელი ლიკვიდური აქტივების დეფიციტით.

საგარეო ფასების მერყეობის შედეგად საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის ზრდის შემთხვევაში გაიცემა ე.წ. სალიკვიდაციო კრედიტი.

საგარეო დავალიანების შეფასების ზემოთ აღნიშნულ კრიტიერიუმებთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვალის მომსახურების კოეფიციენტს, ანუ ნორმას. იგი ასახავს ვალის დაფარვის მიზნით წლიურ გადასახადებსა და საქონლისა და მომსახურების წლიური ექსპორტის ღირებულებას შორის თანაფარდობას.

ბევრი უცხოელი სპეციალისტისა და ექსპერტის შეხედულებით, ვალის მომსახურების კოეფიციენტი (ნორმა) წარმოადგენს ყველაზე უფრო მისაღებ და ეფექტიან მაჩვენებელს. იგი გვიჩვენებს, თუ რამდენად პერსპექტიულია ქვეყნის სავალუტო სიტუაცია დროის განსაზღვრული მომენტისათვის.

გადახდისუნარიანობის ფაქტორები ზეგავლენას ახდენენ ქვეყნის საგადასახდელო ბალანსზე, სახელმწიფო ბიუჯეტსა და მთელ რიგ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ყველა ამ ფაქტორის ზეგავლენის შეფასება ღირებულებით ფორმაში შეუძლებელია.

სიტუაციის სრული ანალიზისათვის გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთა სისტემიდან ძირითადი და მთავარი მაჩვენებლები უნდა გამოიყოს. მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის გადახდისუნარიანობაზე გავლენის ფაქტორი, რომლის ზეგავლენის შეფასება შესაძლებელია საპროცენტო გადასახდელების ჯამის ქვეყნის ექსპორტთან ან მთლიან ეროვნულ პროდუქტთან (მეპ) შეფარდების გზით.

ამავე დროს, გადახდისუნარიანობაზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორების ერთ მაჩვენებლად გაერთიანებით შეუძლებელია ზუსტი პროგნოზირება. გადახდისუნარიანობის ფაქტორთა მრავალრიცხოვნობა, მათ შორის არსებული უკუკავშირების სირ-

თულე და ასევე პოლიტიკური, სუბიექტური თუ სხვა ფაქტორების ზეგავლენა ამის შესაძლებლობას არ იძლევა.

ძალზე რთულია ისეთი განმაზოგადებელი მაჩვენებლის „პოვნა“, რომელიც ზუსტად განსაზღვრავდა კრიზისის მოახლოებას, რადგან გადახდისუნარიანობაზე მოქმედებს არა მხოლოდ კონიუნქტურული, არამედ სტრუქტურული ხასიათის ფაქტორებიც.

ცალკეული, ე.წ. კონიუნქტურული ფაქტორები გამოსადეგია (ტიპურია) გარკვეული მომენტისათვის. მაგალითად, ქვეყნის გადახდისუნარიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებასთან. თუ დაფინანსების საგარეო წყაროების სტრუქტურაში მოხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები, მაშინ ტიპურ მაჩვენებელთა მნიშვნელობა დაკარგავს თავის მიზანშეწონილობას და საჭირო გახდება მათი გაანგარიშება ახალი პირობების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, მარტივ მაჩვენებელთა გამოყენება შესაძლებელია მოკლე პერიოდის განმავლობაში და ისიც იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურა არ განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს.

ერთი და იმავე მაჩვენებლის მნიშვნელობა შეიძლება განსხვავებული იყოს ამა თუ იმ ქვეყნის მიხედვითაც. რაც უფრო დაბალია ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, მით უფრო დაბალი იქნება გამოთვლილი მაჩვენებელი და, პირიქით. როგორც წესი, დივერსიფიცირებული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოები უფრო დიდხანს უძლებენ ისეთი ფაქტორების ზეგავლენას, რომლებიც ამცირებენ მათ გადახდისუნარიანობას. აქედან გამომდინარე, ფაქტორთა ზეგავლენა უნდა გამოითვალოს არა ყველა განვითარებადი ქვეყნისათვის ერთად, არამედ ისეთი ქვეყნების ჯგუფისათვის, რომელთა ეკონომიკა ხასიათდება იდენტური სტრუქტურული თავისებურებებით. სწორი პროგნოზირების მიზნით გამოიყენება ორი ინფორმაციული მიმართულება: *პირველი*, გადახდისუნარიანობის კრიზისის ფარული ფაზის დანყების, *მეორე*, ისეთი მომენტის მოახლოების, როდესაც ქვეყანა ვერ შეძლებს საგარეო ვალის დაფარვის გრაფიკის პირობების შესრულებას. დამატებით ინფორმაციას



იძლევა მაჩვენებელთა მნიშვნელობის ანალიზი ბოლო 3-4 წლის განმავლობაში მათი დინამიკის გათვალისწინებით. თუ შეიმჩნევა ეკონომიკის განვითარების ან დაქვეითების გარკვეული ტენდენცია, მაშინ შესაძლებელია ზუსტი დასკვნის გაკეთება გადახდისუნარიანობის შესახებ.

ზოგიერთი მაჩვენებელი ასახავს მოვალე ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტს. თუ ეს მაჩვენებლები უარყოფითია და ავლენენ გაუარესების ტენდენციებს, მაშინ ისინი ზუსტად ითვალისწინებენ კრიზისის მოახლოებას.

მაჩვენებელთა სისტემაში აგრეგირებულ მეთოდებს შორის გამოიყენება *ანკეტური* და *ეკონომეტრიული* მეთოდები.

ანკეტური მეთოდი მარტივია და უფრო გავრცელებულიც. ანკეტა მოიცავს მოვალე ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის სტანდარტულ მაჩვენებელთა ერთობლიობას. ანკეტური მონაცემების შეჯამებისა და შეჯერების საფუძველზე ექსპერტს შესაძლებლობა ეძლევა გამოთვალოს და გააანალიზოს მაჩვენებლები და განსაზღვროს გადახდისუნარიანობის შესაძლებლობები.

ანკეტური მეთოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უარყოფითი მომენტი ის, რომ იგი არ იძლევა გადახდისუნარიანობის ძირითადი ფაქტორების სრულყოფილად გამოყენების შესაძლებლობას, მაგრამ, სამაგიეროდ, ანალიზის საიმედო საყრდენ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

დასავლეთის უმსხვილესი საკრედიტო ინსტიტუტები იყენებენ ანკეტებს, რომლებიც შეიცავენ ათეულობით მაჩვენებლებს (მეპ-ის რაოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, ინფლაციის ტემპი, სახელმწიფო ბიუჯეტის სალდო და ა.შ.). როგორც წესი, ანკეტაში შეაქვთ გადახდისუნარიანობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები, მათ შორის პოლიტიკური ფაქტორებიც. ამასთან, ისინი უნდა გამოისახოს ციფრებში საექსპერტო შეფასების მეთოდების გამოყენებით.

საბოლოოდ, გადახდისუნარიანობის მიხედვით, ანკეტური მონაცემების გაანგარიშების საფუძველზე ქვეყნები იყოფიან ჯგუფებად, რომელთაც მიკუთვნებული აქვთ შესაბამისი რეიტინგი. ანკეტის საფუძველზე მიღებული რეიტინგი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება იმ რეიტინგისაგან, რომელიც გა-

მოთვლილია კომპიუტერულ-მათემატიკური ანალიზის გამოყენებით. მაგრამ, თუ აუცილებელია ერთად გაანალიზდეს ბევრი ქვეყნის მონაცემები და გაკეთდეს ზუსტი პროგნოზირება, მაშინ საჭიროა გაცილებით ზუსტი შეფასება. ამ შემთხვევაში გამოიყენება გადახდისუნარიანობის განსაზღვრის ერთობლივი აგრეგატული მაჩვენებელი.

უფრო რთული ამოცანის პროგნოზირებისათვის აუცილებელია განსხვავებული პროცედურები, რომლებიც ითვალისწინებს ანკეტის თითოეული კომპონენტისათვის შეფასების კრიტერიუმის განსაზღვრას შემაჯამებელი მაჩვენებლის გამოთვლის საშუალო შენონილი მეთოდის საფუძველზე, მაგრამ ეს ოპერაცია ხასიათდება მთელი რიგი მნიშვნელოვანი დეფექტებით. ჯერ ერთი, შეფასების კრიტერიუმის განსაზღვრა ემყარება ექსპერტის სუბიექტურ მოსაზრებას და, მეორეც, ანკეტის თითოეული კომპონენტის კრიტერიუმები ერთნაირია ყველა ქვეყნისათვის, ამასთან, ეს კრიტერიუმები არ იცვლება წლების მანძილზე. სინამდვილეში კი ანკეტის კომპონენტების კრიტერიუმები, რომლებიც ასახავენ გადახდისუნარიანობის სხვადასხვა ფაქტორებს, არ არის ერთნაირი და უცვლელი სხვადასხვა ქვეყნისათვის მათ მიერ აღებული ვალების სტრუქტურის თავისებურების გამო. ამასთან, შეუძლებელია კომპონენტების შეფასების განსაზღვრული კრიტერიუმების გამოყენება ხანგრძლივი პერიოდისათვის, რადგან მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებები მოქმედებენ გადახდისუნარიანობის ზოგიერთ ფაქტორზე და იწვევენ ანკეტის კომპონენტების კრიტერიუმების ცვლილებებს.

ამდენად, კრიტერიუმების შეფასების მეთოდის გამოყენებით მიღებული მაჩვენებელი არ არის ობიექტური. ამიტომ საერთაშორისო პრაქტიკა ითვალისწინებს გადახდისუნარიანობის ეკონომიკური მეთოდების, კერძოდ, ეკონომეტრული მეთოდის გამოყენებას. პრაქტიკაში არსებობს გადახდისუნარიანობის განსაზღვრის მოდელების ორი ჯგუფი, რომლებიც პრინციპულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. პირველი ითვალისწინებს ე.წ. სავალო ციკლის მოდელებს, რომლებიც ემყარებიან გადახდისუნარიანობის მიკროეკონომიკურ განსაზღვრას.

სავალო ციკლის მოდელების მიზანია განსაზღვროს პირობები, რომელთა შესრულება აუცილებელია სავალო ციკლის თავიდან ასაცილებლად. ასეთი მოდელები არ ხასიათდებიან სათანადო მოქნილობით და თითქმის არ გამოიყენებიან არც ოპერატიული ანალიზის მიზნით და არც გადახდისუნარიანობის პროგნოზირებისათვის.

მეორე ჯგუფის მოდელები ემყარება კორელაციური ანალიზის მეთოდების გამოყენებას. ისინი იძლევიან გადახდისუნარიანობის კრიზისის „კოორდინატების“ ზუსტად განსაზღვრის შესაძლებლობას. მაგალითად, რეგრესული მოდელი იყენებს რთულ მაჩვენებლებს, რომლებიც შედგება რამდენიმე მარტივი მომენტისაგან. რეგრესული მოდელები ძალზე მიზანშეწონილია ოპერატიული პროგნოზირებისათვის.

გადახდისუნარიანობის რეგულირების მოდელების ძირითადი თავისებურება ისაა, რომ მისი გამოყენების შედეგად შესაძლებელი ხდება „გადახდისუნარიანობის დაკარგვის ფაქტის“ დაფიქსირება, ანუ გადახდისუნარიანობის მაჩვენებლის „კრიტიკულ“ ნიშნულს ქვემოთ გადაადგილება, რაც გვაძლევს კრიზისის დაწყების სიგნალს.

სავალუტო ციკლის მოდელირება ითვალისწინებს ჯერ გადახდისუნარიანობის კრიზისის კოორდინატების შეფასებას, ხოლო შემდგომ – კრიზისის გამომწვევი ფაქტორების დადგენას. რეგრესული მოდელირება ხასიათდება სანინაალმდეგო ლოგიკური დასკვნებით: კრიზისის ფაქტის დადგენის შემდეგ იგი განსაზღვრავს მის შესაძლო კოორდინატებს. კრიზისის წარმოშობის მიზეზების დადგენისას რეგრესული ტოლობების გამოყენება უშედეგოა. ამ შემთხვევაში აუცილებელია კონკრეტული სიტუაციის ღრმა ანალიზი.

ამდენად, რეგრესული მეთოდი ითვალისწინებს რამდენიმე რეგრესული ტოლობის აგრეგირებას, რაც ვერ ხერხდება ანკეტური მეთოდის გამოყენების დროს. რეგრესული ტოლობის კოეფიციენტი, ანუ გადახდისუნარიანობის ინდივიდუალური მაჩვენებლების კრიტერიუმები ტოლობის ცვლილებას წარმოადგენს. ტოლობის გაანგარიშება საკმაოდ მარტივია და მისი გამოთვლა უმჯობესია მინიმუმ ნელინადში ერთხელ.

აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობის შესაბამისად უნდა გამოითვალოს კოორდინატები (ცვლადები) თითოეული გამო-საკვლევი ქვეყნისათვის. უნდა გამოიყოს ორი, ხარისხობრივად განსხვავებული ქვეყნის ჯგუფი – *პირველი*, ქვეყნები, რომლებიც ხასიათდებიან სავალო კრიზისით და, *მეორე*, მდგრადი გადახდისუნარიანობის ქვეყნები. თუ ამორჩეული ცვლადები შეიცავს საკმარის ინფორმაციას, მაშინ შესაძლებელია სრულად აისახოს ქვეყნების ამ ორ ჯგუფს შორის განსხვავებაც.

მაშასადამე, დისკრიმინანტული ანალიზის მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია შედგეს ისეთი ნრფივი განტოლება, რომელიც გადაკვეთს, ანუ ორ ნაწილად გაყოფს ქვეყნების ჯგუფს. ეს განტოლება შემდეგნაირად გამოისახება:<sup>1</sup>

$$y = ax_1 + bx_2 + c, (1)$$

სადაც,  $a$  და  $b$  – კოეფიციენტებია, რომლებიც განისაზღვრება დისკრიმინანტული ანალიზის გამოყენებით;

$c$  – კონსტანტი;

$x_1, x_2$  – ამორჩეული მაჩვენებლები.

დისკრიმინანტული ანალიზი იძლევა საშუალებას, ისეთნაირად გატარდეს მკვეთი ნრფე, რომ შეცდომების რაოდენობა მინიმალური იყოს.

ცვლადების რაოდენობის გაზრდისას აუცილებელია გადავიდეთ სამგანზომილებიან, ხოლო შემდეგ მრავალგანზომილებიან სივრცეზე. ამ შემთხვევაში მათემატიკური აპარატი მნიშვნელოვნად არ გართულდება, ხოლო მკვეთი სივრცე გამოიხატება შემდეგი ტოლობით:

$$y = na_1 \cdot x_1 + c, (2)$$

სადაც,  $a_1 - x_1$  – ცვლადის კოეფიციენტებია;

$n$  – ამორჩეული ცვლადის რაოდენობა;

$c$  – კონსტანტი.

$n$  – განზომილებიან სივრცეში ქვეყნების ჯგუფის სწორად გამოყოფა მიიღწევა არა სივრცით, არამედ უფრო მაღალი

<sup>1</sup> *Extrema (Finance and Fo)*

განრიგის ზედაპირით, ამ შემთხვევაში რეგრესული ტოლობა იქნება არა ნრფივი, არამედ უფრო მაღალი ხარისხის.

პრაქტიკაში უმაღლესი ხარისხის ტოლობის გამოყენება არ იწვევს პროგნოზის სიზუსტის საგრძნობ გაუმჯობესებას არასაკმარისი სტატისტიკური ინფორმაციისა და გადახდისუნარიანობაზე სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედების გამო. ამავდროულად მიზეზით არაა სასურველი ცვლადების ძალზე დიდი რაოდენობით გამოყენება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ტოლობა (2) ძალიან რთულდება, ამასთან, ვერ ვღებულობთ პროგნოზის სიზუსტის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. მოდელი უნდა შეიცავდეს მაქსიმალურად ინფორმატულ ცვლადებს, რომლებმაც უნდა ასახონ გადახდისუნარიანობის რაც შეიძლება მეტი ფაქტორი.

სტატისტიკური თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი ცვლადების ამორჩევის კრიტერიუმს წარმოადგენს  $\Delta_1$ - $X_1$ -ის თითოეული დამაჯამებლის აბსოლუტური მნიშვნელობა. რაც უფრო მნიშვნელოვანია თითოეული დამაჯამებელი, მით უფრო სასურველია მისი  $X_1$  ცვლადის მოდელში ჩართვა. ცვლადის მნიშვნელობა განისაზღვრება ისეთი კრიტერიუმის საფუძველზე, როგორცაა ცვლადის ზეგავლენის ხარისხი. ეს მათემატიკური კრიტერიუმი შეიძლება გამოვიყენოთ თითოეული ტოლობის შედგენისას. რაც უფრო დაბალია კრიტერიუმი, მით უფრო ნაკლებია შეცდომები პროგნოზირებისას.

ცვლადების შერჩევის არანაკლებ მნიშვნელოვან კრიტერიუმად გვევლინება ნიშნის შესაბამისობა ცვლადების ეკონომიკურ შინაარსთან. მაგალითად,  $\Delta_1$ - $X_1$  ცვლადის ზრდა გვანიშნებს სავალ პრობლემის გამწვავებას. აგრეთვე, აგრეგირებული მაჩვენებლის უარყოფითი მნიშვნელობა მიუთითებს სავალ კრიზისზე. ამ შემთხვევაში  $X_1$  ცვლადის  $\Delta_1$  კოეფიციენტის ნიშანი უარყოფითია. ისეთი ცვლადების კოეფიციენტებს, როგორცაა საპროცენტო გადასახადების ექსპორტთან შეფარდება და ვალის მომსახურების ნორმა, ასევე ექნებათ უარყოფითი ნიშანი.

რეგრესული კოეფიციენტები, ისევე როგორც თავდაპირველი მაჩვენებლის „კრიტიკული“ მნიშვნელობები, ძალზე მგრძობიარეა მვეალე ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურული დახასი-

ათების მიმართ. ისეთი მოდელების გაანგარიშება, რომელიც ემყარება „ჭრელ სტატისტიკურ მონაცემებს“, ამცირებს პროგნოზის სიზუსტეს.

ამჟამად უპირატესობა ენიჭება ისეთ მეთოდს, რომელიც ითვალისწინებს 20-30 და მეტი მაჩვენებლის გამოყენებას. აღნიშნულ მაჩვენებლებს მიეკუთვნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, მისი სავალუტო და საფინანსო მდგომარეობის სხვადასხვა პარამეტრი: მეპ-ის მოცულობა და ზრდის ტემპი, შიდა რესურსების დაგროვების ნორმა, ინფლაციის დონე და ტემპი, საექსპორტო ფასების დინამიკა, ოქროსა და უცხო ვალუტების რეზერვით დავალიანების დაფარვის შესაძლებლობა, საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა, საგარეო ვალისა და მასზე გადასახდელების ზრდის ტემპი, ვალის მომსახურების ნორმა და სხვა.

ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, საკონტროლოდ ითვლება რამდენიმე მაჩვენებელი, რომელთა გადაჭარბება მიუთითებს სავალო კრიზისის მოახლოებას. მაგალითად, გერმანელი ეკონომისტის, *პეტერსონის* „ადრინდელ ეტაპზე ინფორმირების სისტემის“ მიხედვით განსაზღვრულია 7 ძირითადი მაჩვენებელი:

1. საგარეო ვალის რაოდენობის შეფარდება წლიური ექსპორტის მოცულობასთან;
2. უცხოური კაპიტალდაბანდებებიდან მიღებული წლიური მოგების შეფარდება წლიური ექსპორტის მოცულობასთან;
3. საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის შეფარდება წლიური ექსპორტის მოცულობასთან;
4. სავალუტო რეზერვების მოცულობის შეფარდება თვიური იმპორტის მოცულობასთან;
5. სავალუტო რეზერვების ზრდა;
6. ინფლაციის ტემპი;
7. მეპ-ის ზრდის ტემპი.

პეტერსონის სისტემა არ ემყარება ერთიან სინთეზურ მაჩვენებელს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა დასკვნის გაკეთება მოვალე ქვეყნის გადასხდელუნარიანობის შესახებ.

მისი აზრით, ქვეყანა ფაქტობრივად მაშინ იმყოფება სავალო კრიზისში, თუ შვიდიდან სამი (ან სამზე მეტი) მაჩვენებელი აღწევს ან აღემატება კრიტიკულ დონეს.

+ ყველაზე მეტად გავრცელებულია საგარეო დავალიანების სიმძიმის შეფასების განმსაზღვრელი შემდეგი სტანდარტული კრიტერიუმები:

1. მთლიანი ეროვნული პროდუქტის, ან მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპები;

2. საგარეო ვალის რაოდენობის შეფარდება მთლიანი ეროვნული პროდუქტის, ან მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობასთან;

3. საგარეო ვალის მომსახურებისათვის გადასახდელების თანხის შეფარდება ბიუჯეტის შემოსავლებთან;

4. საგარეო ვალის მომსახურებისათვის გადასახდელების თანხის შეფარდება ნლიური ექსპორტის მოცულობასთან.

საგარეო ვალისა და მისი მომსახურების შესახებ ინფორმაცია ძალზე მნიშვნელოვანია სავალუტო რეზერვების ყოველდღიური მართვისათვის. აგრეგირებულ საფეხურზე კი იგი საჭიროა უცხოური ვალუტის მიმდინარე მოთხოვნების შესაფასებლად, ვალის, მომსახურებისათვის გადახდების დასაგეგმად, აგრეთვე ახალი უცხოური სესხების მიზიდვის განსაზღვრისათვის და საგარეო რისკების გასაწევადა.

საგარეო სესხების მოზიდვის პროგრამის განხილვისას სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების დაგეგმილი რაოდენობა, მოსალოდნელი წმინდა შემოსავლები ექსპორტიდან, პლუს ახალი საგარეო სესხები და სხვა სახის დაფინანსება, რაც საკმარისი უნდა იყოს საგარეო ვალის გადასახდელი ნაწილისა და მომსახურების თანხების დასაფარავად. 7

## საქართველოს სახელმწიფო ვალების დინამიკა და სტრუქტურა

### 2.1 სახელმწიფო საგარეო ვალი

საქართველოს ეკონომიკის სტაბილიზაციის პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს ქვეყნის საგარეო დავალიანებების პრობლემა წარმოადგენს.

დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტიდან დასაწყისი საქართველოს საგარეო დავალიანება არ ჰქონია. მას ვალი მემკვიდრეობით არ მიუღია, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის დროს საერთო საგარეო ვალების გადახდა მთლიანად რუსეთმა იკისრა.

საგარეო დავალიანებები საქართველოს წარმოექმნა ეკონომიკური კავშირების მოშლის, წარმოების მოცულობის მკვეთრი დაცემის, ექსპორტის შემცირებისა და იმპორტის გადიდების, ქვეყანაში წარმოქმნილი ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად საჭირო სახსრების მოზიდვის შედეგად; ასევე, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან (ეროვნულ ბანკებში დამოუკიდებელი საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნამდე) სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი დავალიანებების სახელმწიფო კრედიტად გაფორმების გზით. წლების მანძილზე სხვადასხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი დავალიანებების, საკუთარი სავალუტო რეზერვების შევსებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის საგარეო სესხების ანგარიშზე დაფინანსების გამო საქართველოს ახალი დავალიანებები დაუგროვდა.

ქვეყნის საგარეო ვალებმა 2003 წლის 31 იანვრისათვის 2.0917 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. აქედან ვალის ნაშთი უდრის 1 774 6 მლნ აშშ დოლარს (იხილეთ ცხრილი №1).

2003 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს საგარეო დავალიანება შეადგენს დსთ-ს ქვეყნების მიმართ 52 103 მლნ აშშ დოლარს, სხვა განვითარებული ქვეყნების მიმართ – 29 220 მლნ აშშ დოლარს, ხოლო სხვადასხვა საერთაშორისო-საფინანსო ორგანიზაციების მიმართ 96134 მლნ აშშ დოლარს.



საქართველოს საგარეო ვალი 2003 წლის 31 იანვრისათვის<sup>1</sup>  
ცხრილი № 1

		კრედიტის ვალუტა	ვალის ნაშთი კრედიტის ვალუტაში (ათასი)	ვალის ნაშთი დოლარში (ათასი)	ვალის ნაშთი ლარში (ათასი)
	სულ სახელმწიფოს მიერ და სახელმწი- ფო გარანტიით აღე- ბული კრედიტები, <sup>2</sup> მათ შორის:			1.774.605	3.877.475
	მრავალმხრივი კრედიტორებისაგან			919.288	2.008.626
1	მსოფლიო ბანკი (მ.შ.) განვითარების საერ- თაშორისო ასო- ციაცია	SDR	365,290	503,932	1,101,081
2	ევროგაერთიანება	EUR	92,000	99,288	216,943
3	სოფლის მეურნეობის განვითარების სა- ერთაშორისო ფონდი	SDR	3,399	4,688	10,244
4	საერთაშორისო სავალუტო ფონდი (მიმღები-ეროვნული ბანკი)	SDR	225,713	311,379	680,358
	ორმხრივი კრედიტო- რებისაგან				1,669,348
1	ავსტრია	EUR	78,340	84,546	184,731
2	აზერბაიჯანი	USD	16,190	16,190	35,374
3	თურქმენეთი	USD	298,889	298,889	653,066
4	თურქეთი	USD	54,338	54,338	118,727
5	ირანი	USD	12,826	12,826	28,025

<sup>1</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის დეპარტამენტის მონაცემები.

<sup>2</sup> ცხრილში გამოყენებულია 31. 01. 2003 წლის სავალუტო კურსები.

6	რუსეთი	USD	156,858	156,858	342,732
7	სომხეთი	USD	19,593	19,593	42,810
8	უზბეკეთი	USD	1,002	1,002	2,189
9	უკრაინა	USD	732	732	1,599
10	ყაზახეთი	USD	27,774	27,774	60,688
11	ჩინეთი	CHF	3,821	2,806	6,132
12	გერმანია	EUR	18,184	19,625	42,880
13	იაპონია	JRY	2,517,251	21,185	46,311
14	ქუვეითი	KD	2,394	8,016	17,515
15	ამერიკა	USD	39,620	39,620	86,569
	სახელმწიფოს გარანტიით აღებული კრედიტები			91,307	199,504
1	გერმანია	EUR	45,639	49,254	107,620
2	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი	USD	42,053	42,053	91,884

**ა) საქართველოს დავალიანება დსთ-ს ქვეყნების მიმართ**

საქართველოს დავალიანება დსთ-ს სხვადასხვა ქვეყნების (კერძოდ, თურქმენეთის, რუსეთის, ყაზახეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, უზბეკეთისა და უკრაინის) მიმართ შეადგენს 55903 მლნ აშშ დოლარს იხ. ცხრილი №2.

**საქართველოს ვალი დსთ-ს ქვეყნების მიმართ<sup>1</sup>**  
ცხრილი №2

	კრედიტორი ქვეყნები	კრედიტის ვალუტა	ვალის ნაშთი კრედიტის ვალუტაში (ათასი)	ვალის ნაშთი აშშ დოლარში (ათასი)	ვალის ნაშთი ლარში (ათასი)
1	თურქმენეთი	USD	298.89	289.89	653.066
2	რუსეთი	USD	156.86	156.86	342.732

<sup>1</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის დეპარტამენტის მონაცემები.

3	ყაზახეთი	USD	27.77	27.77	60.686
4	სომხეთი	USD	19.59	19.59	42.810
5	აზერბაიჯანი	USD	16.19	16.19	35.374
6	უზბეკეთი	USD	1.00	1.00	2.189
7	უკრაინა	USD	0.73	0.73	1.599
	სულ	—	—	521.03	1.138.456

### 1. საქართველოს ვალი თურქმენეთის მიმართ

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ვალებს შორის მოცულობით ყველაზე დიდია თურქმენეთის ვალი.

თურქმენეთის კრედიტი 3 935 670 აშშ დოლარი წარმოიქმნა ეროვნულ ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნამდე საქართველოსა და თურქმენეთს შორის ადრე (1992 წლამდე) არსებული ე.წ. ტექნიკური (საგადამხდელი) კრედიტის დავალიანების სახელმწიფო ვალად არაკანონიერად აღიარების და 1993-1994 წლებში მონოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების დავალიანების თანხებზე პროცენტის გადაუხდელობის გამო მიყენებული სანქციების შედეგად.

თურქმენეთის აღნიშნული კრედიტი საქართველოს მთავრობას ფულადი ფორმით არ მიუღია. იგი მოხმარდა მძიმე სოციალურ პირობებში ჩავარდნილი მოსახლეობის ბუნებრივი აირით მომარაგებას, რომლის საფასურიც მოსახლეობას ფაქტობრივად არ გადაუხდია, ვალის გადახდა კი სახელმწიფო ბიუჯეტს დაეკისრა.

1996 წლის 20 მარტს თურქმენეთისა და საქართველოს მთავრობათა მიერ ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება ამ ვალების რესტრუქტურისაციის შესახებ. ხელშეკრულებით განისაზღვრა:

– რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა – 3936 მლნ აშშ დოლარი;

– სამწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1995-1997 წწ;

– ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 1998-2002 წწ;

– წლიური საპროცენტო განაკვეთი – 4 %.

თურქმენეთის მხარემ საქართველოს ჩამოაწერა ვალის ძირითად თანხაზე დარიცხული საჯარიმო თანხები დაახლოებით 51 მლნ აშშ დოლარის ოდენობით.

ამ შეთანხმებით, ძირითადი ვალის დაფარვა 1998 წელს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ საქართველოს 1998 წლის ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული შესაბამისი ხარჯები, რადგან იგულისხმებოდა, რომ თურქმენეთის მხარესთან მიღწეულ იქნებოდა შეთანხმება შეღავათიანი პერიოდის გახანგრძლივების შესახებ. მიუხედავად დიდი მცდელობისა, შეთანხმება თურქმენეთის მხარესთან ვერ მოხერხდა. 2003 წლის 31 იანვრის მდგომარეობით თურქმენეთისადმი დავალიანება 29889 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. თუ შეთანხმება ვერც 2003 წელს განხორციელდა, მაშინ საქართველოს დასაფარი ექნება წინა წლების ძირითადი ვალის დავალიანების თანხა და ვალის გადაუხდელობისთვის დარიცხული საჯარიმო თანხები.

## 2. საქართველოს ვალი რუსეთის მიმართ

დსთ-ს ქვეყნების კრედიტებს შორის სიდიდით მეორე ადგილზეა რუსეთის კრედიტი. რუსეთის მიმართ საქართველოს დავალიანება 179.3 მლნ ამერიკულ დოლარს შეადგენდა.

ა) 39.5 მლრდ რუბლი, ანუ 135 მლნ აშშ დოლარი – საქართველოს სახელმწიფო კრედიტად გაფორმდა 1993 წლის 15 სექტემბერს მოსკოვში. იგი წარმოიქმნა ეროვნულ ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნამდე საქართველოს მიერ რუსეთთან ადრე, 1992 წელს მიღებული ტექნიკური კრედიტის სახელმწიფო ვალად არაკანონიერად აღიარებისა და ცნობის გზით: 1992 წელს განხორციელებული სხვადასხვა ოპერაციებით საქართველოს რუსეთთან დავალიანებები დაუგროვდა, რომელიც სახელმწიფოს კრედიტად გაუფორმდა. ეს გაფორმება საკმაოდ ზერელედ მოხდა და წესიერად არავის გაუთვლია, რის და ვის დავალიანებას იღებდა სახელმწიფო საკუთარ თავზე. მაგალითად, 1992 წელს ძირითადი ვალის დაფარვის ვადად განისაზღვრა 1994-1997 წლები. შეღავათიანი პერიოდი 1993-1994 წლები, წლიური საპროცენტო განაკვეთი – LIBOR + 0,5 % ექვსთვიანი დეპოზიტისათვის;<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> LIBOR – საშუალო საპროცენტო განაკვეთია ლონდონის ევროვალუტის ბაზარზე მოკლევადიან ბანკთაშორის დეპოზიტზე. მის საფუძველზე ხდება საშუალო და გრძელვადიანი კრედიტის საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა.

ბ) კრედიტი 10 მლრდ რუბლი, ანუ 6.3 მლნ აშშ დოლარი საქართველომ მიიღო საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს შორის 1993 წლის 15 სექტემბერს დადებული საკრედიტო შეთანხმების საფუძველზე, მისი მიზანი იყო ზამთრის სეზონისათვის ქვეყნის ენერგოსისტემის მომზადება.

ძირითადი ვალის დაფარვის ვადად განისაზღვრა 1995-1997 წლები. შეღავათიანი პერიოდი 1994-1995 წლები, წლიური საპროცენტო განაკვეთი – LIBOR+1 % ექვსთვიანი დეპოზიტისათვის;

გ) რუსეთის მესამე კრედიტი 20 მლრდ რუბლი, ანუ 6.3 მლნ აშშ დოლარი საქართველომ მიიღო 1994 წლის 10 აგვისტოს საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს შორის დადებული საკრედიტო შეთანხმების საფუძველზე, რომლის მიზანი იყო ზამთრის სეზონისათვის ქვეყნის ენერგოსისტემების მომზადება. თანხა, რომელიც ამ შეთანხმებით მხოლოდ რუსეთში უნდა დახარჯულიყო, ქართულ მხარეს უშუალოდ არ ერიცხებოდა. კრედიტის მომხმარებლები იყვნენ: საქგაზი, საქენერგო, მეტროპოლიტენი, ფირმა „ეგრისი“ და განათლების სამინისტრო, რომელმაც რუსეთში ნახევარი მლნ რუბლის ღირებულების რუსული ენის სახელმძღვანელოები შეუკვეთა. ამ კრედიტის გარანტიად ქართულ მხარეს ჩადებული აქვს სახელმწიფო ქონება საწარმოთა აქციების სახით. მათ შორის – სააქციო საზოგადოებების „ჭიათურმანგანუმისა“ და „ელექტროვაგონ-შემკეთებელი ქარხნის“ აქციების პაკეტი 10.5 მლნ დოლარის ნომინალური ღირებულებით.

ექსპერტთა დასკვნით, საქართველომ ამჯერადაც ცალსახად წამგებიანი ხელშეკრულება გააფორმა რუსეთთან.

შეღავათიანი პერიოდი 1995-1996 წლები, წლიური საპროცენტო განაკვეთი – LIBOR + 1 % ექვსთვიანი დეპოზიტისათვის. სამივე კრედიტის რესტრუქტურულიზაციისათვის მიღწეულ იქნა შეთანხმება რუსეთის მთავრობასთან 1997 წელს. ამის შემდეგ რუსეთიდან ორჯერ 20-20 მლრდ მანეთის ღირებულების სანვაფი მივიღეთ. მათი საერთო ღირებულება დაახლოებით 30 მლნ დოლარია. საერთო ჯამში, რუსეთის ძველმა და ახალმა კრედიტმა 179.27 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საქართველომ რუსეთს 22.41 მლნ დოლარი გადაუხადა 2000 წელს „ნულოვან

ვარიანტზე“ საბოლოო ხელმოწერის დროს. 2003 წლის 31 იანვრისათვის რუსეთის მიმართ საქართველოს ვალი შეადგენს 156.86 მლნ აშშ დოლარს.

### 3. საქართველოს ვალი ყაზახეთის მიმართ

ყაზახეთისადმი საქართველოს დავალიანება შეადგენდა 27.77 მლნ აშშ დოლარს. აღნიშნული დავალიანება იყოფა ორ ნაწილად:

ა) 17.90 მლნ აშშ დოლარის ოდენობით კრედიტი წარმოიქმნა ეროვნულ ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნამდე საქართველოსა და ყაზახეთს შორის (1992 წლამდე) არსებული ე.წ. ტექნიკური (საგადასახდელი) კრედიტის დავალიანების სახელმწიფო ვალად არაკანონიერად ცნობისა და აღიარების შედეგად;

ბ) 11.72 მლნ აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი – ყაზახეთის რესპუბლიკასთან 1993 წელს წარმოებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების (მარცვლეულის მიწოდების) შედეგად წარმოქმნილი დავალიანებაა.

17.90 და 11.72 მლნ აშშ დოლარის დაფარვის ვადები შესაბამისად 1994-1997 და 1994-1999 წლებით განისაზღვრა შეღავათიანი პერიოდის გარეშე. წლიური საპროცენტო განაკვეთი პირველ ვალზე LIBOR + 2 % ექვსთვიანი დემოზიტისათვის, მეორე ვალზე – LIBOR + 1 % ექვსთვიანი დემოზიტისათვის.

საქართველოსა და ყაზახეთის მთავრობების მიერ 1996 წლის ივლისში ხელმოწერილი შეთანხმებით მოხდა საქართველოს ყაზახეთისადმი დავალიანების რესტრუქტურირება.

– რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა – 27.77 მლნ. აშშ დოლარი;

- ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1996-2000 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 2001-2005 წწ;
- საპროცენტო განაკვეთი (წლიური) – 4 %.

გარდა ამისა, დაისვა საკითხი დარიცხული საჯარიმო თანხის 2.6 მლნ აშშ დოლარის ჩამოწერის შესახებ, რაზეც მიღებულ იქნა ყაზახეთის მხარის თანხმობა.

2003 წლამდე ვალის რაოდენობა არ შეცვლილა. 2003 წლის 31 იანვრის მდგომარეობით ყაზახეთის მიმართ დავალიანება კვლავ 27.77 ათ. აშშ დოლარს შეადგენს.

4. საქართველოს ვალი სომხეთის მიმართ

სომხეთისადმი საქართველოს დავალიანება შეადგენს 19.59 მლნ. აშშ დოლარს. აღნიშნული დავალიანება იყოფა ორ ნაწილად:

ა) 10.59 მლნ აშშ დოლარის ოდენობით დავალიანება წარმოიქმნა ბანკებში ეროვნული საკორესპონდენტო ანგარიშის გახსნამდე საქართველოსა და სომხეთს შორის არსებული ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი სალდოს სახელმწიფო ვალად არაკანონიერად ცნობისა და აღიარების გზით;

სომხეთთან პირველი ხელშეკრულება 1993 წელს დაიდო, რომლის თანახმად 1992 და 1993 წლის მაისამდე წარმოქმნილი დავალიანება საქართველომ ცნო სახელმწიფო კრედიტად. კრედიტის თანხა შეადგენდა 3.44 მლრდ მანეთს, ანუ 10.59 მლნ აშშ დოლარს. ძირითადი ვალის დაფარვის ვადები განისაზღვრა 1995-1997 წლებით. შეღავათიანი პერიოდი – 1993-1995 წლები, წლიური საპროცენტო განაკვეთი – LIBOR + 1% ექვსთვიანი დეპოზიტისათვის.

ბ) მეორე კრედიტი (6.50 მლნ აშშ დოლარი) სომხეთთან წარმოებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების უარყოფითი სალდოს შედეგია. დავალიანება სახელმწიფოს კრედიტად გაფორმდა 1994 წელს. აღნიშნული თანხის დაფარვის ვადად განისაზღვრა 1995-1997 წლები. შეღავათიანი პერიოდი – 1994-1997 წლები, წლიური საპროცენტო განაკვეთი - LIBOR + 1% ექვსთვიანი დეპოზიტისათვის. 1996 წელს მოხდა სომხეთის ვალის რესტრუქტურისა და 5 ივნისს მთავრობათა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს აღნიშნული დავალიანების რესტრუქტურისა და შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც გაერთიანდა მანამდე ცალ-ცალკე მოქმედი ორი საკრედიტო ხელშეკრულება.

ხელშეკრულებით განისაზღვრა:

- რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა – 19.59 მლნ აშშ დოლარი;
- ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1996-2000 წწ;

– ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 2001-2005 წწ;

– საპროცენტო განაკვეთი (წლიური) – 4 %.

საქართველოს სომხეთისათვის ვალი არ დაუბრუნებია. ძირითად ვალს დაემატა (2.5 მლნ აშშ დოლარი) პროცენტის დავალიანება. ახლო მომავალში უნდა დაიწყოს მოლაპარაკება ახალი ვადით ვალის რესტრუქტურის შესახებ.

### 5. საქართველოს ვალი აზერბაიჯანის მიმართ

აზერბაიჯანის მიმართ საქართველოს დავალიანება შეადგენს 16.19 მლნ. აშშ დოლარს. აღნიშნული დავალიანების თანხა იყოფა ორ ნაწილად:

ა) 1993 წელს აზერბაიჯანთან ორი საკრედიტო შეთანხმება გაფორმდა. პირველით ეროვნულ ბანკში საკორესპონდენტო ანგარიშებზე წარმოქმნილი დავალიანება 4.90 მლნ დოლარი საქართველომ ცნო სახელმწიფო ვალად. ხოლო, მეორე შეთანხმებით, აზერბაიჯანის მთავრობამ საქართველოს გამოუყო 2.68 მლნ დოლარის კრედიტი ზამთრის სეზონისათვის ენერჯოსისტემის მოსამზადებლად. კრედიტების თანხამ შესაბამისად 4.90 და 2.68 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ორივე (ძირითადი) ვალის – 7.58 დოლარის დაფარვის ვადა განისაზღვრა 1997-2000 წლებით. შეღავათიანი პერიოდი – 1993-1997 წლები, წლიური საპროცენტო განაკვეთი – LIBOR + 1% ექვსთვიანი დემოზიტისათვის;

ბ) 1997 წლის 12 დეკემბერს ხელი მოეწერა ახალ საკრედიტო შეთანხმებას. საქართველომ დამატებით მიიღო 8.61 მლნ აშშ დოლარის მოცულობის კრედიტი. აზერბაიჯანის ვალი ამჟამად 16.19 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობების მიერ 1997 წლის 19 იანვარს ხელი მოეწერა საქართველოს აზერბაიჯანისადმი დავალიანების რესტრუქტურის შესახებ შეთანხმებას.

შეთანხმებით განისაზღვრა:

– რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა – 16.19 მლნ აშშ დოლარი;

– ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1997-2002 წწ;

– ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 2002-2007 წწ;

– საპროცენტო განაკვეთი (წლიური) – 4 %.



საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ვალის რესტრუქტურის შერევის შესახებ მოლაპარაკება მიმდინარე წელს უნდა გაიმართოს.

### 6. საქართველოს ვალი უზბეკეთის მიმართ

უზბეკეთისადმი საქართველოს დავალიანება 100 ათასი აშშ დოლარია, რაც ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებით წარმოქმნილი დავალიანების (უარყოფითი სალდოს) შედეგია. 1996 წლის 28 მაისს ხელმოწერილი ორმხრივი ხელშეკრულების თანახმად, დავალიანება გაფორმდა სახელმწიფო კრედიტად.

საკრედიტო ხელშეკრულებით განისაზღვრა:

– რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა – 100 ათას აშშ დოლარი;

– ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1996-2000 წწ;

– ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 2001-2005 წწ;

– წლიური საპროცენტო განაკვეთი – 4 %.

2003 წელს გაიმართება მოლაპარაკება ვალის ახალი ვადით რესტრუქტურის შერევის შესახებ.

### 7. საქართველოს ვალი უკრაინის მიმართ

ა) უკრაინისადმი საქართველოს დავალიანება შეადგენდა 915 ათ. აშშ დოლარს. იგი გაფორმდა საქართველოსა და უკრაინის მთავრობებს შორის დადებული საკრედიტო შეთანხმების საფუძველზე 1997 წლის თებერვალში, საქართველოსა და უკრაინას შორის არსებული საგადასახდლო სალდოს, კერძოდ, საქართველოს „პურპროდუქტების კორპორაციის“ და „ხლებუკრაინისადმი“ ადრე არსებული დავალიანების სახელმწიფო ვალად არაკანონიერად ცნობისა და აღიარების გზით.

საქართველოსა და უკრაინის მთავრობებმა 1997 წლის 13 თებერვალს ხელი მოაწერეს აღნიშნული სესხის რესტრუქტურის შერევის შესახებ.

შეთანხმებით განისაზღვრა:

– რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა – 915 ათ. აშშ დოლარი;

– ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1997-2001 წწ;

- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 2000-2005 წწ;

- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 4 %.

2002 წელს საქართველომ გადაიხადა 185 ათ. დოლარი. ამჟამად უკრაინისადმი საქართველოს დავალიანება 730 ათ. აშშ დოლარია.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, საქართველოს დსთ-ს ქვეყნებთან დავალიანება 521.03 მლნ აშშ დოლარია, რაც საქართველოს საგარეო დავალიანების 29,4 პროცენტს შეადგენს. ამ ვალების გარკვეული ნაწილი რეალურად არ მიგვიღია, ნაწილი კი – ყოფითი პრობლემების მოგვარებას მოვასმარეთ. ცხადია, მათგან კლებას არ უნდა ველოდეთ. მართალია, ჩვენი მთავრობის დიდი ძალისხმევით მოხერხდა ამ კრედიტების რესტრუქტურირება, მაგრამ ამით მხოლოდ ვალის დაფარვის ვადები გახანგრძლივდა, მომავალში მათი გასტუმრების პერსპექტივა კი კვლავ ბუნდოვანია.

### *ბ) საქართველოს საგარეო დავალიანება განვითარებული ქვეყნების მიმართ*

საქართველოს დავალიანება კაპიტალისტური ქვეყნების მიმართ (კერძოდ, ავსტრიის, გერმანიის, თურქეთის, აშშ-ის, ირანის, ჩინეთის, იაპონიისა და ქუვეითის) მიმართ შეადგენს 292.20 მლნ აშშ დოლარს (იხ. ცხრილი №3).

### საქართველოს საგარეო ვალი განვითარებული ქვეყნების მიმართ<sup>1</sup>

ცხრილი №3

	კრედიტორი ქვეყნები	კრედიტის ვალუტა	ვალის ნაშთი კრედიტის ვალუტაში (ათასი)	ვალის ნაშთი აშშ დოლარში (ათასი)	ვალის ნაშთი ლარში (ათასი)
1	ავსტრია	EUR	78.34	84.55	184.731
2	გერმანია	EUR	65.26	68.88	150.500

<sup>1</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის დეპარტამენტის მონაცემები.

3	თურქეთი	USD	54.34	54.34	118.727
4	აშშ	USD	39.62	39.62	86.569
5	ირანი	USD	12.83	12.83	28.025
6	ჩინეთი	CHF	3.82	2.80	6.132
7	იაპონია	EUR	2.52	21.19	46.311
8	ქუვეითი	KD	2.39	8.01	17.515
	სულ	–	–	292.20	638.510

### 1. საქართველოს ვალი ავსტრიის მიმართ

განვითარებული ქვეყნების კრედიტებს შორის მოცულობით ყველაზე დიდია ავსტრიის კრედიტი. საქართველომ ავსტრიისაგან კრედიტი ორ ნაწილად მიიღო:

ა) თავდაპირველად ვალი 69.00 მლნ დოლარის ოდენობით ერთობლივმა ფირმა „მეტეხმა“ აიღო 1989 წელს ავსტრიის კომერციულ ბანკ „კრედიტანშტალტი“-დან თბილისსა და გუდაურში სასტუმროების ასაშენებლად. სესხის გარანტი იყო თბილისის მერია, კონტრგარანტი – საქართველოს მთავრობა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო:

- ძირითადი ვალის დაფარვის ვადა – 1993-1994 წწ;
- შეღავათიანი პერიოდი – 1993-1997 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 1994 წ.;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 7%.

ბ) 1997 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ავსტრიის ბანკ „კრედიტანშტალტი“ შორის დაიდო ახალი საკრედიტო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც ავსტრიის ბანკმა ქართულ მხარეს 21.5 მლნ აშშ დოლარი (ან 34 077 576 ავსტრიული შილინგი) გამოუყო. აღნიშნული თანხით უნდა დაფარულიყო 1993-1994 წლების გადასახდელები.

კრედიტის პირობები:

- კრედიტის თანხა – 21.5 მლნ აშშ დოლარი, ანუ 34 077 576 ავსტრიული შილინგი;
- გადახდის შეღავათიანი პერიოდი – 1997-2001 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 2001-2012 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 4 %.

ამ ვალის ოდენობა მომსახურების თანხების ჩათვლით 2003 წლისათვის 84.55 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

კერძო ფირმის „მეტეხის“ მიერ ავსტრიის ბანკებისაგან აღებული ვალის საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ვალად აღიარება შეცდომაა.

## 2. საქართველოს ვალი გერმანიის მიმართ

გერმანიისადმი საქართველოს დავალიანება მთლიანად შეადგენს 68.88 აშშ დოლარს, აქედან 19.63 მლნ დოლარი მიღებულია სახელმწიფოს მიერ, ხოლო 49.25 აშშ დოლარი საქართველოსა და გერმანიის საკრედიტო დაწესებულებებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ე.წ. საქართველოს გარანტიით აღებული კრედიტები. ეს სესხი მიღებულ იქნა ექვს ნაწილად:

ა) კრედიტის თანხა, 7.0 მლნ გერმანული მარკა, ანუ 3.89 მლნ აშშ დოლარი მიღებულია 1992 წლის დეკემბერში ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოსა და გერმანიის საკრედიტო დაწესებულებებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. კრედიტის მიზანი იყო ფერმერული მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა.

სესხის პირობები:

- კრედიტის თანხა – 3.89 მლნ აშშ დოლარი;
- ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1994-2004 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 2004-2034 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 0,75 %.

ბ) კრედიტი თანხით 13.0 მლნ გერმანული მარკა, ანუ 7.23 მლნ აშშ დოლარი მიღებულ იქნა 1995 წლის 23 მაისს ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოსა და გერმანიის საკრედიტო დაწესებულებების მიერ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. კრედიტი გამოყენებული უნდა ყოფილიყო გარდაბნის თბოელექტროსადგურის სიმძლავრეების ასამოქმედებლად და მასზე განეული სავალუტო დანახარჯების ასანაზღაურებლად.

განისაზღვრება კრედიტის პირობები:

- კრედიტის თანხა – 7.23 მლნ აშშ დოლარი;
- თორმეტწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1996-2008 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 2008-2036 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 0,75 %.

გ) კრედიტი თანხით 6.06 მლნ აშშ დოლარი მიღებულ იქნა 1994 წლის 18 თებერვალს ქ.თბილისში საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროსა და გერმანიის ფირმა „სიმენსს“ შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე. კრედიტის მიზანი იყო თბილისსა და ქუთაისში საკომუნიკაციო სატელეფონო სადგურების დამონტაჟება და ექსპლოატაციაში შეყვანა.

კრედიტის პირობები:

- კრედიტის თანხა – 6.06 მლნ. აშშ დოლარი;
- სამწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1994-1996 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 1996-2007 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 7,25 %.

დ) კრედიტი თანხით 22.24 მლნ აშშ დოლარი მიღებულ იქნა გერმანიის (რეკონსტრუქციის) საკრედიტო დანესებულებებსა (KfW) და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. პროექტის რეალიზატორია – საქენერგო.

სესხის პირობები:

- კრედიტის თანხა – 22.24 მლნ აშშ დოლარი;
- თორმეტწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1996-2008 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 2008-2036 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 0,75 %.

ე) კრედიტი თანხით 11.12 მლნ აშშ დოლარი გაფორმდა 1995 წლის 29 მაისს ქ. თბილისში გერმანიის (რეკონსტრუქციის) საკრედიტო დანესებულებებსა (KfW) და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. კრედიტი მიღებულ იქნა გარდაბნის თბოელექტროსადგურის მეცხრე ბლოკის აღდგენის მიზნით.

სესხის პირობები:

- კრედიტის თანხა – 11.12 მლნ აშშ დოლარი;
- თერთმეტწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1996-2007 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 2007-2036 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 0,75 %.

ვ) კრედიტი 5.56 მლნ აშშ დოლარი გაფორმდა ქ. თბილისში 1996 წლის 26 ივნისს გერმანიის (რეკონსტრუქციის) საკრედი-

ტო დანესებულებებსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. კრედიტი აღებული იქნა გარდაბნის თბოელექტროსადგურის მეცხრე ბლოკის აღდგენის მიზნით.

სესხის პირობები:

- კრედიტის თანხა – 5.56 მლნ. აშშ დოლარი;
- თერთმეტწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1996-2007 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 2007-2036 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 0,75 %.

ამის შემდეგ გერმანიიდან დამატებით კიდევ იქნა მიღებული 9.21 მლნ დოლარის კრედიტი.

სულ გერმანიიდან საქართველომ მიიღო 8 კრედიტი. ამჟამად გერმანიისადმი საქართველოს დავალიანება შეადგენს 68.88 მლნ აშშ დოლარს. გერმანია კრედიტორ ქვეყნებს შორის ერთადერთია, რომლის ვადების რესტრუქტურისა და პირობების პრობლემაც არ დამდგარა საქართველოს მთავრობის წინაშე. ამასთან, ეს კრედიტები ყველაზე შეღავათიანი სესხებია უცხო სახელმწიფოთა სესხებს შორის და ინვესტიციური ხასიათიც აქვს. |

### 3. საქართველოს ვალი თურქეთის მიმართ

თურქეთისადმი საქართველოს დავალიანება შეადგენს 54.34 მლნ აშშ დოლარს. აღნიშნული სესხი მიღებულ იქნა თურქეთის საექსპორტო-საკრედიტო ბანკსა და საქართველოს ექსპორტი-იმპორტის ბანკს შორის 1993 წლის 12 თებერვალს ქ.ანკარაში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

თურქეთის კრედიტი თანხით – 54.34 მლნ აშშ დოლარი, რომლის მიზანი იყო კვების პროდუქტების, სამრეწველო და ფართო მოხმარების საგნების შექენა, წარმოიქმნა 1993 წელს საქართველოსა და თურქეთის „ექსიმიბანკებს“ შორის დადებული ხელშეკრულებით. კრედიტი განანიღდა რვა უწყებასა და ორგანიზაციაზე. კრედიტის გარანტიად გვევლინება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. კრედიტის მიმღებ ორგანიზაციებსა და უწყებებს გაფორმებული ჰქონდათ კონტრაქტი თურქ პარტნიორებთან.

1993 წლიდან კრედიტის მიმღები ორგანიზაციების დიდი ნაწილი უხეშად არღვევდა სესხით სარგებლობის წესებს და თავს არიდებდა ძირითადი ვალისა და საპროცენტო თანხების გადახდას, რაც მძიმე მდგომარეობაში აყენებს საბანკო სისტემას. სესხის მიმღებ სანარმოებს სესხის აღებისას გარანტიად დაუდგა ფინანსთა სამინისტრო (სახელმწიფო ბიუჯეტი)<sup>1</sup>.

1998 წლის 4 თებერვალს თურქეთისა და საქართველოს მთავრობების წარმომადგენელთა მიერ ხელი მოეწერა სესხის რესტრუქტურისა და ხელშეკრულებას. ხელშეკრულება ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:

– რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა – 54.34 მლნ აშშ დოლარი;

– ოთხწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1998-2001 წწ;

– ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 2002-2010 წწ;

– წლიური საპროცენტო განაკვეთი – 4 %.

თურქეთიდან მიღებულმა კრედიტებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ არ შეიძლება სახელმწიფო ხელისუფლებამ სამეურნეო სუბიექტებზე გაფორმებული სესხები შემდგომში გადააკისროს სახელმწიფო ბიუჯეტს. სწორედ ამან განაპირობა, რომ დღემდე გაურკვეველია ამ საქმეში დამნაშავე სუბიექტები და აღებული ვალის მოცულობა პერმანენტულად იზრდება.

#### 4. საქართველოს ვალი აშშ-ის მიმართ

აშშ-ის მიერ გამოყოფილი კრედიტის საერთო თანხა შეადგენდა 39.62 მლნ აშშ დოლარს.

საქართველომ კრედიტი სამ ნაწილად მიიღო:

ა) ხორბლის კრედიტის გაფორმების შედეგად საქართველოს მიერ 1997 წელს მიღებულ იქნა 20 მლნ აშშ დოლარი.

სესხის პირობებია:

– კრედიტის თანხა – 20 მლნ აშშ დოლარი;

– შეღავათიანი პერიოდი – 1997-2001 წწ;

---

<sup>1</sup> საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენება 1992-1996 წლებში საქართველოსათვის გამოყოფილი უცხოური კრედიტების განაწილების, ათვისებისა და დაფარვის მდგომარეობის შესახებ.

- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 30 წ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 1,5 % (2 %); პირველი 4 წელი – 1,5 %, შემდეგი 25 წელი – 2 %.

ბ) ხორბლის კრედიტის გაფორმების შედეგად საქართველოს მიერ 1998 წელს მიღებულია 15 მლნ აშშ დოლარი.

სესხის პირობებია:

- კრედიტის თანხა – 15 მლნ აშშ დოლარი;
- შეღავათიანი პერიოდი – 1998-2002 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 30 წ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 1,5 % (2%).

გ) საჰაერო მოძრაობის კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით საქართველომ მიიღო კრედიტი 2.90 მლნ აშშ დოლარი.

სესხის პირობებია:

- კრედიტის თანხა – 2.90 მლნ აშშ დოლარი;
- შეღავათიანი პერიოდი – 1998-1999 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 9 წ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი - LIBOR + 0,25%.

5. საქართველოს ვალი ირანის მიმართ

ირანისადმი საქართველოს საგარეო დავალიანების თანხა შეადგენს 12.83 მლნ აშშ დოლარს. კრედიტი წარმოიქმნა 1994 წლის 5 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულებით – ირანის გაზის კომპანიის (NICG) მიერ საქართველოს გაზის სახელმწიფო დეპარტამენტისადმი მოწოდებული ბუნებრივი აირის გამო.

სესხის პირობებია:

- კრედიტის თანხა – 12.83 მლნ აშშ დოლარი;
- გადახდის შეღავათიანი პერიოდი – 1997-2001 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 2001-2006 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 4 %.

6. საქართველოს ვალი ჩინეთის მიმართ

ჩინეთის მიერ 1994 წლის 2 თებერვალს პეკინში საქართველოსათვის გამოყოფილი კრედიტის თანხა შეადგენდა 3.6 მლნ აშშ დოლარს საქართველოს გაერთიანება „საქინპექსმა“ და ჩინეთის ექსპორტ-იმპორტის სახელმწიფო კორპორაციამ „მაშიმ-პექსს“ შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე.



ჩინეთიდან საქართველოში „საქინპექსის“ მიერ შემოტანილ იქნა 1204 ცალი მცირეგაბარითიანი ტრაქტორი.

ამ სესხის რესტრუქტურირების შედეგად განსაზღვრულია შემდეგი პირობები:

– რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა – 3.6 მლნ აშშ დოლარი;

– ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1998-2002 წწ;

– ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 2003-2007 წწ;

– წლიური საპროცენტო განაკვეთი – 4 %.

2003 წლის იანვრისათვის ჩინეთისადმი საქართველოს დავალიანება შეადგენს 2.80 მლნ აშშ დოლარს.

### 7. საქართველოს ვალი იაპონიის მიმართ

საქართველოს ვალი იაპონიის მიმართ შეადგენს 21.19 მლნ აშშ დოლარს. იაპონიის საზღვარგარეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის ფონდმა (OEFCF) 1998 წელს გაფორმებული საკრედიტო შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობას ენერჯეტიკის რეაბილიტაციისათვის გამოუყო კრედიტი თანხით 44.7 მლნ აშშ დოლარი, აქედან 2003 წლის 31 ივნისის მდგომარეობით ათვისებულია 21.19 მლნ აშშ დოლარი.

აღნიშნული სესხის წლიური სარგებლის განაკვეთი შეადგენს 2,3 %-ს, კრედიტის ხანგრძლივობა – 30 წელი; 10-წლიანი შეღავათიანი პერიოდით.

### 8. საქართველოს ვალი ქუვეითის მიმართ

2000 წლის მარტში ქუვეითის მთავრობამ საქართველოს გამოუყო 5 000 000 ქუვეითური დინარი გზების რეაბილიტაციისათვის. 2003 წლის 31 იანვრის მდგომარეობით ათვისებულია 56 822 ქუვეითური დინარი, ანუ 8.02 მლნ აშშ დოლარი.

ამრიგად, ჩვენ მიმოვიხილეთ განვითარებული ქვეყნებიდან მიღებული სესხების სტრუქტურა და დინამიკა. განვითარებული ქვეყნებიდან მიღებული დავალიანების წილი საქართველოს საგარეო დავალიანების მიმართ (292.20 მლნ აშშ დოლარი) 16,4 პროცენტს შეადგენს. ამ ჯგუფში ყველაზე დიდი მევალეები არიან – გერმანია, ავსტრია და თურქეთი. შემაშფოთებულია ის გარემოება, რომ ამ ქვეყნებიდან მიღებული კრედ-

იტების დიდი ნაწილი არამიზნობრივად და არაეფექტიანად იქნა გამოყენებული.

გ. საქართველოს დავალიანება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიმართ

საქართველოს საგარეო ვალი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ<sup>1</sup>

ცხრილი №4

	კრედიტორი ქვეყნები	კრედიტის ვალუტა	ვალის ნაშთი კრედიტის ვალუტაში (ათასი)	ვალის ნაშთი აშშ დოლარში (ათასი)	ვალის ნაშთი ლარში (ათასი)
1	საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	SDR	225.71	311.38	680.356
2	მსოფლიო ბანკი (29 კრედიტი) (EU)	SDR	365.29	503.93	1.101.081
3	ევროგაერთიანება (EBRD)	EUR	92.00	99.29	216.943
4	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (WR)	USD	42.05	42.05	91.884
5	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	SDR	3.40	4.69	10.244
	სულ	—	—	961.34	2.100.50

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან საქართველოს კრედიტის სახით მიღებული აქვს 961.34 მლნ აშშ დოლარი.

საქართველოს მთავრობის მიერ ან მისი გარანტიით საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან აღებული კრედიტები იყოფა:

<sup>1</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის დეპარტამენტის 2002 წლის მონაცემები.

1. მსოფლიო საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების კრედიტებად. იგი მოიცავს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის კრედიტებს;

2. რეგიონული საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების კრედიტებად, რომელიც მოიცავს ევროგაერთიანების, რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) კრედიტებს, აქედან:

1. საქართველოს ვალი საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF)<sup>1</sup> მიმართ

1994-2002 წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსათვის სიღარიბის შემცირების, ეკონომიკური ზრდის, ინფლაციური პროცესების შეჩერებისა და სავალუტო რეზერვების გაძლიერების მიზნით განეული ფინანსური მხარდაჭერის საერთო თანხა 311.38 მლნ აშშ დოლარს შეადგენს<sup>2</sup>.

სისტემური ტრანსფორმაციის მხარდაჭერის კრედიტი საქართველომ მიიღო სამ ეტაპად:

ა) საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირველი ეტაპის კრედიტი – სისტემური ტრანსფორმაციის მხარდაჭერა (STF) მიღებულ იქნა ორ ტრანშად. 1994 წლის 20 დეკემბერს პირველი ტრანშით – კრედიტი თანხით 20.20 მლნ აშშ დოლარი გამოიყო საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

სესხის პირობები:

- კრედიტის თანხა – 20.20 მლნ აშშ დოლარი;
- შეღავათიანი პერიოდი – 4,5 წელი;

---

<sup>1</sup> საერთაშორისო სავალუტო ფონდი წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციას (განეორიანებულია 182 ქვეყანა), რომლის მთავარი მიზანია საერთაშორისო მონეტარული სტაბილურობის ხელშეწყობა და წვერი ქვეყნებისათვის საფინანსო დახმარების განევა მათ საგადასახდელო ბალანსში დროებითი სიძნელეების დასაძლევადა.

<sup>2</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის დეპარტამენტის 2002 წლის მონაცემები.

- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი - 5,5 წელი;

- არაფიქსირებადი საპროცენტო განაკვეთი - Ordinary Charges.

ბ) საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირველი კრედიტი (მეორე ტრანში) თანხით 25.49 მლნ აშშ დოლარი გამოიყო საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

სესხის პირობები:

- კრედიტის თანხა - 25.49 მლნ აშშ დოლარი;

- შეღავათიანი პერიოდი - 4,5 წელი;

- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი - 5,5 წელი;

- არაფიქსირებადი საპროცენტო განაკვეთი.

გ) საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეორე კრედიტი თანხით 41.90 მლნ აშშ დოლარი „STAND - BY“-ის კრედიტია (სარეზერვო კრედიტი). იგი გამოიყო საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

სესხის პირობები:

- კრედიტის თანხა - 41.90 მლნ აშშ დოლარი;

- შეღავათიანი პერიოდი - 3,5 წელი;

- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი - 7,5 წელი;

- არაფიქსირებადი საპროცენტო განაკვეთი.

დ) საერთაშორისო სავალუტო ფონდის მესამე კრედიტი თანხით 172.85 მლნ აშშ დოლარი გამოიყო საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე (ESAF). კრედიტი გამიზნული იყო სტრუქტურული გარდაქმნების განხორციელებისათვის. იგი მიღებულ იქნა ხუთ ტრანშად 1996 წლის 12 მარტსა და 15 ნოემბერს, 1997 წლის 4 აპრილსა და 15 ნოემბერს, 1998 წლის 11 აგვისტოს. თითოეული ტრანში - 27.50 მლნ SDR ანუ 34.57 მლნ აშშ დოლარი.

სესხის პირობები:

- კრედიტის თანხა - 172.85 მლნ აშშ დოლარი;

- შეღავათიანი პერიოდი - 5,5 წელი;

- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი - 4,5 წელი;

- წლიური საპროცენტო განაკვეთი - 0,5 %.

ე) საქართველომ საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან 2001 წელს მიიღო სესხი IMF - PRGF - სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის განხორციელებისათვის - 22.43 მლნ აშშ დოლარი, ხოლო 2002 წელს - 28.51 მლნ აშშ დოლარი.

აღსანიშნავია, რომ სსფ-ის ყველა სესხი მიმართულია ეროვნული ბანკის ფონდების შესაქმნელად და შემდგომ ხმარდება ეროვნული ვალუტის კურსის შენარჩუნებასა და სტაბილიზაციას. სსფ აფინანსებს მხოლოდ ეროვნულ ბანკს და არა ფინანსთა სამინისტროს. სსფ-ის პოლიტიკაში არ შედის ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება. იგი სესხებს გამოუყოფს ეროვნულ ბანკს, ხოლო შემდგომ ფინანსთა სამინისტროს შეუძლია ისესხოს თანხა ეროვნული ბანკისაგან ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად. სსფ-ის ფუნქციაა: ბიუჯეტისათვის სახსრების სესხების შესახებ მთავრობისა და ეროვნული ბანკის მოლაპარაკებების რატიფიცირება, საქართველოს საერთაშორისო ფინანსური რეზერვების შენარჩუნება, ქვეყნის საგარეო ვალის ლიმიტის კონტროლი და სხვ.

## 2. საქართველოს დავალიანება მსოფლიო ბანკის მიმართ (EU)<sup>1</sup>

მსოფლიო ბანკი საქართველოში ახორციელებს დიდ და მრავალმხრივ პროექტებს, რისთვისაც იძლევა შეღავათიან სესხებს 0,75 საპროცენტო განაკვეთით. სესხის გადახდა იწყება 10 წლის შემდეგ, სესხის დაფარვის ვადაა 35 წელი.

საქართველოში მსოფლიო ბანკმა დაასრულა ოთხი პროექტი (ინსტიტუციური მშენებლობის, ტრანსპორტის რეაბილიტაციის, სტრუქტურული გარდაქმნების, ტექნიკური დახმარებისა

---

<sup>1</sup> მსოფლიო ბანკი აქტიურად ეხმარება განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველყოფაში, სახელმწიფო სექტორის ინსტიტუციონალურ განვითარებაში, მხარს უჭერს სოციალური სექტორის გაძლიერებასა და სიღარიბის აღმოფხვრას, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, გარემოს დაცვასა და კერძო სექტორის განვითარებას. საქართველო მსოფლიო ბანკში განეკრიბა 1992 წლის აგვისტოში

და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტები), რისთვისაც მსოფლიო ბანკმა გაიღო ასეულ მილიონობით აშშ დოლარი.

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა სამომავლოდ დაგეგმილი პროექტების რიცხვი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყნის პრიორიტეტული დარგების გარდაქმნასა და განვითარებას.

მსოფლიო ბანკისადმი საქართველოს დავალიანება 2003 წლის 31 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 503.93 მლნ აშშ დოლარს<sup>1</sup>.

სხვადასხვა დროს საქართველოს მსოფლიო ბანკიდან მიღებული აქვს 29 კრედიტი.

ა) ინსტიტუციონალური განვითარების კრედიტი თანხით 7.3 მლნ SDR, ანუ 9.09 მლნ აშშ დოლარი გამოიყო 1994 წლის 11 ივლისს საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კრედიტი მიღებული იყო საინსტიტუციო პროექტის განხორციელების მიზნით.

სესხის პირობები:

- მიღებული კრედიტის თანხა – 9.09 მლნ აშშ დოლარი;
- ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1994-2004 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 2004-2029 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 0,75 %.

ბ) მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის კრედიტი თანხით – 12.5 მლნ SDR, ანუ 15.31 მლნ აშშ დოლარი გამოიყო 1993 წლის 10 ნოემბერს საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კრედიტი მიღებული იყო მუნიციპალური ინფრასტრუქტურის პროექტის განხორციელების მიზნით.

სესხის პირობები:

---

<sup>1</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის დეპარტამენტის 2003 წლის მონაცემები.

- მიღებული კრედიტის თანხა – 15.31 მლნ აშშ დოლარი;
- ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1994-2004 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 2004-2029 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 0,75 %.

გ) ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის კრედიტთან თანხით 51 მლნ SDR, ანუ 63.54 მლნ აშშ დოლარი გამოიყო 1995 წლის 31 მარტს საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კრედიტი მიღებული იყო სარეაბილიტაციო პროექტის განხორციელების მიზნით.

სესხის პირობები:

- მიღებული კრედიტის თანხა – 63.54 მლნ აშშ დოლარი;
- ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1994-2005 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 2005-2030 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 0,75%.

დ) წყალმომარაგებისა და სანიტარიის კრედიტი თანხით 1.2 მლნ SDR, ანუ 0.89 მლნ აშშ დოლარი გამოიყო 1995 წლის 30 სექტემბერს საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კრედიტი მიღებული იყო წყალმომარაგებისა და სანიტარიული სისტემის გაუმჯობესების მიზნით.

სესხის პირობები:

- მიღებული კრედიტის თანხა – 887 647 აშშ დოლარი;
- ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1995-2005 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 2005-2030 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 0,75 %.

ე) ტრანსპორტის რეაბილიტაციის კრედიტი თანხით 8.1 მლნ SDR, ანუ 10.09 მლნ. აშშ დოლარი გამოიყო 1996 წლის 31 იანვარს საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კრედიტი მიღებული იყო ტრანსპორტის სექტორის სტრუქტურის რეორგანიზაციის და ტრანსპორტის ქსელის ყველაზე

მნიშვნელოვანი ობიექტების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. კრედიტს ზედამხედველობს ტრანსპორტის რეფორმისა და რეაბილიტაციის ცენტრი, მომხმარებლები არიან სახელმწიფო კონცერნი „ავტოგზა“ და რკინიგზის დეპარტამენტი.

სესხის პირობები:

- მიღებული კრედიტის თანხა – 10 091 192 აშშ დოლარი;
- ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1996-2006 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 2006-2030 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 0,75 %.

ვ) სტრუქტურული გარდაქმნის კრედიტი 1 (SAC - 1) თანხით 41.3 მლნ SDR, ანუ 51.45 მლნ აშშ დოლარი გამოიყო 1996 წლის 26 აპრილს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კრედიტი მიღებული იყო სტრუქტურული გარდაქმნების განხორციელების მიზნით.

სესხის პირობები:

- მიღებული კრედიტის თანხა – 51 453 192 აშშ დოლარი;
- ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1996-2006 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 2006-2031 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 0,75 %.

ზ) სტრუქტურული გარდაქმნების ტექნიკური დახმარების კრედიტი 1 (SATAC - 1) განხორციელების მიზნით – თანხით 3.3 მლნ SDR ანუ 4.11 მლნ აშშ დოლარი გამოიყო 1996 წლის 26 აპრილს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კრედიტი მიღებული იყო სტრუქტურული გარდაქმნების პროექტის (SATAC - 1) განხორციელების მიზნით.

სესხის პირობები:

- მიღებული კრედიტის თანხა – 4 105 920 აშშ დოლარი;
- ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1996-2006 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის ვადა – 2006-2031 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 0.75 %.



თ) ჯანდაცვის რეაბილიტაციის კრედიტი თანხით – 9.7 მლნ SDR, ანუ 6.97 მლნ აშშ დოლარი გამოიყო 1996 წლის 9 მაისს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კრედიტის მიზანი:

1. ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაცია;
2. სამედიცინო დანესებულებებისა და აპარატურის რეაბილიტაცია;

3. ჯანდაცვის საფინანსო სისტემის მოდერნიზაცია;

4. ჯანდაცვისათვის კადრების მომზადება.

სესხის პირობები:

– მიღებული კრედიტის თანხა – 6 968 798 აშშ დოლარი;

– ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1996-2006 წწ;

– ძირითადი ვალის დაფარვის ვადა – 2006-2031 წწ;

– წლიური საპროცენტო განაკვეთი – 0,75 %.

ი) ნავთობის საინსტიტუციო განვითარების კრედიტი თანხით – 1.0 მლნ SDR, ანუ 1.24 მლნ აშშ დოლარი გამოიყო 1997 წლის 14 აპრილს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კრედიტი გაიცა გარდაბნის თბოელექტროსადგურის სანვავით მომარაგების მიზნით, აგრეთვე ცალკეულ ბლოკებზე საკონსულტაციო მომსახურებისა და სხვა სამუშაოების შესასრულებლად.

სესხის პირობები:

– მიღებული კრედიტის თანხა – 1 243 976 აშშ დოლარი;

– ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1997-2007 წწ;

– ძირითადი ვალის დაფარვის ვადა – 2007 -2031 წწ;

– წლიური საპროცენტო განაკვეთი – 0,75 %.

კ) სოფლის მეურნეობის რეაბილიტაციის კრედიტი თანხით – 10.4 მლნ SDR, ანუ 11.45 მლნ აშშ დოლარი გამოიყო 1997 წლის 14 აპრილს საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

იგი საქართველოს მიეცა სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების განხორციელების მიზნით.

სესხის პირობები:

- მიღებული კრედიტის თანხა – 11 447 263 აშშ დოლარი;
- ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1997-2007 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის ვადა – 2007-2032 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 0,75 %.

ლ) ელექტროენერგეტიკის რეაბილიტაციის კრედიტი თანხით – 37.7 მლნ SDR, ანუ 44.86 მლნ აშშ დოლარი გამოიყო 1997 წლის 19 ივნისს მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

საქართველოს მთავრობამ (ფინანსთა სამინისტროს სახით) ეს კრედიტი ქვესესხის სახით გადასცა თბილსრესს 20-წლიანი ვადით, 3-წლიანი შეღავათიანი პერიოდითა და 2,5%-წლიური საპროცენტო გადასახადით.

აღნიშნული თანხიდან 15 მლნ აშშ დოლარი განკუთვნილი იყო თხევადი აირის შესასყიდად. აქედან – 10 მლნ აშშ დოლარი 1998-1999 წლებში ზამთარში დაიხარჯა, ხოლო დარჩენილი 5 მლნ აშშ დოლარი – 2000 წლის ზამთარში. სესხის ნაწილი განკუთვნილი იყო უშუალოდ ენერგოსისტემის რეაბილიტაციისათვის. კერძოდ, გარდაბნის თბოელექტროსადგურის მე-10 ენერგობლოკის აღსადგენად.

სესხის პირობები:

- მიღებული კრედიტის თანხა – 44 860 306 აშშ დოლარი;
- ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1997-2007 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის ვადა – 2007-2032 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 0,75 %.

მ) მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის კრედიტი თანხით – 5.1. მლნ SDR, ანუ 6.38 მლნ აშშ დოლარი გამოიყო 1997 წლის 15 სექტემბერს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კრედიტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოში მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროცესებისათვის ხელშეწყობა.

სესხის პირობები:

- მიღებული კრედიტის თანხა - 6.378.389 აშშ დოლარი;
- ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი - 1997-2007 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის ვადა - 2007-2032 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი - 0,75 %.

ბ) სტრუქტურული გარდაქმნების კრედიტი 2 (SAC-2) თანხით - 44.2 მლნ SDR, ანუ 55.07 მლნ აშშ დოლარი გამოიყო 1997 წლის 15 სექტემბერს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კრედიტი მიღებული იყო ფინანსური სტაბილიზაციის ხელშეწყობისა და ეკონომიკური გამოცოცხლების მხარდაჭერის მიზნით.

სტრუქტურული გარდაქმნების რეფორმის პროგრამა მიზნად ისახავს სახელმწიფო საფინანსო სისტემის გაძლიერებას. კერძო სექტორის განვითარებასა და სიღარიბის შემცირების რეფორმის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა შორის არის აგრეთვე: პრივატიზების პროცესის დაჩქარება, კაპიტალის ბაზრის განვითარება, ენერგეტიკის სექტორში ფინანსური დისციპლინის განმტკიცება, საბანკო სექტორის რესტრუქტურირება და სხვა.

სესხის პირობები:

- მიღებული კრედიტის თანხა - 55 066 128 აშშ დოლარი;
- ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი - 1997-2007 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის ვადა - 2008-2032 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი - 0,75 %.

გ) სტრუქტურული გარდაქმნების ტექნიკური დახმარების კრედიტი 2 (SATAC - 2) თანხით - 3.7 მლნ SDR, ანუ 4.58 მლნ აშშ დოლარი გამოიყო 1997 წლის 15 სექტემბერს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კრედიტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ქვეყანაში მიღწეული სტაბილიზაციის განმტკიცება და ეკონომიკური გამოცოცხლების უზრუნველყოფა.

სესხის პირობები:

- მიღებული კრედიტის თანხა – 4.582.077 აშშ დოლარი;
- ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1997-2007 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის ვადა – 2008-2032 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 0.75 %.

პ) ტრანსპორტის სამინისტროს სტრუქტურული გარდაქმნის კრედიტი თანხით 570 221 SDR, ანუ 0.71 მლნ აშშ დოლარი გამოიყო 1997 წლის 17 ნოემბერს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კრედიტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ტრანსპორტის სექტორის რეფორმის ხელშეწყობა.

სესხის პირობები:

- მიღებული კრედიტის თანხა – 710 404 აშშ დოლარი;
- ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1997-2007 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის ვადა – 2008-2032 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 0,75 %.

ჟ) კერძო საწარმოთა რეაბილიტაციის კრედიტი თანხით 11.0 მლნ SDR, ანუ 3.88 მლნ აშშ დოლარი გამოიყო 1997 წლის 1 დეკემბერს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კრედიტი ითვალისწინებს საქართველოში კერძო სექტორის საწარმოთა რეაბილიტაციის პროცესისათვის მხარდაჭერას.

სესხის პირობები:

- მიღებული კრედიტის თანხა – 3 878 594 აშშ დოლარი;
- ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1997-2007 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის ვადა – 2007-2032 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 0.75 %.

რ) სოციალური ინვესტიციების ფონდი. კრედიტი თანხით – 14.6 მლნ SDR, ანუ 13.15 მლნ აშშ დოლარი გამოიყო 1998 წლის 21 იანვარს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კრედიტის მიზანია მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისათვის სოციალური და ეკონომიკური მომსახურების გაუმჯობესება.

სესხის პირობები:

- მიღებული კრედიტის თანხა – 13 149 821 აშშ დოლარი;
- ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1998-2008 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის ვადა – 2008-2032 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 0,75 %.

ს) კულტურული მემკვიდრეობის პროექტი. კრედიტი თანხით 3.4 მლნ SDR, ანუ 2.16 მლნ აშშ დოლარი გამოიყო 1998 წლის 18 თებერვალს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კრედიტის მიზანია კულტურული აღორძინების გადაუდებელი ღონისძიებანი:

1. უდიდესი მნიშვნელობის მქონე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარემონტო სამუშაოები;
2. კულტურულ ძეგლთა რესტავრაცია.

სესხის პირობები:

- მიღებული კრედიტის თანხა – 2 164 560 აშშ დოლარი;
- ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1998-2008 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის ვადა – 2008-2032 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 0,75 %.

ტ) სოფლის მეურნეობის მეორე პროექტის მოსამზადებელი კრედიტი თანხით – 1 200 000 SDR, ანუ 1.07 მლნ აშშ დოლარი გამოიყო 1998 წლის 22 აპრილს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კრედიტის მიზანი:

1. საირიგაციო და სადრენაჟო მართვის გაუმჯობესება – 200 000 აშშ დოლარი;
2. საირიგაციო და სადრენაჟო პროექტების მომზადება და მოსამზადებელი სამუშაოები – 400 000 აშშ დოლარი;
3. კვლევისა და გავრცელების მომზადება და საპილოტო სამუშაოები – 400 000 აშშ დოლარი.

სესხის პირობები:

– მიღებული კრედიტის თანხა – 1 074 145 აშშ დოლარი;

– წლიური საპროცენტო განაკვეთი – 0,75 %.

უ) ტრანსპორტის სამინისტროს რესტრუქტურირების (და გზების რეაბილიტაციის პროექტი) კრედიტი თანხით – 2.98 მლნ SDR, ანუ 2.73 მლნ აშშ დოლარი გამოიყო 1998 წლის 17 სექტემბერს მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კრედიტის მიზანია ტრანსპორტის სამინისტროს რესტრუქტურირება.

სესხის პირობები:

– მიღებული კრედიტის თანხა – 2 733 505 აშშ დოლარი;

– ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1998-2008 წწ;

– ძირითადი ვალის დაფარვის ვადა – 2009-2033 წწ;

– წლიური საპროცენტო განაკვეთი – 0,75 %.

მსოფლიო ბანკიდან საქართველოს 1999-2001 წლებში მიღებული აქვს:

IDA-Q 2120 სატყეო მეურნეობის განვითარების პროექტისათვის – 118 406 აშშ დოლარი;

IDA-PPF-Q 2270 ელექტროენერჯიის საბითუმო ბაზრის ჩამოყალიბებისათვის – 1 000 000 აშშ დოლარი;

IDA-31560 – შავი ზღვის სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის პროექტისათვის – 362 973 აშშ დოლარი;

IDA-32630 – სასამართლო რეფორმის პროექტის მოსამზადებლად – 1 768 251 აშშ დოლარი;

IDA-32640 – სტრუქტურული რეფორმების ხელშეწყობის პროექტისათვის – 4 582 077 აშშ დოლარი;

IDA-32650 – სტრუქტურული გარდაქმნების კრედიტები 3 (SAC3) – 18 438 432 აშშ დოლარი;

IDA-32660 – ენერჯეტიკის გარდაქმნის კრედიტი (ESAC) – 11 274 852 აშშ დოლარი;

IDA-33447 – სასოფლო-სამეურნეო კვლევების დანერგვა-კონსულტაციებისა და სწავლებისათვის – 300 053 აშშ დოლარი;

IDA-32640 – სტრუქტურული რეფორმების ხელშეწყობის პროექტი 12.2 SDR, ანუ 9 268 601 აშშ დოლარი;

IDAPPF-33470-Q 2360 – განათლების სისტემის გაძლიერებისა და გარდაქმნის პროექტი – 44 148 აშშ დოლარი.

ამჟამად საქართველოს დავალიანება მსოფლიო ბანკისადმი შეადგენს 50 393 მლნ. აშშ დოლარს.

რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის კრედიტების პირობები ერთნაირია: ხანგრძლივობა 30-35 წელი, შეღავათიანი პერიოდი – 10 წელი, სარგებლის განაკვეთი – წლიური 0,75 %, ძირითადი ვალის დაფარვის ვადა – შეღავათიანი პერიოდის შემდგომი 25 წელი. როგორც ვხედავთ, მსოფლიო ბანკი საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობს საქართველოსთან. მისმა კრედიტებმა, სსფ-ის სესხებთან ერთად, დიდი დახმარება გაუწია და მომავალშიც გაუწევს საბაზრო ეკონომიკის გზაზე დამდგარ საქართველოს.

აღსანიშნავია, რომ ოცდაცხრავე საკრედიტო შეთანხმება გაფორმებულია მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციასთან. ეს არის მსოფლიო ბანკის მიერ დაბალგანვითარებული ქვეყნების დასახმარებლად შექმნილი ფილიალი, რომელიც გასცემს უპროცენტო სესხებს (იღებს მხოლოდ 0,75 %-ს საკომისიოს, საკუთარი ადმინისტრაციული ხარჯების დასაფარავად). დაფარვის ვადამ შეიძლება 40 წელსაც მიაღწიოს 10-წლიანი შეღავათიანი პერიოდის ჩათვლით. სხვა (განვითარებულ) ქვეყნებს მსოფლიო ბანკი შეღავათიან კრედიტებს არ აძლევს.

### 3. საქართველოს დავალიანება ევროგაერთიანების მიმართ (BRD)

ევროგაერთიანებისადმი საქართველოს დავალიანება 2003 წლის 31 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 99.29 მლნ აშშ დოლარს. ევროგაერთიანებიდან საქართველოს მიღებული აქვს სამი კრედიტი.

ა) პირველი კრედიტი თანხით 70 მლნ ეკიუ, ანუ 76.90 მლნ აშშ დოლარი გამოიყო ქ.თბილისში 1992 წლის 24 ივლისს ევ-

როგაერთიანებასა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კრედიტი გაიცა საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების შექენის მიზნით.

სესხის პირობები:

– კრედიტის თანხა – 70 მლნ ეკიუ, ანუ 76.90 მლნ აშშ დოლარი;

– სამწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1992-1995 წწ;

– ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 1995 წლის 21 აგვისტო.

ბ) ევროგაერთიანების მეორე კრედიტი, თანხით 10 მლნ ეკიუ, ანუ 10.89 მლნ აშშ დოლარი გამოიყო 1993 წლის 5 მაისს ქ. ბრიუსელში ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. კრედიტი საქართველოს მიეცა კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების შესაძენად. კრედიტი მიიღეს საქართველოს პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის კორპორაციებმა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ.

სესხის პირობები:

– კრედიტის თანხა – 10 მლნ ეკიუ, ანუ 10.89 მლნ აშშ დოლარი;

– შეღავათიანი პერიოდი – 1993-1996 წწ;

– ძირითადი ვალის დაფარვა ერთდროულად – 1996 წლის 15 იანვარს.

გ) ევროგაერთიანების მესამე კრედიტი, თანხით – 40 მლნ SDR, ანუ 43.94 მლნ აშშ დოლარი გამოიყო 1993 წლის 12 ივნისს ქ. ბრიუსელში ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კრედიტი გაიცა მედიკამენტებისა და საკვები პროდუქტების შექენის მიზნით.

კრედიტი გაუნაწილდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტროს და პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის კორპორაციებს.

სესხის პირობები:



- კრედიტის თანხა – 40 მლნ SDR ანუ 43.94 მლნ აშშ დოლარი;
- შეღავათიანი პერიოდი – 1993-1997 წწ;
- ძირითადი ვალის დაფარვის ვადა ერთდროულად 1997 წლის მეორე ნახევარი.

1996 წლის 26 სექტემბერსა და 1997 წლის 27 მარტს საპროცენტო თანხის (14 მლნ ეკიუ) გადახდის შემდეგ, დავალიანება (სამივე კრედიტის გათვალისწინებით) შეადგენდა 120.0 მლნ ეკიუს, ანუ 131.82 მლნ აშშ დოლარს.

ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების მიხედვით, საქართველოს 1998 წელს მთლიანად უნდა დაეფარა ევროგაერთიანების დავალიანება 120 მლნ ეკიუ, ხოლო ამის შემდეგ ევროგაერთიანება უმოკლეს ვადაში საქართველოს კვლავ გამოუყოფდა ახალ სესხს 110 მლნ ეკიუს, ასევე გრანტს – 55 მლნ ეკიუს ოდენობით, რომელსაც მიიღებდა სესხის დაფარვიდან მომდევნო 15 წლის განმავლობაში ყოველწლიურად 9 მლნ ეკიუს ოდენობით. აღნიშნული შეთანხმება არ განხორციელდა. საქართველოს ევროგაერთიანებისადმი დავალიანება 2003 წლის 31 იანვრის მდგომარეობით 99.29 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

#### 4. საქართველოს დავალიანება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიმართ (WR)

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისადმი საქართველოს დავალიანება შეადგენს 42.05 მლნ აშშ დოლარს. ეს სახელმწიფოს გარანტიით აღებული კრედიტია. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან საქართველოს მიღებული აქვს სამი კრედიტი, ხოლო ორი კრედიტი ჯერ არ არის რატიფიცირებული.

ა) პირველი კრედიტი 12.84 მლნ აშშ დოლარის ოდენობით გამოიყო 1994 წლის 19 დეკემბერს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა და საქართველოს „საქენერგოს“ შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე.

კრედიტი გამოიყო მიზნობრივი დანიშნულებით რიონის ჰიდროელექტროსადგურისა და გარდაბნის თბოელექტროსადგურის მოდერნიზაციის მიზნით.

კრედიტის პირობები:

– მიღებული კრედიტის თანხა – 12.84 მლნ აშშ დოლარი;

– ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 1998-2009 წწ;

– საპროცენტო განაკვეთი – 7.2 % (დამატებითი საკომისიო წლიური 1 %).

ბ) მეორე კრედიტი 6.19 მლნ აშშ დოლარის ოდენობით გამოიყო 1995 წლის 15 ივლისს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა და სააქციო საზოგადოება „თბილისის აეროპორტს“ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების  
ბანკის კრედიტები (მლნ აშშ დოლარი)<sup>1</sup>

ცხრილი №5

	კრედიტის დანიშნუ- ლება	კრედიტის თანხა	საპროცენ- ტო განაკ- ვეთი	შეღავა- თიანი პე- რიოდი	კრედიტის ხანგრძლი- ვობა	კრედიტის მიღების წელი
1	საქენერგოს რეაბილი- ტაციის პროექტი	12.84	7.20 %	4 წელი	14 წელი	1994
2	აეროპორ- ტის რეაბი- ლიტაციის პროექტი	6.19	6.59 %	3 წელი	10 წელი	1995
3	თი ბი სი ბანკი	2.10	LIBOR + 1%	2,5 წელი	9,5 წელი	1996
4	თბილკომ ბანკი	1.98	LIBOR + 1%	2,5 წელი	9,5 წელი	1996
5	თბილკრე- დიტბანკი	1.97	LIBOR + 1%	2,5 წელი	9,5 წელი	1996
6	თბილუნე- რსალბანკი	1.76	LIBOR + 1%	2,5 წელი	9,5 წელი	1996
7	ინტელექტ- ბანკი	1.69	LIBOR + 1%	2,5 წელი	9,5 წელი	1996
8	ენგურაშის რეაბილი- ტაციის პროექტი	2.09	7.30 %	4 წელი	15 წელი	არაა რა- ტიფიცირ- ებული

<sup>1</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის დეპარტამენტის 2002 წლის მონაცემები.

9	ტრანსკავკასიური რკინიგზის პროექტი	3.89	LIBOR + 1%	3 წელი	12 წელი	არაა რატიფიცირებული
10	ეი-ოეს თელასის რეკონსტრუქცია	7.52	7.20 %	3 წელი	15 წელი	არაა რატიფიცირებული
	სულ	42.05	-	-	-	-

კრედიტი გამოიყო მიზნობრივი დანიშნულებით თბილისის აეროპორტის რეკონსტრუქციის მიზნით.

სესხის პირობები:

- მიღებული კრედიტის თანხა – 6.19 მლნ აშშ დოლარი;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 1998-2005 წწ;
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 6.6% (დამატებითი საკომისიო 1%).

გ) მესამე კრედიტი 9.50 მლნ აშშ დოლარის ოდენობით გამოიყო 1996 წლის 12 დეკემბერს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კრედიტის მიზნობრივი დანიშნულება იყო საქართველოში მცირე ბიზნესისადმი დახმარების განევა, მაგრამ ფაქტობრივად გამოყენებულ იქნა საბანკო სფეროში.

კრედიტის მომხმარებლები არიან: თბილკრედიტბანკი, თბილკომბანკი, თი-ბი-სი, თბილუნივერსალბანკი და ინტელექტბანკი.

სესხის პირობები:

- მიღებული კრედიტის თანხა – 9.50 მლნ აშშ დოლარი;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 7 წელი;
- შეღავათიანი პერიოდი – 2.5 წელი.

1994-1999 წლებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ საქართველოში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა. 1999 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (EBRD)-ის მიერ საქართველოში ხელმონერილია 14 საინვესტიციო ხელშეკრულება, რომელთა საერთო ღირებულება 169.3 მლნ ევროს შეადგენს. ბანკმა საქართველოში საქმიანობა დაიწყო 1994 წელს, როცა პირველად იკისრა ქვეყნის ენერგორეაბილიტაციის პროექტის განხორციელება. მას შემდეგ ბან-

კის აქტივები ყოველწლიურად იზრდება. 1994-1995 წლებში ბანკის საქმიანობა ძირითადად მიმართული იყო სახელმწიფოს ინფრასტრუქტურის პროექტების განხორციელებაზე. 1996-1998 წლებში მისი მოღვაწეობა საქართველოში კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა. ამ პერიოდში ხელი მოეწერა კერძო სექტორის შვიდ პროექტს ფინანსურ და სამრეწველო სფეროებში. 1998 წელს დამატებით მოეწერა ხელი ორ დიდ ინფრასტრუქტურულ და სამ კერძო სექტორის პროექტს.

ევრობანკის მიერ ხელმოწერილ მნიშვნელოვან პროექტებს წარმოადგენენ: ელექტროენერგეტიკის რეაბილიტაცია, ენგურის კაშხალისა და ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია, „ეი-ი-ეს“ თელასის მოდერნიზაცია, თბილისის აეროპორტის განახლება, სარკინიგზო კავშირი სამხრეთ კავკასიასთან, შავი ზღვის საერთაშორისო კომერციული ბანკის, მცირე და საშუალო სანარმოო საკრედიტო ხაზი, აბსოლუტბანკის, თიბი-სი ბანკის, გაერთიანებული ქართული ბანკისა და საქართველოს ბანკისადმი ფინანსური დახმარებები, ბორჯომის წარმოება, ქსნის მინის ტარის ქარხანა, შირაქის ადრეული ნავთობი და შპს საქართველოს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია (GWS).

ბანკის სამომავლო პრიორიტეტებიდან აღსანიშნავია ფინანსური სექტორის გარდაქმნა და განვითარება, მცირე და საშუალო სანარმოების მხარდაჭერა, კერძო სექტორში ინვესტირება, ენერგოსისტემის მომარაგების გაუმჯობესება, სატრანსპორტო სექტორში არსებული სირთულეების აღმოფხვრა და სხვ.

### 5. საქართველოს დავალიანება სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის მიმართ (IFAD)<sup>1</sup>

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდმა (IFAD) საქართველოს გამოუყო 4.70 მლნ SDR, ანუ 6.88

---

<sup>1</sup> სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებულ სამთავრობათაშორისო დანესებულებას. მისი მიზანია დამატებითი სახსრების მოძილება განვითარებადი ქვეყნების პროდუქტებისა და პროგრამების დასაფინანსებლად, რომელიც მიმართულია კვების პროდუქტების წარმოების გაზრდაზე. ეს ორგანიზაცია კრედიტებს უმთავრესად შეღავათიანი პირობითა და დაბალი საპროცენტო განაკვეთით იძლევა.

მლნ აშშ დოლარი. სესხი გამოიყო სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ფონდსა და საქართველოს შორის 1997 წლის 15 მაისს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით. საქართველოს აქედან მიღებული აქვს 4.68 მლნ აშშ დოლარი.

სესხის პირობები:

– ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი – 1997-2007 წწ;

– ძირითადი ვალის დაფარვის ვადა – 2007-2037 წწ.

როგორც ზემოთ ვნახეთ, საქართველოს საგარეო ვალებს მეტად რთული ანატომია აქვს. ჩვენს ქვეყანას ყველაზე მასშტაბური დახმარება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა გაუწიეს. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი კრედიტების თანხა 961.34 მლნ აშშ დოლარს უდრის, რაც ქვეყნის საგარეო ვალის 54.2 პროცენტს შეადგენს. მხოლოდ მსოფლიოს ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარებათა წილად მთელი თანხის 45.9 პროცენტი მოდის. ეს კრედიტები მინიმალური საპროცენტო განაკვეთით, მომსახურების ლიბერალური პირობებით, ხანგრძლივი შეღავათიანი პერიოდითა და ასევე ხანგრძლივი დაფარვის ვადით არის აღებული.

მსოფლიო ბანკიდან მიღებული დაახლოებით სამი ათეული კრედიტის საერთო მოცულობა 503.93 მლნ ამერიკულ დოლარს აღწევს და ქვეყანაში სტრუქტურულ რეფორმებს, სასიცოცხლოდ აუცილებელ სფეროთა რეანიმაცია-რეაბილიტაციასა და ახლებურ ურთიერთობათა სისტემის ჩამოყალიბებას ხმარდება. რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესხებს, მათი მოცულობა სადღეისოდ უკვე 311.38 მლნ ამერიკული დოლარია და ძირითადად ეროვნული ვალუტის სტაბილურობას ემსახურება.

საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებებიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, ევროგაერთიანებისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სესხები, რომლებიც ასევე კონკრეტული პროდუქტების დაფინანსებაზეა მიმართული. თუმცა მსოფლიოს ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესხებთან შედარებით უფრო რთული პირობების მიუხე-

დავად, ეს სესხები უმნიშვნელოა იმ დავალიანებებთან შედარებით, რომლებიც საქართველოს ყოფილ საბჭოთა ქვეყნებთან ურთიერთობებისას ჩამოუყალიბდა.

ამ მხრივ უდავო ლიდერი თურქმენეთია, რომლის მიმართ იქაური გაზის მომსახურების საფასური საქართველოს საგარეო ვალების თითქმის მეოთხედს წარმოადგენს. რამდენჯერმე რესტრუქტირებული დავალიანება სადღეისოდ 298.89 მლნ ამერიკულ დოლარს შეადგენს. ამ ვალის დაფარვა საქართველოს 1998 წლიდან უნდა დაეწყო, თუმცა საბიუჯეტო კრიზისის გამო, თანხების გადახდა დაგეგმილი ოდენობით ვერ მოხერხდა.

თურქმენეთზე გაცილებით ნაკლები, მაგრამ მაინც საკმაოდ დიდი დავალიანება 156.86 მლნ დოლარი საქართველოს რუსეთის მიმართ ერიცხება.

ასევე, საქართველოს მნიშვნელოვანი საგარეო დავალიანება აქვს განვითარებული ქვეყნების მიმართ: ავსტრიის 84.55; გერმანიის 68.88; თურქეთის 54,34 და აშშ 39.62 მლნ დოლარი. რაც შეეხება სხვა, უფრო წვრილ კრედიტორებს ზოგიერთ შემთხვევაში მათ მიმართ წარმოქმნილი დავალიანების საკითხი, სერიოზულ შესწავლას საჭიროებს. მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნების თანადგომა გახდა საფუძველი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლისა და ეკონომიკური რეფორმების გატარებისა, რომელიც საქართველომ დაიწყო 1994 წლიდან.

ზემოთ აღნიშნულ საგარეო სესხების გარდა, საქართველოს 1994-2002 წლებში მიღებული აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN) სააგენტოებიდან; ევროგაერთიანებიდან, ტექნიკური დახმარების პროგრამის „ტასისი“-საგან, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციიდან, ჰუმანიტარული დახმარების ორგანიზაციიდან, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდიდან, მეგობარი ქვეყნებიდან და ა.შ. 1.5 მლრდ აშშ დოლარზე მეტი ფინანსური მხარდაჭერა, ჰუმანიტარული დახმარება, გრანტი და სხვ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN) სააგენტოების საქმიანობა საქართველოში. მათ ეკონომიკური რეფორმების განხორციელების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება 1995 წლიდან დაიწყო.

სააგენტოები დახმარების ღონისძიებებს ახორციელებდნენ როგორც გრანტების, ასევე მიკროდაფინანსების სახით.

საქართველოს მნიშვნელოვანი დახმარებები გაუწიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემდეგმა სააგენტოებმა, როგორცაა:

UNHCR – (გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი);

FAO – („ფაო“ – სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია);

IOM – (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია);

UHOCHA – (გაეროს ჰუმანიტარულ საკითხთა საკოორდინაციო ოფისი);

WHO – (ჯანდაცვის მსოფლიოს ორგანიზაცია);

UNICEF – (ბავშვთა ფონდი);

UNFPA – (მოსახლეობის ფონდი);

UNV – (გაეროს მოხალისეთა პროგრამები);

WFP – (მსოფლიო სასურსათო პროგრამა);

IFAD – (სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი) და სხვ.

*მაგალითად:* გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა უზრუნველყო აფხაზეთიდან და სხვა რაიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა ჰუმანიტარული დახმარება.

სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა და გადაუდებელი საგნებით მოამარაგა ლტოლვილები. დახმარება გაუწია და დააფინანსა მცირე ბიზნესი. ფინანსური და ტექნიკური დახმარება გაუწია არასამთავრობო ორგანიზაციებს და ა.შ.

ჰუმანიტარული ორგანიზაცია „ფაო“-ს ძირითადი საქმიანობა მიმართული იყო მოსახლეობის კვებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებისაკენ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდისა და სოფლის მოსახლეობის პირობების

ამაღლებსაკენ; სასოფლო-სამეურნეო სექტორში სამუშაო ადგილების შექმნისა და სპეციალისტთა მომზადებისათვის; მევენახეობის, მეხილეობის, მებაბრეშუმეობის და სხვა დარგების რეაბილიტაციისა და განვითარებისათვის.

IOM (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის) მიერ დიდი სამუშაოები იქნა ჩატარებული მიგრაციული პრობლემების მოგვარების მიზნით. საქართველოს სასაზღვრო დაცვის სისტემის შექმნისა და საერთაშორისო სტანდარტების დონეზე აყვანისათვის.

გაეროს მოსახლეობის ფონდმა (UNFPA) დახმარება გაუწია საქართველოს მთავრობას მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების პოლიტიკის შემუშავებაში, მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა რეპროდუქციული ჯანდაცვის სამსახურების გაძლიერების, ოჯახური ცხოვრების დაგეგმვის, კონტრაცეპტივებით მომარაგების მხრივ და ა.შ.

WFP – მსოფლიო სასურსათო პროგრამამ დახმარება აღმოუჩინა საქართველოს ორმხრივი და მრავალმხრივი სასურსათო დახმარებების მიწოდებათა დაგეგმვაში, კორდინაციასა და მონიტორინგში.

ასევე, აღსანიშნავია სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) საქმიანობა საქართველოში. იგი მსოფლიო ბანკთან და საქართველოს მთავრობასთან ერთად 6.5 მლნ აშშ დოლარით მონაწილეობს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტში. აფინანსებს საკრედიტო კავშირების განვითარებასა და მინის ნაკვეთების ტოპოგრაფიული და კარტოგრაფიული სამუშაოების ჩატარებას.

რაც შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჰუმანიტარული, პოლიტიკური და სოციალური განვითარების სააგენტოებს, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას, ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტს, წითელი ჯვრის ორგანიზაციას და სხვ. ისინი ახორციელებდნენ როგორც მატერიალური წარმოების, ისე არანარმოებრივი სფეროს პროგრამების დაფინანსებას.

1997-2002 წლებში UHDP-ს პროგრამების საერთო ღირებულება შეადგენს 30.0 მლნ აშშ დოლარს. მათ შორის UNDP-ის



წილი შეადგენს 16 მლნ აშშ დოლარს, ხოლო 14 მლნ დოლარი შეტანილია UNDP-ს პარტნიორების, საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების, ორმხრივი დონორებისა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წილობრივი მონაწილეობით.

გაეროს განვითარების პროგრამის (UHDP) საქმიანობა ძირითადად მიმართულია ადამიანური რესურსების მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოპირობების შექმნისა და სიღატაკის აღმოფხვრისაკენ. ფინანსური სახსრების დაახლოებით 28 % გამოყოფილია სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკური ზრდის პროექტებზე, 64 % მმართველობის სფეროს, ხოლო 8 % გარემოს დაცვის ღონისძიებებზე.

ევროგაერთიანებამ შესხთან ერთად საქართველოს გამოუყო მნიშვნელოვანი რაოდენობის გრანტები, რაც ძირითადად ხორციელდებოდა ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების ოფისის (ECHO)-ს ხაზით. აღნიშნული დახმარების უმთავრეს დანიშნულებას წარმოადგენდა საკვებით მომარაგება სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, აგრეთვე რეაბილიტაციის პროექტების განხორციელება კონფლიქტის ზონებში.

ევროკავშირმა ტექნიკური დახმარების პროგრამის „ტასის“-ს მექანიზმით საქართველოს გამოუყო გრანტი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და დემოკრატიის განმტკიცების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, აგრეთვე, სახელმწიფო საწარმოთა რესტრუქტურისა და კერძო სექტორის განვითარებისათვის, სახელმწიფო მმართველობის რეფორმის, სოციალური მომსახურებისა და განათლების სფეროებისათვის. დაგვეხმარა საბაზრო სამსახურის მოდერნიზაციაში; სოფლად საკრედიტო კავშირების ჩამოყალიბებაში, ინფრასტრუქტურის (გზები, პორტები, რკინიგზები და ა.შ.) განვითარებაში და სხვ.

„ტასის“-მა მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით საქართველოში ჩამოაყალიბა და განავითარა საწარმოთა რესტრუქტურისა და მართვის დახმარების ცენტრი; შექმნა მცირე და საშუალო საწარმოთა საკონსულტაციო გაერთიანება, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის საქმეში. დახმარება გაუწია

საქართველოს ეროვნულ ბანკს და კომერციულ ბანკებს საბუღალტრო სტანდარტების შემუშავებაში.

მსოფლიოში ერთ-ერთმა უდიდესმა ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ ECHO – მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია საქართველოს მოსახლეობის სურსათით, მედიკამენტებით, ტანსაცმლითა და ჰიგიენის სხვა საშუალებებით მომარაგებაში. ასევე, დიდია პოლიტიკის და სამართლის საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის GEPLAC-ის მიერ საპარლამენტო და სამთავრობო სტრუქტურებისათვის განეული სამართლებრივი და ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში ჩატარებული პროფესიონალური კონსულტაციების მნიშვნელობა და სხვ. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (რომელიც წარმოადგენს მსოფლიო ბანკის ჯგუფის ნაწილს) მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია საქართველოს კერძო სექტორის ჩამოყალიბებაში. კერძო სექტორის გაძლიერების მიზნით განახორციელა შვიდი პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება 55 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. კორპორაციამ რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპულ ბანკთან ერთად (EBRD) მნიშვნელოვანი ინვესტიციური პროექტები განახორციელა ქსნის მინის ტარის ქარხნისა და ნინოწმინდის ადრეული ნავთობის კომპანიებში წარმოების მოცულობის გადიდების მიმართულებით.

კორპორაციამ ასევე ინვესტიციები განახორციელა ენერგეტიკის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სფეროში პრივატიზების პროცესის განხორციელების მიზნით.

საქართველოს მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინა მსოფლიო ბანკის საინვესტიციო (MIGA) სააგენტომ და საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრმა (IGSID).

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ იმ დიდი დახმარების შესახებ, რომელიც საქართველოს გაუწიეს მეგობარმა ქვეყნებმა – აშშ-მ, გერმანიამ, იაპონიამ, დიდმა ბრიტანეთმა, ნიდერლანდებმა და სხვ.

1992-1997 წლებში აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს უშუალო დაფინანსებით და სხვა (ძირითადად ჰუმანიტარული) ორგანიზაციისაღმი ჩარიცხული სახსრების ჩათვ-

ლით საქართველომ მიიღო დაახლოებით 400 მლნ დოლარის დახმარება.

1998 წელს ამერიკის განვითარების სააგენტოს (USAID) მიხიის შტაბ-ბინამ ერევნიდან თბილისში გადმოინაცვლა, რასაც თან მოჰყვა დაფინანსების მნიშვნელოვანი გადიდება.

ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიმდინარე საქმიანობა ძალზე მრავალფეროვანია. იგი მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორცაა:

1) ეკონომიკური რესტრუქტურისა; 2) ენერგოსექტორის რესტრუქტურისა; 3) დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა; 4) ჰუმანიტარული დახმარება.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის მთავრობის მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი საერთო დახმარებიდან 84.83 მლნ მარკა წარმოადგენს გრანტს, რაც მოიცავს 23.7 მლნ მარკის სასურსათო დახმარებას; 22,3 მლნ მარკის ფინანსურ დახმარებას და 38.83 მლნ მარკის ტექნიკურ დახმარებას.

1993-1996 წლებში იაპონიის დახმარება საქართველოსადმი შემოიფარგლებოდა ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარებებით (კადრების სტაჟირებით, კვალიფიკაციის ამაღლების კურსებით და საერთაშორისო ორგანიზაციებთან სხვადასხვა პროექტებში თანამონაწილეობით).

1996 წელს იაპონიის მთავრობის საქართველოსადმი ეკონომიკური თანამშრომლობა გამოიკვეთა: 1) სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარების; 2) ფინანსური დახმარების და 3) საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაში ხელშეწყობის მიმართულებით.

1997 წელს აპრილში იაპონიის მთავრობამ საქართველოს პირველად გამოუყო პირდაპირი გრანტი სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდების ხელშესაწყობად 2KR (500 მლნ იაპონური იენი), რომელიც მოხმარდა სასოფლო-სამეურნეო დანადგარების შესყიდვას და გრანტი (პროექტის გარეშე) 500 მლნ იენი, დაახლოებით 4.8 მლნ აშშ დოლარი ეკონომიკური სიძნელების დაძლევის მიზნით.

1997 წლის ნოემბერში იაპონიის საზღვარგარეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის ფონდმა (OEFCF), საქართველოს გა-

მოუყო პირველი შეღავათიანი სესხი (5.332 მლრდ იაპონური იენი, დაახლოებით 45 მლნ აშშ დოლარი) ენერგეტიკის სექტორის, კერძოდ, ლაჯანურჰესისა და ხრამჰესის რეაბილიტაციისათვის.

ამავე წელს, საქართველომ იაპონიის მთავრობისაგან მიიღო დამატებით 500 მლნ იენი (დაახლოებით 4.8 აშშ დოლარი) და ზოგადი გრანტის (General Grant Aid) ფარგლებში გამოიყო გრანტი (2,5 მლნ აშშ დოლარი) ჯანდაცვის სექტორისათვის, რომელიც მოხმარდა სამედიცინო ტექნიკის შესყიდვას.

აღსანიშნავია, რომ შეიმჩნევა იაპონური კერძო კომპანიების საქართველოში გააქტიურების ტენდენცია. დღეისათვის მათი აქტიურობა ძირითადად გამოიხატება იაპონიის მთავრობის საგრანტო პროგრამებითა და საკრედიტო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პროექტების განხორციელებით.

დიდი ბრიტანეთის მთავრობის ფონდი „ნოუ-ჰაუ“ დაარსებულია იმ მიზნით, რომ ტექნიკური დახმარება აღმოუჩინოს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს. ამ ფონდის მიზანია ბრიტანული ცოდნის ანუ „ნოუ-ჰაუს“-ს გაზიარება – გადაცემა ამ ქვეყნებისათვის, რაც ხელს შეუწყობს მათ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასა და დემოკრატიული სახელმწიფოების მშენებლობაში.

„ნოუ-ჰაუს“-ს ფონდი თავის საქმიანობის სპექტრს ამა თუ იმ კონკრეტული ქვეყნის მოთხოვნებთან მიმართებაში გეგმავს. საქართველოსათვის პრიორიტეტულ მიმართულებებად მიჩნეულია: სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, ეკონომიკა, ენერგეტიკა, სამთავრობო სტრუქტურების მუშაობის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა.

ნიდერლანდების სამეფომ საქართველოს პირველად დახმარება გაუწია 1994 წელს 112.36 ათასი აშშ დოლარის რაოდენობით. ეს იყო პუმანიტიარული დახმარება, რომელიც განხორციელდა წითელი ჯვრის ორგანიზაციის მიერ.

1995 წელს განეულმა პუმანიტიარულმა დახმარებამ 1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამავე წელს, ნიდერლანდებმა, თანადაფინანსების სახით მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ბანკის სარეაბილიტაციო კრედიტში 5.8 მლნ აშშ დოლარის, ხოლო ტექნიკური დახმარების კრედიტში 0.5 მლნ აშშ დოლარის ოდენობით.

1996 წელს გამოუყო საგადასახდელი ბალანსის მხარდაჭერისათვის 4.8 მლნ აშშ დოლარი, ხოლო ტექნიკური დახმარების სახით 1.6 მლნ აშშ დოლარი. ჰუმანიტარული დახმარების თანხამ კი – 836 ათასი აშშ დოლარი შეადგინა.

1997 წელს საგადასახდელი ბალანსის მხარდასაჭერად გამოიყო 4.8 მლნ აშშ დოლარი. ამასთან, გადაიხადა საერთაშორისო სავალუტო ფონდში (1 მლნ დოლარი), მსოფლიო ბანკში (1 მლნ დოლარი) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაში (0,8 მლნ დოლარი) საქართველოს განეწვრიანებისათვის საჭირო სანეწრო შესატანი. ამავე წელს, ნიდერლანდების მთავრობამ მონაწილეობა მიიღო საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა და ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების (ევროპის თანამშრომლობის) პროგრამაში და წლიურად 3 მლნ გულდენი (1.5 აშშ დოლარი) გამოყო საქართველოში ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის დაფინანსებისათვის.

1998 წელს საგადასახდელი ბალანსის მხარდასაჭერად გამოყო 4.8 მლნ აშშ დოლარი, ხოლო 1999 წელს გრანტი მენარმეობის განვითარებისათვის 750 ათასი აშშ დოლარი და საგადასახდელი ბალანსის მხარდასაჭერად 4.8 მლნ აშშ დოლარი.

სერიოზული განხილვის თემაა საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში განეწვრიანებით წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებები. სადღეისოდ საქართველო დაახლოებით ასამდე საერთაშორისო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრია, რაც ქვეყანას დიდ პატივთან ერთად საკმაოდ დიდ ფინანსურ ვალდებულებებსაც აკისრებს, საქართველოს ფინანსური ვალდებულებები ამ მიმართულებით 40.0 მილიონ აშშ დოლარს აჭარბებს.

როგორც ცნობილია, ქვეყნის საგარეო დავალიანება განისაზღვრება არა მხოლოდ სახელმწიფო საგარეო ვალით (ან მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებებით), არამედ კერძო სტრუქტურების მიერ საზღვარგარეთიდან მიღებული სესხებითაც. სამწუხაროდ, ეს სესხები საქართველოში ოფიციალური სტატისტიკური დანესებულებების მიერ არ აღირიცხება.

საქართველოში არასამთავრობო სესხებმა შემოსვლა ძირითადად 1997 წლიდან დაიწყო. მათ შორის აღსანიშნავია: თბილისსა და ქუთაისში სატელეფონო სადგურების დამონტაჟების სამუშაოების, ერთობლივი სანარმოებისათვის საბრუნავი სახსრების შევსების, კომერციული ბანკებისათვის საკრედიტო რესურსების გამოყოფის, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროგრამების, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროექტების განხორციელების მიზნით გამოყოფილი კრედიტები.

კერძო სტრუქტურის მიერ მიღებული სესხების გამოყენების ეფექტიანობა გაცილებით მაღალია, ვიდრე სახელმწიფოს მიერ აღებული კრედიტებისა. მენარმეების პასუხისმგებლობა იზრდება მაშინ, როდესაც რისკი მთლიანად მათზეა გადანაწილებული და პირიქით, ადგილი აქვს რესურსების გაფლანგვასა და არაეფექტიანად გამოყენებას, როდესაც სესხის დაბრუნების გარანტიად დგას მთავრობა (ფინანსთა სამინისტრო) ან ეროვნული ბანკი.

მიუხედავად ამისა, კერძო არხებით საზღვარგარეთიდან მოზიდვას წინდახედული მიდგომა სჭირდება. მისი უკონტროლოდ ზრდა სერიოზულ საფრთხეს მოასწავებს. უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებიდან, როდესაც კერძო სექტორის დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტს დაეკისრა. ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის მოზღვავებას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები. ამ პროცესს სჭირდება რეგულირება და ქვეყნის სტრატეგიულ პოლიტიკურ ინტერესებთან შეხამება.

როგორც ვნახეთ, 1994-2002 წლებში საქართველოში მნიშვნელოვანი სახსრები იქნა მიღებული საგარეო ვალის, ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარებების, გრანტებისა და სხვათა სახით. არაოფიციალური გაანგარიშებით, მათი საერთო ღირებულება დაახლოებით 4 მლრდ აშშ დოლარს აღემატება.

ეს სესხები და დახმარებები მეტად მნიშვნელოვანი იყო ჩვენისთანა შეჭირვებული ქვეყნებისათვის, აღნიშნული სახსრების გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელი იყო ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური სიძნელეების დაძლევა. მაგრამ სამწუხაროა ის, რომ ამ სესხებისა და დახმარებების დიდი ნაწილი არამიზნობრივად და არაეფექტიანად იქნა გამოყენებული.

აშკარად შეიძლება ითქვას, რომ აღებული სესხების აბსოლუტური უმრავლესობა არ მოხმარებია წარმოების შემდგომ გაფართოებას. საგარეო სესხების დიდი ნაწილი განაწილებულია არასაწარმოო დარგებში, ან გამოყენებულია საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის დასაფინანსებლად. ამ კრედიტული რესურსებიდან, რომლებიც სხვადასხვა წყაროებითაა შემოსული, პრაქტიკულად არც ერთი არ ყოფილა მიმართული ქვეყანაში სტრუქტურული ხასიათის პრიორიტეტული საწარმოების ასამუშავებლად.

ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს ინვესტიციური აქტივების ზრდა და მისი ეფექტიანი გამოყენება. მთავრობის მიერ მიღებული ყველა კრედიტი უნდა მოხმარდეს მხოლოდ და მხოლოდ ინვესტიციური ხასიათის მიზნობრივი პროექტების დაფინანსებას.

მაშასადამე, მთავრობა სათანადო დონეზე ვერ აკონტროლებს კრედიტებისა და გრანტების მიზნობრივად გამოყენებას, რის გამოც მათი დიდი ნაწილი არადაწინშელებისამებრ გამოიყენება.

## 2.2. საქართველოს სახელმწიფო შიდა ვალი

საქართველოს სახელმწიფო შიდა ვალის ფორმირება ძირითადად 1992-1994 წლებში მოხდა.

ამ პერიოდის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ფორმალურად ითვალისწინებდა დამატებითი საკრედიტო რესურსების შექმნას და ქვეყანაში საქონლის შემოზიდვას ამ თანხების უცხოეთში გადასროლის გზით. რეალურად კი იგი ემსახურებოდა ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მოკალათებული პირებისა და მათთან დაკავშირებული „საქმიანი“ წრეების გამდიდრებას.

ასეთი პოლიტიკის შედეგად დაიკარგა მოსახლეობის ანაზღაურები და მოსახლეობისა და საწარმოო დაწესებულებების ფულადმა სახსრებმა და მატერიალურმა ფასეულობებმა ეროვნული ბანკის მიერ მუქთად გაცემული სესხების მეშვეობით თავი მოიყარა საზოგადოების მცირერიცხოვანი ჯგუფის ხელში<sup>1</sup>.

<sup>1</sup> გ. ფანცულაია, საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი, 1998. №11, გვ. 2-4.

ასეთი მიმართულებით დაინტერესებული იყო პოლიტიკური „მოღვაწეებისა“ და სახელმწიფო მოხელეთა დიდი უმრავლესობა. ამ პერიოდში უამრავი სესხი იქნა გაცემული – სანავის, ხორბლის თუ სხვა სახეობის საქონლის შემოსატანად. ხდებოდა ეროვნული ბანკიდან სესხად მიღებული დიდძალი ფულადი სახსრების შავ ბაზარზე არალეგალური კონვერტირება და ა.შ.

ეროვნული ბანკის მიერ გაცემული სესხების დიდი ნაწილი გადარიცხულ იქნა რუსეთში და ყოფილ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყანაში, მხოლოდ მათი მცირე ნაწილი დაუბრუნდა ქვეყანას მატერიალური ფასეულობების (სამრეწველო და სასურსათო საქონლის) სახით, დანარჩენი კი დაიღეჟა უცხოეთის საბანკო ანგარიშებზე.

კერძო ფირმებისათვის დიდი რაოდენობით გაცემულმა სესხებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ბიუჯეტის დეფიციტზე, რომლის დაფარვის ერთ-ერთი წყარო ეროვნული ბანკის კრედიტი იყო.

საქართველოს სახელმწიფო შიდა ვალად აღიარებულია ბანკის, კერძო სტრუქტურების, ფიზიკური და იურიდიული პირების წინაშე დაგროვილი ვალდებულებები, მოსახლეობის ანაბრების ინდექსაციის თანხები და ა.შ. (იხილეთ ცხრილი №6), მათ შორის:

ა) მოქალაქეთა მიერ 1985-1993 წლებში სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრები 13.948.9 მლნ მანეთის ოდენობით;

ბ) ქვეყნის საწარმოებისა და ორგანიზაციების დავალიანება, რომელიც წარმოიქმნა თურქმენეთიდან მოწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის ასანაზღაურებლად მთავრობის დავალებით იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ გადატვირთული პროდუქციის ღირებულების აუნაზღაურებლობის შედეგად 3.4 მლნ მანეთი;

გ) სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ბლოკირებული, ამავე ბანკის თბილისის განყოფილებაში ფიზიკური პირების ანგარიშზე არსებული თანხები -1,5 მლნ მანეთი;



სახელმწიფო შიდა ვალის მოცულობა და სტრუქტურა<sup>1</sup>  
ცხრილი №6

	სახელმწიფო შიდა ვალის სახეები <sup>2</sup>	სახელმწიფოს შიდა ვალის მოცულობა 1993 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით (მლნ. მანეთობით)	სახელმწიფოს მიერ შიდა ვალის 1993 წლის ინდექსირებული თანხა (ათას ლარებით)
1	მოქალაქეთა მიერ 1985-1993 წლებში სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების და ანაბრის ნაზარდი თანხების დავალიანება	13.948.9	493.5
2	სანარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ არსებული დავალიანება, რომელიც წარმოიქმნა თურქმენეთიდან მონოდებული ბუნებრივი აირის საფასურის ასანაზღაურებლად მთავრობის დავალებით იურიდიული პირების მიერ გადატვირთული პროდუქციის ღირებულების აუნაზღაურებლობის შედეგად	3,4	7,1
3	სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ამავე ბანკის თბილისის განყოფილების ანგარიშზე არსებული ფიზიკური პირების კუთვნილი თანხების ბლოკირების გამო	1,5	1,5
4	სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ამავე ბანკის თბილისის განყოფილების ანგარიშზე არსებული იურიდიული პირების კუთვნილი თანხების ბლოკირებით	8,7	8,7

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის დეპარტამენტისა და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე.

<sup>2</sup> ეს ციფრები არ აცხადებს პრეტენზიას ვალის აბსოლუტურ სისწორეზე. მაგრამ უფრო ახლოსაა რეალობასთან.

5	რუსეთის ცენტრალური ბანკის მიერ მისსავე საკორესპონდენტო ანგარიშზე საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი თანხების იურიდიული საგარეო ვალის ანგარიშის ჩამონერის შედეგად	0,6	0,6
6	მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად ეროვნული ბანკიდან აღებული სესხისა და მისი მომსახურების თანხების დავალიანება	773.7	541.4
7	სახელმწიფოს მიერ კოოპერატიული ბინათმშენებლობისათვის (მოქალაქეებისაგან) შეტანილი თანხების გახარჯვის გამო წარმოქმნილი დავალიანება	144.5	87.0
8	მუნიციპალურ სანარმო „თბილტრანსში“ ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობით წარმოქმნილი დავალიანება	7,9	9,7
9	მოსახლეობის მიერ ლატარიების გათამაშებიდან მოგებული ნივთების გაუნაღდებლობით გამოწვეული დავალიანება	0,4	0,4
10	სსრ კავშირის „ინდუსტრიაბანკის“ მიერ ბლოკირებული ამავე ბანკის ბათუმის განყოფილების ანგარიშზე არსებული საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სავალუტო თანხების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანება	18,7	18,7
11	ლარის დევალვაციის გამო საქართველოს ეროვნული ბანკის რეკაპიტალიზაციის მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული სახელმწიფო ფასიანი ქალაღდების გაუნაღდებელი ღირებულება	-	-
12	სსრ კავშირის 1990 წელს გამოშვებული საქართველოს მოქალაქეების მიერ შეძენილი სახელმწიფო მიზნობრივი უპროცენტო სესხის (ობლიგაციების) ღირებულება	7,8	7,8

13	საქართველოს მიერ 1992-1993 წლებში გამოშვებული სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის გაუნაღდებელი ობლიგაციების ღირებულება	0,2	0,2
14	სახელმწიფოს მიერ 1998-2000 წლებში მოქალაქეებზე გაუცემელი პენსიებისა და ხელფასების დავალიანება	-	-
15	სახაზინო ვალდებულებების ემისიით და განთავსებით წარმოქმნილი დაუფარავი ვალდებულებების საორიენტაციო მოცულობა	-	-
	სულ	14.977.4	1.176.6

დ) სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ამავე ბანკის თბილისის განყოფილების ანგარიშზე არსებული იურიდიული პირების კუთვნილი თანხების ბლოკირებით წარმოქმნილი დავალიანება 807 მლნ მანეთი;

ე) რუსეთის ცენტრალური ბანკის მიერ, ამავე ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე არსებული საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი თანხების რუსეთის სახელმწიფო საგარეო ვალის ანგარიშში ჩათვლისა და ჩამონერის შედეგად წარმოქმნილი დავალიანება 0.6 მლნ მანეთი;

ვ) საქართველოს მთავრობის მიერ ეროვნული ბანკიდან აღებული სესხი სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად და მისი მომსახურების ხარჯების ჩათვლით 773.7 მლნ მანეთი;

ზ) სახელმწიფოს მიერ კოოპერატიული ბინათმშენებლობისათვის (მოქალაქეებისაგან შეტანილი თანხების გახარჯვის გამო) წარმოქმნილი დავალიანება 144.5 მლნ. მანეთი;

თ) მუნიციპალურ საწარმო „თბილტრანსში“ ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინით დაუკმაყოფილებლობით წარმოქმნილი დავალიანება – 7.9 მლნ მანეთი ;

<sup>1</sup> კოოპერატიულ ბინათმშენებლობათა შეჩერების შედეგად 25 ათასამდე მოქალაქე დაზარალდა. დაზარალებულთა ინტერესების დამცველ „საბინაო სამშენებლო კოოპერატივის წევრთა უფლებების დაცვის ასოციაცია“-სა და ფინანსთა სამინისტროს შორის დავა ამ დანიშნულებით თანხების გამოყოფაზე 9 წელია მიმდინარეობს. კომისიის ვიზუალური შეფასებით, კოოპერატიულ ბინათმშენებლობის აღსადგენად 87 მლნ ლარია საჭირო, თუმცა „საბინაო სამშენებლო კოოპერატივის წევრთა უფლებების დაცვის ასოციაცია“ საჭირო თანხად 600 მლნ ლარს ასახელებს.

ი) მოსახლეობის მიერ ლატარიების გათამაშებიდან მოგებული ნივთების გაუნაღდელობით გამოწვეული დავალიანება 0.4 მლნ მანეთი;

კ) სსრ კავშირის „ინდუსტრიაბანკის“ მიერ ბლოკირებული ამავე ბანკის ბათუმის განყოფილების ანგარიშზე არსებული საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სავალუტო თანხების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანება 18.7 მლნ მანეთი;

ლ) სსრ კავშირში 1990 წელს გამოშვებული და საქართველოს მოქალაქეების მიერ შექმნილი სახელმწიფო შიდა სესხის გაუნაღდებელი ობლიგაციების ღირებულება 7.8 მლნ მანეთი;

მ) საქართველოს მიერ 1992-1993 წლებში გამოშვებული სახელმწიფო შინაგანი სესხის გაუნაღდებელი ობლიგაციების ღირებულება 0.2 მლნ მანეთის ოდენობით.

მაშასადამე, არასრული გაანგარიშებით საქართველოს შიდა ვალის მოცულობა 1993 წლის 1 აპრილის მდგომარეობით 14 მილიარდ 977.4 მილიონ მანეთს უდრიდა.

1993 წლის აპრილში – კუპონის მანეთზე ერთი-ერთზე ჩანაცვლებით, ვალები მექანიკურად კუპონით განაღდებას დაექვემდებარა.

ლარის მიმოქცევაში გამოშვების შემდეგ კი ვალების ღირებულება 1 000 000 კუპონი – 1 ლარი თანაფარდობით შეიცვალა.

ამრიგად, საქართველოს მთავრობის მიერ ინდექსირებული შიდა ვალის მოცულობა (2002 წლის 1 იანვრისათვის) შეადგენდა 1.176.6 მლნ ლარს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ციფრი არ ასახავს ვალის რეალურ მოცულობას, მასში არ შედის ისეთი პუნქტები, როგორცაა: ლარის დევალვაციის გამო საქართველოს ეროვნული ბანკის რეკაპიტალიზაციის მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული გაუნაღდებელი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ღირებულება; სახელმწიფოს მიერ 1998-2000 წლებში მოქალაქეებზე გაუცემელი პენსიებისა და ხელფასების დავალიანება; სახაზინო ვალდებულებების ემისიითა და განთავსებით წარმოქმნილი დაუფარავი ვალდებულებების საორიენტაციო მოცულობა და სხვა.

სამწუხაროდ, საქართველოში შეუძლებელი გახდა ცალკეული პუნქტების მიხედვით შიდა ვალის თანხის ზუსტი ოდენობის დადგენა. მთავრობამ 10 წლის მანძილზე ვერ შეძლო შიდა ვალის რეალური სტრუქტურის განსაზღვრა, კერძოდ, ვერ დაადგინა, თუ რა უნდა ჩაითვალოს შიდა ვალად და რა არა.

როგორც დავინახეთ, შიდა ვალის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მოქალაქეთა მიერ 1985-1993 წლებში შემნახველ ბანკებში შეტანილი ანაბრების ნაშთი და ამავე წლების მიხედვით ანაბრების ნაზარდი თანხები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს საბანკო სისტემა იზოლირებული აღმოჩნდა ერთიანი საკავშირო საბანკო სისტემისაგან. შეწყდა რუსეთიდან ნაღდი ფულის – მანეთის მონოდება. საქართველო, რომელსაც არ გააჩნდა საკუთარი ვალუტა, დარჩა მხოლოდ იმ ფულის ამარა, რომელიც იმ დროისათვის ქვეყანაში იყო მიმოქცევაში. ფულის ეს რაოდენობა მიმოქცევაში საჭირო რაოდენობასთან შედარებით გაცილებით ნაკლები იყო, რადგან საქართველოს შემნახველ ბანკებში ირიცხებოდა მილიარდობით მანეთის ანაბარი, რომელიც მოსახლეობამ წლების განმავლობაში საკუთარი დანაზოგების სახით ანდო საბჭოთა საბანკო სისტემას. რუსეთმა საქართველოს შეუწყვიტა ნაღდი ფულადი ნიშნების მიწოდება, პრაქტიკულად მუდმივად შეუძლებელი აღმოჩნდა ბანკიდან ფულადი ნიშნების გატანა. სწორედ ამის გამო დამოუკიდებელ საქართველოს საკუთარი ხალხის უზარმაზარი ვალი აღმოაჩნდა.

ბანკებში მოქალაქეთა ანაბრებზე რიცხული თანხების საერთო მოცულობამ დაახლოებით 13 მლრდ მანეთი შეადგინა. იმ დროს დოლართან მიმართებაში (ოფიციალური კურსით) 1 მანეთი – 62-64 ცენტს შეადგენდა. თუ იმდროინდელი კურსით 13 მლრდ მანეთს დოლარებში გადავიყვანთ, ეს 8 მლრდ დოლარზე მეტი გამოდის.

1991-1992 წლებში დაიწყო მანეთის ინტენსიური გაუფასურების პროცესი. მოსახლეობა მასობრივად შეეცადა ანაბრებზე

---

<sup>1</sup> ფინანსთა სამინისტროში სტრუქტურული ქვედანაყოფი – სახელმწიფო ვალის დეპარტამენტის სახით მხოლოდ 1996 წლის დეკემბერში ჩამოყალიბდა.

არსებული თანხების გამოტანას და მათ კონვერტაციას ამერიკულ დოლარებში, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო ფულადი ნიშნების უკმარისობის გამო.

1992 წლის ზაფხულში ეროვნულმა ბანკმა მთავრობაში წინადადება შეიტანა სახელმწიფო კომერციულ ბანკებში 1992 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით ანაბრების ანგარიშებზე მოთავსებული ფულადი სახსრების აფასების შესახებ.

სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს №14 დეკრეტის საფუძველზე სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში 1992 წლის 10 აგვისტოს მდგომარეობით ანაბრებზე მოთავსებული 13 მლრდ მანეთი გაორკეცდა<sup>1</sup>.

მანეთის კუპონით (1 მანეთი – 1 კუპონი) და შემდეგ კუპონის ლარზე გადაცვლის შედეგად 1993 წლის 3 აგვისტომდე საქართველოს მოსახლეობის მიერ შემნახველ-კომერციულ ბანკებში 4 535 ათას საანაბრო ანგარიშზე შეტანილმა თანხამ 27.250 მლნ ლარი შეადგინა.

1993 წლის მარტიდან შემოღებული და მიმოქცევაში იქნა გაშვებული ეროვნული ვალუტის სუროგატი – კუპონი. 1993 წლის მარტში 1 კუპონი უდრიდა 1 მანეთს, ასევე კუპონის კურსი შესაბამისად დოლარის ტოლი იყო.

1993 წლის აგვისტოდან მოყოლებული, კუპონის კურსი დღით დღე ეცემოდა. 1995 წლის სექტემბერში დოლარის მიმართ კუპონის კურსმა 2.5 მლნ შეადგინა.

ინფლაციის შეუჩერებელი პროცესი უარყოფით გავლენას ახდენდა მოსახლეობის ანაბრებზე. ვითომდა შეანაბრების ფულადი დანაზოგების გაუფასურებით მიყენებული ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის მიზნით, 1994 წლის 12 ივლისს ყოფილი შემნახველი ბანკების ბაზაზე დააფუძნეს საპაიო კომერციული ბანკი „გაერთიანებული ქართული ბანკი“, რომელსაც გადაერიცხა იმ დროისათვის ქვეყნის კომერციულ ბანკებში მოსახლეობის ანაბრების ანგარიშზე არსებული თანხების ნაწილი. ახლა შეანაბრებები ანაბრების ძირითადი თანხისა და საპ-

---

<sup>1</sup> გ. ფანცულაია, შიდა ვალი, საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი, 1998 წ. №11, გვ. 2.

როცენტო დანარიცხების დაბრუნებას ითხოვენ, მაგრამ, ხელისუფლება და ბანკი უარს აცხადებენ მიზარებული თანხების დაბრუნებაზე.

სინამდვილეში ბანკსა და სახელმწიფოს შორის ასეთი უპრეცედენტო გარიგების შედეგად საქართველოში დაინგრა მთელ მსოფლიოში აპრობირებული შემნახველი ბანკების სისტემა, რომელთა ანგარიშებზე აკუმულირებული იყო ხალხის 13 მილიარდი მანეთი, ანუ დაახლოებით 8 მილიარდი ამერიკული დოლარი.

პრესის საშუალებით ბანკის მესვეურებმა აქციონერთა რიგებში დაასახელეს რამდენიმე მსხვილი საზღვარგარეთული საფინანსო გაერთიანება. გამოიყენეს ხელისუფლების წარმომადგენლები და ისინი ბანკის აუქციონერები გახდნენ. ასე შეიყვანეს მევანაბრეები შეცდომაში. ყოველივე ეს დაემთხვა გარდამავალი ვალუტის (კუპონის) პერიოდს. ხალხმა თანხების დაკარგვას აქციონერობა ამჯობინა და მევანაბრეთა თითქმის 70% აქციონერი გახდა.

„გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა“ ტოტალურად გააუქმა ქვეყანაში არსებული შემნახველი სალაროები და მათ ბალანსზე არსებული შენობები ჩალის ფასად შეისყიდა, ამ შენობებში კი „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ფილიალები შექმნეს. ეს ფილიალები მათი კადრებით დააკომპლექტეს და სპეციალური მუშაკები აიყვანეს, რომელთა მოვალეობა მევანაბრეთა მოძებნა და მათზე მოტყუებით მიზერული დივიდენდის – 7 ლარის გაცემა იყო. ისინი მევანაბრეებს ჟურნალებში აწერიდნენ ხელს, მათ მომავალში მეპაიეობაზე პრეტენზია რომ არ ჰქონოდათ.

აღნიშნული თანხები დამფუძნებლებმა ფარულად მიისაკუთრეს და თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენეს. ხოლო მევანაბრეები მათი თანხმობის გარეშე კომერციულ-შემნახველი ბანკების სანესდებო ფონდის ფიქტიურ მეპაიეებად გააფორმეს. ეს ყველაფერი აღინიშნა ფარატიანა ქალაქზე, უბრალო ქვითრებზე, რომლებიც მოტყუებულ მევანაბრეებს დაურიგეს<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> მაშინ ყოფილ მევანაბრეებს უბრალო ქვითრები გადასცეს ამჟამად უკვე ბუნებაში არარსებულმა ბანკებმა („თამარიონი“, „მედია“, „სამეფო“, „ოპიზარი“ და ა.შ.), ხოლო ახლა მათ, როგორც „გაერთიანებული ქართული ბანკის“

ამის შემდეგ „გაერთიანებული ქართული ბანკის“ შვილობილი ფილიალი ბანკები: „თამარიონი“, „მედეა“, „სამეფო“, „ოპიზარი“, „კიდობანი“, „ექსიმბანკი“, „დრო“ და სხვ. უგზოუკვლოდ გაუჩინარდნენ და მოსახლეობის დიდძალი დანაზოგები მითვისეს<sup>1</sup>.

საბოლოოდ „ახალი ქართული ბანკის“ მესვეურებმა მოსახლეობისაგან ნასესხებ თანხად აღიარეს მხოლოდ 5.559 მლრდ კუპონი, რომელიც გადაიყვანეს დოლარებში (1 დოლარი – 814.000 კუპონი) და ამ გზით 6829 დოლარამდე შეამცირეს შემნახველ ბანკებში მოსახლეობის მიერ 1991 წლამდე შეტანილი 13 მლრდ მანეთი, ანუ 8 მლრდ აშშ დოლარი.

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 1 ოქტომბრის №391 ბრძანებულებით მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის – ლარის შემოღებასთან დაკავშირებით შეიქმნა სპეციალური სახელმწიფო კომისია ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში მოქალაქეთა ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსირების მექანიზმის შესამუშავებლად.

ამ მიმართულებით საკმაოდ განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული:

– გაერთიანებულ ქართულ ბანკს ანაბრების ინდექსირება მიზანშეწონილად მიაჩნია მოსკოვის სავალუტო ბირჟის 1993 წლის 4 აგვისტოს მონაცემებით – აშშ დოლარისა და რუსული რუბლის თანაფარდობის (1:988) მიხედვით. აქედან გამომდინარე, თანხის მოცულობა შეადგენს 31.9 მლნ აშშ დოლარს, ანუ 41.5 მლნ ლარს, ხოლო სავალუტო ანაბრების ჩათვლით – შესაბამისად 32.9 მლნ აშშ დოლარს, ანუ 42.8 მლნ ლარს;

---

მეპაიე-აქციონერებს, თანამესაკუთრის დამადასტურებელი არავითარი კანონიერი საბუთი არ გააჩნიათ. მეპაიეებს არ სცნობენ, არ ეძახიან და არც არაფერში ესაჭიროებათ. ეს მსოფლიო პრაქტიკაში უპრეცედენტო შემთხვევაა.

<sup>1</sup> სახელმწიფო კომერციული ბანკების მიერ ამ პერიოდში გაცემულ კრედიტებზე არსებობს დოკუმენტები, მათი საერთო რაოდენობა 600 მლნ დოლარს შეადგენს. ეს თანხები მსოფლიოს სხვადასხვა ბანკებში იქნა გადარიცხული. სესხების დიდი ნაწილი იმდროინდელი პარლამენტის 40 დეპუტატს პქონდა აღებული.



– საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული მეთოდი გულისხმობს ანაბრებზე რიცხული თანხების (მანეთების) 1993 წლის აპრილიდან 1995 წლის აგვისტომდე დოლარის არსებულ კურსთან (1: 767) შეფარდებას.

ამ მეთოდით გაანგარიშების საფუძველზე ანაბრების ინდექსირებული თანხა (სერტიფიკატების ჩათვლით) უდრის 42.5 მლნ აშშ დოლარს, ანუ 55.2 მლნ ლარს. ხოლო საერთო ინდექსირებული თანხა საპროცენტო თანხების დარიცხვის შემდეგ შეადგენს დაახლოებით 70.6 მლნ ლარს;

– საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის გათვლებით, 1993 წლის 3 აგვისტოს მდგომარეობით მოქალაქეთა ანაბრებზე არსებული თანხები შეადგენს 1.8 მლნ ლარს;

– დამოუკიდებელი არასამთავრობო საკონსულტაციო ორგანიზაციის „კონიუნქტურის კვლევის ცენტრის“ გათვლებით (საბაზისოდ აღებულია 1993 წლის 1 აპრილი), შეანაბრეთა წინაშე სამთავრობო ვალდებულებების მოცულობა განსაზღვრულია 5.034 მლნ ლარით.

ასევე, მეტ-ნაკლებად ურთიერთდაახლოებული მოსაზრებებია გამოთქმული ინდექსირებული საანაბრო თანხების სარგებლის გადახდის ვადების, წესისა და პირობების შესახებ. მაგალითად, გაერთიანებული ქართული ბანკი, მოქალაქეთა ინდექსირებულ ანაბრებზე სარგებლის დარიცხვის წინააღმდეგია, ხოლო ეკონომიკის სამინისტრო მიზანშეწონილად მიიჩნევს გაუცემელ ანაბრებზე საბანკო – საპროცენტო განაკვეთის დარიცხვას.

ფინანსთა სამინისტროს მიერ 1997 წლის ბოლოსათვის შემუშავებულ იქნა მოსახლეობის მიერ ანაბრებზე შეტანილი თანხების განაღდების შემდეგი მექანიზმი:

1992 წლის 1 იანვრამდე შეტანილ პირველ 1000 მანეთზე – 100 ლარი, ხოლო დანარჩენ ყოველ 1000 მანეთზე – 10 ლარი; 1992 წლის 1 იანვრიდან 1993 წლის 1 იანვრამდე შეტანილ პირველ 1000 მანეთზე – 10 ლარი, ხოლო დანარჩენ ყოველ 1000 მანეთზე – 2 ლარი; 1993 წლის 1 იანვრიდან 1995 წლის 1 იანვრამდე შეტანილ პირველ 1000 მანეთზე 2 ლარი, ხოლო დანარჩენ ყოველ 1000 მანეთზე – 1 ლარი.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს გაანგარიშების (ინდექსაციის) ასეთი მეთოდიკა. მაგალითად, როგორ უნდა ავხსნათ 1992 წლის 1 იანვრამდე შეტანილ პირველ 1000 მანეთზე 10 ლარის, ხოლო დანარჩენ ყველა 1000 მანეთზე 10 ლარის ანაზღაურების დანესების სამართლიანობა? რა „დააშავეს“ მომდევნო 1000 მანეთებმა? რატომ არ გაითვალისწინება, რომ 1992 წლის 1 იანვრამდე, ე.ი. 1991 წლის მანძილზე 1 დოლარი 6 მანეთს უდრიდა?

მთავრობის გადაწყვეტილებით მესამე მთავრობისათვის 1997-1998 წლების ბიუჯეტით 10 მლნ ლარი, ხოლო 1999 წლის ბიუჯეტით 0,4 მლნ ლარის გაცემა იყო გათვალისწინებული, მაგრამ დღემდე ამ დანიშნულებით არც ერთი თეთრი არ გაცემულა. ეს ფაქტი უარყოფით პრეცედენტს ქმნის და აძლიერებს მთავრობისადმი მოსახლეობის უნდობლობას.

ამჟამად შემუშავებული ინდექსაციის მექანიზმით გათვალისწინებული 502 მლნ ლარის მოქალაქეებისათვის დაბრუნებას (არსებული ეკონომიკური პოტენციალისა და დეფიციტური ბიუჯეტის პირობებში) 50 წელზე მეტი დასჭირდება.

განხილული პუნქტების მიხედვით საქართველოს შიდა ვალის მოცულობა ჯერ არ არის სწორად დაანგარიშებული. სინამდვილეში, შიდა ვალის მოცულობა გაცილებით მეტია, როგორც ამას არაოფიციალური გაანგარიშებები მონშობენ, მისი ოდენობა დაახლოებით 34,595 მლნ ლარს შეადგენს.

ჩვენი აზრით, აუცილებელია შეიქმნას კომპეტენტური სახელმწიფო კომისია და შემუშავდეს ინდექსაციის ახალი მექანიზმი. კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მანეთის გაუფასურებამდე სახელმწიფოს მიერ მოსახლეობასთან წარმოქმნილ ვალდებულებებს: კერძოდ, ანაზღაურების, პოსტსაბჭოთა პირობებში გამოშვებული სახელმწიფო მიზნობრივი უპროცენტო სესხის ობლიგაციების, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, სახელმწიფო ლატარეაში მოგებული ნივთების გაუნაღდებლობით წარმოქმნილი დავალიანებებისა და სახელმწიფოს მიერ კოოპერატიული ბინათმშენებლობებისათვის აღებული ვალდებულებების რეალურ და კეთილსინდისიერ განაღდებას. რამდენადაც თანხები შეტანილია როგორც გაუფასურებული

კუპონით და რუსული რუბლებით, ასევე (ძირითადად) მყარი სავალუტო კურსისა და მაღალი მსყიდველობითი უნარის მქონე საბჭოთა მანეთებით, ამიტომ საანაბრო თანხების ინდექსირება (აღდგენა) უნდა მოხდეს დიფერენცირებულად, მათი შეტანისა და გადახდის ვადების გათვალისწინებით.

რეალური ინდექსირებისათვის საჭიროა მიღებულ თანხებს დავუმატოთ წლების მიხედვით სარგებლის ნაზარდი თანხები და შეჯამებული თანხები გადავიყვანოთ დოლარებში შემდეგი კურსის მიხედვით:

1985-1988 წწ. – 0.66 მან – 1 დოლარი; 1989 წ. – 1 მანეთი – 1 დოლარი; 1990 წ. – 2 მანეთი – 1 დოლარი; 1991 წ. – 6 მანეთი – 1 დოლარი; 1992 წ. – 191 მანეთი – 1 დოლარი; 1993 წ. – 751 მანეთი – 1 დოლარი.

ჩვენი აზრით, სახელმწიფო ვალის დეპარტამენტმა ვერ შეძლო შიდა ვალის ზუსტი ინვენტარიზაცია როგორც მთლიანი თანხის, ასევე ვალის ცალკეული მუხლების მიხედვით.

ამდენად, დღეისათვის შეუძლებელია შიდა ვალზე, როგორც ერთიან რეალურ თანხაზე მსჯელობა. წარმოდგენილი გაანგარიშება არარეალურია და, რაც მთავარია, იგი ვერ გამოხატავს მოსახლეობის ინტერესებს.

საქართველოს შიდა ვალის ცალკეულ ელემენტებს შორის მეტად მნიშვნელოვანია მოსახლეობის მიერ სახელმწიფო და კომერციულ ბანკებში შეტანილი ინფლაციის შედეგად გაუფასურებული ანაბრების აღდგენისა და ანაზღაურების საკითხის მოგვარება.

ამ პრობლემის გადაწყვეტას აქვს დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა. მოსახლეობას უნდა აუნაზღაურდეს ინფლაციის შედეგად მიყენებული ფინანსური ზარალი და აღდგეს მოსახლეობასა და საბანკო სისტემას შორის წარმოქმნილი უნდობლობა.

ქართული ეროვნული ვალუტის – ლარის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით (1995 წლის 25 სექტემბერი) კუპონის ლარზე ( და მანამდე – მანეთის კუპონზე) გადასაანგარიშებლად დადგენილმა თანაფარდობამ სათანადოდ ვერ განსაზღვრა მოსახლეობის მიერ ბანკებში საბჭოთა მანეთებით შეტანილი ანაბრების გაუფასურების დონე, რის შედეგადაც ანაბ-

რებზე რიცხული მოქალაქეთა კუთვნილი მანეთი პირდაპირ კუ-  
პონად გადაიქცა.

ჩვენი აზრით, სახელმწიფო პოლიტიკა ამ საკითხებთან მი-  
მართებით უნდა მდგომარეობდეს არა ამ ანაზღაურების მოცულო-  
ბის ხელოვნურად მნიშვნელოვან შემცირებაში, არამედ ამ ვა-  
ლის მაქსიმალური სიზუსტით აღდგენასა და დანაზოგების გა-  
რანტირებული დაცვის უზრუნველყოფაში, ასევე, მისი განაღ-  
დების ოპტიმალური ვადების განსაზღვრაში სახელმწიფოს  
ეკონომიკურ-ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

იგივე მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული სსრ კავშირის საგა-  
რეო-ეკონომიკური ბანკის, სსრ კავშირის „ინდუსტრიაბანკის“ და  
რუსეთის ცენტრალური ბანკების მიერ ფიზიკური და იურიდი-  
ული პირების კუთვნილი თანხების ბლოკირების შედეგად, აგ-  
რეთვე სახელმწიფოს მიერ ბინათმშენებლობისათვის მოქალა-  
ქეთა მიერ შეტანილი თანხების გახარჯვის გამო, ასევე, სახელ-  
მწიფო მომგებიანი სესხის ობლიგაციებისა და ლატარიის გა-  
თამაშებიდან მოგებული ნივთების გაუნაღდებლობით გამოწვე-  
ული დავალიანებების გაანგარიშებების დროს<sup>1</sup>.

– მოქალაქეთა ფულადი დანაზოგების ანაზღაურება (გას-  
ტუმრება) უნდა მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტის შესაძლებლო-  
ბათა გათვალისწინებით. ანაზღაურების პერიოდად შეიძლება  
განისაზღვროს 20-30 წელი;

– აღდგენილი დანაზოგების დაცვა გარანტირებული უნდა  
იყოს სახელმწიფო კანონმდებლობით. ამისათვის მიზანშეწონი-  
ლად მიგვაჩნია პარლამენტის მიერ მიღებულ იქნეს კანონი მო-  
სახლეობის გაუფასურებული ფულადი ანაზღაურების აღდგენის,  
დაცვისა და ანაზღაურების შესახებ;

---

<sup>1</sup> 1992 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 5 მილიარდი მანეთის  
შინაგანი მომგებიანი სესხი გამოუშვა. სახელმწიფოს მათი განაღდება 10 წე-  
ლინადაში უნდა დაესრულებინა. ვინაიდან სესხი მომგებიანის სტატუსით გამო-  
ვიდა, განსაზღვრული პირობების მიხედვით ათწლიან პერიოდში უნდა და-  
ფარულიყო მისი 35 %, ვადის გასვლის შემდეგ კი სახელმწიფოს ნომინალური  
ღირებულებით უნდა შეესყიდა ვალდებულებების დანარჩენი 65 %. ობლიგა-  
ციები შემნახველი ბანკების საშუალებით გაერცვლდა და მოსახლეობამ დაახ-  
ლოებით 4.622 მლნ მანეთზე მეტი სესხი განათავსა. მოგვიანებით ქვეყანაში  
განვითარებული მოვლენების გამო, ობლიგაციათა განაღდება ვერ მოხერხდა.  
1997 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, სახელმწიფომ  
რეზიდენტთა მიმართ ეს დავალიანება საკუთარ ვალად აღიარა.

– ამასთან, უპრიანია კომპენსირების ისეთი მეთოდების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფდა მოქალაქეებზე ბიუჯეტიდან გასაცემი თანხების ინვესტიციებში წარმართვას პერსპექტიულ სანარმოებში ან მოსახლეობაზე აქციების განაწილების გზით, ანაბრების კუთვნილი თანხების პროპორციულად;

– შეცდომად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოს მიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა დავალიანებების შიდა ვალად აღიარება. აღნიშნული დავალიანების დაფარვა შეიძლება მოხდეს სააქციო საზოგადოებებში სახელმწიფოს კუთვნილი აქციების გადაცემის გზით;

– სახელმწიფომ შიდა ვალად უნდა ცნოს მუშა-მოსამსახურეებსა და მოსახლეობაზე გაუცემელი ხელფასები და პენსიები. სახელმწიფომ მევალეების წინაშე ვალდებულება უნდა აიღოს და ისინი იურიდიულად აღიაროს შიდა კრედიტორებად.

რადგან ქვეყანაში საბიუჯეტო კრიზისის ფონზე შიდა ვალის გასტუმრება ვერ ხერხდება, საჭიროა გამოიძენოს შიდა ვალის გასტუმრების საკმაოდ რეალური და უპრობლემო გზა. კერძოდ, მევალეებმა ფულად გამოხატულებაში დაფიქსირებული საკომპენსაციო თანხის ნაცვლად უნდა მიიღონ საკუთრებაში მიწები, შენობები, სხვა უძრავი ქონება, სახელმწიფოთა აქციები, სხვადასხვა ფასიანი ქალაქები და ა.შ. აღნიშნული ქონების ღირებულება უნდა ჩაითვალოს პრივატიზებიდან ამოღებულ თანხებად და ფინანსთა სამინისტრომ ამ გზით დაფაროს ცალკეული შიდა ვალი, ან სახელმწიფომ გამოუშვას ობლიგაციები და მევალეებს მისცეს ვალის დაბრუნების მტკიცე გარანტიები.

### **2.3. საგარეო დავალიანების ძირითადი თანხის დაფარვისა და ვალის გრძელსადაცხადის (პროცენტების გადახდის) პრობლემები**

როგორც ვნახეთ, საქართველოს უზარმაზარი საგარეო ვალი დაუგროვდა, რომლის ოდენობა 2003 წლის იანვრის მდგომარეობით 2.1 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს.<sup>1</sup> ეს სხვადასხვა სახისა

---

<sup>1</sup> აქედან ვალის ნაშთი 2003 წლის 31 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 1774.6 მლნ აშშ დოლარს.

და სხვადასხვა პერიოდში აღებული ვალებია. აქედან დსთ-ს ქვეყნებზე (თურქმენეთი, რუსეთი, ყაზახეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, უკრაინა) მოდის 521.03 მლნ დოლარის სავალ ვალდებულება. ძირითადი მწველები არიან: თურქმენეთი (298.89 მლნ დოლარი) და რუსეთი (156.86 მლნ დოლარი).

საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე საქართველოს აქვს 961.34 მლნ დოლარის დავალიანება, აქედან მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდზე მოდის 815.31 მლნ დოლარი. ევროკავშირზე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდზე – 146.03 მლნ დოლარი.

საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების (ავსტრია, გერმანია, თურქეთი, ირანი, ჩინეთი) მიმართ დავალიანებამ შეადგინა 292.20 მილიონი დოლარი.

საქართველოს მიერ მიღებული კრედიტები სამ ჯგუფად იყოფა:

– *ტექნიკური კრედიტები*, რომელსაც საფუძვლად დაედო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან (რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უზბეკეთი) სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი დავალიანება;

– *სასაქონლო კრედიტები*, რომელიც წარმოქმნილია მონოდებული პროდუქციის (ბუნებრივი აირი, ხორბალი, სურსათი, მედიკამენტები, ტრანქტორები და სხვა) შედეგად (თურქმენეთის, უკრაინის, ჩინეთის, თურქეთის, ირანის და ევროგაერთიანების კრედიტები);

– *სარეაბილიტაციო კრედიტები* (რუსეთის მეორე და მესამე, გერმანიის, სსფ-ს, მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ფონდის კრედიტები), რომელიც მიმართულია ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის საჭიროებისათვის.

საქართველოს სავალ-საკრედიტო დოკუმენტების გარკვეული ნაწილი გაფორმებულია 1992-1994 წლებში. ამ დოკუმენტების შედგენის დროს საქართველოს მხარემ დაუშვა უხეში შეცდომები. მაგალითად, რუსეთის ვალის უდიდესი ნაწილი წარმოიქმნა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობებში

უარყოფითი ნაშთის შედეგად. რუსეთის მხარის მტკიცებით, საქართველომ რუსეთიდან შემოიტანა 135 მილიონი დოლარით მეტი ღირებულების საქონელი, ვიდრე რუსეთმა გაიტანა საქართველოდან. ჩვეულებრივ, სავაჭრო რეჟიმში ასეთი სახის დეფიციტი არ გამოიხატება საგარეო ვალში, მაგრამ ამ შემთხვევაში, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობა სპეციფიკურ სახელმწიფოთაშორისო შეთანხმების ფარგლებში ხორციელდებოდა, რის გამოც უარყოფითმა სავაჭრო სალდომ საგარეო ვალის სახე მიიღო. გარდა ამისა, საქართველოს ვალად დაენერა ნალდი ფულის ის მასა (როგორც საბჭოური, ასევე შემდგომ პერიოდში შემოტანილი რუსული მანეთები), რომელსაც სესხად კი არ ვლებულობდით, არამედ ცენტრიდან მოგვეწოდებოდა როგორც ერთიან სამანეთო სივრცეში მყოფ ქვეყანას, რომელზეც ვრცელდებოდა ნალდი ფულის ემისიის ყველასათვის საერთო რეჟიმი<sup>1</sup>.

რუსეთსა და საქართველოს შორის 1995 წლის ოქტომბერსა და 1995 წლის ბოლოს ხელი მოეწერა ხელშეკრულებათა პაკეტი, რომლის მიხედვით 1996 წელს რუსეთისაგან მივიღეთ 20-25 მილიარდი მანეთის ღირებულების სანვავი, რომლის საერთო ღირებულება დაახლოებით 10 მილიონი დოლარი იყო და რომელიც, ბუნებრივია, დაგვეწერა საგარეო ვალად და გაფორმდა პროცენტთან კრედიტად. ასე თანდათანობით დაგვიგროვდა უზარმაზარი საგარეო ვალი, რომელიც სერიოზულ პრობლემას გვიქმნის და შეგვიქმნის მომავალშიც.

როგორც აღვნიშნეთ, საგარეო ვალის წარმოქმნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო საგარეო ვაჭრობის უარყოფითი ბალანსი. მისი დაკრედიტება ხორციელდებოდა ორი ქვეყნის ეროვნული ბანკების მეშვეობით, ვინაიდან მაშინ საქართველოსა და რუსეთის კომერციულ ბანკებს არ ჰქონიათ პირდაპირი საკორესპონდენტო ურთიერთობები.

რუსეთის ცენტრალური ბანკი გამოუყოფდა საქართველოს ეროვნულ ბანკს განსაზღვრული რაოდენობის თანხას და უხსნიდა საკორესპონდენტო ანგარიშს. საქართველოს ეროვნული

---

<sup>1</sup> საბიუჯეტო ოფისის მასალები. თბ., 2000. გვ. 146-147.

ბანკი ასევე უხსნიდა რუსეთის ცენტრალურ ბანკს ანგარიშს იმავე ოდენობის თანხაზე. მას „ტექნიკურ კრედიტს“ უწოდებენ. შემდეგ იწყებოდა შემხვედრი გადარიცხვები საქართველოდან რუსეთში და, პირიქით, ძირითადად, საქონლის შესაძენად. წლის ბოლოს დაითვლებოდა, თუ ვინ რამდენი თანხა გადარიცხა (ანუ მიიღო შესაბამისი ქვეყნის ვალუტა შიდა ბაზარზე საქონლისა და მომსახურების შესაძენად). ამის შემდეგ გაიანგარიშებოდა უარყოფითი სალდო. თუ, მაგალითად, საქართველოს რუსეთში გადარიცხული ჰქონდა 20 მილიარდი მანეთი, ხოლო რუსეთს საქართველოში – 2 მილიარდი, სხვაობა – 18 მილიარდი იყო უარყოფითი სალდო და იგი ან უნდა დაფარულიყო მყარი ვალუტით, ან უნდა გაფორმებულიყო საგარეო ვალად.

1993 წლიდან 1995 წლის 20 ნოემბრამდე რუსეთის ფედერაცია ელექტროენერგიით ამარაგებდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს, ისე რომ, ამასთან დაკავშირებით, რუსეთსა და საქართველოს შორის სახელმწიფო დონეზე ხელშეკრულება არ ყოფილა გაფორმებული. ხელშეკრულება რუსეთთან დადებული ჰქონდათ მხოლოდ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კომერციულ სტრუქტურებს, მაგრამ მათ გარანტიად არ ედგა საქართველოს მთავრობა.

რუსეთმა აფხაზეთსა და სამაჩაბლოს რეგიონში მიწოდებული 1837.0 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგიის საფასურის საქართველოს მიერ გადახდა წმინდა პოლიტიკური მოტივაციებით მოითხოვა, რაც გაუმართლებელია. ასევე მიუტყევებელია „როსენერგოს“ პრეზიდენტის სახელზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის 1995 წლის 17 აგვისტოს გაგზავნილი წერილი, რომლითაც ეს თანხა სახელმწიფო საგარეო ვალად არის აღიარებული. აღნიშნული ფაქტი ქვეყნის თანამდებობის პირთა დაბალი პროფესიონალიზმის დადასტურებად უნდა ჩაითვალოს.

ასევე შეიძლება ითქვას თურქმენეთის (394 მლნ), ყაზახეთის (16.2 მლნ), უზბეკეთისა (1.0 მლნ) და უკრაინის (0.9 მლნ) მიმართ საქართველოს სავალო ვალდებულებებზე, რომელთა საერთო თანხამ 638.8 მლნ აშშ დოლარი, ანუ საქართველოს საგარეო ვალის საერთო თანხის 33,5 პროცენტი შეადგინა.



ქვეყნის შიგნით გაცემული უზარმაზარი სესხები აჩქარებდა ინფლაციას და ანადგურებდა მაშინდელ ეროვნულ ვალუტას - კუმონს, ხოლო ქვეყნის გარეთ გადარიცხული თანხები ვალად ედებოდა სახელმწიფოს. აქედან, რალაც ნაწილით მართლაც ხდებოდა რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან საქონლის შემოტანა (ძირითადად სახელმწიფო სტრუქტურების მიერ), მაგრამ ფულადი რესურსების დიდი მასა იღექებოდა თვით რუსეთის საბანკო სისტემაში, ან ხვდებოდა უცხოეთის ბანკებში ქართველი და რუსი თაღლითების ანგარიშებზე მყარი ვალუტის სახით<sup>1</sup>.

ანალოგიური სქემის შედეგი იყო საქართველოს მიერ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნების (რესპუბლიკების) წინაშე დაგროვილი ვალების დიდი ნაწილი.

საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური მონაცემებით, ამ კატეგორიის ვალებმა, რომელიც წარმოქმნილი იყო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების უარყოფითი სალდოს შედეგად, შეადგინა 184.4 მილიონი დოლარი იმ 638.2 მილიონი დოლარიდან, რომელიც წარმოგვეშვა დსთ ქვეყნებთან<sup>2</sup>.

საქართველოს საგარეო ვალების სტატისტიკის ამსახველ მაჩვენებლებში არ ფიგურირებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ცალკეული ქვეყნები (ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, ტაჯიკეთი და სხვა), სადაც ასევე წარმოებდა ანალოგიური გადარიცხვები. ამ ქვეყნებთან მოხერხდა საბანკო ანგარიშებზე უარყოფითი სალდოების განონასწორება და საკითხიც ალბათ ამიტომ მოგვარდა. რაც შეეხება რუსეთთან, თურქმენეთთან და ა.შ. ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილ ვალებს, ეს წმინდა წყლის ფინანსური თაღლითობის შედეგი იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი დავალიანებები სახელმწიფო კრედიტად გააფორმეს ისე, რომ მხედველობაში არ მიიღეს საქართველოს მიმართ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ანალოგიური დავალიანებები.

---

<sup>1</sup> გოცირიძე რ., ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება. თბ., 1999, გვ. 344.

<sup>2</sup> იქვე.

აღნიშნული „კრედიტები“ ფულადი ან საქონლის სახით საქართველოს ფაქტობრივად არ მიუღია. ამდენად, საქართველოს მთავრობის მიერ საბჭოთა პერიოდში ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკასთან სავაჭრო ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი სალდოს სახელმწიფო დავალიანებად (კრედიტად) აღიარება არა მხოლოდ შეცდომა, არამედ სასტიკი სახელმწიფოებრივი დანაშაულიცაა.

როგორც ვხედავთ, ვალების დიდი ნაწილი იძულებით, პოლიტიკური მოტივებით მოგვახვიეს თავს, როგორც უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილ ქვეყანას. მათი რაოდენობა ხელოვნურად გადიდებულია<sup>1</sup>.

გარდა რუსეთისა და თურქმენეთისა, საქართველოს აქვს დღეს სხვა ქვეყნების ვალებიც, რომელიც უარყოფითი საგარეო-სავაჭრო ბალანსის შედეგად დაგვეკისრა.

რაც შეეხება საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების ვალებს, მათი ოდენობა შედარებით ნაკლებია და წარმოქმნის ფორმაც განსხვავებული. ყველაზე მსხვილი კრედიტორი მათ შორის ავსტრიაა (უფრო ზუსტად, მისი ერთ-ერთი ბანკი), რომლის ვალი 110.50 მლნ დოლარი იყო (ახალი მონაცემებით 84.55 მლნ დოლარი), გერმანიის გვმართებს 68.88 მლნ დოლარი, თურქეთის – (პროცენტის ჩათვლით, დაახლოებით 54.34 მლნ.), ირანის – 12.83 მლნ, ჩინეთის – 2.80 მლნ დოლარი და ა.შ.

საქართველოს მთავრობამ, კრედიტორთა უმეტესობასთან გააფორმა ხელშეკრულება ვალების რესტრუქტურისა და ცივის შესახებ, რომელიც დაფარვის გადავადებას „ითვალისწინებს“. ზოგიერთ შემთხვევაში, პირველი ხუთი წელიწადი შელავათიანია, მომდევნო წლებში კი უნდა იქნეს გადახდილი დამატებითი თანხები წლიურად 4 პროცენტის ოდენობით. არ არის დასრულებული თურქეთის, ჩინეთის და ევროკავშირის დავალიანებათა რესტრუქტურისა და ცივის პროცესი.

ამ ვალებიდან ყველაზე უცნაურია ავსტრიის ვალი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ათი წელიწადია ქართულ მხარეს ეკისრება როგორც სახელმწიფო ვალი. 1999 წლამდე არსად არ ჩანდა<sup>2</sup>.

<sup>1</sup> გოცირიძე რ., ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება. თბ., 1999, გვ. 345-346.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 350.

საქართველოს მთავრობას როგორც ავსტრიის სახელმწიფოსაგან, ისე ავსტრიის კომერციული ბანკებისაგან სესხი არ აუღია. ავსტრიის კომერციულ ბანკ „კრედიტანშტალტიდან“ სესხი (პირველად 89.0 მლნ, ხოლო მეორედ 21.50 მლნ ამერიკული დოლარი) აიღო კომერციულმა სტრუქტურამ, ერთობლივმა ფირმა „მეტეხმა“ (თბილისსა და გუდაურში) სასტუმროების ასაშენებლად. ფირმას ორი დამფუძნებელი ჰყავდა: თბილისის ქალაქის საბჭო (ამჟამად ქალაქის მერია) და ავსტრიული ფირმა „აზვ“, სესხის გარანტი იყო თბილისის მერია, კონტრგარანტი საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. „მეტეხის“ მიერ სასტუმროების ასაშენებლად აღებული თანხა უნდა დაეფარათ თვით ამ იურიდიულ პირებს თავიანთი შემოსავლებიდან. მიუხედავად ამისა, ვალი საბოლოოდ საქართველოს დაეკისრა.

„მეტეხის“ თემა მრავალი საეჭვო (მათ შორის კრიმინალური) მომენტებით დახლართული პრობლემა<sup>1</sup>.

გასარკვევია, რატომ იკისრა საქართველოს მთავრობამ ავსტრიის მთელი ვალი? შეიძლება იმის გამო, რომ დაეფარა „მეტეხის“ ვალი და თავიდან აეცილებინა მისთვის საჯარიმო სანქციები. ასეთ შემთხვევაში, ამ უკანასკნელის აქციების მეპატრონე უნდა გამხდარიყო საქართველოს მთავრობა (ან სხვა ფორმით უნდა შეცვლილიყო ნილობრივი პრიორიტეტი). ეს კი ასე არ მომხდარა. დღეისათვის „მეტეხი“ არ არის სახელმწიფოს (ქონების მართვის სამინისტროს) ბალანსზე. ფაქტობრივად, ვალის გადახდაზე ვალდებულია სახელმწიფო, ხოლო ქონება და, შესაბამისად, მომავალი დივიდენდები ეკუთვნის სხვას ისე, რომ მას ფინანსური პასუხისმგებლობა არ აქვს დაკისრებული.

ავსტრიის ვალის საკითხი მოითხოვს ობიექტურ ანალიზს. მითუმეტეს, ახლახან „მეტეხის“ მართვის უფლება გადაეცა სხვა უცხოურ ფირმას. ამიტომ დასადგენია, თუ რა ფორმით მოხდება „მეტეხის“ მიერ ვალის დაფარვა და როგორ გააკონტროლებს ამ პროცესებს საქართველო<sup>2</sup>.

<sup>1</sup> გოცირიძე რ., ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება. თბ., 1999, გვ. 350.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 351-352.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საქართველოს აქვს ამერიკის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების ვალები, რომელიც ქვეყანას ენერგეტიკისა და სხვა დარგების განვითარებისათვის შეღავათიანი კრედიტების სახით ეძლეოდა. ამასთან, აღებული გვაქვს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ინსტიტუტების ვალები (იგულისხმება მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და ევროკავშირი)<sup>1</sup>.

მხოლოდ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვალებმა 815.31 მლნ დოლარს მიაღწია. ეს ძირითადად გრძელვადიანი კრედიტებია.

ამ ვალების ნაწილი საქონლის სახით, სხვა ნაწილი კი ბიუჯეტის ფინანსური სტაბილიზაციისათვის არის მიღებული, ან ეროვნულ ბანკს გადაეცა. სესხების ნაწილი (უპირატესად მსოფლიო ბანკის სესხები) სარეაბილიტაციო, ან ინვესტიციური ხასიათისაა და ა.შ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ უცხო ქვეყანასთან, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, განსაკუთრებით რუსეთთან, საქართველოს სახელმწიფო სესხები გაუფორმდა მეტად მძიმე პირობებით. მაგალითად, სომხეთთან და რუსეთთან დადებულ საკრედიტო ხელშეკრულებაში განისაზღვრა<sup>2</sup> (LIBOR + 2) საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი, რაც დაახლოებით 15-17 პროცენტს უდრის. ამ ფაქტმა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ექსპერტების გაკვირვება გამოიწვია, რადგან სესხის ასეთი მაღალი საპროცენტო განაკვეთი იშვიათობას წარმოადგენს მსოფლიო პრაქტიკაში<sup>2</sup>.

ასევე, რუსეთთან გაფორმებული კრედიტი იმთავითვე კაბალური პირობებით იყო მიღებული, რაზედაც მიუთითებს მკაცრი უშეღავათო ვადები, განვადების შეუძლებლობა და გირაოდ ჩადებულ სანარმოთა აქციები. ხელშეკრულების მიხედვით, თუნდაც ასეთი გადასახდელის გადაუხდელობის შემთხვევაში საქართველო ვალდებულია რუსეთს მეორე დღესვე გადაუხადოს სესხის მთლიანი თანხა. ამასთან, ხელშეკრულებით რუსეთს აქვს ფორმალური უფლება დავალიანების დაფარვის ანგარიშში

<sup>1</sup> გოცირიძე რ., ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება. თბ., 1999, გვ. 351-352.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 345-352.

თავის საკუთრებაში დაიტოვოს საქართველოს მიერ გირაოდ გადაცემული სააქციო საზოგადოება „ჭიათურმარგანეცისა“ და „ელექტროვაგონშემკეთებელი“ ქარხნების აქციების პაკეტი – 10.5 მლნ აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით<sup>1</sup>.

1997 წლის 17 იანვარს ხელი მოეწერა საქართველოს რუსეთისადმი დავალიანების რესტრუქტურირების ახალ შეთანხმებას, რომლითაც გაერთიანდა მანამდე მოქმედი სამივე საკრედიტო შეთანხმება.

რუსეთის სესხის რესტრუქტურირების შემდეგ, კვლავ ძალაშია საპროცენტო თანხის ვადის გადაცილების შემთხვევაში საჯარიმო განაკვეთი 4,5%-ის ოდენობით. თუ საპროცენტო თანხა არ იქნება დაფარული ვადის დადგომიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, მაშინ ხელშეკრულების მე-8 პუნქტის მიხედვით, აღნიშნული შეთანხმება კარგავს იურიდიულ ძალას და დგება კრედიტის მთლიანი თანხის დაუყოვნებელი დაფარვის საკითხი. ასევე LIBOR + 2 საპროცენტო განაკვეთით იყო მიღებული ყაზახეთის კრედიტი.

საქართველოს მაღალი საპროცენტო განაკვეთით გაუფორმდა აგრეთვე თურქეთის, გერმანიის და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კრედიტები: თურქეთის კრედიტი LIBOR+ 3; კავშირგაბმულობის სამინისტროსა და ფირმა „სიმენს“ შორის გაფორმებული გერმანული კრედიტი (7.25%-ით) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სამივე კრედიტი, შესაბამისად 7,2%; 6,6% და LIBOR+ 1 საპროცენტო განაკვეთებით. ზოგიერთი სესხი ერთჯერადი საკომისიო პროცენტული დანამატითა და სახელმწიფო გარანტიებით იყო აღებული.

1994 წლამდე საერთაშორისო კრედიტები საქართველომ მძიმე პირობებით მიიღო. სომხეთისა და თურქეთის ვალებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა LIBOR+1%-ს, ხოლო ყაზახეთის კრედიტზე – LIBOR+2%-ს ექვსთვიანი დეპოზიტისათვის. თურქეთის კრედიტზე წლიური საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი LIBOR+3%, ხოლო სომხეთის კრედიტზე კი 2X (LIBOR + 2%) -ს აღწევდა<sup>2</sup>.

<sup>1</sup> გოცირიძე რ., ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება. თბ., 1999, გვ. 345-352.

<sup>2</sup> იქვე.

მაგალითად, მეტად მიუღებელია თურქეთის საექსპორტო, საკრედიტო ბანკსა და საქართველოს ექსპორტ-იმპორტის ბანკს შორის ქ.ანკარაში 1993 წლის 12 თებერვალს დადებული ხელშეკრულების მე-9 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები.

აღნიშნული მუხლის პირობებმა ყოველგვარი სახის პასუხისმგებლობა მოუხსნა თურქ ექსპორტიორებს კონტრაქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე, ხოლო ქართველ იმპორტიორებს არ დაუტოვა არავითარი სამართლებრივი გარანტიები და მექანიზმები ექსპორტიორების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან არასათანადოდ შესრულების თავიდან აცილებისათვის.

ხელშეკრულების მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტში მითითებულია, რომ „საკრედიტო შეთანხმება შედგენილია და მისი მართვა ხდება ინგლისის კანონმდებლობის შესაბამისად“, აქედან გამომდინარე, ნებისმიერი პრეტენზიისა და დავის განხილვისას მხარეები ბრმად უნდა დამორჩილებოდნენ ლონდონის სასამართლო იურისდიქციას<sup>1</sup>.

მაღალი საპროცენტო გადასახადია დაფიქსირებული გერმანიის მესამე საკრედიტო შეთანხმებაშიც, რომელიც საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროსა და ფირმა „სიმენს“ შორის დაიდო 7,25%-იანი განაკვეთით და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (ერგბ) კრედიტებზე: 7,25% და 6,5%, LIBOR+1 წლიური საპროცენტო განაკვეთით. ამას ემატება ერთჯერადი საკომისიო 1-პროცენტიანი გადასახადი. აღსანიშნავია, რომ „სიმენსისა“ და ერგბ-ს კრედიტები კომერციული სახისაა და მიღებულია სახელმწიფო გარანტიით.

მისაღები პირობები და მაღალი გრანტ-ულემენტები (საკრედიტო თანხის წილი, რომელიც თითქმის გრანტის ტოლფასია და გვიჩვენებს, თუ რამდენად შეღავათიანია კრედიტი) გააჩნიათ ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციებიდან (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი, გერმანიის საკრედიტო დაწესებულება, იაპონიის საზღვარგარეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის ფონდი) მიღებულ კრედიტებს.

<sup>1</sup> *გოცირიძე რ.*, ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება. თბ., 1999, გვ. 345-352.

ყველაზე ხელსაყრელი პირობაა დადგენილი გერმანიის I და II კრედიტებზე, რომელიც გაცემულია გერმანიის საკრედიტო დაწესებულების მიერ და აქვთ 10 და 13-წლიანი შეღავათიანი პერიოდი. ანალოგიური პირობებია მსოფლიო ბანკის კრედიტებზეც. აზერბაიჯანის, სომხეთის, ირანის, ყაზახეთისა და უზბეკეთის კრედიტების რესტრუქტურირების შემდეგ გრანტ-ელემენტები ძირითადად მისაღებია. ასევე, შემდგომ მოხდა ჩინეთისა და თურქეთის კრედიტების ამ პირობებით გადავადებაც.

უხეშ დარღვევებს ჰქონდა ადგილი ამა თუ იმ ქვეყნის მიერ გამოყოფილი კრედიტების ათვისებისას. ხშირად საქართველოში აღებული საგარეო სესხების ანგარიშში შემოტანილია ისეთი საქონელი, რომელსაც არ საჭიროებდა მოსახლეობა. არ იყო გათვალისწინებული ქვეყნის მოსახლეობის სყიდვითუნარიანობა, ფასები, საქონლის ხარისხი, მოთხოვნისა და მიწოდების მოკლევადიანი პროგნოზები და ა.შ.<sup>2</sup> კონტრაქტების დროს არაა გათვალისწინებული შესასყიდი პროდუქტების ფასების სეზონური ცვლილებები, ანალოგიურ პროდუქციაზე მსოფლიო ფასების შესახებ ინფორმაციები და სხვ.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან არსებულ კრედიტების ათვისების მდგომარეობის შემსწავლელი ჯგუფების მოხსენებით ბარათებში ჩამოყალიბებულია კრედიტების ათვისების საქმეში გამოვლენილი ჩვენი სპეციალისტების მიერ გამოვლენილი უმწეობა და არაკომპეტენტურობა<sup>3</sup>.

საქართველოს მხარეს მეტი ძალისხმევა უნდა გამოეჩინა მოლაპარაკებების დროს კრედიტის მიღების პირობების ლიბერალიზაციის მისაღწევად, საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე.

(ასევე, სერიოზული შეცდომა იქნა დაშვებული ამ ვალების რესტრუქტურირებისას. სესხის დაფარვის ვადა განისაზღვრა 10 წლით, რომლის განმავლობაში, 2007 წლისათვის, საქართველომ რუსეთს უნდა დაუბრუნოს არა მხოლოდ 156.86 მილიონი დოლარი, არამედ ყოველწლიური 4-პროცენტიანი ჯარიმა,

---

<sup>1</sup> პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემები.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

ანუ დამატებით 102.40 მილიონი დოლარი. ამის შედეგად, რუსეთისათვის გადახდილი თანხის რაოდენობა მიაღწევს 259 მილიონ დოლარს.

თუ სხვა ქვეყნების ვალებზე რესტრუქტურისაციის ეს მეთოდი გავრცელდება, საქართველო 10-15 წლის შემდეგ ვალების გამოუვალ მახეში აღმოჩნდება. ამ პერიოდში მხოლოდ თურქმენეთის ვალზე ყოველწლიური პროცენტი ამ ვალს გაზრდის 157 მილიონი დოლარით, რის შედეგადაც თურქმენეთისათვის დასაბრუნებელი თანხის ოდენობა 456 მილიონი დოლარი იქნება<sup>1</sup>.

აქ არაფერს ვამბობთ სხვა სესხებზე, რომელთა რესტრუქტურისაციის სქემა ანალოგიურია, აგრეთვე იმ ვალდებულებებზე, რომელთა დაფარვის აუცილებლობა ან მალე დაგვიდგება, ან მოგვიანებით მოგვინევს, რაც არანაკლებ პრობლემებს შეგვიქმნის როგორც ეკონომიკის, ასევე საგარეო ურთიერთობების სფეროშიც.

(ამასთან, აშკარად შეინიშნება უცხოური ვალების მიღებისას დაბალი პროფესიონალიზმი, ვალების არასასურველი სტრუქტურა, ვალების აღებისადმი სწრაფის გაძლიერება, კრედიტების არამიზნობრივი ხარჯვა, მათი მაღალი სარგებლის განაკვეთი და ა.შ.; თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ, თუ არა უცხოური კრედიტები, ქვეყნის მოსახლეობის ცხვრების დონე კიდევ უფრო დაბალი იქნებოდა<sup>2</sup>.

ამდენად, საქართველოს მიერ მიღებული კრედიტების პირობები საპროცენტო განაკვეთების, ასევე დაფარვის ვადების თვალსაზრისით მეტად მკაცრი და ძნელად შესასრულებელი აღმოჩნდა.

აღნიშნულის გამო 1998-2001 წლებში საქართველომ საგარეო ვალების დასაფარავად გადაიხადა 316 მლნ დოლარი.

აქედან, ძირითადი ვალის გადახდილმა თანხამ შეადგინა 113.1 მილიონი დოლარი, ხოლო პროცენტების სახით გადახდილმა – 202.9 მილიონი დოლარი.

---

<sup>1</sup> პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემები.

<sup>2</sup> *ნ. მესხია*. საქართველოს საფინანსო პოლიტიკის თანამედროვე პრობლემები, კრებულში „გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში“. ტ.3. ფსკი, 1999 წ. გვ. 20-26.



საქართველოს საგარეო ვალის ძირითადი თანხისა და  
საპროცენტო თანხების გადასახდელები 2003-2014 წლებში  
(მლნ აშშ დოლარებში)<sup>1</sup>

ცხრილი №7

წელი	ძირითადი თანხის გადასახდელები	საპროცენტო გადასახდელები	სულ გადასახდელები
2003	118.88	42.53	161.41
2004	127.85	40.30	168.15
2005	135.74	37.17	172.91
2006	146.70	33.61	180.31
2007	130.82	30.22	161.04
2008	104.42	27.38	131.80
2009	122.19	24.50	146.70
2010	116.11	21.28	137.40
2011	86.75	18.13	104.88
2012	58.21	15.69	73.90
2013	59.80	14.18	73.99
2014	39.36	12.99	52.35
სულ	1.246.84	317.98	1.564.82

საგარეო ვალების მომსახურება ხორციელდება ამსტერდამის ბანკში თანხების გადარიცხვით. საქართველო ამსტერდამის ბანკში ყოველკვარტალურად რიცხავს ათეულ ათასობით აშშ დოლარს, მაგრამ ეს თანხები საკმარისი არაა მარტო ვალების პროცენტების დასაფარავადაც კი.

აღნიშნული თანხების დაფარვა ხდებოდა როგორც ბიუჯეტიდან, ასევე ეროვნული ბანკის მიერ, თანხების ნაწილი დაიფარა აგრეთვე კერძო კომერციული ბანკის მიერაც (რომელთაც მთავრობა დაუდგა გარანტიად სესხების აღების დროს).

<sup>1</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის დეპარტამენტის მონაცემები.

საქართველოს საგარეო ვალის ძირითადი და საპროცენტო თანხების გადასახდემები 2003-2014 წლებში კრედიტორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების მიხედვით (მლნ აშშ დოლარებში)<sup>1</sup>  
ცხრილი №8

წელი	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
სულ გადასახდემები	161.41	168.15	172.91	180.31	181.04	131.80	146.70	137.40	104.88	73.90	73.89	52.35
ძირითადი თანხის გადასახდემები	118.88	127.85	135.74	146.70	130.82	104.42	122.19	116.11	86.75	58.21	59.80	39.35
1. სომხეთი	3.82	3.82	4.01	0.12	0.15	0.19	0.22	0.28	0.31	0.36	0.41	0.46
2. ვაშტრია EUR	0.15	0.18	0.20	0.23	0.26	0.29	0.31	0.34	0.37	0.00	0.00	0.00
3. ესტონია EUR	4.71	5.56	6.61	7.40	8.30	8.19	10.09	10.89	11.89	0.25	0.28	0.32
4. აზერბაიჯანი	3.24	3.24	3.28	3.29	0.08	0.08	0.09	0.11	0.13	0.15	0.17	0.19
5. ჩინეთი	0.68	0.68	0.02	0.02	0.03	0.03	0.04	0.05	0.05	0.06	0.07	0.08
6. ირანი	2.57	2.57	2.80	1.97	0.06	0.08	0.09	0.11	0.13	0.15	0.17	0.18
7. ყაზახეთი	5.55	5.55	5.66	0.17	0.22	0.28	0.32	0.37	0.44	0.50	0.58	0.68
8. რუსეთი	22.14	22.41	22.93	23.10	23.28	1.06	1.27	1.51	1.76	2.03	2.33	2.65
9. თურეთი	5.72	5.72	5.79	5.81	5.83	5.88	5.88	5.91	3.08	0.28	0.30	0.34
10. თურქმენეთი <sup>2</sup>	15.72	15.72	17.58	18.14	18.77	19.45	20.19	21.01	21.90	7.15	8.19	9.32
11. უზბეკეთი	0.20	0.20	0.21	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.02	0.02	0.02	0.02
12. უკრაინა	0.18	0.18	0.00	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.02	0.02	0.02
13. ვაშტრია	0.77	0.77	0.77	0.77	0.77	0.77	0.77	0.77	0.77	0.84	0.84	0.84
14. ვაშტრია	0.57	0.57	0.57	0.57	0.57	0.57	0.57	0.57	0.57	0.57	0.57	0.57
15. ვაშტრია	0.00	0.19	0.19	0.19	0.19	0.19	0.19	0.19	0.19	0.19	0.19	0.19
16. ჩინეთი	0.08	0.08	0.11	0.11	0.30	1.41	3.40	3.68	3.88	4.10	4.10	4.10
17. თაილანდი	-	-	-	-	-	2.18	2.18	2.18	2.18	2.18	2.18	2.18
18. ჩინეთი	-	-	1.04	1.04	1.04	1.04	1.04	1.04	1.04	1.04	1.04	1.04
19. მსოფლიო ბანკი	-	-	-	-	-	18.14	18.14	18.14	19.14	19.14	19.14	-
20. ევროპის რეკონსტრ. და განვ. ბანკი	-	0.33	1.52	3.57	6.17	8.77	10.80	12.91	15.05	15.37	15.37	15.70
21. სოფ. მეურნ. განვ. სავაჭრო ბანკი	-	-	-	-	0.21	0.21	0.21	0.21	0.49	0.49	0.49	0.49
22. ევროპ. რეკონსტრ. და განვ. ბანკი	8.99	8.99	8.99	8.23	7.65	7.08	7.19	5.58	3.37	3.37	3.37	-

23. საერთო საგარეო ურთიერთობების სამსახურის ხარჯები	42.50	50.00	52.75	71.94	56.94	45.69	39.19	29.19	-	-	-	-
აპგსახდელუები	0.68	0.52	0.38	0.23	0.23	0.23	0.22	0.21	0.20	0.20	0.18	0.17
1. სოფელი	0.09	0.09	0.08	0.07	0.06	0.05	0.04	0.03	0.01	0.00	0.00	0.00
2. აუტორი E:R	3.11	2.92	2.69	2.40	2.08	1.75	1.37	0.95	0.50	0.13	0.13	0.12
3. აუტორი F:R	0.45	0.35	0.25	0.18	0.09	0.09	0.09	0.09	0.09	0.06	0.07	0.07
4. აუტორიჯგანი	0.10	0.07	0.05	0.05	0.05	0.05	0.05	0.05	0.04	0.04	0.04	0.04
5. რიგითი	0.36	0.28	0.20	0.12	0.09	0.09	0.09	0.09	0.08	0.06	0.07	0.07
6. ორანი	0.78	0.61	0.44	0.33	0.32	0.32	0.31	0.30	0.29	0.27	0.26	0.24
7. უბახვითი	5.88	4.97	4.07	3.15	2.22	1.73	1.68	1.62	1.56	1.49	1.40	1.30
8. რუსეთი	2.09	1.66	1.62	1.39	1.15	0.92	0.68	0.45	0.21	0.14	0.13	0.12
9. თურქეთი	14.43	13.51	12.53	11.50	10.46	9.40	8.29	7.16	5.99	5.15	4.85	4.51
10. თურქმენეთი	0.03	0.03	0.02	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.01
11. უზბეკეთი	0.02	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.01
12. უნდაბა	0.49	0.47	0.45	0.43	0.41	0.39	0.36	0.36	0.34	0.31	0.30	0.28
13. აგმ - 20	14. აგმ - 15	0.22	0.28	0.27	0.26	0.25	0.24	0.23	0.22	0.20	0.19	0.18
15. აგმ - 5	0.07	0.07	0.07	0.10	0.09	0.09	0.08	0.08	0.07	0.07	0.07	0.06
16. აგრანტი K+M	0.65	0.76	0.83	0.89	0.90	0.90	0.89	0.86	0.83	0.80	0.77	0.74
17. ოპონია	0.49	0.81	1.03	1.03	1.03	1.02	0.97	0.91	0.86	0.82	0.76	0.71
18. ქვედათი	0.28	0.50	0.49	0.48	0.43	0.40	0.37	0.34	0.31	0.27	0.24	0.21
19. მსოფლიო ბანკი	3.30	3.31	3.30	3.30	3.30	3.31	2.98	2.32	1.66	1.00	0.33	-
20. ევროპის რეჯიონები და გავ. ბანკი	3.83	4.39	4.85	4.70	4.70	4.85	4.59	4.50	4.40	4.28	4.17	4.05
21. სოფ. მეურნ. გან. საერთომ. რიგითი	0.05	0.07	0.08	0.09	0.09	0.10	0.11	0.10	0.10	0.10	0.09	0.09
22. ევროპული რიგითი	3.41	2.92	2.38	1.89	1.50	1.16	0.83	0.54	0.36	0.23	0.10	-
23. საერთო საგარეო ურთიერთობების ხარჯები	1.84	1.50	1.28	1.03	0.71	0.47	0.27	0.11	-	-	-	-

1 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები 2003 წლის 1 იანვრის მდგომარეობით  
2 აქ არ შედის თურქმენეთის ვალის ის საპროცენტო და საჯარიმო გადასახდელუები, რომელიც დაგროვდა 2001-2002 წლებში და არ არის დაფარული 2003 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ამ თანხებიდან ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდისადმი ძირითადი ვალის გადახდელი თანხა შეადგენს 80.6 მილიონ ლარს (41.1 მილიონ დოლარს), ხოლო დარიცხული პროცენტის გადახდელი თანხა – 51.6 მილიონ ლარს (26.3 მილიონ დოლარს), რაც მთლიანად შეადგენს 132.2 მილიონ ლარს (67.4 მილიონ დოლარს). რაც შეეხება სახელმწიფო გარანტიით აღებულ ვალს საფინანსო ორგანიზაციებიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, (გერმანია) ძირითადი ვალის გადახდილმა თანხამ შეადგინა 18.57 მილიონი ლარი (9.48 მილიონი დოლარი), ხოლო დარიცხულმა პროცენტებმა – 23.72 მილიონი ლარი (12.10 მილიონი დოლარი), სულ: 42.29 მილიონი ლარი, ანუ 21.58 მლნ დოლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ თანხების ნაწილი დაფარულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

2001 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ძირითადი ვალის დასაფარავად გამოიყო 69 მილიონი ლარი, ხოლო საგარეო ვალის მომსახურებისათვის – 96 მილიონი ლარი, მაშინ, როდესაც დასაფარი თანხის მოცულობა (თურქმენეთის 1998-2000 წლის დავალიანების ჩათვლით) გაცილებით მეტი იყო. ამდენად, 2001 წლის დავალიანება სრულყოფილად ვერ იქნა დაფარული.

მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე განხორციელდა საქართველოს საგარეო ვალების შეღავათიანი პირობებით რესტრუქტურირზაცია, ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები საკმარისი არაა. ე.ი. ვალის ძირითადი თანხისა და მომსახურების (პროცენტების) გადახდის პირობებში არსებობს სერიოზული პრობლემები. აღნიშნულის შესახებ ნათელ წარმოდგენას ქვემოთ მითითებული მონაცემები გვაძლევს.

მაშასადამე, საქართველომ 2003-2014 წლებში უნდა გადაიხადოს საგარეო დავალიანების ძირითადი თანხა 1.246.84 მლნ აშშ დოლარი და სესხის მომსახურების პროცენტის თანხა – 317.98 მლნ აშშ დოლარი (მთლიანად 1.564.82 მლნ აშშ დოლარი, ანუ ქვეყნის საგარეო ვალის მთლიანი თანხის 88,2%) მომდევნო წლებში კი, ამ მხრივ მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება.

საგარეო დავალიანებების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველომ უნდა გადაიხადოს 2003-2007 წლებში. 2002 წლამდე მთლიანად უნდა დაიფაროს თურქმენეთის კრედიტის ძირითადი თანხა, ხოლო 2006 წლისათვის აგრეთვე მთლიანად უნდა გადაიხადოს რუსეთის დავალიანებაც.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, 2003-2007 წლებში საგარეო ვალების მომსახურებისათვის საჭირო იქნება დაახლოებით 1.750 მლნ ლარი, ანუ 843.82 აშშ დოლარი. ბუნებრივია, საქართველოს ამის შესაძლებლობა აღნიშნულ წლებში არ ექნება, რადგან საგარეო ვალის მომსახურების ვადადამდგარი გადასახდელების სრულად დაფარვისათვის 2003-2007 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების 35-40 პროცენტი იქნებოდა საჭირო. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ თანხას დაერიცხება საჯარიმო პროცენტებიც.

როგორც ეს ქვეყნის საგარეო ვალების დინამიკისა და სტრუქტურის ანალიზმა გვიჩვენა, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მოქმედებდა კრედიტორებთან მიღწეული შეთანხმებები, რომლის მიხედვით ვიხდით მხოლოდ ვალის პროცენტს და არა მის ძირითად ნაწილს. 2003-2005 წლებში კი ეს ე.წ. შეღავათიანი პერიოდი მთავრდება.

მაშასადამე, თუ დროულად არ მოხერხდა ამ ვალების ხელსაყრელი პირობებით განვადება, საქართველო მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან მას 2003 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველკვარტალურად გადასახდელი ექნება ასეულობით მილიონი დოლარი – საგარეო სესხების ძირითადი თანხებისა და მათზე სარგებლობის თანხების დასაფარავად. ეს კი გამოიწვევს სოციალური და სხვა სახის პროგრამების დაფინანსების მნიშვნელოვანწილად შემცირებას.

როგორც ვხედავთ, საქართველოს საგარეო დავალიანების დასაფარავი თანხა (რომელიც შეიცავს ძირითად და მომსახურების საპროცენტო თანხებს და ვადაგადაცილებულ დავალიანებაზე დარიცხულ საჯარიმო თანხას) ყოველთვის აღემატება ნებისმიერი მომდევნო წლის ბიუჯეტის შესაძლებლობებს.

ამდენად, საგარეო ვალების მომსახურების საკითხი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს

პრობლემად რჩება და მთავრობის ფისკალური პოლიტიკის მკვეთრი გაუმჯობესების გარეშე, არსებული საბიუჯეტო კრიზისის კიდევ უფრო მეტად გაღრმავების რეალური საფრთხეა მოსალოდნელი.

გადახდაუუნარობის კრიზისის დაძლევა შეიძლება განხორციელდეს: რეფინანსირების, კონსოლიდაციის, გადასახადების გაყინვის, სესხის დაფარვის შეღავათიანი პირობების დაწესების (რესტრუქტურზაციის), ვალების ჩამოწერისა და ვალების გადახდაზე უარის თქმის გზით<sup>1</sup>.

სუსტად განვითარებული ქვეყნების სავალო კრიზისის დაძლევის გზა – ვალების პატიება, ანუ ჩამოწერა, მაგრამ საოცარი იქნებოდა გვეფიქრა, კრედიტორები, რომლებსაც 80-იანი წლების მწარე გამოცდილება აქვთ, ადვილად გაიმეტებენ საკუთარ სახსრებს.

*რეფინანსირება* გულისხმობს ძველი დავალიანების დაფარვას ახალი კრედიტების აღებით. რეფინანსირება მძიმე პირობებში აყენებს მსესხებელ ქვეყანას. პრაქტიკაში ხდება ასევე კრედიტორი ქვეყნების საგარეო დავალიანებების კონვერსია სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებებში, ფასიან ქალაქებში და ა.შ. ასეთ შემთხვევაში უცხოელი კრედიტორები ინვესტირებად იქცევიან და მათ ხელში გადადის ქვეყნის კაპიტალის გარკვეული ნაწილი.

*კონსოლიდაციის* დროს იცვლება ვალის მომსახურებაზე აღებული ვალდებულებები. იგი ძირითადად ხორციელდება დავალიანების დაფარვის რეჟიმის შეცვლით. წესდება შეღავათიანი ვადები.

*რესტრუქტურზაცია*. თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პარალელურად საგარეო ვალების გადაუხდელობის მასშტაბების ზრდამ დღის წესრიგში დააყენა ვალების მართვის ახალი სქემებისა და მეთოდების ძიების პრობლემა. ადრინდელ ეტაპზე, როდესაც საგარეო ვალების მასშტაბები შედარებით მცირე იყო, მათი მართვა ძირითადად ხორციელდებოდა სახელმწიფოებს შორის ორმხრივი შეთანხმე-

---

<sup>1</sup> Russia to join Paris club of Creditor Nations 1997 Summit of the Eight.

ბით. მართვის არსებული ავტონომიური მოდელი შეიცვალა ინტეგრირებული მოდელებით, ძირითადად „ლონდონის კლუბისა“ და „პარიზის კლუბის“ მეშვეობით<sup>1</sup>.

„ლონდონის კლუბი“ აერთიანებს კრედიტორ კომერციულ ბანკებს და წარმოადგენს მსოფლიოში აღიარებულ სტრუქტურას მსესხებელსა და კრედიტორს შორის მოლაპარაკებებისათვის.

რაც შეეხება „პარიზის კლუბს“, იგი აერთიანებს კრედიტორ ქვეყნებს. აღნიშნულ არაფორმალურ ორგანიზაციაში კრედიტორი და მსესხებელი ქვეყნები ანარმოვებენ მოლაპარაკებებს რესტრუქტურისა და განხორციელებისათვის, ეს გულისხმობს კრედიტორის მიერ მსესხებლისადმი გარკვეულ დათმობებს და შეღავათებს, რაც გამოიხატება ვალის გადახდის ვადების გახანგრძლივებაში, ან თავდაპირველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთების შემცირებაში<sup>2</sup>.

„პარიზის კლუბი“ ინდუსტრიულად განვითარებული კრედიტორი ქვეყნების არაოფიციალური გაერთიანებაა. მისი სხდომები თვეში ერთხელ, პარიზში ტარდება, სადაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები კრედიტორებსა და დებიტორებს შორის. „პარიზის კლუბის“ წევრობა ფიქსირებული არ არის, ამიტომ სამუშაო სხდომებში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ კრედიტორს, თუ ის ეთანხმება კლუბის ძირითად პრინციპებს და პროცედურებს.

„პარიზის კლუბი“ მნიშვნელოვან დახმარებას უწევს იმ ქვეყნებს, რომლებსაც საგარეო ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული სირთულეები აქვთ.

თუ მონაწილე კრედიტორთა რიცხვი სამს არ აღემატება, რესტრუქტურისა და განხორციელებისათვის მოლაპარაკებები არ იმართება. ორმხრივი მოლაპარაკებების დროს „პარიზის კლუბის“ წევრი კრედიტორები განსაზღვრავენ რესტრუქტურისა და განხორციელების კონკრეტულ პირობებს და დოკუმენტურად ასახავენ მათ ე.წ. „შეთანხმებულ ოქმში“.

<sup>1</sup> The Paris Club U.S. Department of State. 2000. Pg. 2.

<sup>2</sup> გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები. ტ. V, ფსკი, თბ., 2001, გვ. 19.

„შეთანხმებული ოქმის“ შესაბამისად, დებიტორი ვალდებულია უმოკლეს ვადაში გააფორმოს თითოეულ კრედიტორთან ორმხრივი ხელშეკრულება.

„პარიზის კლუბი“ თავის მოღვაწეობაში იყენებს მტკიცედ განსაზღვრულ მეთოდებს, პრინციპებსა და პროცედურებს:

ა) *კონსენსუსი* – „პარიზის კლუბის“ მიერ არც ერთი გადანყვეტილება არ იქნება მიღებული, თუ მას არ ეთანხმება აუცილებლად ყველა კრედიტორი ქვეყანა;

ბ) *კრედიტორებს შორის სოლიდარობა* – არც ერთი კრედიტორი არ ცდილობს მიიღოს დებიტორისაგან სხვა კრედიტორებისაგან განსხვავებული და უკეთესი პირობები;

გ) *პირობები* – „პარიზის კლუბი“ ეთანხმება საგარეო ვალუბის რესტრუქტურისაგან მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დებიტორ ქვეყანაში არსებობს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მხარდამჭერი პროგრამა;

დ) *პირობების ურთიერთშესადარისობა* – მონაწილე კრედიტორს არ აქვს უფლება მოითხოვოს ნაკლებად მისაღები პირობები, ვიდრე ეს „პარიზის კლუბთან“ დადებული მრავალმხრივ შეთანხმებებში არის გათვალისწინებული;

ე) *კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე ქმედებანი* – ნებისმიერი გადანყვეტილება, რომელსაც კრედიტორ ქვეყანასთან მიმართებაში „პარიზის კლუბი“ იღებს, კონკრეტული ეკონომიკური და ფინანსური სიტუაციის შეფასებას უნდა ეფუძნებოდეს.

კრედიტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ დებიტორს არა აქვს ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა, თუ მას არ შეუძლებულია საგარეო ვალი. ამასთან, კრედიტორები დებიტორებისაგან მოითხოვენ სათანადო ღონისძიებების გატარებას, რომლებიც აღმოფხვრიან იმ მიზეზებს, რაც ხელს უშლის ქვეყნის გადახდისუნარიანობას.

ვალების გადაუხდელობის პრობლემის გამწვავების პარალელურად საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ მუშავდება ვალების რესტრუქტურისაგან ახალი პირობები და მეთოდები<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> Звонова Е. А. Международное внешнее финансирование в современной экономике. М.: Экономика, 2000, стр. 170.



„პარიზის კლუბი“ საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებისათვის ყოველთვის ადგენდა ე.წ. „სტანდარტულ პირობებს“, მაგრამ მათთვის 1990 წლიდან დაშვებული იქნა უფრო შეღავათიანი პირობები, რომელიც „პიუსტონის პირობები“-ს სახელწოდებითაა ცნობილი და ვრცელდება იმ ქვეყნებზე, რომელთა შემოსავლები საშუალოზე ნაკლებია. „პიუსტონის პირობების“ თანახმად, სესხის დაფარვის ვადაა 20 წელი, შეღავათიანი პერიოდი – 10 წელი, ხოლო საპროცენტო განაკვეთი საბაზროა<sup>1</sup>.

„პარიზის კლუბის“ ფარგლებში შემუშავებულ იქნა ე.წ. „ტორონტოს პირობები“, რომელიც ითვალისწინებს სავალო ვალდებულებების შემცირებას 1/3-ით; „ტორონტოს პირობების“ გამოყენებით 20-ზე მეტმა ქვეყანამ განახორციელა საგარეო ვალების რესტრუქტურირება. ასევე შემუშავებულ იქნა „ლონდონის პირობები“. ამ შეთანხმებით მთელ რიგ ქვეყნებს ჩამოენერათ ვალების 50 პროცენტი, ხოლო ზოგიერთს 50 პროცენტით შეუმცირეს საპროცენტო გადასახდელები, ე.წ. „ლონდონის პირობები“ ძალაში იყო 1994 წლის ბოლომდე. ამ პირობებით ვალების რესტრუქტურირება მოახდინა 23-მა ქვეყანამ 9.1 მლრდ დოლარის მოცულობით<sup>2</sup>.

90-იანი წლების დასაწყისიდან სულ უფრო დიდი გავრცელება მოიპოვა, ე.წ. „დიფერენციულმა გრაფიკმა“, რომელიც გულისხმობს ვალის დაფარვის 15-წლიან პერიოდს, მათ შორის შეღავათიანი პერიოდი 2-3 წლით განისაზღვრება.

1994 წლის დეკემბრიდან პარიზის კლუბის ფარგლებში ტორონტოსა და ლონდონის პირობები შეიცვალა „ნეაპოლის პირობებით“, მისი სქემით რესტრუქტურირება საშუალებას აძლევს ღარიბ და დიდი დავალიანების მქონე ქვეყნებს მნიშვნელოვნად შეიმსუბუქონ სავალო წნეხის სიმძიმე. ნეაპოლის პირობების თანახმად, მოვალე ქვეყანას საშუალება ეძლევა ვალის ძირითადი ნაწილის გადახდა გადანოს 3 წლამდე ვადით.

---

<sup>1</sup> Титков В. Реструктурирование внешнего долга. Журн. „Экономист“, 1998, №2 стр. 90.

<sup>2</sup> Там же, стр. 91.

ამასთან, ვალის რესტრუქტურისა და ვალის ერთ-ერთი მოთხოვნა, მსესხებელი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდეს 500 აშშ დოლარზე ნაკლებს, ან საგარეო ვალის შეფარდება ექსპორტის მოცულობასთან იყოს 200-250 პროცენტის ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში ჩამოენერება ვალის მთლიანი მოცულობის (ან მისი საპროცენტო განაკვეთის) 67 პროცენტამდე.

საგარეო ვალების რესტრუქტურის პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება აგრეთვე 1990 წელს შემოღებული „ჰიუსტონის პირობები“, რომლის თანახმად, „პარიზის კლუბის“ ჩარჩოებში ერთ სულ მოსახლეზე დაბალი შემოსავლის მქონე დებიტორ ქვეყნებს ეძლევათ ვალების გადახდის ვადების გახანგრძლივებისა და საპროცენტო განაკვეთების შემცირების შესაძლებლობა. შესაძლებელია მოხდეს მათი ვალების კონვერსია (გადაანგარიშება) აქციებზე ან ეროვნულ ვალუტაზე. ჰიუსტონის პირობების მიხედვით, საშუალო შემოსავლებისა და საშუალო დავალიანებების მქონე ქვეყნებს საშუალება ეძლევათ თავიანთი ოფიციალური დავალიანება გადაავადონ 20 წლით, აქედან 10-წლიანი პერიოდი იქნება შეღავათიანი<sup>1</sup>.

გასული საუკუნის მიწურულს შემუშავდა მთელი რიგი ახალი მიდგომები საგარეო-დავალიანებათა პრობლემების დასაძლევად. მათ შორის მნიშვნელოვანია ე.წ. „ბეიკერის გეგმა“, რომელიც ითვალისწინებს ვალების რეფინანსირების პროცესის გაგრძელებას, ანუ დავალიანების მქონე ქვეყნებისათვის ახალი სესხების გაცემას დაკრედიტების ფორმებისა და პირობების შეუცვლელად, თუმცა ამ მოდელმა ფართოდ გამოიყენება ვერ გამოვა პრაქტიკაში.

ასევე შემუშავებულ იქნა კომერციული ვალების რესტრუქტურისა და ვალის სპეციფიკური ვარიანტი, რომელიც, თავის მხრივ, ორ ძირითად ფორმას მოიცავს: *პირველი*, ეს არის დავალიანებათა შემცირება სავალ ვალდებულებათა საერთაშორისო ასოციაციის ფონდის ხარჯზე გამოსყიდვით; *მეორე* ფორმას წარ-

---

<sup>1</sup> Звонова Е. А. Международное внешнее финансирование в современной экономике. М.: Экономика, 2000, стр. 172.

მოადგენს ვალის, ან მისი მომსახურების ხარჯების შემცირება „ბრეიდის გეგმის“ ჩარჩოებში.

ვალების ჩამონერისათვის საჭიროა დებიტორი ქვეყნის მიერ ისეთი ეკონომიკური განვითარების პროგრამის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებულ იქნება ფულად მასაზე კონტროლის დაწესება, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, პრივატიზების შემჭიდროებულ ვადებში ჩატარება. „ბრეიდის გეგმა“ აგრეთვე ითვალისწინებს განვითარებული ქვეყნების მიერ საგარეო ფინანსურ დავალიანებათა შესყიდვას საბაზროზე უფრო დაბალ ფასებში, ვალების გარდაქმნას ფასიან ქალაქებად უფრო დაბალ ნომინალებში, ან უფრო დაბალ პროცენტებში.

როგორც დავინახეთ, პრაქტიკაში არსებობს საგარეო ვალების მართვის მრავალი ფორმა და მიდგომა, თუმცა დღეისათვის მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებს იმდენად დიდი დავალიანებები დაუგროვდათ, რომ დღის წესრიგში დადგა ვალების რესტრუქტურულიზაციის ახალი მოდელების შემუშავების და გამოყენების აუცილებლობა. ამ მიზნით, გასული საუკუნის 90-იან წლებში შემუშავებულ იქნა ე.წ. „სავალო ფარდულის“ თეორია, რომლითაც განსაზღვრულია ერთის მხრივ, იურიდიული და ფიზიკური პირების, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიერ აღებული დავალიანებების დაფარვის შესაძლებლობები. საქმე ისაა, რომ ბიზნესის და ქვეყნის (სახელმწიფოს) დაკრედიტება თავისი ფორმითა და შინაარსით ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

პირველს კრედიტის უზრუნველსაყოფად უნდა ჰქონდეს გარკვეული ქონებრივი გარანტიები, ხოლო სახელმწიფოსათვის სესხის გაცემის შემთხვევაში მხედველობაში არ მიიღება ქონებრივი გარანტიები. ამ შემთხვევაში ერთადერთ „გარანტიად“ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლები.

იურიდიული და ფიზიკური პირებისა და სახელმწიფოს საგარეო დაკრედიტებას შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს.

იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში ისინი გამოცხადდებიან გაკოტრებულებად და კრედიტორი მათი დარჩენილი აქტივებიდან ვალს მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც დაიბრუნებს, ხოლო

მეორე შემთხვევაში, სახელმწიფოს დეფოლტად (გაკოტრებულად) გამოცხადების პირობებში კრედიტორს ვალის დაბრუნების არანაირი შანსი არ რჩება. ამ მიზნით, იგი იძულებულია დაეხმაროს მსესხებელ ქვეყანას. მსესხებელი ქვეყანა მაქსიმალურ ზომებს იღებს ვალების რესტრუქტურისა და მისი წნეხის შემსუბუქებისათვის, ხოლო კრედიტორი მხარე, თავის მხრივ, იმის შიშით, რომ მთლიანად არ დაკარგოს გასესხებული თანხა, იძულებულია დათანხმდეს გარკვეულ კომპრომისს ვალის რესტრუქტურისა და სხვადასხვა მოდელის ჩარჩოებში. ასეთია მოკლედ საგარეო ვალის მართვის ეკონომიკურ-ფინანსოლოგიური საფუძვლები.

*გადასახადების გაყინვა და დაფარვის ვადების გადავადება* საგარეო დავალიანების სიმძიმის შემსუბუქების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. ამ შემთხვევაში მოვალე ქვეყნებსა და კრედიტორებს შორის ხდება შეთანხმება – დავალიანების გარკვეული ვადით გადავადებისა და გადახდის გაყინვის შესახებ (მევალე ქვეყანას არ დაერიცხება და არ გადახდება მომსახურების საპროცენტო თანხა, არა უმეტეს 50 პროცენტისა).

თანამედროვე ეტაპზე საგარეო ვალების ტვირთის შემსუბუქების პრობლემა ფართო დისკუსიის საგანია. არის შემთხვევები, როცა მთავრობები უარს ამბობენ წინა ხელისუფლების მიერ აღებული სესხების გადახდაზე და აყენებენ საკითხს ამ ვალების ჩამონერის შესახებ.

*ქვეყანამ, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას ვალის არ გადახდის შესახებ (რასაც ეწოდება „დეფოლტი“), უნდა გაითვალისწინოს მის მიმართ მოსალოდნელი შეზღუდვების სიმძიმე. კერძოდ, განვითარებული ქვეყნები და საერთაშორისო – საფინანსო ორგანიზაციები მის წინააღმდეგ განახორციელებენ მთელ რიგ სანქციებს, როგორცაა:*

*1. მოვალე ქვეყნების რეზიდენტების საკუთრებაში არსებული საზღვარგარეთული აქტივების ყადაღა; კრედიტორები დაარწმუნებენ თავიანთ მთავრობებს, დაადონ ყადაღა მოვალე ქვეყნების რეზიდენტების საკუთრებაში არსებულ საზღვარგარეთულ აქტივებს, აგრეთვე, საქონელს, რომელიც მოვალე ქვეყნის საერთაშორისო ვაჭრობის ობიექტია და იმყოფება*

კრედიტორი ქვეყნის ტერიტორიაზე. მაგალითად, 1986 წელს პერუს მთავრობამ დაიბრუნა აშშ-ში შესანახად მიღებული ოქროსა და ვერცხლის მარაგი, საერთო თანხით 700 მლნ დოლარი, რადგან პერუს გაუჩნდა საგარეო ვალების გადახდის სერიოზული პრობლემები და შიშობდა, რომ კრედიტორებს მის ძვირფას ლითონებზე ყადაღა არ დაედოთ;

2. *მოვალე ქვეყნის კაპიტალის საერთაშორისო ბაზრიდან განდევნა-იზოლირება.* არსებობს საშიშროება, რომ ქვეყანა, რომელმაც უარი განაცხადა საგარეო ვალების გადახდაზე, განდევნილი იქნეს კაპიტალის საერთაშორისო ბაზრიდან. თუ მოვალე ქვეყანა შეძლებს აილოს ახალი სესხი, მაშინ ძველი კრედიტორები შეეცდებიან მოითხოვონ ეს ვალი თავიანთი ვალის დასაფარავად. ამ შემთხვევაში მოვალეს ამოეწურება საგარეო სესხების მიღების იმედი და ქვეყანას დაემუქრება პოლიტიკური სტაბილურობის დაკარგვის საშიშროება.

3. *მოვალე ქვეყნის საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის შეზღუდვა.* შესაძლებელია კრედიტორმა ქვეყნებმა დაადონ ყადაღა მოვალე ქვეყნის საქონელს საზღვრის გადალახვის დროს. ასევე, შეუზღუდონ მოვალეს საგარეო-სავაჭრო კრედიტების მიღების შესაძლებლობა. ამასთან, გააკონტროლონ საზღვარგარეთის ბანკებში საანგარიშსწორებო ოპერაციები და წაართვან სავალუტო ანგარიშსწორების წარმოების შესაძლებლობა;

4. *მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს აგრეთვე მევალე ქვეყნის მიერ ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით გაცილებით დაბალ ფასებში მოვალე ქვეყნის საგარეო ვალდებულებების (ე.წ. „რუხ ბაზარზე“) გაყიდვის ფაქტები* (ანალოგიური სანქცია გატარდა ბოლივიის მიმართ). „დეფოლტის“ ისტორია XX საუკუნის 80-იან წლებში იწყება. ამ პერიოდში ვალების გადახდაზე უარი განაცხადა მექსიკამ, ბრაზილიამ, პერუმ, არგენტინამ, კუბამ, ჩილემ და ვენესუელამ. მათ მძიმე ეკონომიკური პრობლემები შეექმნათ და იძულებულნი გახდნენ, მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში ამ არცთუ ისე პოპულარული მეთოდის, „დეფოლტისათვის“ მიემართათ. ზოგიერთი ქვეყანა „დეფოლტს“ ეკონომიკური შეჭირვების გამო მიმართავდა,

სხვები ამ გზას პოლიტიკური მოსაზრებით დაადგნენ. კერძოდ, ფ.კასტრო მოუნოდებდა ვალებში ჩავარდნილ მთელ რიგ ქვეყნებს, პირი შეეკრათ და ერთობლივად უარი ეთქვათ განვითარებული ქვეყნების ვალების დაბრუნებაზე. ფიდელის ამ მოწოდებას მხარი დაუჭირა პერუმ, მან უარი განაცხადა საგარეო ვალების გადახდაზე და მათ მომსახურებაზე.

ამის გამო კუბა და პერუ სრულ საერთაშორისო იზოლაციაში მოექცნენ. ბანკებმა უარი თქვეს ამ ქვეყნებისათვის სხვა კრედიტების გამოყოფაზე. გარდა ამისა, მათ წინააღმდეგ მმართველი იყო სავაჭრო სანქციები, რაც გამოიხატა საექსპორტო ტარიფების ზრდით და ა.შ.

განვითარებული ქვეყნებისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მხრიდან ამგვარი მიდგომის შემდეგ ვალების გადახდაზე (თუ მათ მომსახურებაზე) უარის მთქმელმა ქვეყნებმა უფრო მეტი ზარალი ნახეს, ვიდრე ის თანხები იყო, რომელიც მათ ვალებთან დაკავშირებით დასჭირდებოდათ.

როგორც ზემოთ ვნახეთ, საქართველომ სათანადოდ ვერ დათვალა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან წარმოქმნილი ვალდებულებები და უცოდინარობისა და უპასუხისმგებლობის გამო ასეულობით მილიონი უკანონო ვალები „აიკიდა“.

მთავრობა ამ შეცდომას არ დასჯერდა. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა 1991 წლის 4 დეკემბერს და 1993 წლის 14 სექტემბერს კვლავ ვერ გაითვალისწინეს „ნულოვანი ვარიანტის“ ხელშეკრულების სახით თუ რა დოკუმენტებზე მოაწერეს ხელი. განა შეიძლება ისეთ შეთანხმებაზე ხელის მოწერა, სადაც ზუსტად არ იქნებოდა გაანგარიშებული და დადგენილი ყოფილი სსრკ აქტივები და პასივები და მასში საქართველოს წილი? ან რატომ გაუკეთა რატიფიცირება 2001 წლის 16 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა „ნულოვან ვარიანტს“?

#### 2.4. „ნულოვანი ვარიანტის“ რატოფიცირება - გონივრული გადაწყვეტილება თუ შეცდომა?

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საერთაშორისო ნორმებისა და „სახელმწიფო საკუთრების, სახელმწიფო აქტივები-

სა და სახელმწიფო ვალის სამართალმემკვიდრეობის შესახებ“ ვენის კონვენციის დებულების შესაბამისად, შედგა ყოფილი სსრკ-ს სახელმწიფო ვალისა და აქტივების სამართალმემკვიდრეობის ნუსხა. 1991 წლის 4 დეკემბერს გაფორმდა შესაბამისი შეთანხმება, რომლითაც ქონებრივ მემკვიდრეობაში ე.წ. მოძვე რესპუბლიკების წილი განისაზღვრა. შესაბამისად, დადგინდა საქართველოს წილიც როგორც არსებულ ქონებაში და გაცემულ სესხებში, ისე მის მიმართ ვალებში (აქტივებსა და პასივებში) 1,62%-ის ოდენობით. რუსეთის წილი განისაზღვრა 61.34%-ით.

თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის წილი გაანგარიშებულ იქნა აგრეგირებული კრიტერიუმების გამოყენებით, რომელსაც საფუძვლად დაედო ისეთი მაჩვენებლების ფაქტორული ანალიზი, როგორიცაა 1986-1990 წლებში თითოეულის ხვედრითი წილი საბჭოთა კავშირის ექსპორტში, იმპორტში, წარმოებული ეროვნული შემოსავლის მოცულობასა და მოსახლეობის რიცხოვნობაში<sup>1</sup>.

საერთაშორისო კონვენციის თანახმად, ისე როგორც სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს, საქართველოსაც შესაბამისი წილი უნდა მიეღო:

ა) საზღვარგარეთ არსებული ყოფილი სსრ კავშირის უძრავ-მოძრავი ქონებიდან;

ბ) ოქროს ფონდიდან და სავალუტო რეზერვებიდან;

გ) საზღვარგარეთ არსებული ინვესტიციებიდან;

დ) ყოფილი აღმასის ფონდიდან.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ვალისა და აქტივების სამართალმემკვიდრეობის შესახებ 1991 წლის 4 დეკემბრის შეთანხმების მიხედვით, აღნიშნული ქონება მოკავშირე რესპუბლიკებს შორის უნდა გადანაწილებულიყო, მაგრამ 1993 წლის 14 სექტემბერს მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას „მოკავშირე რესპუბლიკებსა და რუსეთის ფედერაციას შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის აქტივებისა და საგარეო სახელმწიფო ვა-

---

<sup>1</sup> ზ. ნოლაიდელი, ი. მესხია – საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურის ზაცია „ნულოვან ვარიანტთან კონტექსტში“. ფსკი, გარდამავალი პერიოდის საფინანსო ეკონომიკური პრობლემები, ტ. V, თბ., 2001, გვ. 40-41.

ლების სამართალმემკვიდრეობის საკითხების რეგულირების შესახებ“. ამ დოკუმენტის მიხედვით, რუსეთმა იკისრა სსრკს მთელი საგარეო დავალიანების გადახდა. სამაგიეროდ, მოკაფ შირე რესპუბლიკებმა დათმეს საზღვარგარეთ არსებული სსრკს აქტივები. ხელშეკრულებას ხელი მოაწერა საქართველოს წარმომადგენელმაც. მაგრამ, შემდგომში, აღნიშნული შეთანხმების (ნულოვანი ვარიანტის) რატიფიცირება არ მოუხდენია მოლდოვას, უკრაინასა და საქართველოს. დანარჩენმა რესპუბლიკებმა „ნულოვანი ვარიანტს“ ხელი მოაწერეს.

საქართველოს მაშინდელმა პრემიერმა მოსკოვიდან თბილისში ჩამოიტანა დოკუმენტი, რომლითაც უარი ითქვა არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის ქონებაზე, არამედ საქართველოს იურიდიულ და ფიზიკურ პირთა კუთვნილ ანაბრებზეც „ვნეშეკონომბანკში“. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, საქართველოს პრემიერმა ერთი დოკუმენტი წაიკითხა, ხელი კი მეორეს მოაწერა<sup>1</sup>. უფრო სწორად, შეთანხმებული ვარიანტის დედანი ქართულმა მხარემ დაკარგა. ხოლო, რაც დარჩა, ის სწორედ ის აღმოჩნდა სასარგებლო რუსეთისათვის. შვიდი წლის განმავლობაში თვით პარლამენტშიც კი ეგონათ, რომ ხელშეკრულება, რომლის რატიფიკაციაც ყოველწლიურად ხდებოდა, თურმე ანაბრების შესახებ პუნქტს არ შეიცავდა.

საბოლოოდ, ექსპერტთა შეფასებით, რატიფიკაცია გაუკეთდა დოკუმენტს, რომელიც, პრაქტიკულად, ბუნებაში არ არსებობდა. ქართულმა მხარემ პარაფირებული ვარიანტი დაკარგა, რუსებს არ დაუკარგავთ, მაგრამ ცხადია, არ გამოაჩინეს და საქართველოს შედარების იურიდიული საფუძველი მოუსპეს.

საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ არსებობს 1969 წლის ვენის კონვენცია. ამ კონვენციის 49-ე მუხლის მიხედვით, თუ ხელშეკრულება ორ მხარეს შორის ერთ-ერთი მხარის მოტყუების საფუძველზე დაიდო, მეორე მხარეს უფ-

---

<sup>1</sup> „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიკაციასთან დაკავშირებით რუსეთის პოლიტიკური აგრესია განსაკუთრებით გაძლიერდა. აღსანიშნავია, რომ სსრკ კავშირის ქონების განაწილებას დაუკავშირდა მთელი რიგი დანაშაულებრივი კუროზები – ტყუილები, ძალმომრეობა და ა.შ., რომელთაც ძნელად თუ მოექმნებათ ანალოგი დიპლომატიური ურთიერთობის მსოფლიო ისტორიაში.



ლება აქვს, მისი ბათილად ცნობა მოითხოვოს. ამ შემთხვევაში „ნულოვანი ვარიანტის“ პარაფირებისას, პრაქტიკულად, რუსულმა მხარემ მოატყუა საქართველოს ხელისუფლება. საქართველოს პრემიერს ხელმონერის ცერემონიალზე შეცვლილი ტექსტი შეაპარეს. ცხადია, პრემიერ-მინისტრს ხელმონერის ცერემონიალზე ტექსტის ნაკითხვისა და მისი ავთენტურობის შემოწმების საშუალება არ ჰქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტი დაკარგული იყო, საქართველოს პარლამენტმა მას რატიფიცირება გაუკეთა 7 წლის შემდეგ და ამით საქართველომ საბოლოოდ უარი თქვა თავის წილ აქტივებზე საბჭოთა კავშირის ქონებიდან. მას პირველ რიგში შეენირა საქართველოს მოქალაქეების კუთვნილი ანაბრები<sup>1</sup>.

„ვნიშვნობ“ საქართველოს მოქალაქეების ანაბრების საერთო რაოდენობა „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირების მომენტში 50 მლნ დოლარს აღემატებოდა. სსრ კავშირის აქტივებისა და პასივების დადებითი სალდო ყველაზე მოკრძალებული ეკონომიკური გათვლებით 400 მილიარდამდე დოლარს უტოლდებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ პარლამენტის ასეთი უგუნური გადანიშნულებით საქართველო დაემშვიდობა საბჭოთა კავშირის ქონებიდან და ვალდებულებებიდან კუთვნილ წილს 1,62%-ის ოდენობით.

საბოლოოდ, გაურკვეველი დარჩა, ვინ და რატომ დაკარგა „ნულოვანი ვარიანტის“ როგორც დედანი, ისე პარაფირებული ტექსტი, რომლის ასლებიც ოთხ სახელმწიფო უწყებაში ინახებოდა და რომლის შენახვაზე, შესაბამისად, პასუხისმგებელი პირებიც არსებობდნენ.

მოვლენების მსვლელობა ასეთი იყო: 1991 წლის ბოლოს, მოსკოვში, სასტუმრო „პრეზიდენტ-პოტელში“ (ყოფილი „ოქტიანარსკაია“) თორმეტი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის მეთაურები შეიკრიბნენ (ბალტიისპირეთის სამივე რესპუბ-

---

<sup>1</sup> ზ. ნოღაიძე, ი. მესხია – საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურის სახელი „ნულოვანი ვარიანტთან კონტექსტში“. ფსკი, გარდამავალი პერიოდის საფინანსო ეკონომიკური პრობლემები, ტ. V, თბ., 2001, გვ. 39.

ლიკამ საბჭოეთის სამართალმემკვიდრეობაზე უარი თავიდანვე თქვა).

რუსეთის სასარგებლოდ აქტივებისა და ვალების დათმობის შეთანხმებას, იგივე „ნულოვან ვარიანტს“, ხელი ათი რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა მოაწერა. მათ შორის არ იყვნენ უკრაინის პრემიერ-მინისტრი და საქართველოს წარმომადგენელი.

მოგვიანებით, როცა საქართველომ რუსეთთან „ნულოვანი ვარიანტის“ შეთანხმების გადანყვეტილება მიიღო, რუსეთმა საქართველოს ჩვეულ სტილში ნაუყენა ულტიმატუმი – ან ვალების დაუყოვნებლივ გადახდა, ან „ნულოვან ვარიანტზე“ ხელის მოწერა.

საქართველოს ექსპერტთა პირველი ჯგუფი მოსკოვში 1993 წლის გაზაფხულზე გაემგზავრა. ექსპერტებმა თავდაპირველი ვარიანტის ტექსტში ქართული მხარისათვის რამდენიმე ხელსაყრელი მომენტის დაფიქსირება მოახერხეს. მათ შორის იყო „ვნეშეკონომბანკში“ დაგროვილი ანაბრების გადმოცემა საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის და მოლაპარაკებების დაწყება ალმასის ფონდის გაყოფაზე. მომდევნო ჯგუფში, რომელმაც პრემიერის ხელმძღვანელობით საბოლოო ვარიანტი შეიმუშავა, საქართველოს საგარეო უწყების არც ერთი წარმომადგენელი არ ყოფილა. თუ რატომ, ეს კითხვა დღემდე პასუხგაუცემელია და ამას არც არავინ იძიებს<sup>1</sup>.

თუმცა, საინტერესოა ერთი დეტალი: თბილისში დაბრუნებულ პრემიერ-მინისტრს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური წერილით აცნობა, რომ რუსულმა მხარემ პირობა დაარღვია და შეთანხმება უკვე აღარ შეესაბამება ექსპერტთა მიერ პარაფირებულ ტექსტს. წერილს თან ახლდა პარაფირებული დედნის ასლი, მაგრამ გაუგებარი მიზეზების გამო, საქართველოს მთავრობას დამატებითი კონსულტაციები არ მოუთხოვია.

ყბადაღებული „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიკაციას წინ ხანგრძლივი დებატები უძლოდა. მომხრეთა მთავარი არგუმენ-

---

<sup>1</sup> ზ. ნოლაიდელი, ი. მესხია – საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურულიზაცია „ნულოვან ვარიანტთან კონტექსტში“. ფსკი, გარდამავალი პერიოდის საფინანსო ეკონომიკური პრობლემები, ტ. V, თბ., 2001, გვ. 34-36.

ტი იყო ის, რომ „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიკაციის გარეშე რუსეთი ვალის გადავადების წინააღმდეგი იქნებოდა. იმ პერიოდში ინურებოდა შეღავათების 3-წლიანი პერიოდი და ხელისუფლება რუსეთის 179-მილიონიანი ვალის სამომავლოდ გადადების გზებს ეძებდა.

1995 წლის 30 ნოემბერს რუსეთის მხარემ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტის საშუალებით აცნობა, რომ მან დაამთავრა ამ შეთანხმებასთან დაკავშირებული შიდა სახელმწიფო პროცედურები და საქართველოს პარლამენტის მიერ „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირება მოითხოვა.

სამწუხაროდ, საქართველოს არ აღმოაჩნდა სსრკ-ს აქტივების და პასივების ზუსტი რაოდენობის შესახებ რუსეთთან შეჯერებული ოფიციალური მონაცემები.

1) საზღვარგარეთ სსრკ-ის უძრავ-მოდრავი ქონების ღირებულება კანადის სააგენტო პინკერტონის მონაცემებით 300-400 მლრდ დოლარს უდრის; ხოლო რუსეთის საანგარიშო პალატის მიერ მსოფლიოს 112 ქვეყანაში 1996 წელს აღრიცხული და შეფასებული 1509 ობიექტის ღირებულება 324 მლრდ დოლარს შეადგენს. აქედან საქართველოს წილი დაახლოებით 5 მილიარდი ამერიკული დოლარია;

2) 1998 წლისათვის რუსეთის ოქროს მარაგი შეადგენდა 480 ტონას, რომელიც საბაზრო ფასებით შეფასებული იყო 4.6 მლრდ დოლარად. აქედან საქართველოს წილი 74 მლნ დოლარს უდრის;

3) სსრ კავშირის სავალუტო რეზერვებიდან (რომლის ღირებულება ათეული მილიარდი დოლარია) – საქართველოს ეკუთვნის ათეულობით მილიონი დოლარი;

4) სსრ კავშირის ინვესტიციები საზღვარგარეთ შეადგენს ათეულობით მილიარდ დოლარს და მასში საქართველოს წილი რამდენიმე ასეული მილიონი დოლარია;

5) სსრ კავშირის მიმართ სხვა სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციების და უცხოელი დებიტორების ფინანსური ვალდებულებები 150 მილიარდ დოლარზე მეტია, საიდანაც საქართველოს 2.5 მილიარდი დოლარი ეკუთვნის;

6) რაც შეეხება ალმასის ფონდის გამოყოფას, აქ რუსეთის პოზიცია ცალსახაა – რადგან ალმასი მხოლოდ რუსეთის ტერიტორიაზე მოიპოვება, არ უნდა განაწილდეს და მისი მუპატრონე მხოლოდ ეს უკანასკნელი უნდა იყოს.

ამრიგად, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშებით, ყოფილი სსრკ-ს აქტივებიდან საქართველოს წილი ყველაზე შემცირებული გაანგარიშებითაც კი არანაკლებ 5 მილიარდი დოლარის ტოლია.

ოფისის გაანგარიშების მიხედვით, სსრ კავშირის მიერ მემკვიდრეობით დატოვებული პასივების რაოდენობა 80.1 მილიარდ აშშ დოლარს არ აღემატებოდა (42 მილიარდი დოლარი – საზღვარგარეთის ქვეყნების ვალი, 32 მილიარდი დოლარი – კომერციული ბანკების და 6.1 მილიარდი დოლარი – სავალუტო ობლიგაციების დავალიანება).

1994-1997 წლებში მსოფლიოს ფინანსურ კლუბებთან მოლაპარაკების შედეგად რუსეთს ამ ვალებიდან მნიშვნელოვანი თანხა ჩამოენერა, რის შედეგად კრედიტორი ქვეყნის წინაშე მას საბჭოთა კავშირის დროინდელი დავალიანება 38 მილიარდი დოლარი, ხოლო უცხოეთის კომერციული ბანკებისათვის 350 მილიარდი დოლარი დარჩა გადასახდელი. ექსპერტების გაანგარიშებით, ამჟამად „პარიზის კლუბის“ წინაშე რუსეთის მთლიანი დავალიანება 44 მილიარდ დოლარს არ აღემატება.

საბოლოოდ, „პარიზის კლუბის“ (კრედიტორი ქვეყნები) და „ლონდონის კლუბის“ (კრედიტორი ბანკები) მიერ ვალების რესტრუქტურირების შემდეგ ყოფილი სსრკ-ის ვალიდან საქართველოს წილად მოდის 964 მლნ აშშ დოლარი<sup>1</sup>.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს 2-3 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის ყოფილი სსრკ-ის აქტივებზე შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია. ხოლო, თავის მხრივ, საქართველოს დაახლოებით 1 მლრდ დოლარის გადახდაზე მოუწვევს ვალების აღება და, საერთო ჯამში, საბჭოთა კავშირის ქონებიდან მას შეუძლია 1-2 მლრდ დოლარი მოითხოვოს<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> ეს თანხა „პარიზის კლუბის“ მიერ რუსეთისათვის ვალების შემდგომი ჩამონერის შემდეგ შეიძლება კიდევ უფრო შემცირებულიყო.

<sup>2</sup> საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემები.

ეგრეთ წოდებულმა „ნულოვანმა ვარიანტმა“ – ყოფილი საბჭოთა კავშირის აქტივებისა და პასივების გაყოფასთან დაკავშირებით საქართველოში მხოლოდ 7 წლის შემდეგ გამოინვია დიდი აუიოტაჟი.

„ნულოვანი ვარიანტის“ შესახებ ქვეყანაში ორი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული აზრი ჩამოყალიბდა:

ა) ქართველ ეკონომისტთა ერთი ჯგუფი მხარს უჭერდა „ნულოვან ვარიანტს“ შემდეგი არგუმენტების გამო:

1. საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ყოფილმა რესპუბლიკამ, ბალტიისპირეთის ქვეყნების ჩათვლით, ხელი მოაწერა „ნულოვან ვარიანტს“;

2. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქონება ეფემერული აქტივებია და მისი ოდენობის დადგენასა და გარკვევას 20-30 წელი დასჭირდება;

3. ყოფილი საბჭოთა კავშირის ვალების გადახდას რუსეთი დაუყოვნებლივ მოთხოვდა საქართველოს და ამ ვალების ძირითადი ნაწილის და მომსახურების თანხის ისედაც ძალიან მძიმე ტვირთი კიდევ უფრო გააუარესებდა ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობას;

4. საქართველო ვერ მიიღებდა დაფინანსებას საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან. დაუკარგავდით საგარეო ვალების რესტრუქტურისა და შესაძლებლობებს და 2001 წლისათვის ბიუჯეტიდან დაგეგმილის გადამეტებით გადასახდელი გვექნებოდა 550 მლნ ლარი;

5. საქართველოს არავითარი გარანტია არ გააჩნდა საბჭოთა კავშირის ქონების საზღვარგარეთ არსებული ლიკვიდური აქტივებისა და საბჭოთა კავშირის მიმართ განვითარებადი ქვეყნების სრულიად უიმედო დავალიანების მიღებისა, ხოლო საბჭოთა კავშირის საგარეო ვალების გადახდისათვის დაუყოვნებლივ გავხდებოდით პასუხისმგებელნი.

როგორც ვხედავთ, ეკონომისტთა ამ ჯგუფს მიზანშეწონილად მიიჩნდა „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირება, თუნდაც რუსეთის ვალების რესტრუქტურისა და ნაცვლოდ.

ეკონომისტთა მეორე ჯგუფის აზრით, არ იყო სწორი ვალის გადავადების მიზნით ქონების კუთვნილ ნილზე ხელის აღება, რაც რუსეთის ვალს ბევრად აღემატება. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით მართლაც წამგებიანად ჩანს რუსეთის ვალის (156.5 მლნ დოლარის) გადავადების გამო 2 ან 3-მილიარდიან ნილზე უარის თქმა.

საქართველოს პარლამენტის მიერ „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირების დაგვიანებას რუსეთმა მთელი რიგი მოთხოვნები და შეზღუდვები დაუპირისპირა. კერძოდ, მანამ არ მოახდენდა 179 მლნ დოლარის რესტრუქტურისა, სანამ საქართველოს მთავრობა პარლამენტში არ შეიტანდა განსახილველად აღნიშნულ ხელშეკრულებას და საბოლოოდ არ მოახდენდა მის რატიფიცირებას.

საქართველოს ვალის რესტრუქტურის სანაცვლოდ რუსეთი ორ მოთხოვნას აყენებდა: ა) საქართველოს სასწრაფოდ უნდა გადაეხადა 2000 წლის დავალიანება 22.43 მლნ დოლარი და ბ) ამავე დროს შეეტანა პარლამენტში განსახილველად „ნულოვანი ვარიანტი“ და მოეხდინა მისი რატიფიცირება.

საქართველომ ორივე ეს მოთხოვნა შეასრულა. რუსეთს გადაუხადა 22.43 მლნ დოლარი და პარლამენტმაც მძაფრი დებატების შემდეგ, 2001 წლის 16 თებერვალს, რატიფიცირება გაუკეთა შეთანხმებას „ნულოვანი ვარიანტის“ შესახებ, რომლის თანახმად, საქართველომ რუსეთის სასარგებლოდ საბოლოოდ უარი თქვა საკუთარ ნილზე – 1,62% ყოფილი სსრკ-ს საგარეო აქტივებიდან<sup>1</sup>.

მაშასადამე, საქართველოს სახელმწიფომ 157 მლნ დღემდე გაურკვეველი წარმოშობის ვალის გადავადებისა და საერთა-

---

<sup>1</sup> რუსეთმა თავისი „გაინაღდა“. საქართველოს უარი ათქმევინა სსრკ-ის საგარეო აქტივებიდან მისაღებ საკუთარ ნილზე და რამდენიმე თვის შემდეგ უარი განაცხადა საქართველოსათვის ვალების ხანგრძლივი ვადით გადავადებაზე. რუსეთის მხრიდან საქართველოს ვალების გადავადებაზე უარის თქმა პოლიტიკური ზენოლაა, რომელშიც მან სომხეთი გადაიბირა. სომხეთის მხარე უარი განაცხადა 16 მლნ აშშ დოლარის ვალის გადავადებაზე და ყოველწლიური ვალის გადასახდელის 3 %-მდე შემცირებაზე.

შორისო სავალუტო ფონდისაგან 141 მლნ დოლარის სესხად მიღების სანაცვლოდ, რუსეთიდან დაახლოებით 3 მლრდ დოლარის მიღებაზე თქვა უარი.

საქართველომ, მართალია, „პარიზის კლუბში“ ვალების რესტრუქტურირზაციას მიაღწია და ქვეყნის კომერციული ვალები 20 წლით, ხოლო არაკომერციული – 18 წლით გადაივადა, მაგრამ ეს შეღავათები, სსრ კავშირის აქტივებიდან მის მიერ მისაღებ ნილთან შედარებით ანგარიშში არაა მისაღები. ქვეყანამ „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირებით მილიარდები დაკარგა. ამასთან, „პარიზის კლუბმა“ რესტრუქტურირზაცია საქართველოსათვის მაქსიმალურად უშეღავათო პირობებით განახორციელა. ძირითადი ვალის გადახდა 2 წლის შემდეგ დაიწყება წლიური 4% მომსახურების გადახდით.

მაშასადამე, საქართველომ ვალების რესტრუქტურირზაციით მხოლოდ დრო მოიგო და დროებით (2 წლით) ტვირთი შეიმსუბუქა „მსხვილი“ ვალების ქრონოლოგიური გადაწვეით, სამაგიეროდ, მას 2002-2003 წლებში ბევრად მეტი თანხის გადახდა მოუხდება.

„პარიზის კლუბს“ საქართველომ წარუდგინა რამდენიმე პროექტი, რომელიც ვალების ხანგრძლივ გადავადებას ითვალისწინებდა. ვარიანტებს შორის იყო ნეაპოლისა და ჰიუსტონის მოდელები. აქედან პირველი, რომელიც ნახევარ მილიარდ დოლარზე მეტი საგარეო ვალის ნაწილობრივ ჩამოწერას და რესტრუქტურირზაციას ითვალისწინებდა, არ მიიღეს.

„პარიზის კლუბმა“ საქართველოს ვალების (1996-1998 წლებში) რესტრუქტურირზაციასთან შედარებით, 2001 წელს უფრო შეზღუდა ვადები და მხოლოდ ორი წელი „გვაცალა“. მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში შეიძლება დამატებით კიდევ ერთი წელი გვადროვონ ვალის გადახდა, მაგრამ ორივე შემთხვევაში ყოველწლიურად (მთლიანი თანხის) გადასახდელს 4% მიემატება.

საქართველოს საგარეო ვალების 18-20 წლით გადავადება იმას ნიშნავს, რომ, თუ 2001-2002 წელს უნდა გაგვესტუმრებინა 241 მლნ აშშ დოლარი, 18 წლის განმავლობაში მოგვიხდება 985 მლნ აშშ დოლარის (241 მლნ დოლარი პლუს ყოველწლიუ-

რად 4% და აგრეთვე სხვა ვალების განვადების პროცენტი) გასტუმრება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „პარიზის კლუბის“ მიერ განვადებულ იქნა მხოლოდ რუსეთის, ავსტრიის, ჩინეთის, ირანის, თურქეთის და აშშ კრედიტები. რაც შეეხება სომხეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, თურქმენეთის, უკრაინის და უზბეკეთის ვალების გადავადებას, ეს შემდგომი მოლაპარაკებებით უნდა გადაწყდეს.

ამდენად, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ 2003 წლიდან საქართველოს მნიშვნელოვნად გაეზრდება საგარეო ვალის მომსახურების ხარჯები და ამ ხნის განმავლობაში იგი იძულებული იქნება ეკონომიკის დაფინანსების ნაცვლად მევაღე ქვეყნების სასარგებლოდ გადაიხადოს თანხები. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, „ნულოვანი ვარიანტი“ მიღებულ იქნა რუსეთის მიმართ საქართველოს ვალის ორიოდ წლით გადავადების დაპირების საწარმოოდ. ეს წარმოუდგენლად დიდი შეცდომაა. სასურველი იყო შექმნილიყო ორმხრივი კომისია (რომლებშიც პარალელურად უნდა ჩართულიყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც) და რუსეთთან ჯერ კიდევ 1993-1994 წწ. დაგვეწყო მოლაპარაკება ამ საკითხების მოსაგვარებლად და პრინციპულად მოგვეთხოვა ჩვენი კუთვნილი წილი. სადარ საკითხების გადასაწყვეტად უნდა გამოგვეყენებინა შააგის სასამართლო, ვენის კონვენცია, აგრეთვე, „პარიზისა“ და „ლონდონის კლუბები“. ვენის კონვენციის თანახმად (რომელსაც საქართველო 1993 წელს შეუერთდა) და სხვა საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, ამ ქონებას რუსეთი ვერ განკარგავდა საქართველოს გარეშე. თუ საქართველო თავის ნებით არ დათმობდა თავის კუთვნილ წილს, რუსეთი ვერ აიცილებდა საბჭოთა კავშირის საგარეო აქტივების გადმოცემას. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დღეს მთელ მსოფლიოში აპრობირებულია ვალების გაყიდვის პრაქტიკა, მისი ღირებულების 10, 20 ან 25 პროცენტის ფარგლებში. საქართველოს (უკიდურეს შემთხვევაში) შეეძლო სსრკ-ის ქონებიდან თავისი წილი გადაეცა სოლიდური უცხოური ბანკებისათვის, რომლებიც ვენის კონვენციის შეთანხმების საფუძველზე მას ამოიღებდნენ.



სამწუხაროდ, ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობამ 1992 წლიდან მოყოლებული, თითქმის არაფერი არ გააკეთა. მუდმივმა დათმობის პოლიტიკამ საერთაშორისო აქტუალობა დაუკარგა ამ პრობლემას და, შესაბამისად, ვერ მივიღეთ ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა. ჩვენი მთავარი მიზანი ვალის გადავადება კი არ უნდა ყოფილიყო, რათა აგველო ახალი სესხი საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან, არამედ პრინციპულად უნდა დაგვედგინა და მოგვეთხოვა რუსეთისაგან ჩვენი კუთვნილი წილი. შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ 1991 წლის 4 დეკემბერს და 1993 წლის 14 სექტემბერს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ვერ გაითვითცნობიერეს, თუ რა დოკუმენტზე მოაწერეს ხელი. განა შეიძლებოდა ისეთ ხელშეკრულებაზე (შეთანხმებაზე) ხელის მოწერა, სადაც ზუსტად არ იქნებოდა გაანგარიშებული და დადგენილი ყოფილი სსრკ-ის აქტივები და პასივები და მასში საქართველოს წილი?

როგორც ვნახეთ, „ნულოვანი ვარიანტის“ შესახებ რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები არსებობს. ჩვენ, ერთი მხრივ, სავსებით ვიზიარებთ „ნულოვანი ვარიანტის“ მომხრეთა არგუმენტაციას: საქართველო თუ არ მოახდენდა ამ დოკუმენტის რატიფიკაციას, იგი დაკარგავდა თავის იმიჯს დასავლეთის ქვეყნებსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში; „დიდი შვიდეული“, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა დონორი ორგანიზაციები და ქვეყნები განუდგებოდნენ და ზურგს შეაქცევდნენ მას; „პარიზის კლუბსა“ და „ლონდონის კლუბში“ გამორიცხული იქნებოდა მოლაპარაკებები არათუ ვალების ჩამოწერის, არამედ გადავადების თაობაზეც; რუსეთისაგან ვერ მივიღებდით ჯერ კიდევ დაუთვლელ და გაურკვეველი აქტივების მეთედსაც კი; დავძაბავდით მასთან პოლიტიკურ ურთიერთობას და, შესაბამისად, საბიუჯეტო კრიზისის გაღრმავებით გაძლიერდებოდა ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორების ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების შენარჩუნებაზე.

აქედან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტს სხვა გზა მართლაც არ ჰქონდა და აუცილებლად უნდა მოეხდინა „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიკაცია. ეს არგუმენტები მხოლოდ მიზეზებია იმისა, თუ რისთვის დაეთანხმდით რატიფიკაციაზე. მაგრამ, მეორე მხარეა ის, თუ რა იყო რეალობა, სინამდვილე. ჩვენ ვერ დავამტკიცეთ ვერც ქვეყნის შიგნით და ვერც ქვეყნის გარეთ, თუ რატომ მოვანერეთ ხელი „ნულოვან ვარიანტს“.

საქმე მართლაც ისე იყო, როგორც რუსეთის პრეზიდენტმა ვ.პუტინმა პრეზიდენტად არჩევის წლისთავთან დაკავშირებით მიცემულ ინტერვიუში რომ განაცხადა „...ნულოვანი ვარიანტი რუსეთისათვის მატერიალურად წამგებიანია და მასზე ხელის მოწერა რუსეთის შეცდომად მიმაჩნია“.

რუსეთის საზღვარგარეთულ აქტივებზე თუ მართლაც მეტი იყო პასივების ღირებულება, მაშინ რატომ აიძულებდა მუქარით იგი უკრაინას, საქართველოს, აზერბაიჯანს, უზბეკეთსა და მოლდავეთს, ხელი მოეწერათ „ნულოვან ვარიანტზე“ - ?

თუ „ნულოვანი ვარიანტი“ არ იყო მისაღები რუსეთის მხარისათვის, რამ განაპირობა მისი აუცილებლობა? მანამდე, 1991 წლის 4 დეკემბერს ხომ გაფორმდა შესაბამისი შეთანხმება, რომლითაც განსაზღვრული იყო სსრ კავშირის აქტივებსა და პასივებში ე.წ. მოძმე რესპუბლიკების წილი? ორი წლის შემდეგ, 1993 წლის 14 სექტემბერს რატომ დაარღვია რუსეთმა ყოფილი საბჭოთა კავშირის ვალისა და აქტივების სამართალმემკვიდრეობის შესახებ 1991 წლის 4 დეკემბრის შეთანხმება? რატომ იკისრა რუსეთმა მთელი საგარეო დავალიანების გადახდა? და რატომ დააძალა რუსეთმა მოკავშირე რესპუბლიკებს დაეთმოთ სსრ კავშირის საზღვარგარეთ არსებული აქტივები?

რატომ უარყოფენ „ნულოვანი ვარიანტის“ მომხრეები იმას, რომ „დიდმა შვიდეულმა“, იმის შიშით, სსრ კავშირის დაშლის შედეგად დასავლეთის კრედიტორ ქვეყნებს არ დაჰკარგვოდათ სსრ კავშირის მიმართ ადრე არსებული ვალები, 1991 წლის 28 ოქტომბერს მოსკოვში რუსეთის მთავრობას ძლიერი ზეწოლის პირობებში რომ მოაწერინა ხელი მემორანდუმზე?

თუ რუსეთს არ აწყობდა „ნულოვანი ვარიანტი“, რატომ არ მიიღო მოკავშირე რესპუბლიკების და, განსაკუთრებით, უკრა-

ინის წინადადება, რომ იგი კუთვნილი სსრ კავშირის აქტივების მიღების შემთხვევაში აუცილებლად გადაიხდიდა საგარეო ვალებს?

უკრაინას დიდხანს ჰქონდა რუსეთთან უთანხმოება. 1992 წლის ნოემბრის ბოლოს უკრაინამ ოქმს ხელი მოაწერა იმ პირობით, რომ მას რუსეთი წარუდგენდა ინფორმაციას სსრ კავშირის აქტივების შესახებ.

საგულისხმოა ისიც, რომ 1993 წლის პირველი იანვრიდან უკრაინის მთავრობამ გააუქმა „ნულოვან ვარიანტიზე“ ხელმოწერა იმ მოტივით, რომ რუსეთმა მას არ მიანოდა ინფორმაცია სსრ კავშირის აქტივების შესახებ.

უკრაინა ითხოვდა უცხოეთში არსებულ სსრ კავშირის 40-მდე ობიექტს თავისი საელჩოებისა და სხვა ორგანიზაციების განსათავსებლად. რუსეთმა ეს წინადადება უარყო და იმავდროულად დაიყოლია „პარიზისა“ და „ლონდონის კლუბები“ და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები ემოქმედათ უკრაინის გარეშე. „პარიზისა“ და „ლონდონის კლუბები“ მხოლოდ რუსეთს ცნობდნენ სსრ კავშირის ყველა ვალებისა და აქტივების შემკვიდრედ.

ასევე, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია რუსეთის მომიზეზება, თითქოს „მოკავშირე რესპუბლიკები ვერ მოახერხებენ ვალების მომსახურებას და ამით რუსეთი დაზარალდება“.

ან კიდევ, შეიძლება მიზეზად დასახელდეს ის, რომ „აქტივების გაყოფისას აუდიტორულ შეფასებას უძრავი ქონების ღირებულების 10% დასჭირდება“? ვინ ეკითხებოდა რუსეთს, რას გადაიხდიდა უკრაინა მიღებული ქონებიდან?

რატომ გამოთქვამდა რუსეთი შიშს, თითქოს „მოკავშირე რესპუბლიკები თავს ვერ გაართმევენ ურთიერთობებს სოციალისტურ ქვეყნებთან“? რა მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირმა სოციალისტურ ქვეყნებს რა ფორმით მიანოდა კრედიტი? მიზეზად არც ის გამოდგება, რომ კრედიტი შეფასებული იყო გადასაყვან მანეთებში. განა მისაღებია მიზეზი, რომ „მოვალე ქვეყნებს არ სურდათ მანეთების გადაყვანა დოლარებში“?

გაკვირვებას იწვევს ის ფაქტიც, რომ ქვეყნის პარლამენტში ისე მოახდინეს „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირება, საზო-

გადოებას არ მიეწოდა ყოფილი სსრ კავშირის სახელმწიფო ვალებისა და აქტივების ზუსტი (თუნდაც რუსეთთან შეთანხმებული) მონაცემები. დღეს საზოგადოებისათვის გაუგებარია, რატომ დაირღვა სახელმწიფო ვალის სამართალმემკვიდრეობის შესახებ ვენის კონვენციის დებულება, რატომ მოხდა „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირება და რა იყო უმთავრესი: წმინდა ეკონომიკური ეფექტიანობა თუ ძალიან სერიოზული პოლიტიკური მოტივაცია.

ალბათ, ჩვენი შთამომავლობა ზუსტად გაიანგარიშებს და დაადგენს ყოველივეს და მკაცრად მოჰკითხავს კიდევ რატიფიცირების ავტორებს.

## საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მართვის სრულყოფისა და ეფექტიანად გამოყენების პრობლემატი

### 3.1. სახელმწიფო საგარეო ვალის გამოყენების ეფექტურობა

სახელმწიფო ვალის მართვა ნებისმიერი მევალე ქვეყნის ეკონომიკური პრობლემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. სახელმწიფო ვალის წარმოქმნასთან ერთად ჩნდება მისი მართვის მოქნილი სტრუქტურის შექმნის აუცილებლობაც.

სახელმწიფო ვალის მართვა მხოლოდ ვალების მოზიდვით, მომსახურებითა და დაფარვით არ შემოიფარგლება, მას უფრო დიდი ეროვნული დატვირთვა აქვს და იგი ზოგად ეკონომიკურ ასპექტში უნდა იქნეს განხილული.

იღებს რა შიდა და საგარეო სესხებს, მთავრობას წინასწარ უნდა ჰქონდეს გათვლილი ეკონომიკაზე სახელმწიფო ვალის ზემოქმედების ყველა შესაძლო შედეგი. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური გარანტიის ნაცვლად მომავალი თაობებისათვის დაკაბალების მექანიზმად და ქვეყნის ეკონომიკური და მორალური გაკოტრების ფაქტორად გადაიქცევა.

სახელმწიფო ვალის მართვის მიზანია სახელმწიფო სესხებისგან მაქსიმალური სარგებლობის მიღება ისე, რომ მომავალში თავიდან იქნეს აცილებული სახელმწიფო ბიუჯეტისა და საგადასახდლო ბალანსის სირთულეები, ამ მიზნის მიღწევა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ ორგანოს ეფექტიან მუშაობაზე, რომელსაც დაკისრებული აქვს სახელმწიფო ვალის მართვა ქვეყანაში.

საქართველოში სახელმწიფო ვალის მართვის მიზნით ფინანსთა სამინისტროსთან შეიქმნა სახელმწიფო ვალის დეპარტამენტი, რომელიც განაგებს: ა) სახელმწიფო შიდა ვალისა და ბ) სახელმწიფო საგარეო ვალის საკითხებს. დეპარტამენტის

უფლება-მოვალეობებს სახელმწიფო ვალის მართვის სფეროში განსაზღვრავს კანონი „სახელმწიფო ვალის შესახებ“<sup>1</sup>.

კანონში ნათლადაა ჩამოყალიბებული ფინანსთა სამინისტროს ფუნქციები საგარეო ვალის მართვის საქმეში. კერძოდ, ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს საგარეო ვალების მომსახურებას, იღებს გადაწყვეტილებებს საგარეო სესხების მოზიდვის შესახებ, აწარმოებს მოლაპარაკებებს უცხოელ კრედიტორებთან, ხელს აწერს შესაბამის დოკუმენტებს სესხის აღების შესახებ, აღრიცხავს და იყენებს ნასესხებ თანხებს.

ამავე კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ფინანსთა სამინისტრო პასუხისმგებელია საქართველოს სახელით აღებულ საგარეო ვალების მართვაზე, მომსახურებასა და დაბრუნებაზე. თუმცა საგარეო ვალის პირობების განსაზღვრისას იგი კონსულტაციებს იღებს ეკონომიკის სამინისტროსა და ეროვნული ბანკისაგან. ფინანსთა სამინისტრო საგარეო ვალის მომსახურებისათვის გადახდებს ახორციელებს ეროვნული ბანკის მეშვეობით.

კანონი „სახელმწიფო ვალის შესახებ“ სახელმწიფო საგარეო ვალებიდან (სესხებიდან) მიღებული სახსრების დაბრუნების უზრუნველსაყოფად ფინანსთა სამინისტროს უფლებას ანიჭებს მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რომლებიც დადგენილია ამ კანონით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, სახსრების საბანკო ანგარიშებიდან უპირობო ჩამონერის და სასამართლოს გადაწყვეტილებით მატერიალური ფასეულობების კონფისკაციის ჩათვლით, რომელიც არ არის ჩადებული გირაოში.

როგორც ვხედავთ, საქართველოში სახელმწიფო ვალის მართვის ორგანოს (ფინანსთა სამინისტროს) კანონი „სახელმწიფო ვალის შესახებ“ მოვალეობებთან ერთად საკმაოდ ფართო უფლებებსაც ანიჭებს<sup>2</sup>, რომელთა განხორციელება, სამწუხაროდ, პრაქტიკაში არ ხდება. სახელმწიფო საგარეო ვალის დე-

---

<sup>1</sup> სამწუხაროდ, კანონში „სახელმწიფო ვალის შესახებ“ არ არის გამოკვეთილი გაცემული სესხების მალაფეფქტიანად გამოყენების კონტროლის მექანიზმი.

<sup>2</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო ვალის შესახებ“ პარლამენტის უწყებანი №13, 14, თბ., 1998.

პარტამენტის საქმიანობა შემოიფარგლება სტატისტიკური მასალების შეგროვებით და ვალების მომსახურებისა და დაფარვის გრაფიკის დაცვის პასიური ზედამხედველობით, ხოლო კონტროლს სესხის მიზნობრივად ხარჯვასა და დაბრუნებაზე ვერ ან არ ახორციელებს.

თავის დროზე ქვეყანაში საერთოდ არ შექმნილა სამსახური, რომელიც შეამონებდა და შეაფასებდა მიღებული კრედიტების გამოყენების ეფექტიანობას. როგორც „საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის“ მონაცემებით ირკვევა, აღებული სესხები (წლების მანძილზე) მთავრობის წევრთა ზეპირი და წერილობითი მითითებების საფუძველზე გაიცემოდა.

ჩვეულებრივი მოვლენა იყო სახელმწიფო გარანტიებით მიღებული კრედიტების კერძო სტრუქტურებისთვის გაცემა. არ შეისწავლებოდა კრედიტების მიმღები ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა. იყო შემთხვევები, როცა მოკლე პერიოდში ერთდამივე ორგანიზაციას ორჯერ მიეცა სესხი ერთი და იმავე დანიშნულებით და ა.შ.

შეიძლება ითქვას, რომ აღებული სესხების აბსოლუტური უმრავლესობა არ მოხმარებია წარმოების გაფართოებას. საგარეო კრედიტების დიდი ნაწილი განაწილებულია არასანარმოო დარგებში, ან გამოყენებულია საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის დასაფინანსებლად.

1993 წელს საქართველოსა და თურქეთის მთავრობათა გადამწყვეტილებით (ამ ქვეყნების „ექსიმბანკებს“ შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით), საქართველოს 1993-1994 წლებში გამოეყო ე.წ. თურქული კრედიტი 50 მილიონი დოლარის ოდენობით (მისი დაფარვა განსაზღვრული იყო 1998 წელს).

თურქეთის „ექსიმბანკის“ მიერ გამოყოფილი 50 მლნ აშშ დოლარიდან საქართველომ მხოლოდ 42 მლნ აითვისა, 8 მლნ კი აუთვისებელი დარჩა. კრედიტს, ბუნებრივია, თავისი პირობები მოჰყვა – თანხა 3 წელიწადში უნდა დაფარულიყო წლიური პროცენტული განაკვეთის ე.წ. „LIBOR“+1“ პროცენტით, რომელიც იმ წლებში 5-6%-ს არ აღემატებოდა. ამ კრედიტით ძირითადად ვაჭრობის სფერო დაფინანსდა. ვაჭრობის

სფეროზე სესხის გაცემის წინააღმდეგი იყო ეკონომიკის სამინისტრო, მაგრამ მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ ეს კრედიტი იხსნიდა საქართველოს.

შემოსული კრედიტი მალე დაპირისპირების საგანი გახდა, მოგვიანებით კი ნათლად გამოჩნდა, რომ კრედიტი ხელისუფლების მაღალი ეშელონების ინტერესებს ემსახურებოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ვალის გადახდის სამწლიანი ვადა გაჭიანურდა და განუსაზღვრელი ვადით გადაიდო. 1993 წელს აღებული კრედიტის მიზნობრიობა და ეფექტიანობა 1997 წელს ეკონომიკის საბჭოს შესწავლის საგანი გახდა.

კრედიტი იყო არა ფულადი, არამედ სასაქონლო, ანუ თურქეთიდან შემოვიდა პროდუქტი, ნედლეული, დანადგარები და სხვა. იქიდან ამოღებული თანხით უნდა მომხდარიყო სესხის გადახდა. საქართველოში არ დარჩა მაკონტროლებელი ორგანო, რაიმე კუთხით რომ არ შეესწავლა კრედიტების მიზნობრივი გამოყენება. როგორც ეს არაერთგზის შემონმებებმა დაადასტურა, კრედიტების დიდი რაოდენობა დანიშნულებისამებრ არ იქნა გამოყენებული, მაგრამ, არასდროს არ დამდგარა რომელიმე პირის არც ფინანსური და არც სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

საჭიროა უფრო დეტალურად განვიხილოთ თურქული კრედიტის არადანიშნულებისამებრ და არაეფექტიანად გამოყენების ფაქტები. შპს „კოკა-კოლა ბოთლერ ჯორჯიას“ 1993 წლის თებერვალში გამოუყვეს შეღავათიანი სახელმწიფო კრედიტი 4.844.998 აშშ დოლარის ოდენობით ნედლეულისა და მასალების შესაძენად. დამატებითი სესხი 3.75 მლნ აშშ დოლარი – ამავე დანიშნულებით „კოკა-კოლას“ მისცეს 1993 წლის ზაფხულში ხოლო 1994 წელს – 5.1 მლნ აშშ დოლარი. „კოკა-კოლას“ ვალი 1996 წელს უნდა დაეფარა.

აქამდე „კოკა-კოლა ბოთლერ ჯორჯიას“ სრულად არც კრედიტის ძირითადი თანხა და არც მომსახურების თანხა არ აქვს გადახდილი. დღემდე მას ვალის ძირითადი თანხის დასაფარავად შეტანილი აქვს მხოლოდ 446 484 დოლარი.

მიღებული კრედიტით „კოკა-კოლა ბოთლერ ჯორჯიამ“ შეიძინა დიდი რაოდენობის ნედლეული და მასალები და ამით უზრუნველყო წარმოების სათანადო გაფართოება.



თუმცა ისმის კითხვა: განა რა რაოდენობით შეიძინა „კოკა-კოლამ“ ერთჯერადი მოხმარების საქონელი (ბოთლები, საცობები, ყუთები და ა.შ.), რომ მ წლის მანძილზე ვერ მოახერხა მისი რეალიზება?

როგორც წესი, მზა პროდუქციის რეალიზაციიდან საბრუნავი საშუალებების თანხები სანარმოს უბრუნდება მოცემული სანარმოო ციკლის დამთავრებისთანავე.

თურქული კრედიტის რესტრუქტურისაზიზე შეთანხმება დღემდე არ არის მიღწეული. „კოკა-კოლა ბოთლერ ჯორჯია“ კრედიტს არ აბრუნებს, ხოლო ფინანსთა სამინისტრო ვალის გადახდას მოითხოვს.

გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ „კოკა-კოლას“ ერთი და იმავე დანიშნულებით (13 მლნ აშშ დოლარი) კრედიტი სამჯერ გამოუყვეს, ხოლო თბილისის საპნისა და ტყავის ქარხნების და სხვა უფრო მნიშვნელოვანი სანარმოების ასამუშავეებლად თანხები არ გაიმეტეს.

50 მლნ თურქული კრედიტიდან 2 569 750 აშშ დოლარი „რუსთავცემენტს“ გამოეყო. ვალი დღემდე არ არის დაფარული. ხელშეკრულებით „რუსთავცემენტს“ სესხი უნდა დაეფარა განსაზღვრულ დროში, კერძოდ, მაშინ, როცა ცემენტის წარმოების წლიური მოცულობა 200 ათ. ტონას მიაღწევდა.

მომდევნო წელს, რატომღაც დიდი რაოდენობით დავალიანების მქონე სანარმო პრივატიზებულ იქნა (როგორც წესი, პრივატიზების დროს მყიდველი სანარმო ყიდულობს მთელი თავისი აქტივებისა და პასივების ჩათვლით, მაგრამ ეს წესი არ იქნა დაცული. ფინანსთა სამინისტრო ამაში ქონების მართვის სამინისტროს ადანაშაულებს, იქ კი კომენტარისაგან თავს იკავებენ).

„რუსთავცემენტი“ ვალს პრივატიზების შემდეგაც არ იხდის და წლიდან წლამდე მოჰყვება ეს დავალიანება, მითუმეტეს, რომ წარმოების საშუალო წლიურმა მოცულობამ 300 ათასს გადააჭარბა.

პრივატიზებული სანარმოს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ ვალის გადახდის ნაცვლად ფინანსთა სამინისტროსაგან დავალიანების დაფარვის (10-წლიანი გრაფიკით) განვადება მოითხოვა. აღნიშნულ ხელშეკრულებას, რომელიც თარიღდება

2002 წლის 16 აპრილით, ხელი მოაწერა ფინანსთა მინისტრმა. რესტრუქტურის ხელშეკრულებაში საწარმოს დავალიანების თანხა რატომღაც შემცირებულია – 2 569 750 დოლარის ნაცვლად მითითებულია 2 207 474 დოლარი, მაშინ, როცა მას ამისათვის ერთი ცენტიც არ გადაუხდია. ამ დოკუმენტის თანახმად, ვალის გადახდა 2002 წელს იწყება და 2012 წელს მთავრდება. ამ ვალდებულების შესრულება მეტად საეჭვოა, რადგან 2002 წლის მონაცემებით „რუსთავეცემენტის“ დავალიანება 7 513 138 აშშ დოლარს შეადგენს.

თურქეთის კრედიტიდან 1993 წელს შულავერის მატყლის ქარხანამ სესხად მიიღო 2 374 012 აშშ დოლარი. ამჟამად, ძირითადი ვალის თანხისა და მომსახურების თანხის ჩათვლით დავალიანება 3 218 615 აშშ დოლარს შეადგენს.

აღნიშნული თანხით უცხოეთიდან უნდა შემოეტანათ მატყლი, რომლის გადამუშავება ადგილზე მოხდებოდა. გადამუშავებული ნედლეულის ნაწილი მოხმარდებოდა თბილისის მაუდკამვოლის კომბინატში სასაქონლო ნართვისა და მზა საკოსტუმე-საპალტოე ქსოვილების წარმოებას.

როგორც ექსპერტებმა დაადგინეს, თურქეთიდან შემოტანილ იქნა 956 ტონა უკიდურესად დაბალი ხარისხის გაურეცხავი მატყლი (მატყლი ეტაპობრივად შემოჰქონდათ და მისი დაბალი ხარისხი ორივე მხარისათვის იყო ცნობილი). ეს ყველაფერი წინასწარი შეთანხმებით მოხდა, რადგან მხარეებს შორის ადგილზე პირდაპირ გარიგებას ჰქონდა ადგილი.

მაკონტროლებელი ორგანოების ჩარევის შემდეგ შულავერის ფაბრიკის მესვეურებმა რამდენჯერმე მიმართეს თურქეთის მხარეს მატყლის ყველა პარტიის უკან დაბრუნების შესახებ.

მხარეთა შორის წარმოშობილი დავა საერთაშორისო სავაჭრო-საარბიტრაჟო სასამართლომ (მოსკოვში) განიხილა და 1995 წლის 1 თებერვლის №135 გადანყვეტილებით თურქეთის მხარეს დააკისრა 2 374 012 დოლარის ანაზღაურება. თურქეთის მხარემ ეს გადანყვეტილება არ გაიზიარა და გაასაჩივრა.

1996 წლის მარტში ანკარაში ახალი პროცესი დაიწყო. სასამართლოს ხარჯების დასაფარავად საწარმოს, პრეზიდენტის 1995 წლის 17 დეკემბრის განკარგულებით ფინანსთა სამინის-

ტრომ 32 000 ლარი უპროცენტო სესხი გამოუყო. ქართულმა მხარემ პროცესი წააგო. 3.2 მლნ დოლარის ბედი დღესაც გაურკვეველია. ფინანსთა სამინისტრომ შულავერის საქმე გამოძიებას გადასცა. გამოძიება შეწყდა კონკრეტული პირის მიმართ ბრალდების დაუდასტურებლობის გამო. ამჟამად ფაბრიკაში დარჩენილია 525 871 კგ. გაურეცხავი და 8 347 კგ. გარეცხილი მატყლი. ფინანსთა სამინისტროს მიაჩნია, რომ მატყლი უნდა იქნეს რეალიზებული და ამონაგებით ბიუჯეტის დავალიანების ნაწილი დაიფაროს. მაგრამ ესეც შეუძლებელი გახდება, რადგან საგარეო ვალის დეპარტამენტის მონაცემებით შულავერის მატყლის ფაბრიკის მემკვიდრის „ფირმა 94“-ის დებიტორული დავალიანება 4 533 085 დოლარს და 32 000 ლარს შეადგენს.

თურქეთის კრედიტიდან 4 997 605 აშშ დოლარი მიეცა „საქართველოს ელექტროკავშირს“, ახლანდელ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს. თანხის ნაწილი გამოეყო „აჭარის ელექტროკავშირს“, ახლანდელ კავშირგაბმულობის სამინისტროს. კრედიტი მოხმარდა სატელეფონო ქსელის მშენებლობას დასავლეთ საქართველოში. ქონების მართვის სამინისტრომ სააქციო საზოგადოება „ელექტროკავშირის“ საპრივატიზებო დოკუმენტებში ამ დავალიანების თანხა არ შეიტანა, ხოლო ფინანსთა სამინისტრომ ვერ შეძლო მათთან სათანადო ხელშეკრულების გაფორმება. აჭარისათვის გადაცემულ მონყობილობებს ახლა, 10 წლის შემდეგ ეძებენ და არ იციან მათი საფასური ვის მოსთხოვონ.

1993 წელს „ექსიმბანკმა“ სასმელი წყლის ფირმა „ფარი და კოს“ (ახლა მისი სამართალმემკვიდრეა სასმელი წყლის კომპანია „გევა“) მისცა კრედიტი 5 000 000 აშშ დოლარის ოდენობით.

აღნიშნული სესხი არასწორად იქნა გაცემული, რადგან იგი სათანადო ქონებით არ იყო უზრუნველყოფილი. „ფარი და კოს“ ძირითადი ფონდების ღირებულება მნიშვნელოვნად ნაკლები იყო მიცემულ სესხზე. ამჟამად, „ფარი და კოს“ სამართალმემკვიდრე შპს „გევა“-ს დავალიანება (ძირითადი სესხისა და მომსახურების ჩათვლით) შეადგენს 5 409 199 აშშ დოლარს.

კრედიტის დაუზრუნებლობის ძირითად მიზეზად (ფინანსთა სამინისტრო და სხვა მაკონტროლებელი უწყებები) თვლიან

თურქეთიდან მონოდებული მანქანა-დანადგარების დიდი ნაწილის უზარისხობას (ფირმა თურქეთიდან შეიძინა და სოფ. ნატახტარში დაამონტაჟა ბუნებრივი სასმელი წყლის (პლასტმასის ბოთლებში) ჩამოსასხმელი სრულციკლიანი ქარხანა. უზარისხო ფილტრების მონოდების გამო 1995 წელს გამოშვებული მთელი პროდუქცია უვარგისი აღმოჩნდა).

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ანალოგიური ბრალდებები თურქეთის მხარისადმი წაყენებული აქვს „რუსთავემენტის“ და შულავერის მატყლის პირველადი დამუშავების ფაბრიკას. ამასთან დაკავშირებით, იბადება კითხვა, რატომ ყიდულობენ ასეთ საქონელს? რატომ იმთავითვე არ მიმართავენ ხელისუფლებას, რომ დაცული ყოფილიყო მათი ინტერესები? მაგრამ, როგორც ახლა აშკარად ჩანს, აქ სხვა გარიგებებს ჰქონდა ადგილი. სხვათაშორის, ყველა დოკუმენტი ისეა შედგენილი, რომ დამნაშავე არ ჩანს.

თურქული კრედიტიდან ვაჭრობის სამინისტრომ აითვისა 8.503.185 აშშ დოლარი. ამჟამად ძირითადი ვალის მომსახურების თანხების ჩათვლით დავალიანება 9 800 298 დოლარს შეადგენს. ვაჭრობის სამინისტრომ აღნიშნული სესხი არაკანონიერად მიიღო – მას, როგორც საბიუჯეტო ორგანიზაციას, სესხის აღების უფლება არ ჰქონდა.

ამიტომ სამინისტრომ სესხი მაცივარ-კომბინატს გაუფორმა. მაცივარ-კომბინატმა უცხოეთიდან შემოიტანა საქონელი და იგი გაგზავნა ქ.როსტოვში შპს „ზარიას“ მისამართზე, ხოლო „ზარიას“ მისამართით გაგზავნილი საქონლის საფასურის გადახდის გარანტიად გაფორმებულია შვეიცარიული ფირმა „albatros holding limited“-ი. კონტრაქტში არ არის ნაჩვენები არც შპს „ზარიას“ და არც „albatros holding limited“-ი სრული რეკვიზიტები – მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება, მისამართი, რეგისტრაციის ნომერი, თარიღი და ა.შ. სესხის მიღების დოკუმენტაციას თან არ ახლავს გარანტი, ბანკის ცნობა ფირმის გადახდისუნარიანობისა და სანდოობის შესახებ, წარმომადგენლის ვინაობა, მინდობილობა, გვარი და სხვა. საკვირველი ისაა, თუ როგორ მოხდა ასეთი ხელშეკრულების გაფორმება და მიღება?

სამინისტრომ მიღებული სესხის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიყენა უცხოეთიდან სასურსათო, სამეურნეო და სამრეწველო საქონლის შესაძენად, მათ შორის შეძენილ იქნა 1.2 მლნ დოლარის ღირებულების 1450 ტონა მარგარინი.

მაშინდელი ვაჭრობის მინისტრი ასაბუთებდა, რომ მიღებული კრედიტით უცხოეთში შეიძენდა საქონელს, უზრუნველყოფდა სამომხმარებლო ბაზრის გაჯერებას და მილიონებს მოიგებდა. ამასთან, მინისტრი ზემდგომ ორგანოებს არწმუნებდა, 1 კილოგრამ მარგარინს 6 ცენტად მიყიდდა მოსახლეობას. მაგრამ ვერავინ ვერ იხსენებს, ასეთ ფასში რომ გაყიდულიყო იგი. 250 გრ.მარგარინის ფასი ყოველთვის 60 თეთრიდან 1 ლარამდე მერყეობდა. ასეთი განუკითხაობით ბევრმა ისარგებლა.

როგორც ამას კომისიური შემონმების მასალები ადასტურებენ, ფაქტობრივად ბაზარი მომარაგებულ იქნა ძვირადღირებული და უხარისხო საქონლით. საქონელთა დიდი მარაგები ჩამოფასდა და მათი რეალიზება შემცირებულ ფასებში მოხდა. ასეთმა არასწორმა გადაწყვეტილებებმა ვაჭრობის სამინისტრო ფინანსური კრახის წინაშე დააყენა, ხოლო ბიუჯეტმა მილიონები დაკარგა.

ვაჭრობის სამინისტროს მიერ კრედიტის არამიზნობრივად და არაეფექტიანად გამოყენების გამო 1997 წელს სისხლის სამართლის საქმე აღიძრა პროკურატურაში. შემდეგ საქმის ძიება შეწყვეტილ იქნა და არავინ დასჯილა.

ასეთი დანაშაულებრივი ქმედებების გამო პასუხი უნდა ეგო ვაჭრობის სამინისტროს და მაშინდელი მთავრობის ხელმძღვანელებს.

თურქული კრედიტიდან მნიშვნელოვანი თანხა 5 000 000 აშშ დოლარი გამოეყო პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციას. ვალის დაფარვის ვადა სამი წელი იყო.

კრედიტის თანხით პურპროდუქტების კორპორაციის მიერ ქვეყანაში შემოტანილი იყო მხოლოდ 76.4 ტონა ხორბალი და 15.6 ტონა ფქვილი. შემონმების მონაცემებიდან არ ჩანს, თუ სად დაიხარჯა კრედიტის დანარჩენი თანხა. მიუხედავად იმისა, რომ პურპროდუქტების კორპორაცია დავალიანების თანხას ვერ იხდიდა, ფინანსთა სამინისტრო წლების მანძილზე რატომ-

ლაც მფარველად ედგა და მოითხოვდა მის განთავისუფლებას საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

ამ ეტაპისათვის „პურპროდუქტების“ ვალი 23 943 874 აშშ დოლარს უდრის. თუმცა, ამას კორპორაციის ხელმძღვანელობა ვალად არ თვლის იმ მიზეზით, რომ იმ წლებში დააკმაყოფილა ხალხის მოთხოვნა ნორმირებულ პურზე. ფინანსთა სამინისტრო ამირებს სასამართლოს მიმართოს. არ არის გამორიცხული, ეს ვალიც მოსახლეობას დაანვეს მხრებზე, რადგან საგარანტიო ხელშეკრულებაში ჩადებულია, რომ „პროდუქტებისთვის“ მიცემული თანხა, არგადახდის შემთხვევაში, „ექსიმბანკს“ ბიუჯეტიდან აუნაზღაურდება.

სააქციო საზოგადოება „არაგვს“ საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე გამოეყო 3.8 მლნ აშშ დოლარი. თანხა გამოყენებული იქნა არასანარმოო დანიშნულებით – გუდაურის სამთო-სათხილამურო ბაზის 64-ადგილიანი ტურისტული კომპლექსის მშენებლობისათვის.

ამ თანხით, ჯერ კიდევ არარსებული სასტუმროსათვის თურქეთიდან შესყიდულ იქნა სხვადასხვა საქონელი ადგილობრივ საბაზრო ფასებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილი ფასებით. მაგალითად, მაგიდა – 658 დოლარად, ხის ფანჯრები – 302 დოლარად, ქაფქირი – 60 დოლარად და ა.შ.

შემომების შედეგად დადასტურდა, რომ „არაგვის“ მესვეურები თურქული კრედიტით ძვირად შეძენილ საქონელს საქართველოში უკეთებდნენ რეალიზაციას და შემოსული თანხები ბულალტრულად არსად არ აისახებოდა.

ახლა კრედიტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაიფაროს, რადგან თავიდანვე კრედიტი გაცემული იყო ისეთ შპს-ზე, რომელსაც ბანკში ანგარიშზე არც ერთი ლარი არ ჰქონდა, თანაც სამშენებლო ორგანიზაციას წარმოადგენდა.

როგორც ვხედავთ, თურქეთის კრედიტის მიმღები ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა უხეშად დაარღვია სესხით სარგებლობის წესი. აღნიშნული საწარმოები კრედიტს დღეს არ აბრუნებენ და მათ დაფარვასაც არავენ ითხოვს. საპროცენტო გადასახდელების ჩათვლით თურქეთის დავალიანება უკვე 65 მლნ დოლარს აჭარბებს. აღნიშნულმა საწარმოებმა თავი აარიდეს

ძირითადი ვალისა და საპროცენტო თანხების გადახდას, რითაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს „საქქესიმბანკი“, რომელიც სესხის მიღების გარანტიად დაუდგა ფინანსთა სამინისტროს.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (ერგბს-ს საკრედიტო ხაზით) მიღებული ე.წ. მესამე კრედიტი – 12 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით გამოყოფილი იყო საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების დანიშნულებით. მაგრამ ფაქტობრივად იგი არამიზნობრივად (ვილაცის ზეგავლენით) საბანკო სფეროში იქნა გადასროლილი და გამოყენებული. კრედიტი გაუნაწილდა: „თბილკრედიტბანკს“ – 3.0 მლნ დოლარი; „თბილკომბანკს“ – 2.0 მლნ დოლარი; „თბილუნივერსალბანკს“ – 1.0 მლნ დოლარი; „ინტელექტბანკს“ – 2.0 მლნ დოლარი, ე.ი. მცირე ბიზნესის განვითარებისათვის გამოყოფილი კრედიტი წარმოებაში კი არ იქნა გამოყენებული, არამედ გადაეცათ კომერციულ ბანკებს 10%-იანი სარგებლით, რომლებმაც ეს საკრედიტო რესურსი გაასესხეს სანარმოებზე 24-36-პროცენტიანი სარგებლით და უფრო მეტადაც, რამაც წარმოების აღორძინებას კი არა, მის გაკოტრებას შეუწყო ხელი.

1997 წელს საქართველოს მთავრობამ ფერმერული მეურნეობების განვითარებისათვის, ირიგაციისა და დრენაჟის ქვესისტემის რეაბილიტაციის მიზნით, დახმარება სთხოვა მსოფლიო ბანკს და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდს (იფადი). 1998 წლის მაისში ფინანსთა სამინისტრომ და მსოფლიო ბანკმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას „სოფლის მეურნეობის განვითარების მეორე პროექტის“ მომზადების თაობაზე, რომლის ერთი კომპონენტიც ირიგაცია-დრენაჟის პროექტი იყო. შეთანხმების თანახმად, მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაციამ პროექტის მომზადებისათვის თანხა ავანსად გამოყო.

აღნიშნული თანხა გაიფლანგა. პროექტის განმახორციელებელი სტრუქტურების ოფისებში მართო რემონტზე 34 ათასი დოლარი დაიხარჯა. შესაბამისი ხარჯების დანართში 23 ათასი დოლარით ნაკლებია ნაჩვენები.

პროექტის მოსალოდნელი თანხებიდან 50 ათასი დოლარით შეიძინეს სამი „შევროლენ ბლემზერი“, თუმცა ხსენებულ ჯგუფს

სამიდან ერთი მიამაგრეს, დანარჩენი სხვა პროექტებს გადასცეს. არასწორად დააკომპლექტეს შტატებიც. ყოველგვარი შეთანხმების გარეშე კონტრაქტები გააფორმეს 40 კაცთან.

ირიგაციისა და დრენაჟის პროექტის განხორციელებაში მსოფლიო ბანკის პარტნიორი სოფლის მეურნეობის სამინისტროს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ ეს დარღვევები დაადასტურა. საქართველოს მთავრობამ აღნიშნულის შესახებ საქმე აღძრა სამართალდამცავ ორგანოებში.

ასევე არაეფექტიანად იქნა გამოყენებული ასეული მილიონობით დოლარი საქართველოს საქენერგოს სისტემაში, რომელიც თითქოსდა თბილსრესის ენერგობლოკების რეაბილიტაციისათვის დაიხარჯა.

საქართველოს ენერგოსექტორის დავალიანებამ 1999 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით შეადგინა 504.8 მლნ აშშ დოლარი, მათ შორის: საგარეო კრედიტებზე – 127.2 მლნ აშშ დოლარი, ანუ მთელი ვალების 25.2 პროცენტი; საშინაო კრედიტებზე – 46.6 მლნ დოლარი (9.2 პროცენტი); სხვადასხვა დავალიანებებზე – 331 მლნ დოლარი (65.6 პროცენტი). საგარეო კრედიტებიდან მიიღო: მსოფლიო ბანკის კრედიტი – 64.0 მლნ აშშ დოლარი, რომელიც გამოყოფილი იყო ენერგეტიკის რეაბილიტაციის (50.8 მლნ აშშ დოლარი), ენერგოსექტორის მართვის (12.3 მლნ აშშ დოლარი) და ნავთობის სფეროში ინსტიტუციონალური მშენებლობისათვის (0.8 მილიონი აშშ დოლარი); KFW-ს კრედიტები – 46.6 მილიონი აშშ დოლარი, რომელიც ძირითადად უნდა მოხმარებოდა ენერგოსექტორის პროგრამების განხორციელებას, ხოლო ევროპის რემონტისათვის და განვითარების ბანკის კრედიტები – 16,6 მილიონი აშშ დოლარი მთლიანად ენერგეტიკის რეაბილიტაციის პროექტისათვის იყო გამოყოფილი.

თბილსრესის ენერგობლოკების რემონტისათვის დაიხარჯა ასევე სხვადასხვა კრედიტები. კერძოდ: თურქეთის კრედიტი – 11.9 მლნ აშშ დოლარი; გაერთიანებული ქართული ბანკის კრედიტი ფინანსთა სამინისტროს გარანტიით – 3.0 მლნ აშშ დოლარი; „ანგლო ოილის“ – 62.0 მლნ აშშ დოლარი; შპს „მეზოკომი“-ს – 17 მლნ აშშ დოლარი; საბერძნეთის კრედიტი – 8.3 მლნ აშშ დოლარი და სხვ.



თბილსრესის № 9 და №10 ენერგობლოკების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი კრედიტების მნიშვნელოვანი ნაწილი გადასესხებულია „AES-მტკვარზე“, რამაც 50.55 მლნ აშშ დოლარი და 59.35 მლნ გერმანული მარკა შეადგინა.

1997-1998 წლებში ავსტრიულ „რაიჰაიზენცენტრალბანკს“-სა და ქართულ ფირმა „ანგლო-ოილს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება. „ანგლო-ოილმა“ ბანკიდან აიღო 46 მილიონი ლარი ქართული ენერგეტიკის სეგმენტის ასამუშავებლად. ფირმამ „თბილსრესის“ მე-9 და მე-10 ბლოკების ასამუშავებლად შემოიტანა სანვაგი. სამაგიეროდ, „ანგლო-ოილს“ ეძლეოდა უფლება განეხორციელებინა ელექტროენერჯის რეალიზაცია და ჭარბი ენერჯია თურქეთში გაეტანა.

როგორც მაკონტროლებელმა ორგანოებმა დაადგინეს, „ანგლო-ოილი“ 1000 კუბურ მეტრ გაზს 60 დოლარად ყიდულობდა, ხოლო 1 ტონა მაზუთს 90 დოლარად, მაშინ, როცა „იტერა“, საქართველოს „ანგლო-ოილისაგან“ განსხვავებით, ამავე რაოდენობის გაზს 45 დოლარად აწვდიდა. საინტერესოა, რატომ გაცა ავსტრიულმა ბანკმა ასეთი მოცულობის სესხი კერძო ფირმაზე, როცა საქართველოს მხრიდან მას არ ჰქონია სათანადო გარანტიები? ან სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ რატომ ცნო ავსტრიული ბანკის მიმართ საქართველოს ვალდებულება? რატომ უნდა გადაიხადოს საქართველომ აღნიშნული თანხა? როგორც ვხედავთ, საქართველოს მწირ ბიუჯეტს კიდევ ერთი ვალის – 46 მლნ ლარის გადახდა მოუწევს.

იაპონიის მთავრობამ საქართველოში კვების მრეწველობის განვითარების ხელშესაწყობად გამოყო დახმარება (გრანტი) 500 მილიონი იენის ოდენობით. ეს თანხა გათვალისწინებული იყო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და მინერალური სასუქების შესაძენად.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 22 აპრილის №154 განკარგულებით, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს დაევალა გრანტით შეძენილი პროდუქციის მიღება, რეალიზება და მონეტიზებული თანხების საქართველოს ეროვნულ ბანკში ფინანსთა სამინისტროს მიერ გახსნილ ანგარიშზე დეპონირება.

იაპონიისა და საქართველოს მთავრობებს შორის შეთანხმების შესაბამისად დეპონირებული თანხები შემდგომში უნდა მოხმარებოდა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებას.

1998 წლის 12 თებერვალს საქართველოში შემოვიდა 2 288 946 ლარის (2.91 მლნ აშშ დოლარის) ღირებულების 9 დასახელების 97 ერთეული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ტექნიკის გამოსყიდვის ბოლო ვადად განისაზღვრა 2001 წლის 8 აპრილი. მომხმარებელს მიღებული ტექნიკის ღირებულების არანაკლებ 50 პროცენტი უნდა დაეფარა 2000 წლის 1 იანვრამდე.

ტექნიკის განვადებით გადაცემის საგირავნო და საიპოთეკო ხელშეკრულებები გაფორმდა სოფლის მეურნეობის დარგში საქმიანობის გამოცდილების არმქონე, ფინანსურად სუსტ საწარმოებთან და მათ გადაეცათ 2 მილიონ 288 ათასი ლარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

2000 წლის 1 სექტემბრისათვის საპარტნიორო ფონდში 1 245 867 ლარის ნაცვლად მათ შეიტანეს მხოლოდ 27 660 ლარი, ხოლო 1 224 007 ლარის ქონება გაიფლანგა.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აშშ-დან კრედიტის ანგარიშში შემოიტანა დიდი რაოდენობით სოიოს ზეთი. ზეთის რეალიზაცია გათვალისწინებულ ვადებში ვერ მოხერხდა. მნიშვნელოვანი ოდენობის ვადაგასული პროდუქციის გასაღების მიზნით სამინისტრომ ზეთზე ფასები დაუსაბუთებლად „შეამცირა“. კონტროლის პალატის მონაცემებით, აღნიშნული კომბინაციით ქვეყანამ 2 700 000 დოლარი იზარალა.

სააქციო საზოგადოება „ფოთი თევზის“ საოკეანო თევზჭერის სამმართველოს 20 თევზსაჭერი ტრაულერი ჰყავდა, რომელთა უმეტესი ნაწილი ჯართად გაიყიდა თურქეთში. გაიყიდა შედარებით უფრო ახალი, ექსპლოატაციისათვის ვარგისი რამდენიმე გემიც. მათ შორის თევზსაჭერი ტრაულერი „ბრატია სტაიანოვები“ 1 790 000 დოლარად, რეალურად შემოსულმა თანხამ კი შეადგინა 316 310 დოლარი. დანარჩენი თანხის „მისამართი“ დღემდე უცნობია. საბოლოოდ, „ფოთი თევზს“ მხოლოდ 2 გემი დარჩა.

მიუხედავად იმისა, რომ გემები დიდი ხნის გაყიდული ჰქონდათ, სააქციო საზოგადოების მესვეურებმა 1995 წელს მოახერხეს გემების შესაკეთებელი მასალებისა და სათადარიგო ნაწილების შესაძენად უცხოეთიდან მიეღოთ სესხი 2 300 000 დოლარის რაოდენობით.

რა თქმა უნდა, ეს თანხები დანიშნულებისამებრ არ ყოფილა გამოყენებული. აღნიშნული სესხიდან 100 000 ლარი ფოთის მერიამ გადასახადების გეგმის გარღვევის დასაფარავად გამოიყენა, ხოლო 32 621 დოლარი „თბილბიზნესბანკისა“ და „აბსოლუტბანკის“ ანგარიშიდან არამიზნობრივად დაიხარჯა.

ამავე წელს ს/ს „ფოთი თევზმა“ გაერთიანებული ქართული ბანკიდან იმავე დანიშნულებით კიდევ ერთი კრედიტი მიიღო 1 400 000 ლარის ოდენობით.

1997 წელს დარჩენილი ორი ტრაულერი – „ატლანტიკ ქვინი“ და „ატლანტიკ პრინცესა“, თითოეული 877 ათას დოლარად – იჯარით გადასცეს რუსეთის თევზჭერის კოლმეურნეობებს. უფრო მოგვიანებით, შეიქმნა ერთობლივი სანარმო. ორივე გემიდან 3 წელსა და 6 თვეში შემოსავალმა შეადგინა 2 240 000 დოლარი. აქედან „ფოთი თევზის“ ანგარიშზე ერთი ცენტიც არ არის ჩარიცხული, მაშინ, როცა ერთობლივ სანარმოთა აქციების 90% ამ უკანასკნელს ეკუთვნოდა. „ფოთი თევზი“ გაკოტრდა და მას, როგორც უცხოეთში, ისე საქართველოში აღებული ვალები არ გადაუხდია<sup>1</sup>.

არადა დანიშნულებისამებრ და არაეფექტიანად იქნა გამოყენებული რუსეთის მეორე კრედიტის ნაწილი 1.1 მლრდ რუბლის ოდენობით, რომელიც გამოეყო ვაჭრობის სამინისტროსა და ზუგდიდის ქალაქის კომბინატს. აგრეთვე, რუსეთის მესამე კრედიტი – 1.5 მლრდ რუბლის მოცულობით, რომელიც გამოეყო განათლების სამინისტროსა და ფირმა „აგიას“.

ჩინეთის ექსპორტ-იმპორტის სახელმწიფო კორპორაცია „მაშიმპექსის“-სა და საქართველოს საგარეო-ეკონომიკური გაერთიანება „საქიმპექს“-ს შორის დადებული ხელშეკრულებით ამ უკანასკნელის მიერ ქვეყანაში შემოტანილ იქნა 1204 ცალი მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი. ისინი სიძვირის გამო ვერ გახდა ხელმისაწვდომი ქართველი ფერმერებისათვის. ეს ტრაქტორები ამჟამად ქუთაისის სატრაქტორო ქარხნის სანაწობებშია და მათი გასაღება ვერ ხერხდება.

ერთობლივმა სანარმო „მეტეხმა“ ავსტრიის კომერციულ ბანკ „კრედიტანშტალტი“-დან 1989 წელს აიღო კრედიტი – 69

<sup>1</sup> გაზ. „სამართალი“, 2000. 18 დეკემბერი, №348.

მლნ აშშ დოლარი - თბილისში სასტუმრო „მეტეხის“ ასაშენებლად, ხოლო 1993-1994 წლების დავალიანების დასაფარავად საქართველოს მხარემ 1997 წელს დამატებით მიიღო 21.50 მლნ აშშ დოლარი.

ერთობლივი სანარმო „მეტეხი“-ს დამფუძნებლები იყვნენ, ერთი მხრივ, თბილისის ყოფილი საქალაქო საბჭოს აღმასკომი, რომელსაც ეკუთვნოდა სანესდებო ფონდში 90 პროცენტი და მეორე მხრივ, ავსტრიული ფირმა „აბვ“ (რომლის ძირითადი მეპატრონეა ავსტრიის მოქალაქე ლეოპოლდ ბაუსბეკი), მისი წილი „მეტეხის“ სანესდებო ფონდში 10 პროცენტს შეადგენდა.

ავსტრიის კომერციულ ბანკში სესხის დაბრუნებაზე პასუხისმგებელი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ერთობლივი სანარმო იყო. გარანტი – თბილისის საქალაქო საბჭო, კონტრაგანტი კი – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ეს იმას ნიშნავდა, რომ, თუ დამოუკიდებელი კომერციული ფირმა „მეტეხი“ ვერ შეასრულებდა პარტნიორობთან ვალდებულებებს, მას პასუხი უნდა ეგო საკუთარი ქონებით. თუ ეს საკმარისი არ იქნებოდა, მაშინ – თბილისის მერიას. რაც შეეხება კონტრაგენტს, ასე ვთქვათ, ბოლო ინსტანციის მაგარანტირებელ ორგანოს – საქართველოს მთავრობას ფინანსთა სამინისტროს სახით, მის მიმართ პრეტენზიების წარდგენა შესაძლებელი იყო კრედიტორ ბანკთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პროცედურის გავლის შემდეგ.

როგორც ცნობილია, ერთობლივმა სანარმო „მეტეხმა“ დაწესებულ ვადებში თანხის დაბრუნება ვერ შეძლო. სესხის ძირითადი ნაწილის, მომსახურების (პროცენტების) და ჯარიმების თანხის დაფარვის გადავადების გამო „მეტეხის“ დავალიანებამ 88.4 მლნ დოლარს მიაღწია.

ავსტრიის მხარესთან საქართველოს მთავრობის მიერ დაიდო მსოფლიოს პრაქტიკაში უპრეცედენტო ხელშეკრულება, როცა ეს უკანასკნელი დათანხმდა კრედიტის გასტუმრებას და რესტრუქტურირების მეთად მძიმე პირობებით, რომლის თანახმად, საბოლოოდ გადასახდელი იქნება 108 მილიონი დოლარი<sup>1</sup>.

<sup>1</sup> გოცირიძე რ. ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება, თბ., 1999, გვ. 366-369.

გამომდინარე იქიდან, რომ ერთობლივმა სანარმომ „მეტეხმა“ ვერ შეასრულა სასესიო ვალდებულებები საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების, ასევე საქართველოში მოქმედი შეთანხმებებისა და თვით ერთობლივი სანარმო „მეტეხის“ წესდებისა და სადამფუძნებლო ხელშეკრულების თანახმად, მთელი ქონება (სასტუმრო „მეტეხი“) საქართველოს საკუთრებაში უნდა გადმოსულიყო. მხოლოდ ამ შემთხვევაში უნდა ეკისრა საქართველოს ავსტრიის კომერციული ბანკების წინაშე „მეტეხის“ ვალების გადახდა.

სინამდვილეში მოხდა პირიქით: ვალებს ფარავს საქართველოს მთავრობა, ხოლო ოთხმოცმილიონიანი ძირითადი ფონდების და მთელი პერიოდის განმავლობაში მისგან მისაღები მოგების თანამონაწილეები ხდებიან გადახდისუუნარო დამფუძნებლები<sup>1</sup>.

საქართველოს მთავრობას არ უნდა ეკისრა ეს ვალი, რადგან არსებობდა სხვა საშუალებები ვალის გასასტუმრებლად, მაგალითად, კრედიტორი ბანკებისათვის სესხის ვადადამდგარი თანხის ოდენობით „მეტეხის“ წილის გადაცემა ან „მეტეხის“ წილის გაყიდვა და მიღებული შემოსავლით სესხის დაფარვა. ამ შემთხვევაში არ მოხდებოდა პროცენტების, საჯარიმო სანქციებისა და სხვა თანხების გამო სესხის მოცულობის ასეთი ზრდა. ეს ფირმა უზარმაზარ ტვირთად დაანვა ქვეყანას. იგი მაღავდა საბიუჯეტო შემოსავლებს, რომლის ნაწილი, მოგვიანებით, იძულებით იქნა მიღებული ბიუჯეტში.

სპეციალისტების გაანგარიშებით, საქართველოს მიერ ავსტრიის კომერციული ბანკებისადმი გადასახდელი 108 მილიონი დოლარით ერთი კი არა, ორი „მეტეხის“ აშენება შეიძლებოდა<sup>2</sup>.

როგორც ირკვევა, სახელმწიფო ვალად ამ სესხის გადმოფორმების მიზეზი ამ საქმეში დასაქმებულთა არაკომპეტენტურობა და მაღალი თანამდებობების პირთა ანგარებაა.

სერიოზულ დარღვევებს ჯერ კიდევ სასტუმროს მშენებლობის პერიოდში ჰქონდა ადგილი. ნაცვლად იმისა, რომ სესხი

<sup>1</sup> გოცირიძე რ. ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება, თბ., 1999, გვ. 366-369.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 367.

მთლიანად მშენებლობას მოხმარებოდა (რასაც ხელშეკრულება ითვალისწინებდა), ამ ფულით „მეტეხმა“ სასტუმრო „გუდაურის“ აქციათა 10%-ის წილი შეიძინა. როგორც აღვნიშნეთ, დამფუძნებელთა ორივე მხარეს შორის წილი შემდეგი პროპორციებით იყო განაწილებული – 90% ეკუთვნოდა თბილისის მერიას, 10% კი – ავსტრიულ ფირმას.

1990 წლის ივლისში, საქართველოს მხარის წაყრუებით თუ ხელშეწყობით, არაკანონიერად შეიცვალა წილობრივი მდგომარეობა. საწესდებო ფონდის 5 პროცენტი დამატებით გადაეცა ავსტრიულ ფირმას (რა თქმა უნდა, ჩვენი წილის შემცირების ხარჯზე), რის შედეგადაც წილობრივი თანაფარდობა შეიცვალა: 85 პროცენტი – თბილისის მერიას, 15 პროცენტი – ფირმა „აბგ“-ს.

გარდა ამისა, მოხდა უპრეცედენტო ფაქტი: ქალაქის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ საქართველოს მხარის კუთვნილი წილი, რომლის ღირებულება ფაქტობრივად 10 მილიონ დოლარს აღემატებოდა, უსასყიდლოდ დაუთმო ავსტრიელ პარტნიორებს<sup>1</sup>.

წილის უკანონო გასხვისება (გაჩუქება) მოხდა სიმბოლურ ფასად, 16 ათას დოლარად. ეს წილი ჩამოერთვა უცხოელ მონაწილეს და დაუბრუნდა საქართველოს. თუმცა, ფირმა „აბგ“-ს გამგებელს საქართველოში, ბატონ ბაუსბეკს, უამრავი მფარველი ჰყავდა ხელისუფლებაში და ისიც გამუდმებით შანტაჟს აწყობდა ქვეყნის წინააღმდეგ<sup>2</sup>.

საგულისხმოა, რომ ფირმის ხუთკაციან მმართველობაში საქართველოს მხარის სამი წარმომადგენელი იყო და მათი ხმების გარეშე სასურველ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდნენ, თანაც წილის გაზრდას მიაღწიეს გაცვეთილი სამშენებლო ტექნიკის გადაცემის გზით. ეს ტექნიკა დაგვიტოვეს 5-პროცენტის წილში იმ დროს, როცა დამთავრებული იყო სასტუმროს მშენებლობა და ამ ტექნიკის უცხოეთში გატანა უფრო ძვირი ჯდებოდა. გაცვეთილი ტექნიკის ღირებულება არ ასახავდა მიტაცებული წილის რეალურ ფასს.

<sup>1</sup> გოცირიძე რ. ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება, თბ., 1999, გვ. 367.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 368.

ასეთივე მაქინაცია მეორეჯერაც განხორციელდა 1992 წლის მაისში. თბილისის მერიამ მიჰყიდა „აბჯ“-ს სანესდებო ფონდის 16 პროცენტი 16 ათას დოლარად. ამ პერიოდში „მეტეხი“ უკვე აშენებული იყო და ფუნქციონირებდა კიდეც. ამ არაკანონიერი გადანყვეტილებით, ავსტრიულ მხარეს სანესდებო ფონდში წილი 31 პროცენტი გაუხდა, თბილისის მერიას კი – 69 პროცენტი, ე.ი. სულ რამდენიმე ათას დოლარად დავთმეთ სასტუმროს მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის საერთო ღირებულება 22 მლნ ამერიკულ დოლარს აღემატება.

აშკარაა, რომ ეს იყო ქვეყნის ინტერესების უგულვებელყოფა უცხოური კაპიტალის სასარგებლოდ და პირადი გამორჩენის მიზნით.

რა თქმა უნდა, ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად ქვეყნისათვის მიყენებულია დიდი ზარალი და მას სასტუმრო „მეტეხი“ ექსპლოატაციაში შესვლიდან ათეული წლების განმავლობაში ვერ ამოიღებს<sup>1</sup>.

რაც უფრო მეტი დრო გადის, სულ უფრო ნათელი ხდება, რომ საქართველოს ეკონომიკას საგარეო დახმარებების გარეშე განვითარება არ შეუძლია. სწორედ ამით არის განპირობებული, რომ საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო-საფინანსო ორგანიზაციებიდან მორიგი დახმარების მიღებას ცდილობს. მაგრამ, სამწუხაროა ის, რომ მიღებულ სესხებს მთავრობა იყენებს არამიზნობრივად და არაეფექტიანად.

### 3.2. სახელმწიფო სავალ კრიზისის დაძლევის ღონისძიებები

საგარეო დავალიანების პრობლემის განხილვისას ბუნებრივად იბადება კითხვები: 1) რამდენად დიდია საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი? 2) რა მიმართულებით იზრდება იგი? 3) რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ სავალ კრიზისი?

საგარეო ვალი ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. გადასახდელი თანხა თანდათანო-

<sup>1</sup> გოცირიძე რ. ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება, თბ., 1999, გვ. 368..

ბით იზრდება, ვალს ემატება მომსახურების თანხები და ორივე ერთად მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის ეკონომიკას.

დიდი მოცულობის დავალიანების დაგროვების დროს წარმოიქმნება მისი მომსახურების პრობლემატ. თუ ვალის მოცულობა ან სარგებლის განაკვეთი იზრდება, მატულობს მისი მომსახურების ხარჯებიც, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს უცხოური ვალუტით. ჩნდება სავალო კრიზისის საშიშროება.

ახლო წარსულის გამოცდილება მონიშნავს, რომ 80-იან წლებში განვითარებად ქვეყნებში დაწყებული სავალო კრიზისიდან თავის დაღწევა მხოლოდ ერთეულმა სახელმწიფოებმა თუ შეძლეს. თუმცა იყვნენ ისეთი ქვეყნებიც, რომლებსაც სავალო კრიზისმა გვერდი აუარა. ეს ის ქვეყნებია, რომლებიც სწორ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებდნენ. ამდენად, კრიზისის თავიდან აცილება გონივრულ ეკონომიკურ რეფორმას შეუძლია.

როგორია დღეს ეკონომიკური მდგომარეობა გატარებული რეფორმების ფონზე (და, შესაბამისად, სახელმწიფო ვალის დაფარვის შესაძლებლობები) საქართველოში? კერძოდ, როგორ გვესახება სავალო კრიზისის დაძლევის კონკრეტული ღონისძიებები?

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სახელმწიფოს როლი ეკონომიკის განვითარებაში მინიმუმამდე დავიყვანეთ. მას მხოლოდ კანონების და წესრიგის დაცვა, გადასახადების აკრეფა, ლარის კურსის ხელოვნური სტაბილიზაცია და საზოგადოების მინიმალურ დონეზე სოციალური უზრუნველყოფა მივანდეთ. წარმოდგენა, თითქოს ბაზარი ავტომატურად დაარეგულირებდა ეკონომიკას, მცდარი აღმოჩნდა. დღეს უკვე ეჭვს არ იწვევს, რომ სახელმწიფოს როლის შესუსტებამ უარყოფითი როლი ითამაშა ეკონომიკის განვითარებაზე.

„დღეს სიღარიბის, უმუშევრობის, უთანასწორობის და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის აუცილებლობა ზრდის სახელმწიფოს როლს, ითხოვს მისგან გადამჭრელი ზომების მიღებას“<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ნ. ქიანავა, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების გაძლიერების აუცილებლობა და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. IV, თბ., 1999, გვ. 34-37.



საქართველომ დღეისათვის მიაღწია შეთანხმებას თითქმის ყველა ვალის რესტრუქტურისა და მაგრამ ეს კი არ ნყვეტს პრობლემას, არამედ ახდენს მის გადავადებას გარკვეული პერიოდით და მომავლისათვის ქმნის უფრო მძიმე სავალო კრიზისის წინაპირობას.

როგორც ვნახეთ, საგარეო ვალი კატასტროფულად იზრდება, მისი დაფარვის გზები კი ჯერჯერობით არ ჩანს. საქართველოს მესვეურების აზრით, თურმე გადაუხდელი ვალის მნიშვნელოვანი ნაწილის „პატიება“ შეიძლება, მაგრამ გასაკვირი იქნებოდა გვეფიქრა, რომ კრედიტორი ქვეყნები, რომელთაც 80-იანი წლების მწარე გამოცდილება აქვთ, ახლაც ადვილად გაიმეტებენ საკუთარ სახსრებს.

თუ იმას გულისხმობენ, ამერიკის შეერთებული შტატები ვალების პატიების ახალი ინიციატივით გამოვიდა და მას სავალუტო ფონდმა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს, ასეთი რამ, როგორც წესი, დიდ ინტერვალში ერთხელ ხდება და ისიც განსაკუთრებულ პირობებში ჩავარდნილი ქვეყნების მიმართ. ამჯერად ეს ინიციატივა ეხება აფრიკის უღარიბეს ქვეყნებს. რაც შეეხება საქართველოს, თანამედროვე ეტაპზე თითქმის წარმოუდგენელია თურქმენთმა და რუსეთმა ვალი ჩამოგვანეროს. არც ისაა მოსალოდნელი, სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა პატიების პროგრამით ვალი მხოლოდ ჩვენს სახელმწიფოს ჩამოანეროს. ვალებს პატიობენ იმ ქვეყანას, რომელსაც ვალების გადახდა უკვე აღარ შეუძლია.

რა მდგომარეობაა ამჟამად საქართველოში, აქვს თუ არა მას ვალის გადახდის შესაძლებლობები?

1996-1999 წლებში ჩვენს ქვეყანაში წარმოჩნდა მთელი რიგი საშინაო და საგარეო ფაქტორები, რამაც ხელი შეუწყო დავალიანების ზრდას:

ა) მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო წლიური ზრდის ტემპების შემცირება;

ბ) სესხის მომსახურების საპროცენტო განაკვეთის მატება;

გ) ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტი;

დ) აშშ დოლარის კურსის ამაღლება და, შესაბამისად, მის მიმართ ლარის კურსის დაცემა, რამაც ავტომატურად გამოიწვია საქართველოს საგარეო ვალის ზრდა;

ე) ინდუსტრიული ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტირებული საქონლის მოცულობის ზრდა და, პირიქით, საქართველოდან სხვა ქვეყნებში გატანილი საქონლის მოცულობის შემცირება, რამაც განაპირობა საგადასახდელო ბალანსის უარყოფითი სალდოს გადიდება.

წარმოდგენა რომ ვიქონიოთ თანამედროვე სახელმწიფო საგარეო ვალის სიმძიმეზე, მხედველობაში უნდა მივიღოთ არა ვალის აბსოლუტური სიდიდე, არამედ ვალის თანაფარდობა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან.

როგორც ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ადასტურებენ, საქართველოს საგარეო ვალის მოცულობა თითქმის ყოველთვის იზრდება, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების ზრდის ტემპი კვლავ დაბალია. ამასთან, ძირითადი ვალისა და სარგებლის გადასახდელის თანხა ყოველწლიურად ქვეყნის მშპ-ის და ბიუჯეტის გასაველების სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა  
1995-2001 წწ.<sup>1</sup> (მიმდინარე ფასებში)

ცხრილი №9

ნლები მაჩვენებლები	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	%-ით 2001 წელს 1995 წელთან შედარე- ბით
მშპ (მლნ. ლარი)	3893.5	3848.4	4638.7	5040.6	5666.0	6617.3	5284.1	135.7
მშპ (მლნ. აშშ დოლარი)	2866.1	3044.4	3573.4	3821.8	2836.2	3045.9	3191.4	111.3

საქართველოს საგარეო ვალის მომსახურებაზე საშუალოდ წელიწადში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 14-15 პროცენტი იხარჯება. საქართველოს თანამედროვე ისტორიაში 1990-

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

1994 წლებში მოხდა წარმოების მოცულობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ღრმა და ხანგრძლივი დაცემა. წარმოების დაცემის პროცესი განსაკუთრებით გაღრმავდა 1991 წლიდან და კიდევ უფრო იმატა 1992-1993 წლებში. მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების მოცულობა 1990 წელთან შედარებით შემცირდა – 1992 წელს 40,2%-ით, 1993 წელს 39,4%-ით.

ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი 1990 წლის 2063 დოლარიდან 1994 წელს 450 დოლარამდე შემცირდა.

1994 წლიდან ქვეყანაში გატარებულმა ეკონომიკურმა ღონისძიებებმა გავლენა მოახდინეს ეკონომიკურ სტაბილურობაზე. ამის შედეგად 1995 წელს ქვეყანაში შესაძლებელი გახდა წარმოების დაცემის შეჩერება და გარკვეული ზრდის ტემპის უზრუნველყოფა. მშპ მოცულობამ 1996 წელს შეადგინა 1989 წლის დონის მხოლოდ 20%.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის გაანგარიშებით, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 1995 წელს 2,6%; 1996 წელს – 4,1%; 1997 წელს – 10,6%; 1998 წელს – 2,9%; 1999 წელს – 3,0%; 2000 წელს – 1,9%; 2001 წელს – 4,7%; 2002 წელს – 5,4%-ით<sup>1</sup>.

რაც შეეხება საგარეო ვალების მოცულობის მშპ-თან შეფარდების მაჩვენებელს, იგი 2001 წლის მონაცემებით 55,6 პროცენტს შეადგენს, ე.ი. ქვეყანაში ადგილი აქვს მეტად არასასურველ ისეთ ტენდენციას, როგორცაა მშპ-თან შედარებით საგარეო ვალის უფრო სწრაფი ზრდა.

1995-2001 წლებში საქართველოში მშპ-ის წარმოების მოცულობა გაიზარდა 11,3%-ით, ხოლო საშუალო წლიური ზრდა შეადგენს 4,4%-ს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მონაცემებით ნათლად იგრძნობა ქვეყნის ეკონომიკის გამოცოცხლების დადებითი ტენდენციები, ეს სრულიადაც არ არის საკმარისი, რადგან ზრდის ტემპი კვლავ მერყეობს და იგი მეტისმეტად დაბალია.

1998-2001 წლებში ქვეყნის ეკონომიკა ერთ ადგილს ტყეპნის. ზრდის ტემპის აბსოლუტური სიდიდე არცთუ ისე შთამ-

---

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2002“, თბ., 2003, გვ.5.

ბექდავია. ასეთი მატებით თუნდაც 1989 წლის დონეს რომ მივალნიოთ, სულ მცირე 20 წელიწადი დაგვჭირდება.

ამჟამად საქართველო ძირითადი ინდიკატორების მიხედვით დიდად აჭარბებს ეკონომიკური უსაფრთხოების ზღვრულ დონეს. კერძოდ, სამრეწველო წარმოების დაცემის ზღვრული დონე 30%-ია, ფაქტობრივი კი – 70%; მშპ-ის დაცემის დონე, შესაბამისად – 30-60%; საგარეო ვალი მშპ-თან 75 და 55,6%; ბიუჯეტის დეფიციტი მისი ხარჯების მთლიან მოცულობასთან 5 და 15 % და ა.შ.

არ მუშაობენ მრეწველობის მთელი რიგი დარგები. ყურადღება არ ექცევა სოფლის მეურნეობას და ა.შ. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ძირითადად ხდება მშენებლობის, ვაჭრობისა და მომსახურების, აგრეთვე არამატერიალური დარგების ხარჯზე. ამ სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, მასში შემაჯალ დარგებსა და ქვედარგებში წარმოებული პროდუქტების აღრიცხვა მეტად გართულებულია, რის გამოც შემოსავლების უფრო დიდი ნაწილი იმალება და არ მონაწილეობს ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებაში.

საქართველოში, აზიისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთი (ახალი ინდუსტრიული) სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, ძნელია რომელიმე ერთ დარგს დაეკისროს ე.წ. ეკონომიკის „ლოკომოტივის“ ფუნქცია (მაგალითად, ასეთი „ლოკომოტივის“ ფუნქცია შეასრულა ქუვეითში – ნავთობის მოპოვებამ, სამხრეთ აფრიკის კავშირში – ოქროს საბადოებმა, ჩილეში – სპილენძის საბადოების ათვისებამ და ა.შ.). ჩვენთან ასეთი დარგი შეიძლება იყოს ტურიზმი, ე.წ. „დასვენების ინდუსტრია“ და საკურორტო მეურნეობა, რომელიც მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებების შედეგად მოგვცემს კოლოსალურ მოგებას. ამ მხრივ, საქართველოს უნიკალური შესაძლებლობები გააჩნია, მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელი ვითარება (განსაკუთრებით აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობა) არ იძლევა ამ დარგის სწრაფი აღორძინების შესაძლებლობას. თუმცა საქართველოში ე.წ. „ეკონომიკური გარღვევის“ წანამძღვრები შეიძლება შეიქმნას ქვეყნის სხვა რამდენიმე პრიორიტეტული დარგების განვითარებით.

ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაცია მრეწველობის აღორძინების გარეშე შეუძლებელია. იგი არა მარტო ბიუჯეტის შევ-

სების წყაროა, არამედ ეკონომიკის რეანიმაციის საშუალება-  
ცაა. ამიტომ ხელისუფლებას არა აქვს უფლება პრიორიტეტუ-  
ლი მნიშვნელობა არ მიანიჭოს მრეწველობის განვითარებას და  
მისი ინვესტირებით უზრუნველყოფის რეალურ საკითხს.

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები  
1996-2001 წლებში და მათი ხვედრითი წონა მთლიანი შიდა  
პროდუქტის ღირებულებაში<sup>1</sup> (მლნ. ლარი)

ცხრილი №10

წლები	1996	1997	1998	1999	2000	2001	ჯამი 1996- 2001 წწ.
მაჩვენებლები							
მთლიანი შიდა პროდუქტი	3846.4	4638.7	5040.6	5666.0	6617.3	5284.1	
ბიუჯეტის შე- მოსავლები და გრანტები	518.1	749.8	842.6	931.6	918.9	1073.1	
შემოსავლები (გრანტების გა- რეშე)	446.6	725.4	812.1	882.3	904.8	1026.2	
შემოსავლები %-ად მშპ-სთან	11.6	15.6	16.1	15.6	13.7	19.4	
ბიუჯეტის ხარჯები	771.3	929.5	1019.7	1188.9	1135.8	1280.2	
ბიუჯეტის დე- ფიციტი (გრან- ტების ჩათვ- ლით შემოსავ- ლებთან)	-253.2	-179.7	-177.1	-257.3	-216.9	-187.1	1261.3
ბიუჯეტის დე- ფიციტი (გრან- ტების გარეშე შემოსავლებ- თან)	-324.7	-204.1	-207.6	-306.6	-231.0	-234.0	1508.0
დეფიციტი %-ად მშპ-სთან	8.4	4.4	4.1	5.4	3.5	4.4	

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარ-  
ტამენტის მონაცემების საფუძველზე.

ასევე, ეს ფუნქცია უნდა დაეკისროს სოფლის მეურნეობას, კვების მრეწველობის განვითარებას და სხვა. ამ მხრივ ქვეყანაში უნდა გატარდეს რადიკალური ღონისძიებები.

ადვილი წარმოსადგენია, როგორი ეკონომიკური თუ სოციალური მგომარეობა იქნებოდა ქვეყანაში, რომ არა ის თანხები, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციები გვაძლევენ ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად და ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციისათვის, თუმცა ამ დახმარების შედეგი უნდა ყოფილიყო არა მარტო მიმდინარე პრობლემების მოგვარება, არამედ მისი ეფექტიანი გამოყენებისა და სწორი დარგობრივი პრიორიტეტის განსაზღვრის საფუძველზე ეკონომიკის გამოცოცხლება.

დღეს საქართველოში ბიუჯეტის დეფიციტი და მზარდი სახელმწიფო ვალი ეკონომიკურ პრობლემათა ცენტრშია. დეფიციტმა უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით დიდი მასშტაბები შეიძინა.

შექმნილი მძიმე სიტუაციის დარეგულირების მიზნით ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები ჯერჯერობით არანაირ შედეგს არ იძლევა.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის ყოველწლიური დეფიციტის აბსოლუტური სიდიდე (ისევე როგორც სახელმწიფო ვალისა) გიგანტურად გაიზარდა. 1996-2001 წლებში გარდევია შეადგენს 1508.0 მლნ ლარს. სახელმწიფო (ისედაც სეკვესტრირებული) ბიუჯეტის დეფიციტის საშუალო წლიური სიდიდე 250 მლნ ლარს აღემატება<sup>1</sup>.

ბიუჯეტის დეფიციტთან ერთად იზრდება სახელმწიფო ვალის ძირითადი თანხა და სარგებლის გადასახდელები.

დიდმა დეფიციტმა შეიძლება საქართველოს მაკროეკონომიკური პოლიტიკა ხანგრძლივი დროით სერიოზული დილემის წინაშე დააყენოს. სერიოზული ეკონომიკური დაქვეითების დროს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები ავტომატურად ეცემა და ფართოვდება ტრანსფერული გადასახდელები. ამდენად, დეფიციტის თავიდან ასაცილებლად საჭირო იქნება დაქვე-

---

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი – „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2002“, თბ., 2003 წ., გვ. 7.

ითების ციკლში მკვეთრად გამოსატული შემზღუდავი ფისკალური პოლიტიკის გამოყენება.

დაუძლეველი დეფიციტი აუცილებლად გამოიწვევს უფრო მაღალ გადასახადებს მომავალში, სარგებლის დამატებითი გადასახდელების დასაფარავად.

საქართველოს ეკონომიკის უმწვავესი პრობლემაა სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების მობილიზაციის ძალზე დაბალი მაჩვენებელი. სახელმწიფო შემოსავლები (ანუ სახელმწიფო ბიუჯეტისა და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ერთობლივი შემოსავლები) ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების 13-14%-ს არ აღემატება<sup>1</sup> გადასახადების მობილიზების ასეთი დაბალი დონე საქართველოს ეკონომიკის საგანგაშო პრობლემაა. მნიშვნელოვანია ის, რომ გადასახადების აკრეფის მხრივ საქართველო ერთერთ ბოლო ადგილზეა მსოფლიოში.

ბიუჯეტში გადასახადების მობილიზების მაჩვენებელი საქართველოში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებასთან მიმართებაში იმ მოცულობის რომ ყოფილიყო, როგორც მაგალითად ეს შეედეთშია (52%), ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავალი 2001 წელს 1026.2 მლნ ლარი კი არ იქნებოდა, არამედ 2.6 მლრდ ლარი, (ანუ ორჯერ მეტი).

ეს მაჩვენებელი ევროკავშირის დონეს რომ გათანაბრებოდა (სადაც გადასახადების თანხები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 40-45%-ია), მაშინ საქართველოს სახელმწიფო შემოსავლები იქნებოდა 2,1 მლრდ ლარის ტოლი (ანუ ორჯერ მეტი). თუკი სახელმწიფო შემოსავლების მოცულობის თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში თუნდაც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების დონეზე იქნებოდა (საშუალოდ 27%), მაშინ საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლები 1.8 მლრდ ლარს მიაღწევდა (ანუ 1,5-ჯერ მეტი იქნებოდა).

---

<sup>1</sup> თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ლარის ყოველწლიური დევალაციის კვალობაზე ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები მისი დოლართან შეფარდების ახალი ნიშნულის (1,3=2.1-2.2 ლარს) მიხედვით იანგარიშება, ცხადი იქნება, რომ ბიუჯეტის ხარჯები წინა წლებთან შედარებით სისტემატურად მცირდება.

სამწუხაროდ, ამ მხრივ ჩვენ აფრიკის ჩამორჩენილ სახელმწიფოებს თუ შევედრებით, თუმცა იქაც კი ქვეყნების უმეტეს ნაწილში ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია და დაახლოებით 16-20,5% ფარგლებშია. ეს დონე მაინც რომ შეგვენარჩუნებინა, ჩვენი საბიუჯეტო შემოსავლები ამჟამინდელთან შედარებით 30%-ით მეტი იქნებოდა.

როგორც ჩანს, ამ მიმართულებით საქართველოს მნიშვნელოვანი რეზერვები გააჩნია. ჩვენი აზრით, ქვეყანაში ბიუჯეტური შემოსავლების ზრდის არსებული შესაძლებლობების გამოუყენებლობა დანაშაულის ტოლფასია. ეს იმას ნიშნავს, რომ კვლავ სეკვესტრირებულად იქნება დაფინანსებული ჩვენი მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სოციალური პროგრამები, ქვეყნის უშიშროება და თავდაცვა, ეკონომიკის განვითარება, ვალების გადახდა და ა.შ.

ასევე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ოფიციალური მონაცემების მიხედვით საგადასახადო ტვირთი ძალზე დაბალია, რეალურად ის გაცილებით მძიმეა, რადგან გადასახადების მთელი სიმძიმე აწვება გადამხდელთა შედარებით მცირე ნაწილს. ამასთან, გარდა ოფიციალური გადასახადებისა, საქართველოში მოქმედებს არაფორმალური, უკანონო დაბეგვრის მექანიზმი, რომლითაც ხდება დიდძალი ფულადი სახსრების ფარული გადანაწილება არასაბიუჯეტო არხებით (შესაბამისად, ეს სახსრები ემსახურება არა მთელ საზოგადოებას, არამედ მხოლოდ ვინრო ფენის ინტერესებს).

ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსი უპირატესად მიმართულია ფისკალური ეფექტის მიღებისაკენ და ნაკლებად ითვალისწინებს მენარმეობის განვითარების ინტერესებს.

საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა უნდა წარიმართოს საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების – დაბეგვრის თანასწორობის, სამართლიანობის, ეფექტიანობის, ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების დანესების საფუძველზე.

საგადასახადო სისტემაში არსებული ნაკლოვანებებისა და ამ სისტემის სრულყოფის მიზნით აუცილებელია საგადასახადო სისტემის გამარტივება და რაციონალიზაცია საგადასახადო



ბის რიცხვის შემცირებისა და საგადასახადო კანონმდებლობის კონსოლიდაციის გზით.

საქართველოს დღევანდელი საბიუჯეტო პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის ფინანსურ უსაფრთხოებას. თითქმის ყოველწლიურად ირღვევა ბიუჯეტის მომზადებისა და წარდგენის ვადები, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მთელ განვლილ პერიოდში ბიუჯეტის მეშვეობით არ გადანაცვებულა არცერთი სტრატეგიული საკითხი.

ბიუჯეტის შედგენა-განანილება ხდება გავლენიანი პირებისა და პოლიტიკური ამბიციების ზენოლით. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ერთხელაც ვერ მოხერხდა დაბალანსებული ბიუჯეტის შედგენა. საქართველოს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის 10-13 პროცენტს არ აღემატება, მაშინ, როცა მრავალ ცივილიზებულ ქვეყანაში 40-50 პროცენტის ფარგლებშია, ხოლო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებში იგი 20-25 პროცენტს შეადგენს.

ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის დიდ საშიშროებას ქმნის ბიუჯეტის შემოსავლების დღეისათვის ჩამოყალიბებული სტრუქტურა, კერძოდ ის, რომ საბიუჯეტო შემოსავლებში უსაფრთხოების ზღვრულ მაჩვენებელზე გაცილებით მაღალია საბაჟო მოსაკრებლების (გადასახადების) ხვედრითი წონა, რაც მთლიანად საბიუჯეტო შემოსავლებში 40 პროცენტამდე აღწევს. ქვეყნის უსაფრთხოება საბიუჯეტო კუთხით უმეტესწილად ეროვნული ეკონომიკიდან (სამენარმეო არხებიდან) აკრეფილ გადასახადზე უნდა იყოს დაფუძნებული. ეს, სამწუხაროდ, დღეისათვის მთლიანი საბიუჯეტო შემოსავლების სტრუქტურაში მეტისმეტად დაბალია.

ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობაზე უარყოფით გავლენას ახდენს ბიუჯეტის მოცულობის მკვეთრი შემცირება. ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას ასუსტებს ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა, ანუ ბიუჯეტის დეფიციტი, რამაც ქრონიკული ხასიათი მიიღო. დაწყებული 1992 წლიდან, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საგეგმო დავალება ერთხელაც არ შესრულებულა.

შემდგომ გაუმჯობესებასა და ტრანსფორმაციას მოითხოვს ბიუჯეტის დეფიციტის წყაროების სტრუქტურა. ჯერ კიდევ მაღალია ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად საგარეო წყაროების გამოყენება. მარტო უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად გამოყენებულ იქნა 450 მლნ ლარი.

საგარეო ვალების მაღალი დონე (2.1 მლრდ დოლარი), რომელიც მოითხოვს ბიუჯეტიდან მომსახურებას, დამატებული შიდა ვალების მომსახურება და პლუს ყოველწლიური საბიუჯეტო დავალიანებები ერთობლიობაში დიდ საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობას და ეჭვს ქვეშ დგება საქართველოს მიერ საგარეო და შიდა ვალების დაფარვის შესაძლებლობა.

საქართველოს ეკონომიკაში ჯერ კიდევ დიდია ისეთი უარყოფითი ფაქტორის როლი, როგორცაა დაუკვირვებადი ეკონომიკური საქმიანობა, ანუ ჩრდილოვანი სექტორი. იგი ფაქტობრივად გამოთიშულია საბიუჯეტო განაწილების პროცესიდან, რაც განაპირობებს სახელმწიფოს კუთვნილი სახსრების მითვისებას. ჩრდილოვანი ეკონომიკა ფართოდ არის გავრცელებული არა მარტო განვითარებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც. აქ მისი ხვედრითი წილი მთლიან ეროვნულ პროდუქტში 5-20%-ის ფარგლებში მერყეობს<sup>1</sup>.

ამ მხრივ სულ სხვა სურათია საქართველოში. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით, საქართველოში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების სამეწარმეო სექტორის მთლიანი გამოშვების მიხედვით სულ ცოტა 56-58 პროცენტი იწარმოება ეკონომიკის ფარულ სექტორში<sup>2</sup>. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი პოტენციური საგადასახადო შემოსავლების სახით ყოველწლიურად ვერ იღებს 2-2.6 მლრდ ლარს, რაც ქვეყნისათვის მეტად დიდი დანაკარგია.

---

<sup>1</sup> ნ. ულუმბერაშვილი. საქართველოს ექსპორტ-იმპორტი: სტატისტიკა და რეალობა. თურნ. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“ №1, 1998, გვ. 6.

<sup>2</sup> საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი - „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2002“, თბ., 2003 წ., გვ. 7.

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ქართული იატაკქვეშა ეკონომიკა ცნობილი იყო თავისი სიძლიერით, ყოვლისმომცველი ხასიათითა და ღრმა სოციალურ-ეკონომიკური ფესვებით, რომელიც ჩაზრდილი იყო ეკონომიკის ოფიციალურ სექტორში.

ეკონომიკური გარდაქმნების მიმდინარე პროცესში ჩრდილოვანმა ეკონომიკამ საბაზრო ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა შეიძინა: იგი ძირითადად ორიენტირებულია უპირატესად საფინანსო კონტროლისაგან თავის არიდებისა და რეალური შემოსავლების დამალვის მიმართულებით.

თანამედროვე ჩრდილოვან ეკონომიკაში იგულისხმება წარმოების, ვაჭრობის, საფინანსო და საგადასახადო სფეროებში, არალეგალური საქმიანობის მეტად ფართო სპექტრი, რასაც ემატება სერიოზული კრიმინალური ქმედებები ნარკოტიკული საშუალებების წარმოება-რეალიზაციისა და კონტრაბანდის სახით.

ჩრდილოვანი ეკონომიკა საქართველოში – ეს არის ეროვნული მეურნეობის ის ნაწილი, რომელიც რეალურად ფუნქციონირებს და ამავდროს არ იხდის (ან სრულად ვერ იხდის) კანონით დაწესებულ გადასახადებს.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი და ჩრდილოვანი (დაუკვირვებადი) ეკონომიკის წილი<sup>1</sup>

ცხრილი №11

წლები	1996	1997	1998	1999	2000	2001
მაჩვენებლები						
მთლიანი გამოშვება (მლნ ლარი)	6250	7330.5	7833.4	8911.5	9568.4	10692.8
ფარულის (დაუკვირვებადის) წილი მთლიან გამოშვებასთან %-ით	26.9	27.4	28.3	29.2	32.8	33.3

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ფარულის (დაუკვირვებადის) ნილი სამეურნეო სექტორთან %-ით	56.8	54.7	54.3	54.2	55.6	57.7
--	------	------	------	------	------	------

საქართველოში ამჟამად არსებული არალეგალური ეკონომიკური საქმიანობის ყველაზე მსხვილი მიმართულებებია: ჩრდილოვანი წარმოება, მოქალაქეთა მიერ თავიანთი რეალური შემოსავლების დაფარვა, არალეგალური საქონელბრუნვა (როგორც ქვეყნის შიგნით წარმოებული, ასევე იმპორტული საქონლისა).

ჩრდილოვანი (დაუკვირვებადი) წარმოება გამოიხატება ოფიციალურად რეგისტრირებული საწარმო-ორგანიზაციების მიერ თავიანთი რეალური შემოსავლების დაფარვაში და აგრეთვე არარეგისტრირებული სამეურნეო ობიექტების ფუნქციონირებით.

ძალზე ფართო გავრცელება ჰპოვა კერძო პირების მიერ თავიანთი რეალური შემოსავლების დაფარვის პრაქტიკამ, ეს ეხება როგორც საქართველოში დასაქმებულ კერძო პირებს, ასევე საზღვარგარეთ მომუშავეებს.

იმისათვის, რომ არ მოხდეს საბაჟოს გვერდის ავლით, ან გაყალბებული დოკუმენტებით ქვეყნის ტერიტორიაზე პროდუქციის შემოსვლა, საჭიროა საბითუმო ვაჭრობა მხოლოდ სასაქონლო ბირჟების მეშვეობით განხორციელდეს. ამ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მონესრიგდებოდა დღეისათვის მოუგვარებელი ისეთი საკითხები, როგორებიცაა: შიდა ბაზრის დაცვა, შიდა და საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციული სრულყოფა, რეალური საბაზრო ფასების ჩამოყალიბება, ქვეყანაში შემოსული პროდუქციის ხარისხზე კონტროლი, მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, ექსპორტირებული და იმპორტირებული ტვირთების სრულყოფილი აღრიცხვა და, რაც მთავარია, დაბეგვრის მექანიზმის სრულყოფა, რაც ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის წყაროდ გადაიქცეოდა.

საქართველოში მკვეთრად დაეცა შემოსულობანი ექსპორტიდან, რაც აუცილებელი პირობაა ძირითადი ვალისა და სარგებლის გადასახდელად. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ექსპორტის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება იმპორტის ზრდის ტემპს. ეს ნეგატიური მოვლენაა. თუ ქვეყანას სურს თავიდან აიცილოს სავალო კრიზისი, ექსპორტის ზრდა უფრო

მაღალი ტემპით უნდა განხორციელდეს, ვიდრე იმპორტისა, რადგან ექსპორტი ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს.

როგორც ამას მონაცემები მოწმობენ, საქართველოს საექსპორტო კვოტა (ქვეყნის ექსპორტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან) ჯერ კიდევ დაბალია და მიუთითებს მსოფლიო ბაზართან ეროვნული ეკონომიკის კავშირურთიერთობების ვინრო მასშტაბზე.

საექსპორტო კვოტა 1995-2001 წლებში უმნიშვნელოდ იცვლებოდა. 1995 წლის მაჩვენებელთან შედარებით 2001 წელს იგი გაიზარდა მხოლოდ 4,7 პროცენტით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ ქვეყანაში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მცირე ნაწილი გაიტანება მსოფლიო ბაზარზე.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები 1994-2000 წწ.

სახლვერისპირა ვაჭრობის, ჰუმანიტარული დახმარებისა და მომსახურებითი ვაჭრობის გარეშე (მლნ აშშ დოლარი)<sup>1</sup>

ცხრილი №12

წლები	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001
მაჩვენებლები								
მშპ-ს ლირე-ბულება	-	2866.1	3044.4	3573.4	3621.8	2836.2	3045.9	3191.4
ექსპორტი	151.7	151.7	198.8	239.8	192.3	238.2	392.9	320.0
იმპორტი	337.3	396.2	686.8	943.5	884.3	601.9	700.2	678.7
საგარეო ვაჭრობის ბრუნვა	489.0	547.9	885.6	1183.3	1076.6	840.1	1030.1	998.7
სალდო	-185.5	-244.5	-488.0	-703.7	-692.0	-363.7	-370.3	-358.7
ექსპორტის წილი საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მოცულობაში, %	31.0	27.7	22.4	20.3	17.9	35.3	38.1	32.0

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

იმპორტის ექსპორტით დაფარვის კოეფიციენ- ტი, %	45.0	38.3	28.9	25.4	21.7	37.2	56.1	47.1
ექსპორტის წილი მშპ-ს ღირებულე- ბაში, %	-	5.3	5.3	6.7	5.3	4.0	12.9	10.0
იმპორტის მოცულობა მშპ-თან, %	-	13.8	22.6	26.4	24.4	21.2	23.0	21.3

რაც შეეხება საიმპორტო კვოტას, იგი საკმაოდ დიდია. 2001 წელს მან მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების 21,6 პროცენტი შეადგინა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს შიდა ბაზრის მოთხოვნის დიდი ნაწილი იმპორტით კმაყოფილდება.

თუ შევადარებთ ექსპორტისა და იმპორტის დინამიკას და საგარეო ვაჭრობის სტრუქტურას ექსპორტ-იმპორტის მიხედვით, ცხადი გახდება, რომ საგარეო ვაჭრობის მოცულობის ზრდა ძირითადად განხორციელდა იმპორტის გადიდების ხარჯზე.

იმპორტის წილი საქართველოს საგარეო ვაჭრობის მოცულობაში მუდმივად აღემატება ექსპორტის წილს, რაც განაპირობებს საგარეო ვაჭრობის ქრონიკულ უარყოფით სალდოს. საქართველოში 1998 წელს ექსპორტით იფარებოდა იმპორტის მხოლოდ 17,9 პროცენტი, ხოლო 2001 წელს – 47,1 პროცენტი.

იმპორტის ექსპორტით დაფარვის ასეთი დაბალი დონე მეტად საგანგაშოა, რამდენადაც იგი ქვეყანას უმზადებს საგარეო ვალების ზრდის დიდ საშიშროებას.

საგარეო ვაჭრობის დეფიციტმა 1994-2001 წლებში 3406.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს ექსპორტი მკვეთრად ჩამორჩება იმპორტს როგორც ზრდის ტემპით, ისე აბსოლუტური მაჩვენებლის მიხედვით.

საგარეო ვაჭრობის დეფიციტის ზრდამ, რომელიც გამოწვეულია ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი უმწვავესი მდგომარეობით, ქრონიკული ხასიათი მიიღო.

როგორც ვხედავთ, 1995-2001 წლებში ჩამოყალიბდა რთული საგადასახადო ბალანსი. ერთის მხრივ, გაიზარდა დეფიციტი (ექსპორტ-იმპორტის შორის სხვაობა), მეორე მხრივ, იკლო საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების (ბრუნვის) მთლიანმა მოცულობამ.

აღსანიშნავია, რომ საგარეო ვაჭრობის დეფიციტის მაღალი ტემპებით ზრდის ტენდენცია, განსაკუთრებით მისი ჩამოყალიბებული, მდგრადი ხასიათი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, უაღრესად დამაფიქრებელია. იგი ამცირებს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, აუარესებს საგადასახადო ბალანსს და აფერხებს საგარეო ვალების მომსახურებას.

დეფიციტის ზრდა იმდენად შემაშფოთებელია, რომ დღის წესრიგში აყენებს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობას. საჭიროა გატარდეს ექსპორტის ზრდის მიზანმიმართული ღონისძიებები, უპირველეს ყოვლისა, უნდა გადაისინჯოს საგარეო ვაჭრობის რეჟიმი, როგორც ექსპორტის გაფართოების ერთ-ერთი საშუალება.

მეტისმეტად შეზღუდულია საექსპორტო შესაძლებლობები, რაზეც მიუთითებს ის ფაქტი, რომ ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა წარმოდგენილია ძირითადად არაკვლავწარმოებადი ნედლეულითა და ბუნებრივი რესურსებით.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი პროდუქტი ექსპორტის სტაბილურ და მზარდ სახეობას წარმოადგენს, მაინც ადგილი აქვს ამავე სახეობის პროდუქტების იმპორტს. სამწუხაროა, რომ ამ პროდუქტების იმპორტის მოცულობა ცალკეულ წლებში აღემატება ექსპორტის მოცულობას.

საგარეო ვაჭრობის ქრონიკული დეფიციტის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ ექსპორტის გაფართოების გზით. მაგრამ იგი, როგორც დავინახეთ, არ ვითარდება სასურველი მიმართულებით.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოებისა და გადამუშავების განვითარებას, ქიმიური და მასთან დაკავშირებული სამრეწველო დარგების პროდუქტის ზრდას. საქართველოში არსებობს სასოფლო-სამეურნეო

ნედლეულის სამრეწველო გადამუშავების დიდი შესაძლებლობები. მას შეუძლია საკუთარი ძალებით არა მარტო ქვეყნის მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საგარეო ბაზარზე, არამედ ახალი სახეობის პროდუქციის დიდი რაოდენობით გატანა.

საიმპორტო საქონლის სტრუქტურაში უნდა მოხდეს ისეთი სახეობების თანდათანობით შემცირება, რომელთა შეცვლა შესაძლებელია ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით – „იმპორტ შეცვლა“. ამასთან, უნდა გაძლიერდეს ექსპორტზე ორიენტაცია. იმპორტ შეცვლის სტრატეგიული პოლიტიკა გულისხმობს იმპორტული საქონლის ასორტიმენტიდან ისეთების გამოდევნას, რომელთა წარმოება შესაძლებელია ათვისებულ იქნეს და თანდათანობით გაფართოვდეს ეროვნული ეკონომიკის შესაბამის დარგებში. თავდაპირველად მიზანშეწონილია ეს ფართო მოხმარების საქონლის ასორტიმენტს შეეხოს; ხოლო შემდგომ ეტაპზე განხორციელდეს უფრო რთული და მეცნიერებატევადი პროდუქციის სამამულო წარმოების გაფართოება.

იმპორტ შეცვლის პოლიტიკის გატარებას, დიდ უპირატესობასთან ერთად, რიგი უარყოფითი მოვლენებიც ახლავს, მაგრამ ამ ეტაპზე საგადასახდელო ბალანსის განონასწორებისათვის იგი ერთ-ერთი მისაღები ღონისძიებაა.

ექსპორტზე ორიენტაციის გაძლიერება, გარდა იმისა, რომ შინაეროვნული ბაზრის გაფართოებას უწყობს ხელს, უდიდეს შესაძლებლობებს ქმნის სავალუტო შემოსავლების გადიდების მიმართულებითაც. ექსპორტზე ორიენტაციის სტრატეგიისათვის აუცილებელი პირობაა საექსპორტო საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რაც საკმაოდ რთული და ძვირადღირებული ღონისძიებების გატარებასთან არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური სტრატეგიის ამ მიმართულების განვითარება აუცილებელია არა მარტო ეკონომიკური სტრუქტურის სრულყოფისათვის, არამედ საგარეო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნოლოგიური კავშირების გაფართოებისათვის. ეკონომიკური სტრატეგიის ასეთ მოდელზე გადასვლა საკმაოდ დასაბუთებული პროგრამის შემუშავებით უნდა განხორციელდეს, რათა ეს ორი პროცესი კარგად იქნეს



შეხამებული ერთმანეთთანაც და ეროვნული ეკონომიკის ინტერესებთანაც.

საქართველოში ძვირი ფულის პოლიტიკამ არახელსაყრელი შედეგი გამოიღო. ეკონომიკური რეფორმების საწყის ეტაპზე გატარებულმა ზედმეტად ლიბერალურმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ გამოიწვია ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება, მოშალა ფინანსური სისტემა და ნეგატიური გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

მიმოქცევაში დიდი რაოდენობით გაშვებულმა სარეზერვო ფულის (კუპონის) მასამ იმოქმედა კრედიტების მოცულობის ზრდაზე, რამაც გამოიწვია კომერციული ბანკების სავალუტო ოპერაციებით (კუპონის აშშ დოლარზე გაცვლით) დაინტერესება.

ასეთმა გაუმართლებელმა ოპერაციებმა გააღრმავეს ინფლაციური პროცესები და ხელი შეუწყვეს ეკონომიკის დაცემის დაჩქარებას.

1995 წელს შემოდებულ იქნა სრულფასოვანი ქართული ვალუტა – ლარი, რომელიც ქვეყანაში გადახდის ერთადერთ საშუალებად გადაიქცა. 1995 წლიდან საქართველოში დაიწყო მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება.

ქვეყნის სავალუტო სტაბილურობის შენარჩუნების ფაქტორად გამოიყენებოდა ბიუჯეტის ემისიით დაფინანსება. ფულის მასის ზრდის საჭიროება გამოწვეული იყო არა ეკონომიკური ზრდით, არამედ საბიუჯეტო დეფიციტის დაფინანსება-დაკრედიტების აუცილებლობით.

სახელმწიფო იღებდა სესხად დოლარს, ყიდდა მას ლარებზე –  $1\$ = 1.30; 1.37; 2.10; 2.50$  შეფარდებით, და დოლარის ორჯერ ნაკლები რაოდენობით იხდიდა ვალებს, ეროვნული ვალუტის კურსის ასეთი კორექტირების შედეგად (ინფლაცირებული ლარით) ფარავდა პენსიებისა და ხელფასების დაფალიანებას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქვეყანას ლარის მოჩვენებითი სიმტკიცე მილიონები დაუჯდა, კერძოდ, არაერთგზის გამოიღია უცხოური სესხებით რამდენჯერმე შევსებული ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვები. წლების მანძილზე ნასესხები ფულით ხდებოდა ქვეყნის ვალუტის კურსის შენარჩუნება და ამისათვის იხარჯებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონ-

დის სადოლარო ტრანშები. საქართველოს ეკონომიკა ნაღდი ფულის უკმარისობით იხრჩობოდა.

აღნიშნულმა მოვლენამ უარყოფითი ზემოქმედება მოახდინა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის შენარჩუნებაზე. გაიზარდა ქვეყნის შიდა ვალი და ეროვნულ ბანკში შემცირდა უცხოური ვალუტის რეზერვები.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1998 წლის მეორე ნახევრიდან ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე შეწყვიტა ხელოვნური ინტერვენცია და სავალუტო კურსის რეგულირება ბაზარს მიანდო. ამის შემდეგ ხელისუფლებას მიეცა საბიუჯეტო დეფიციტის განეიტრალების საშუალება. მონეტარული პოლიტიკა ადრე უნდა შეგვეცვალა, კერძოდ მანამ, სანამ ლარი მტკიცე იყო. მართალია, ამას მოჰყვებოდა ფასების ზრდა, მაგრამ გაცილებით უმტკივნეულოდ გადაწყდებოდა სავალუტო პრობლემა.

ლარის კურსი მასზე მოთხოვნა-მიწოდების გზით უნდა დარეგულირდეს და არა ნასესხები დოლარებით. ლარისა და მთლიანად ქვეყანაში სავალუტო ბაზრის ლიბერალიზაცია აუცილებელი ღონისძიებაა, მაგრამ არ შეიძლება იგი მთლიანად მივანდოთ ბაზრის სტიქიას. ინფლაცია მოქცეული უნდა იქნეს მკაცრ ჩარჩოებში და მასთან უნდა იქნეს შეპირისპირებული დეფლაციის პროცესი. ამასთან, სახელმწიფომ ქვეყანაში უნდა აღმოფხვრას სავალუტო სპეკულაცია.

ეროვნულ ბანკთან ერთად სავალუტო სპეკულირების მეტოდს მიმართავენ კერძო ბანკები და ვალუტის გადამცვლელი პუნქტები. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში არ არსებობს ფულის მიმოქცევის ერთიანი ცენტრალიზებული ქსელი და ვალუტის საბაზრო კურსი პრაქტიკულად არაორგანიზებადია. მართალია, კერძო ბანკებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების სპეკულანტური თამაშები არავითარ კრიმინალურ ქმედებას არ შეიცავს, მაგრამ სახელმწიფოს მიერ ამ პროცესების მონოპოლიზება აუცილებლობას წარმოადგენს. აღნიშნული ღონისძიება სახელმწიფო ბიუჯეტს მნიშვნელოვანი რაოდენობის დამატებით სავალუტო შემოსავლებს მისცემს.

დარღვეულია მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის ოპტიმალურობა. ფულადი მასის შეფარდება მშპ-თან (ოფიცია-

ალური მონეტარიზაციის დონე) 6-7%-ის ფარგლებშია, მაშინ, როდესაც 30%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. 2002 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოში 365.7 მლნ ლარია (M2) მიმოქცევაში (თუმცა, ადგილი აქვს ზრდას, ვინაიდან 2001 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, იგი 286 მლნ ლარი იყო), ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის კი დაახლოებით 520-570 მლნ ლარია საჭირო<sup>1</sup>.

საქართველოს ფინანსური უსაფრთხოების ერთ-ერთ ძლიერ მუქარას წარმოადგენს დოლარიზაციის მაღალი დონე, რომელიც ამ ბოლო წლებში განუხრელი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. დღეისათვის დოლარიზაციის კოეფიციენტი მერყეობს 70-80% ფარგლებში. ეროვნული ბანკის მონაცემებით უცხოურ ვალუტაში სადემოზიტო ვალდებულებები 150 მლნ დოლარზე მეტი იყო<sup>2</sup>. ეს თითქოს იმ ოდენობისაა, როგორც მიმოქცევაში არსებული ლარის მასა. ფაქტობრივად, დოლარიზაციის დონე უფრო მაღალია, ვიდრე ზემოთ მოტანილი სიდიდე. საქმე ისაა, რომ უცხოური ვალუტა (კერძოდ, აშშ დოლარი) მთელ რიგ გარიგებებში (ავტომობილებით, ბინებით, ავეჯით და ა.შ. ვაჭრობა) ასრულებს გადახდის საშუალების ფუნქციას, რაც, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია ეროვნული ვალუტის (ლარის) მიმართ მოსახლეობის არასაკმარისი ნდობით. გარდა ამისა, საქართველოში დოლარიზაციის მაღალი დონე შენარჩუნებულია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა ჩრდილოვანი ეკონომიკის დიდი მასშტაბები, ნალდი ფულის ბანკების გვერდის ავლით მიმოქცევა, საბაზრო ინფრასტრუქტურის (სასაქონლო და შინასავალუტო ბაზრის) განუვითარებლობა და სხვა.

მართალია, დოლარიზაციის პროცესი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიმდინარეობს (აშშ-ის დოლარის 70%-მდე ამერიკის გარეთ მიმოიქცევა და იგი 300 მლრდ-ს აღწევს)<sup>3</sup>, მაგრამ სა-

---

<sup>1</sup> რ. ასათიანი, საქართველოს ეკონომიკა: წარსული, აწმყო, პერსპექტივა. საგამომცემლო ფირმა „სიხალე“. 2002, გვ.31.

<sup>2</sup> მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი, საქართველოს ეროვნული ბანკი, თბ., 1999, №6, გვ.11.

<sup>3</sup> კაკულია მ., ასლამაზიშვილი ნ., დოლარიზაცია და მისი ფაქტორები საქართველოში. ვურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 1999, №6, გვ.14.

ქართველოში მისი ზრდის ტენდენცია და მასშტაბები განსაკუთრებით შემაშფოთებელია. 2002 წლის სექტემბრის მდგომარეობით, დოლარიზაციის კოეფიციენტი, ანუ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების შეფარდება დეპოზიტების მთლიან რაოდენობასთან (M3) 85,3%-ს აღწევს.

საქართველოში უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობა 1998 წელს 1,8-ჯერ აღემატებოდა ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობას, 1999 წელს – 3,2-ჯერ, 2000 წელს – 4,5-ჯერ, ხოლო 2002 წელს 5,9-ჯერ. ამჟამად საქართველოში მიმოქცევის სფეროში დაახლოებით 120-150 მლნ დოლარია. გარდა ამისა, საბანკო სისტემაში მობილიზებული კიდევ 90 მლნ დოლარი. აქედან გამომდინარე, ეროვნული ვალუტა – ლარი თანდათან კარგავს ფულის ფუნქციებს. ამიტომ საქართველო ზომიერად დოლარიზებული ქვეყნების ჯგუფიდან გადავიდა მაღალდოლარიზებული ქვეყნების ჯგუფში. ზომიერად დოლარიზაციის ზედა ზღვარი 30%-ია, საქართველომ კი 36%-ს გადააჭარბა, მაშინ, როდესაც გერმანიაში 0,60%-ია, იტალიაში – 2,0%, იაპონიაში – 5,1% და ა.შ.

სახელმწიფოს მხრიდან დოლარიზაციის მაღალი დონის მიმართ უყურადღებობამ შეიძლება სერიოზულად შეარყიოს ეკონომიკის უსაფრთხოება. უპირველეს ყოვლისა, დოლარიზაციის მასშტაბების ზრდას შეიძლება მოჰყვეს ისეთი ნეგატიური მოვლენები, როგორებიცაა ლარის მიმოქცევის არეალის შეზღუდვა, ინფლაციის პროვოცირება და ფულად – საკრედიტო პოლიტიკის მოშლა, გადასახადებისაგან თავის არიდება, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების ზრდა, ეკონომიკის იმპორტზე ორიენტირება, ადგილობრივი რეალური სექტორის შესუსტება და ა.შ.

დოლარიზაციის დონის შემცირება საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად უნდა იქცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოებრიობის საფუძვლების სიმტკიცეს საფრთხე ემუქრება<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> *კაკულია მ., ასლამაზიშვილი ნ., დოლარიზაცია და მისი ფაქტორები საქართველოში. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 1999, №6, გვ.14.*

საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში ერთ-ერთი საყურადღებო საკითხია კაპიტალის გადინება. მართალია, დაზუსტებული ოფიციალური მონაცემები ამის შესახებ არ არსებობს, მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის გვერდის ავლით უდიდესი თანხა საქართველოს ტერიტორიას უცხოური ვალუტის სახით ტოვებს, რადგან ეს ფული ძირითადად იმპორტის დასაფინანსებლად გამოიყენება. ეს უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის საგადასახდელო ბალანსზე და, საბოლოო ჯამში, ზრდის ქვეყნის დამოკიდებულებას დაფინანსების საგარეო წყაროებზე.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის (საქართველოს საგადასახდელო ბალანსის საფუძველზე) გაანგარიშების მიხედვით, 1996 წელს კაპიტალის არარეგულარულმა გაქცევამ 27.798 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 1997 წელს – 120.590 ათასი დოლარი, ანუ 4,3-ჯერ მეტი წინა წელთან შედარებით. კრიზისულ წლებში დაწყებული კაპიტალის გადინების (გაქცევის) პროცესი საქართველოში შემდგომშიც არ შეწყვეტილა და ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მარტო საგარეო ვაჭრობის დეფიციტით გამოწვეულმა კაპიტალის გადინებამ 1994-2001 წლებში 3.406.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ქმედით საშუალებად და მნიშვნელოვან რეზერვად მიგვაჩნია მთავრობის ყურადღების მიპყრობა განდევნილი კაპიტალის საქართველოში მოზიდვის ღონისძიებების სისტემის შემუშავებასა და ამოქმედებაზე. ჩვენი აზრით, საჭიროა ისეთი სახელმწიფო რეგულირება, რომელიც შეამცირებს საზღვარგარეთ საპორტფელო ინვესტიციებში, ანგარიშებზე და დეპოზიტებზე ჩადებული ქართული კაპიტალის მოცულობას, უძრავი ქონების და უცხოური ვალუტის შექონაზე დახარჯული ფულის მოცულობის ზრდას.

მიღებული საგარეო ვალი სახელმწიფოს მიერ ჩვეულებრივ მიიმართება სახელმწიფო ხარჯებისათვის და არ გამოიყენება მატერიალური წარმოების სფეროს გაფართოებისა და განმტკიცებისათვის.

ინვესტიციური აქტივობის ზრდა და მისი ეფექტიანი გამოყენება ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის. ამჟამად, ეროვნულ ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული და სხვა ცვლილებები მოითხოვენ ინვესტიციური რესურსების მობილიზაციას როგორც მთელი ეკონომიკის, ასევე ცალკეული რეგიონების, სანარმოო, ენერგეტიკული და სატრანსპორტო სისტემების განვითარებისათვის, სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის და ა.შ.

ამგვარად, ეროვნული ეკონომიკის რეფორმების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურება და მისი ახალი მექანიზმის ჩამოყალიბება. სახელმწიფოსა და მთავრობის ზრუნვის სფეროს უნდა წარმოადგენდეს ქვეყანაში საერთო საინვესტიციო კლიმატის შექმნა. აუცილებელია ადგილობრივ მენარმეთა საინვესტიციო აქტიურობის გასაზრდელად მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება; უნდა დაჩქარდეს არსებულ სანარმოო რესტრუქტურულიზაციის პროცესი. იგი უნდა წარიმართოს დასაბუთებული ბიზნეს-გეგმის საფუძველზე. საჭიროა სახელმწიფოში არსებული საბანკო სისტემის შემდგომი სრულყოფა და განვითარება. უნდა შეიქმნას საინვესტიციო ფონდების და კომპანიების (აგრეთვე სატრასტო და სალიზინგო კომპანიების) ქსელი. ამისათვის პირველ რიგში უნდა შეიქმნას მყარი საკანონმდებლო ბაზა.

ინვესტიციური საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით საჭიროა აგრეთვე სახელმწიფომ მოახდინოს საბანკო საქმის კონცენტრაცია. მსხვილი და ყველა ეფექტიანი პროექტის დასაფინანსებლად მიზანშეწონილია გაერთიანებული საბანკო ინვესტიციური ფონდის შექმნა.

უცხოური ინვესტიციები განხილული უნდა იქნეს როგორც ეკონომიკური და ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სანარმოო პროცესების მოდერნიზაციის, წარმოების ორგანიზაციის მონინავე მეთოდების დაუფლების და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების ღონეზე კადრების მომზადების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა უნდა განხორციელდეს სამენარშეო და სასესხო ფორმით, ამასთან, მხარი უნდა დავუჭიროთ უცხოური ინვესტიციების მიზიდვის ყველაზე პოპულარულ ფორმას – ერთობლივი საწარმოების შექმნას.

ჩვენი აზრით, ეკონომიკის გამოცოცხლებას ხელს უშლის ისეთი ფაქტორების ერთობლიობა, როგორცაა საწარმოთა მოძველებული ტექნიკური და ტექნოლოგიური აღჭურვა, პროდუქციის მაღალი თვითღირებულება და დაბალი ხარისხი (ანუ მათი არაკონკურენტუნარიანობა), რის გამოც ხდება სამამულო პროდუქციის ჩანაცვლება საზღვარგარეთული საქონლით, ენერგეტიკული კრიზისი, იმპორტირებული ენერგომატარებლების მნიშვნელოვანი გაძვირება და ა.შ. კურსი უნდა ავიღოთ არა მომხმარებლურ, სავაჭრო-კომერციულ ეკონომიკურ მოდელზე, არამედ მწარმოებლურ-საექსპორტო ეკონომიკაზე, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის მყარ გარანტს შექმნის.

პრივატიზება სათანადოდ ვერ წაადგა ბიუჯეტს. საქართველოში პრივატიზების პოლიტიკას დასაწყისიდანვე აკლდა მეცნიერულ არგუმენტებზე დაფუძნებული იდეოლოგიური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა. ამის გამო პრივატიზების პროცესმა ქვეყანაში სპონტანური ხასიათი მიიღო და თითქმის არალეგალური გზით წარიმართა, რითაც სახელმწიფო ნომენკლატურულმა აპარატმა და მასთან დაახლოებულმა ნათესაურმა კლანებმა ისარგებლეს.

სწორედ საზოგადოების ამ მცირერიცხოვანმა ჯგუფმა მაქსიმალურად გამოიყენა თავისი პრივილეგირებული მდგომარეობა, ისარგებლა ქვეყანაში ექსტრემალური სიტუაციით და მოახერხა სახელმწიფოს ქონების „მისაკუთრება“. ბევრ სოლიდურ სახელმწიფო სტრუქტურას მხოლოდ ფორმალურად შეეცვალა დასახელება და ისინი კონცერნების, სააქციო საზოგადოებების, ასოციაციების, ფირმების, შპს და ა.შ. ფორმით კორუმპირებულ და საექვო ადამიანთა საკუთრებაში გადავიდა, რამაც ქვეყანაში ქონებრივი დიფერენციაცია გამოიწვია.

პრივატიზების პროცესში სათანადოდ არ იქნა გათვალისწინებული და ჩართული შრომითი კოლექტივების ინტერესები. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთ საშუალებად აღიარებულ იქნა მხოლოდ კერძო საკუთრება (უგულეზელყოფილ იქნა საზოგადოებრივ ქონებაში თითოეული მოქალაქის კუთვნილი წილი და უარი ვთქვით სააქციო საზოგადოებების შექმნაზე). რეფორმატორები მოტყუვდნენ, მათ ეგონათ, რომ კერძო საკუთრების საქვეყნოდ აღიარება და პრივატიზების პროცესის დაწყება ავტომატურად გამოიწვევდა ეფექტიანი ეკონომიკის შექმნას. საყოველთაო კერძო საკუთრებაზე გადასვლის ლოზუნგით დაიწყეს საბჭოური ეკონომიკური სისტემის ნგრევის პროცესი და, ბუნებრივია, „კაპიტალიზმის“ კერძო მესაკუთრეთა პირველ თაობად სახელმწიფოს ქონების ქურდები, მექრთამეები, სპეკულიანტები და ყაჩაღები მოგვევლინენ.

დამკვიდრდა (იგულისხმება პარლამენტსა და მთავრობაში) მეტად კონსერვატიული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ეკონომიკური ღონისძიებების დიდი ნაწილი შეიძლება ყველაზე უფრო ეფექტიანად განხორციელდეს არა სახელმწიფო, არამედ კერძო სექტორის პირობებში. მათი შეხედულებით, მიმდინარე ამოცანების გადასაწყვეტად უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ სახელმწიფო პროგრამების და აქტივების კერძო პირთა ხელში გადაცემას შეუძლია უზრუნველყოს ბიუჯეტში შემოსულობანი, რაც საჭიროა დეფიციტის დასაფარავად და საბაზრო ურთიერთობებზე გადასასვლელად.

ანგარიში არ გაენია პრივატიზების პროცესის მსოფლიო გამოცდილებას, რის გამოც საქართველოში ყველაფერი ხელაღებით გაიყიდა.

როგორც ამას პრაქტიკა ადასტურებს, ნებისმიერი საზოგადოება, მისი პოლიტიკური ორგანიზაციის (წყობის) მიუხედავად, ყოველთვის ცდილობს სახელმწიფოს დაუტოვოს საქმიანობის პრიორიტეტული სფეროები, რათა ამ უკანასკნელს საშუალება ჰქონდეს სათანადო ეკონომიკური ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის შიდა და საგარეო ბაზარზე, ერთმანეთს შეუხამოს კერძო, ჯგუფური და საზოგადოებრივი ინ-



ტიერესები. სახელმწიფოები ყოველმხრივ ავითარებენ ამ დარჯებს, რადგან, თავის მხრივ, პრიორიტეტული დარგების განვითარების დაბალი ტემპები პოტენციურ საშიშროებას წარმოადგენს საზოგადოებისათვის.

განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოებრივი საკუთრების დონე მერყეობს 20-დან 39%-მდე. ძირითადად სახელმწიფოებრივ საკუთრებაში შენარჩუნებულია: რკინიგზა, ფოსტა, ტელეკომუნიკაციები, ელექტროენერგეტიკა, ავიასატრანსპორტო და ავიაკოსმოსური წარმოება, მოპოვებითი მრეწველობა, ატომური ენერგეტიკა, ფოლადსაჩამომსხმელო მრეწველობა, ნახშირის მრეწველობა, გაზის მრეწველობა, გემთმშენებლობა, საავტომობილო მრეწველობა, ნავთობის მრეწველობა და სხვ. დიდ ყურადღებას უთმობენ სახელმწიფო სექტორის შენარჩუნებასა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

სახელმწიფო საკუთრება სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკაში სხვადასხვა ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი. მაგალითად, მას მაღალი ხვედრითი წილი უკავია ავსტრიაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, იტალიაში, შვედეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ნიდერლანდებში, ბელგიაში, ავსტრალიაში, შვეიცარიაში, ესპანეთში, კანადაში, იაპონიაში, აშშ-ში და ა.შ.

მაშასადამე, მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ სტრატეგიული დარგების და ცალკეული პრიორიტეტული ობიექტების სახელმწიფოებრივ საკუთრებაში შენარჩუნება აუცილებელია, მითუმეტეს, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ამ ეტაპზე.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მ (და სხვა მაღალგანვითარებულმა სახელმწიფოებმა) სანარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი გაყიდეს ამ ქვეყნებში კაპიტალისტური (საბაზრო ეკონომიკური) ურთიერთობების დამკვიდრებიდან 300-400 წლის შემდეგ, იმის მერე, რაც შექმნეს ეკონომიკის მძლავრი სახელმწიფოებრივი სექტორი, რომლის წილი ამ ქვეყნების მეპ-ის საერთო მოცულობაში დაახლოებით 35-39%-ს შეადგენს. საქართველოში კი პირიქით ხდება: უაღრესად განვითარებელი ეკონომიკური ბაზის პირობებში ხელაღებით იყი-

დება ყველაფერი. სახელმწიფოებრივი სექტორი საქართველოს მეპ-ში 10%-ს არ აღემატება.

დღეისათვის საქართველოში მთლიანად დამთავრებულია მცირე და საშუალო პრივატიზება. პრივატიზებიდან ამონაგებმა თანხამ დაახლოებით 500 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული თანხა დაიხარჯა არაპერსპექტიულ და ყოველდღიურ საჭიროებაზე და არ იქნა მიმართული რეალური სანარმოო სექტორის აღორძინებაზე. ქვეყანაში საზოგადოებრივი ქონება გაიყიდა ჰიპერინფლაციის პირობებში. პრივატიზებამ სახელმწიფო ქონების განიაგების სახე მიიღო. ჩალის ფასად გაყიდული ქონებიდან მიღებული თანხა, ნაცვლად იმისა, რომ წარმოების აღორძინებასა და განვითარებას მოხმარებოდა, ფაქტობრივად, მმართველობის აპარატის რესტრუქტურის განხორციელების ღონისძიებებს მოხმარდა. პრივატიზაციის ეკონომიკური ეფექტიანობა ძალზე დაბალია.

პრივატიზებულ სანარმოთა ძირითადი კაპიტალი ტექნიკურად და ტექნოლოგიურად მოძველებულია და არ იძლევა კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების საშუალებას. ამას ემატება მატერიალური და ფულადი საბრუნავი საშუალებების უკმარისობა, ენერგეტიკული კრიზისი, გასაღების ბაზრის პრობლემა და ა.შ. კერძო სექტორმა ვერ უზრუნველყო წარმოების ეფექტიანობის არსებითი ზრდა. პრივატიზების შედეგად ბოლო 5-წელიწადში 5-ჯერ მეტად შემცირდა სამუშაო ადგილების რაოდენობა და ეს უკანასკნელი 1990 წლის დონის 25-30%-ს შეადგენს. ქუჩაში დარჩა ასეულ ათასობით მაღალკვალიფიკაციური სპეციალისტი, რამაც მძლავრი დარტყმა მიაყენა ქვეყნის სოციალურ სტაბილურობას და მნიშვნელოვნად შეამცირა მოსახლეობის ცხოვრების დონე.

მაშასადამე, პრივატიზება ვერ გახდა ბიუჯეტის შევსების წყარო და ხელი ვერ შეუწყო ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას.

საბიუჯეტო შემოსავლების გეგმის შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზია ოფიციალურად რეგისტრირებული იმპორტის შემცირება და კონტრაბანდის ადექვატური ზრდა.

1995-2002 წლებში სერიოზულ დარღვევებს ჰქონდა ადგილი როკი-ერგენტის, სადახლო-ნინონმინდის, ჯანდარა-ვახტან-

გოვის, წითელი ხიდის, სარფისა და ბათუმის პორტის საბაჟო-ებში. დიდი რაოდენობით ხდება კონტრაბანდული საქონლის შემოტანა აფხაზეთ-ენგურის ხიდიდან, სადაც ეს პროცესი სა-შიშ მასშტაბებს იძენს.

მხედველობაშია მისაღები მეზობელ სახელმწიფოებთან, გან-საკუთრებით კი რუსეთთან არაორგანიზებული ვაჭრობის მას-შტაბები, რომელშიც დიდი ხვედრითი წონა უკავია კონტრა-ბანდული გზით შემოტანილ საქონელს (ძირითადად ნავთობპროდუქტები, სურსათი, ფართო მოხმარების ნაწარმი), განსაკუთრებით კონფლიქტის ზონაში (აფხაზეთიდან და სამა-ჩაბლოდან), სადაც ჯერ-ჯერობით საბაჟო კონტროლი ვერ ხორციელდება. ამ გზით შემოტანილი დაუბეგრავი საქონელი, რომელიც არსად არ აღირიცხება, სერიოზულ კონკურენციას უწევს ორგანიზებულ იმპორტს. გარდა ამისა, იგი დიდ ზიანს აყენებს სახელმწიფოს, რადგან ბიუჯეტს მნიშვნელოვანი თანხები აკლდება, ხოლო ადგილობრივი წარმოება ზარალდება და შედარებით კონკურენტუნარიო ხდება. აღნიშნული გარე-მოების გათვალისწინებით, ქვეყანაში იმპორტის რეალური სიდიდე გაცილებით მეტია ოფიციალურად აღრიცხულთან შე-დარებით.

ამას ადასტურებს ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის და საბაჟო დეპარტამენტის ექსპერტთა ერთობლივი სამუშაო ჯგუფის მიერ საქართველოს სავაჭრო პარტ-ნიორებისაგან (რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, თურქეთი, ესპანეთი, გერმანია და სხვა) მიღებული სტატისტი-კური მონაცემები საქართველოსთან ვაჭრობის შესახებ.

მიღებული მონაცემებისა და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციების შედარებით სა-გარეო ვაჭრობის მონაცემთა შორის გამოვლინდა მნიშვნელო-ვანი სხვაობა.

1997 წელს ქვეყანაში ფაქტობრივად იმპორტირებული იყო 98.5 მლნ აშშ დოლარის ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ხო-ლო რეგისტრირებული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ღირებულებამ 46.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 1998 წლის

მონაცემებით საქართველოში ფაქტიურად შემოტანილი ნავთობპროდუქტებიდან რეგისტრირებულია მხოლოდ 44,3%; დიზელის სანვაგი – 52%; ანალოგიური მდგომარეობა იყო ბენზინის მიმართაც. 1999 წელს მისი შემოზიდვა დაფიქსირდა 100 000 ტონით ნაკლები.

1998 წელს საქართველოში იმპორტირებული იყო 280 000 ტონაზე მეტი დიზელის სანვაგი. დაფიქსირდა მხოლოდ 75 000 ტონა. თუ დიზელის ერთი ტონა სანვავის საბოლოო წლიურ ფასს ავიღებთ 130 დოლარს, მაშინ იმპორტის მაჩვენებელი გაიზრდება 17.3 მლნ დოლარით. როგორც ამას გაანგარიშებები ადასტურებენ, საქართველოში დიზელის სანვავის 90% შემოდის კონტრაბანდის გზით, ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი 1999-2002 წლებშიც.

თუ საშუალო „პლაცს“ (ფასს) ავიღებთ 170 დოლარს, მაშინ ექსპორტი უნდა დაფიქსირებულიყო 11.9 მლნ დოლარით მეტი.

ნავთობპროდუქტების იმპორტირებით შემოტანილი სანვავის საერთო მოცულობაში საკმაოდ დიდია და ყოველწლიურად მატულობს საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტად გამავალი სანვავის რაოდენობა, რომლის სულ უფრო დიდი წილის უკანონო რეალიზაცია ხდება ქვეყნის ტერიტორიაზე. ტრანზიტული ტვირთის გატარებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე საჭიროა ერთი დეკლარაცია, რომლის გამონერის ღირებულება მხოლოდ 100 დოლარია. იგი ათასობით ტონა სანვავზე ივსება და ეს ტვირთი პრაქტიკულად დაუბეგრავად იყიდება საქართველოში.

საგადასახადო შემოსავლების სამინისტროსთან შექმნილი ქვეყნის ტერიტორიაზე ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების აღრიცხვისა და დაბეგვრის კოორდინაციის კონტროლისა და ანალიზის ოპერატიული მართვის დროებითი კომისიის ინფორმაციით, არის შემთხვევები, როდესაც ნავთობპროდუქტების იმპორტიორები საბაჟოზე იხდიან გადასახადებს, შემდეგ ნავთობპროდუქტებს აფორმებენ არარსებული, ყალბი საბუთით შექმნილ ფირმებზე, შედარებით დაბალ ფასებში და უკანონოდ იბრუნებენ საბაჟოზე გადახდილ თანხებს.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით არარეგისტრირებული ვაჭრობის მოცულობამ წლების მიხედვით შეადგინა: 1995 წელს – 335.0 მლნ აშშ დოლარი; 1996 წელს – 217.5; 1997 წელს – 300.4; 1998 წელს – 257.0; 1999 წელს – 194.3 მლნ აშშ დოლარი, რაც მთელი აღურიცხავი ვაჭრობის მიმართ შესაბამისად შეადგენს 62,8%; 27,3%; 25,9%; 24,6%; 26,6%-ს.

საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშებით ამჟამად არსებული სუსტი საგადასახადო ადმინისტრირების პირობებშიც კი (მაგალითად, იმპორტის 50%-იანი ლეგალიზაციის შემთხვევაში) მხოლოდ ბენზინისა და დიზელის სანავისა და თამბაქოს ნაწარმის იმპორტის სრულიად აღრიცხვისა და დაბეგვრის შემთხვევაში შესაძლებელია 2002 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული საგადასახადო შემოსავლების მინიმუმ 40-50%-ით გადიდება.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ფართო გასაქანი მიეცა კორუფციას. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კორუმპირებულთა მიერ ნაშოვნი ფულის რაოდენობის განსაზღვრას საფუძვლად დაედო სტატისტიკისა და საბაჟო დეპარტამენტების, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ოფიციალური მონაცემები და საერთაშორისო ორგანიზაციების სოციოლოგიური კვლევის მასალები.

მიღებული შედეგები მინიმალური გათვლების საფუძველზე გაანგარიშებული და ასახავს ქვეყანაში არსებულ კორუფციის ფანტასტიკურ შედეგებს.

გათვლები გაკეთებულია ათ ძირითად იმპორტულ სტრატეგიულ საქონელზე, რომელზედაც მოთხოვნილება იმდენად მაღალია, რომ მათ შექენაზე მოსახლეობის შემოსავლების დაახლოებით 40% იხარჯება. ამ პროდუქციის კონტრაბანდიდან და რეალიზაციიდან მიღებულმა თანხებმა, რომელიც უშუალოდ ხელისუფალთა ჯიბეებში დაილექა, 1.740 მლნ დოლარი შეადგინა (წელიწადში საშუალოდ 350 მლნ).

კონტრაბანდისტული საქონლიდან პირველ ადგილზეა პურპროდუქტები და ფქვილი – 650 მლნ დოლარი, რძის პროდუქტები და სიგარეტი, რომელთა მოგებას 300 მლნ დოლარი შეადგინა; ნავთობპროდუქტებიდან – 214 მლნ დოლარი; შაქრის

რეალიზაციიდან – 43 მლნ დოლარი და საპნისა და სარეცხი საშუალებების კონტრაბანდიდან – 74 მლნ დოლარი.

კონტრაბანდის ძირითად წყაროს წარმოადგენს ყოველდღიურად საქართველოს გზებზე კონტრაბანდული საქონლით დატვირთული 150-200 „ტრაილერი“. ყოველად წარმოუდგენელია, ამდენი პოსტისა და პიკეტის ფონზე ეს კოლონადა შეუმჩნეველი იყოს, მაგრამ ხელისუფლება ამას შეგნებულად „ვერ ხედავს“, რადგან ყოველივე ეს იმ პირთა დახმარებით ხდება, რომელთაც კონტრაბანდის დაკავება ევალებათ<sup>1</sup>.

ეკონომიკურად ჩამორჩენილ საქართველოში სახელმწიფოს რეგულირების არაკომპეტენტურობა და კორუფცია ყოველდღიურ რეალობად იქცა.

ჩინოვნიკები ჯიბეს ისქელებენ დახმარების უცხოური ფონდებიდან და მონოპოლიურ უფლებებს უქმნიან ნათესავეებს, მეგობრებსა და ახლობლებს.

პოლიტიკური ხელმძღვანელები ახლობლებს პროდუქციის განსაზღვრული სახეების წარმოების, ექსპორტირებისა და იმპორტირების განსაკუთრებულ უფლებებს აძლევენ. მსგავსი მონოპოლიური პრივილეგიები საშინაო ფასების გადიდებას იწვევენ შესაბამის საქონელზე და ამცირებენ საკუთარი ქვეყნის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე. სახელმწიფო სანარმოთა ხელმძღვანელები, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების თანამდებობების პირები შეირჩევიან არა საქმიანი თვისებებიდან გამომდინარე, არამედ პირადი ურთიერთობების მიხედვით. კორუფცია ამდიდრებს მოსახლეობის მცირე ფენას, აუმჯობესებს მათ სოციალურ მდგომარეობას, ხოლო, მეორე მხრივ, აზარალებს საზოგადოების უმეტეს ნაწილს, რადგან კორუმპირებულები უკანონოდ ითვისებენ უმრავლესობისათვის განკუთვნილ საზოგადოებრივ დოვლათს.

ამიტომ, დღეს ქართული სახელმწიფო აღიქმება არა ეკონომიკური ზრდის ფაქტორად, არამედ ეკონომიკური განვითარების მუხრუჭად.

---

<sup>1</sup> ჟურნალი „სარკე“, №13 (161), 2001 წ.

აღნიშნულმა ნაკლოვანებებმა მნიშვნელოვნად გააუარესა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და უარყოფითი გავლენა იქონია საგარეო დავალიანების შეფასების ძირითად კრიტერიუმებზე (მაჩვენებლებზე).

საგარეო დავალიანების შეფასების კრიტერიუმთა კოეფიციენტების შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს №13 ცხრილის მონაცემები.

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოს ხელისუფლება ყოველწლიურად ზრდის ვალების რაოდენობას. ამასთან, სხვადასხვა ქვეყნები გვიგზავნიან სურსათს, სანავაგს, მედიკამენტებს, აპარატურა-დანადგარებს და ა.შ. მათ მიერ ამ მიმართულებით გამოყოფილი კრედიტები და გრანტები სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ჩვენი ქვეყნისათვის.

ამასთან, მთავრობა სათანადო დონეზე ვერ აკონტროლებს კრედიტებისა და გრანტების მიზნობრივად გამოყენებას, რის გამოც მათი დიდი ნაწილი არადანიშნულებისამებრ გამოიყენება.

სამწუხაროა ისიც, რომ პრაქტიკულად მათგან არც ერთი არ მიმართულა ქვეყანაში სტრატეგიული ხასიათის პრიორიტეტული სანარმოების ამოქმედებისაკენ. სისტემატურად იზრდება საგარეო სესხების ფასი, სესხის მომსახურების ხარჯები ხშირ შემთხვევაში (განსაკუთრებით სესხების არაეფექტიანად გამოყენების შემთხვევაში) ხელს უწყობს დიდი რაოდენობით საგარეო ვალების დაგროვებას. მზარდი საგარეო ვალის პირობებში (როცა სესხები არ გამოიყენება ეფექტიანად) საქართველო პოტენციურად უახლოვდება უფრო სერიოზულ პრობლემას. უარესდება საგარეო დავალიანების შეფასების კრიტერიუმები და ახლოვდება სავალ კრიზისი. მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის დამაიმედებელი არგუმენტები სრულიადაც არ ნიშნავს სახელმწიფო საგარეო ვალის გამართლებას.

საჭიროა ქვეყანაში შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებიც შეამცირებენ, ან საერთოდ გამორიცხავენ სესხის აღების საჭიროებას.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის მოსალოდნელი ტემპები, საგარეო-ეკონომიკური კავშირების გაფართოებისა და კონ-

საქართველოს საგარეო დავალიანების შეფასების ძირითად კრიტერიუმთა კოეფიციენტები  
1995-2000 წლების მიხედვით <sup>1</sup> (მლნ აშშ დოლარი)

ცხრილი №13

წელი	საგარეო ვალის მნიშვნელობა (მლნ აშშ დოლარი)	საგარეო ვალის მნიშვნელობა შიდა პროდუქტის მიმართ %	საგარეო ვალის მნიშვნელობა შიდა პროდუქტის მიმართ %	საგარეო ვალის მნიშვნელობა შიდა პროდუქტის მიმართ %	საგარეო ვალის მნიშვნელობა შიდა პროდუქტის მიმართ %	საგარეო ვალის მნიშვნელობა შიდა პროდუქტის მიმართ %	საგარეო ვალის მნიშვნელობა შიდა პროდუქტის მიმართ %	საგარეო ვალის მნიშვნელობა შიდა პროდუქტის მიმართ %	საგარეო ვალის მნიშვნელობა შიდა პროდუქტის მიმართ %	
1985	1149,7	1347,7	40,1	19,43	192,40	10,0	151,7	12,8	757,8	220,0
1996	1347,7	3044,5	44,3	40,09	386,20	10,4	198,8	20,2	677,9	270,0
1997	1508,7	3573,4	42,2	42,79	464,70	9,2	234,8	17,8	629,1	302,0
1998	1752,7	3621,8	48,4	210,50	509,80	41,3	192,3	109,4	690,3	350,0
1999	2039,2	2835,8	71,9	107,09	573,20	18,7	238,2	44,9	856,0	408
2000	2011,0	3015,4	66,9	112,00	567,90	19,8	392,9	28,5	511,8	402

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის დეპარტამენტისა და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი წლების მონაცემების საფუძველზე.



კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქტების წარმოების გადიდების შეზღუდული არეალი არ იძლევა სახელმწიფოს მიერ საგარეო ვალის მნიშვნელოვანი გაფართოების საშუალებას. ამიტომ საქართველომ უარი უნდა თქვას დაუსაბუთებელი ვალების აღებაზე, ხოლო აქამდე გამოყოფილი და მიღებული თანხების ხარჯვა უნდა აიკრძალოს ფორსმაჟორული საქმიანობების გარეშე.

დღეს ბევრი განვითარებადი ქვეყანა დარწმუნებულია, რომ არ არსებობს ეკონომიკური ჩამორჩენილობისაგან „სწრაფი განკურნების“ რეცეპტი, ლარიბმა ქვეყნებმა დაძაბული შრომისა და კაპიტალის თანდათანობითი დაგროვების იგივე გზა უნდა გაიარონ, რომლითაც განვითარებულმა ქვეყნებმა იარეს ორი საუკუნის მანძილზე.

აქედან გამომდინარე, საქართველომ საკუთარი ძალისხმევით უფრო მეტი სარგებლობა უნდა მიიღოს წარმოების გაფართოების ღონისძიებებიდან, ვიდრე საგარეო ვალების აღებით.

## დასკვნები და წინადადებები

1. როგორც ამას მთავრობის ოფიციალური მონაცემები ადასტურებენ, საქართველოს საგარეო ვალის მოცულობა ყოველწლიურად იზრდება, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების ზრდის ტემპი თითქმის არ იცვლება.

საგარეო ვალი 1995 წლის 1.149.7 მლნ აშშ დოლარიდან 2003 წლის 31 იანვრისათვის 2.100.0 მლნ აშშ დოლარამდე, ანუ 91,3 %-ით გაიზარდა. ხოლო ამავე პერიოდში მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების მოცულობა 2.866.1 მლნ აშშ დოლარიდან 3.191.4 მლნ აშშ დოლარამდე ანუ 5,2 %-ით გადიდა.

სახელმწიფო საგარეო ვალის განსაკუთრებულ სიმძიმეზე მიუთითებს ის, რომ:

ა) უაღრესად დიდია ვალის თანაფარდობა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან და იგი ამ უკანასკნელის 55,6 %-ს შეადგენს (კრიტიკული ზღვარია – 50 %);

ბ) საგარეო ვალის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 450 აშშ დოლარს, ხოლო შიდა ვალი – 222 ლარს, რაც ისეთი მწირბიუჯეტიანი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, საკმაოდ მძიმე ტვირთს წარმოადგენს;

გ) საგარეო ვალის მთლიანი თანხის თანაფარდობა საქონლისა და მომსახურების ექსპორტთან (კრიტიკული ზღვარი შეადგენს 275 %-ს) 560 %-ს უდრის, რაც კრიტიკულ ზღვარს ორჯერ აღემატება;

დ) საგარეო ვალის მოცულობის თანაფარდობა ქვეყნის სავალუტო რეზერვებთან 2002 წლის ბოლოს კატასტროფულად გაიზარდა და 2800 %-ს გადააჭარბა.

2. სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ისიც, რომ ძირითადი ვალის ზრდასთან ერთად იზრდება სარგებლის გადასახდელების თანხა.

საქართველოს მიერ მარტო საგარეო ვალების მომსახურებისათვის გადახდილი იყო 1997 წელს 40.9 მლნ დოლარი, 1998 წელს – 53.2 მლნ დოლარი, 1999 წელს – 81.6 მლნ დოლარი, 2000 წელს – 85.7 მლნ დოლარი.

სარგებლის გადასახდელის თანხა (ვადაგადაცილებულ დავალიანებაზე დარიცხულ საჯარიმო თანხასთან ერთად) ემატება ძირითად თანხას და მისი გადახდა მნიშვნელოვნად აღემატება ბიუჯეტის შესაძლებლობებს.

2003-2014 წლებში საქართველომ უნდა გადაიხადოს საგარეო ვალის ძირითადი თანხა 1.246.84 მლნ აშშ დოლარი და სესხის მომსახურების საპროცენტო განაკვეთი 317.98 მლნ აშშ დოლარი, მომდევნო წლებში კი, ამ მხრივ მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება.

თუ დროულად არ მოხერხდა ამ ვალების ხელსაყრელი პირობებით განვადება, საქართველო მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან მას 2003 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველკვარტალურად გადასახდელი ექნება ასეულობით მილიონი დოლარი საგარეო სესხების ძირითადი თანხებისა და მათზე სარგებელის თანხების დასაფარავად.

ამდენად, საგარეო ვალების მომსახურების საკითხი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება და მთავრობის ფისკალური პოლიტიკის მკვეთრი გაუმჯობესების გარეშე არსებული საბიუჯეტო კრიზისის კიდევ უფრო მეტად გაღრმავების რეალური საფრთხეა მოსალოდნელი.

მევალებთან მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული რესტრუქტურირების შედეგად 1997 წლისათვის საგარეო ვალებზე მომსახურების კოეფიციენტი 27,5%-მდე შემცირდა, ხოლო 2000 წლისათვის 55 %-მდე გაიზარდა. როგორც ამას საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობების პრაქტიკა ადასტურებს, საგარეო ვალდებულებებზე მომსახურების კოეფიციენტი 25 %-ს არ უნდა აღემატებოდეს.

საქართველოს საგარეო ვალებზე მომსახურების კოეფიციენტს განსაკუთრებით ზრდის ევროგაერთიანებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის კრედიტებზე არსებული მთლიანი გრანტ-ელემენტები, რომელიც 80 %-ს აღემატება.

კრედიტებზე გადასახდელი საპროცენტო თანხა არ უნდა აჭარბებდეს ექსპორტის ზრდის ტემპს. სამწუხაროდ, საქართვე-

ლოში ეს არცთუ იშვიათად ხდება, რაც ამცირებს ქვეყნის სავალუტო რეზერვებს და ქმნის დამატებით სასესხო ვალდებულებებს.

დავალიანების მომსახურების თანხებს განსაკუთრებით ზრდის საგარეო დავალიანებებზე დაწესებული ცვალებადი საპროცენტო განაკვეთები, აგრეთვე დოლარის კურსის მიმართ ლარის კურსის გაუფასურების ტენდენცია. აღნიშნული მიზეზები ქვეყანაში ზრდის დამატებით ხარჯებს და ქმნის წინაკრიზისულ სიტუაციას.

საგარეო ვალის სარგებლის გადასახდელები ნთქავს ეროვნული შემოსავლის დიდ ნაწილს. იგი, თავის მხრივ, ამცირებს ქვეყნის შიგნით გამოსაყენებელ მშპ-ს. მცირდება გადასახადებით აკრეფილი თანხების მოცულობა და ძლიერდება ბიუჯეტის დეფიციტი.

აქედან გამომდინარე, ძირითადი ვალის გადასახდელი თანხა ყოველწლიურად ქვეყნის მშპ-ისა და ბიუჯეტის გასაღვლების სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება.

3. საქართველოს საგარეო დავალიანების პრობლემას მეტად ამძიებს დიდი რაოდენობის შიდა ვალი.

საქართველოს მთავრობის მიერ ინდექსირებული შიდა ვალის რაოდენობა (1.176.6 ათასი ლარი) არ ასახავს ვალის რეალურ მოცულობას. არასწორადაა გაანგარიშებული (ინდექსირებული) მოსახლეობის მიერ 1993-1995 წლებში შემნახველ ბანკებში შეტანილი ანაბრები და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში დაბანდებული თანხები. ასევე, ვალში არ შედის ლარის დევალვაციის გამო საქართველოს ეროვნული ბანკის რეკაპიტალიზაციის მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული განალდებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ღირებულება; სახელმწიფოს მიერ 1998-2000 წლებში მოქალაქეებზე გაუცემელი პენსიებისა და ხელფასების დავალიანება; სახაზინო ვალდებულებების ემისიით და განთავსებით წარმოქმნილი დაუფარავი ვალდებულებების საორიენტაციო მოცულობა და სხვა.

( ამ სიტუაციის გამოსასწორებლად, ჩვენი აზრით, უნდა შეიქმნას კომპეტენტური სახელმწიფო კომისია და დამუშავდეს ინდექსაციის ახალი მექანიზმი, ჩატარდეს სახელმწიფო შიდა

ვალის ზუსტი ინვენტარიზაცია, როგორც მთლიანი თანხის, ასევე ვალის ცალკეული მუხლების მიხედვით. ამ პრობლემის გადაწყვეტას აქვს დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა. მოსახლეობას უნდა აუნაზღაურდეს ინფლაციის შედეგად მიყენებული ფინანსური ზარალი და აღდგეს მოსახლეობასა და საბანკო სისტემას შორის წარმოქმნილი უნდობლობა.

ჩვენი აზრით, სახელმწიფოს პოლიტიკა ამ საკითხებთან მიმართებით უნდა ითვალისწინებდეს არა ამ ანაბრების მოცულობის ხელოვნურად მნიშვნელოვან შემცირებას, არამედ ამ ვალის მაქსიმალური სიზუსტით აღდგენასა და დანაზოგების გარანტირებული დაცვის უზრუნველყოფას, ასევე მისი განაღდებას ოპტიმალური ვადების განსაზღვრას სახელმწიფო ეკონომიკურ-ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

იგივე მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული ვალის სხვა მუხლების (ელემენტების) მიმართ. ამისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია პარლამენტის მიერ მიღებულ იქნეს კანონი მოსახლეობის გაუფასურებული ფულადი ანაბრების აღდგენის, დაცვისა და ანაზღაურების შესახებ.

სახელმწიფომ შიდა ვალად უნდა ცნოს მუშა-მოსამსახურეებზე და მოსახლეობაზე გაუცემელი ხელფასები და პენსიები, ვალდებულება აიღოს მევალეების წინაშე და ისინი იურიდიულად აღიაროს შიდა კრედიტორებად.

უპრიანია კომპენსირების ისეთი მეთოდების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფდა მოქალაქეებზე ბიუჯეტიდან გასაცემი თანხების ინვესტიციებში წარმართვას პერსპექტიულ საწარმოებში ან მოსახლეობაზე აქციების განაწილებით, ანაბრებზე კუთვნილი თანხების პროპორციულად. აღნიშნული დავალიანების დაფარვა შეიძლება მოხდეს სააქციო საზოგადოებაში სახელმწიფოს კუთვნილი აქციების გადაცემის გზით.

რადგან ქვეყანაში საბიუჯეტო კრიზისის ფონზე შიდა ვალის გასტუმრება ვერ ხერხდება, საჭიროა გამოიძებნოს ამ ვალის გასტუმრების საკმაოდ რეალური და უპრობლემო გზა. კერძოდ, მევალეებმა ფულად გამოხატულებაში დაფიქსირებული საკომპენსაციო თანხის ნაცვლად უნდა მიიღონ საკუთრება-

ში მიწები, შენობები, სხვა უძრავი ქონება, სანარმოთა აქციები, სხვადასხვა ფასიანი ქაღალდები და ა.შ. აღნიშნული ქონების ღირებულება უნდა ჩაითვალოს პრივატიზებიდან ამოღებულ თანხებად და ფინანსთა სამინისტრომ ამ გზით დაფაროს ცალკეული შიდა ვალი ან სახელმწიფომ გამოუშვას ობლიგაციები და მევალეებს მისცეს ვალის დაბრუნების მტკიცე გარანტიები.

4. უცხოური კრედიტებისა და დახმარებების, აგრეთვე შიდა ვალის, არაეფექტიანი და სახელმწიფო კონტროლს დაუქვემდებარებელი ხარჯვა საზოგადოების საფუძვლიან შეშფოთებას იწვევს. ეს სფერო განსაკუთრებით ფართომასშტაბიანი ელიტური კორუფციის ერთ-ერთ ძირითად ასპექტად არის მიჩნეული. მოკლე ვადაში დაგროვდა საგარეო ვალი 2.1 მლრდ აშშ დოლარის, ხოლო შიდა ვალი 1.176.6 მლნ ლარის ოდენობით, რომელთა მომსახურება დღეს მძიმე ტვირთად აწევა ბიუჯეტს, ხოლო კრედიტებიდან მიღებული სარგებლობა აშკარად ამ ტვირთის არაპროპორციულია.

ამასთან, ყოველწლიურად იზრდება სამთავრობო ხარჯები და იგი მძიმე ტვირთად აწევა მოსახლეობას. სახსრები ძირითადად ხმარდება ტრანსფერებს, პოლიციის შენახვას, საზღვარგარეთ უშედეგო მოგზაურობებს, ლარის კურსის განმტკიცებას და ა.შ. რაც მთავარია, აღებული სესხები არ გამოიყენება წარმოების შემდგომი გამოცოცხლებისა და განვითარებისათვის.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოს მიერ აღებული საგარეო ვალის უდიდესი ნაწილი გაიფლანგა. მათი მნიშვნელოვანი ოდენობა მოხმარდა სურსათისა და მედიკამენტების იმპორტს, მოსახლეობისათვის ბუნებრივი აირისა და სანავის შეძენას, რაც საქართველოს მიერ მიღებული მთლიანი კრედიტის 38,4 %-ს შეადგენს, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიღებული კრედიტები გამოყენებულ იქნა ფინანსური სისტემის სტაბილიზაციისათვის. ამ დანიშნულებით გამოყენებულია 300 მლნ დოლარზე მეტი, ანუ მთლიანად მიღებული კრედიტის 15 %.

თუ სამთავრობო ხარჯების გადიდება ისეთი მიმართულებით განხორციელდება, როგორცაა სუბსიდიები პარლამენტი-სა და მთავრობის სახელმწიფო მომსახურებისათვის ლიმუზ-

ინების, მერსედესების, ჯიპებისა და ა.შ. შესაძენად, მაშინ ვალის აღების სიმძიმე ნამდვილად დაეკისრება მომავალ თაობას. მაგრამ, თუ სამთავრობო ხარჯები მომავლისათვის მაინც გამოყენებული იქნება მატერიალური წარმოების სფეროს გაფართოებისათვის, ეს ღონისძიებები განამტკიცებს ეკონომიკის სანარმოო პოტენციალს, აამუშავებს სანარმოო სიმძლავრეებს, მიიღწევა სრული დასაქმება და გაიზრდება მეპ-ის მოცულობა. ამ შემთხვევაში საგარეო ვალი საერთო-სახელმწიფოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს.

5. საჭიროა საგარეო ვალების წარმოქმნის საკითხებთან დაკავშირებით რუსეთთან და თურქმენეთთან სპეციალური მოლაპარაკების გამართვა. აქ ბევრი რამ გაურკვეველია როგორც ფინანსური და მატერიალური რესურსების მოძრაობის აღრიცხვის, ასევე ვალდებულებათა მოცულობის დადგენის მეთოდის მხრივაც.

კატეგორიულად უნდა დაისწავს საკითხი რუსეთის ხელისუფლებასთან საქართველოსადმი იმ ვალდებულებათა აღიარების შესახებ, რომელიც ეხება ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, „ვენეშეკონომბანკში“ არაკანონიერად ბლოკირებულ საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტების (54 მლნ დოლარის) განაღდებას. უნდა მოვითხოვოთ საკავშირო სახელმწიფო დაზღვევის სისტემაში ჩვენი კუთვნილი წილი, აგრეთვე ზოგიერთი სხვა ვალდებულებების აღიარება. რუსეთისადმი საქართველოს დავალიანების შემცირების ერთ-ერთ წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ ფინანსური ვალების იმ უძრავ ქონებაზე გაცვლა, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაა და განლაგებულია რუსეთის ტერიტორიაზე. ასეთი პრაქტიკა მრავალმა პოსტსაბჭოურმა რესპუბლიკამ გამოიყენა. მაგალითად, უზბეკეთმა რუსეთს ფინანსური 16 მილიარდი მანეთის დავალიანების სანაცვლოდ გადასცა მის კუთვნილებაში არსებული სოჭის ტერიტორიაზე მდებარე სანატორიუმი „უზბეკისტანი“, ასეთივე ოპერაცია განახორციელა ყირგიზეთმა. საქართველოს ხუთი ღვინის ქარხანა განლაგებულია რუსეთის ტერიტორიაზე, რომელთა საქართველოს საკუთრებაში დაბრუნება დღემდე ვერ ხერხდებ-

ბა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი ღირებულების ჩათვლა იმ ვალებში, რომელიც საქართველოს მართებს რუსეთისაგან.

ვალების საკითხთან უშუალოდ უნდა იქნეს დაკავშირებული საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის სამხედრო ბაზებისადმი დათმობილი ტერიტორიებისა და ინფრასტრუქტურის მომსახურების ხარჯები. დაკავებული მიწის ფართობებისა და საპაერო სივრცის გამოყენებისათვის უნდა გადავახდევინოთ გადასახადები. აგრეთვე უნდა განისაზღვროს და აღიარებულ იქნეს რუსეთის სამხედრო ბაზების მიერ ქვეყნისათვის მიყენებული ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა სახის ზარალის ოდენობა.

უნდა დასაბუთდეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებისათვის მიწოდებული ელექტროენერჯის ღირებულების საქართველოსათვის დაკისრების არამიზანშეწონილობა. საქართველოს მიერ ამ უზარმაზარი ხარჯების აღიარება, როგორც დავალიანება რუსეთის წინაშე, არ შეესაბამება არც პოლიტიკურ და, მითუმეტეს, არც ეკონომიკურ ლოგიკას.

6. როგორც „საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის“ მონაცემებით ირკვევა, მიღებული საგარეო სესხები (წლების მანძილზე) მთავრობის წევრთა ზეპირი და წერილობითი მითითებების საფუძველზე გაიცემოდა.

სესხების გარკვეული ნაწილი გაიფლანგა. უამრავი კრედიტი, გრანტი, დახმარება, რომელიც უნდა მოხმარებოდა ქვეყნის აღმშენებლობას, დაიხარჯა არამიზნობრივად და მოხმარდა არა იმ კონკრეტულ ღონისძიებებს, რისთვისაც ის იყო გამოყოფილი, არამედ ზოგიერთ პირთა ინტერესებს.

სესხების აღებისას, როგორც წესი, არ შეისწავლებოდა კრედიტების მიმღები ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა. იყო შემთხვევები, როცა მოკლე პერიოდში ერთდღიამავე ორგანიზაციას მიეცა სესხი ერთდღიამავე დანიშნულებით და ა.შ. ჩვეულებრივი მოვლენა იყო სახელმწიფო გარანტიით მიღებული კრედიტების კერძო სტრუქტურებზე გაცემა და სხვა.

საჭიროა გადამოწმდეს წინა კრედიტები და დადგინდეს, რამდენად მიზნობრივად და ეფექტიანად მოხდა მათი დახარჯვა.



ეფექტიანი ღონისძიებები უნდა გატარდეს უცხოური კრედიტებისა და დახმარებების არამიზნობრივი „ხვრელების“ გადასაკეტად. ამასთან, ფართო პროპაგანდა უნდა ვანარმოოთ საერთაშორისო ნდობისა და ავტორიტეტის აღდგენის თვალსაზრისით.

7. საქართველოს მიერ მიღებული კრედიტების მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდა სოციალური დაცვის ღონისძიებებს და დაიხარჯა არანარმოებრივ სფეროში. კრიზისის პერიოდში მათ მართლაც უდიდესი როლი შეასრულეს მოსახლეობის სოციალურად დაცვისა და პოლიტიკური სტაბილიზაციის შენარჩუნების თვალსაზრისით. მაგრამ, მომავალში მთავრობის მიერ მიღებული ყოველი კრედიტი უპირატესად უნდა მოხმარდეს ინვესტიციური ხასიათის მიზნობრივი პროექტების დაფინანსებას.

ყოველი ახალი კრედიტის განაწილება სანარმოებსა და ფირმებზე უნდა მოხდეს კონკურსის საფუძველზე. კარგად უნდა იქნეს შესწავლილი კრედიტის ამლები ფირმებისა და სანარმოების ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რათა საგარეო სესხები გადახდისუუნარო მსესხებლის ხელში არ მოხვდეს.

საჭიროა მკაცრი კონტროლის დანერგვა მსესხებლის მიერ კრედიტის ხარჯვისა და დაფარვის სისწორეზე. საჭიროების შემთხვევაში, მთავრობის მხრიდან გადამჭრელი ზომები უნდა იქნეს მიღებული (ანგარიშის გაყინვა, სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის აღძვრა სახელმწიფო ქონების დატაცების მუხლით და სხვა) არაეფექტიანი გამოყენება და განიავება, რომელთა დაფარვა მძიმე ტვირთად დაანეება სახელმწიფო ბიუჯეტს.

სამთავრობო ხარჯების ზრდა ეკონომიკაში ინვესტიციების მასტიმულირებელ ეფექტს უნდა ქმნიდეს. მულტიპლიკატორის ეფექტის მეშვეობით აუცილებელია გაუმჯობესდეს კერძო ბიზნესის მოგებათა მოლოდინი და გადიდდეს საინვესტიციო მოთხოვნა.

8. როგორც ეს სათანადო მონაცემების ანალიზით ირკვევა, საქართველო უახლოეს მომავალში თავს ვერ დააღწევს სავალლო კრიზისს. ეკონომიკური ზრდის ტემპის აბსოლუტური სიდიდე არცთუ ისე შთამბეჭდავად გამოიყურება. ასეთი მასშტაბით თუნდაც 1989 წლის დონეს რომ მივალნიოთ, სულ მცირე 20-25 წელიწადი დაგვჭირდება.

არ მუშაობს მრეწველობის მთელი რიგი დარგები, სათანადო ყურადღება არ ექცევა სოფლის მეურნეობას და ა.შ.

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ძირითადად ხდება ვაჭრობისა და მომსახურების, აგრეთვე არამატერიალური დარგების ხარჯზე.

საქართველოში უნდა შეიქმნას მტკიცე ნანამძღვრები მატერიალური წარმოების რამდენიმე პრიორიტეტული დარგის განვითარებისათვის. ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაცია უნდა მოხდეს მრეწველობის აღორძინებით. იგი არა მარტო ბიუჯეტის შევსების წყაროა, არამედ სხვა დარგების განვითარების საფუძველსაც წარმოადგენს. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობისა და მისი ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას. ამ მხრივ აუცილებელია ქვეყანაში რადიკალური ღონისძიებების გატარება.

საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს ეკონომიკის ზრდის პროცესის შეუქცევადობა, რათა პერსპექტივაში შესაძლებელი გახდეს ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპების მიღწევა.

ამისათვის კი აუცილებელია ეკონომიკური გარემოს შემდგომი გაუმჯობესება, ეროვნული ეკონომიკის ყველა დარგის და სფეროს რესტრუქტურისა, ახალი სამეურნეო კავშირების ფორმირება, ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის ჩამოყალიბება, მიღებული საგარეო ვალების მაღალეფექტიანი გამოყენება.

9. ქვეყანაში უნდა შეიქმნას მატერიალური წარმოების სფეროს ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობები. მარტო საქონელ-მომოქცევიდან და მომსახურებიდან ამოღებული გადასახადებით სახელმწიფო დიდხანს ვერ იფუნქციონირებს. ამ მიმართულებით საჭიროა:

ა) მოზიდულ იქნეს მსხვილი ინვესტიციები;

ბ) ხელი შეეწყოს მცირე ბიზნესის განვითარებას.

ყურადღება უნდა შევაჩეროთ მაქსიმალურად შეღავათიან კრედიტებზე (ხანგრძლივი ვადით, დაბალი სარგებლის განაკვეთით და რესტრუქტურისა, ახალი სამეურნეო კავშირებისათვის მათი მაღალი შესაძლებლობით). სასურველია ხელშეკრულებაში ჩაიდოს ვალუტის ფიქსირებული კურსი, რომლითაც შემდგომში მოხდება ან-

გარიშსწორება. ამ მხრივ არჩევანი უნდა გაკეთდეს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის სესხებზე, რადგანაც საქართველოს დღეისათვის საგარეო სესხებს შორის სწორედ ამ ორგანიზაციიდან აქვს მიღებული კრედიტები დაფარვის ყველაზე ხანგრძლივი ვადით და დაბალი სარგებლის განაკვეთით.

მცირე ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია: მენარმეობისათვის სათანადო სამართლებრივი ბაზის შექმნა; შეღავათიანი კრედიტების გამოყოფა, გარკვეული საგადასახადო შეღავათების დანესება და მენარმეობისათვის გარკვეული დახმარების განევა საგარეო-ეკონომიკური კავშირების დამყარებაში.

10. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური საქმიანობის ანალიზით, რომლებმაც თავი დააღწიეს ჩამორჩენილობას, ირკვევა, რომ ეკონომიკის განვითარებისათვის საჭირო ინვესტიციების დონე დაახლოებით მშპ-ის ღირებულების 20-25 % უნდა შეადგენდეს.

ამჟამად საქართველოში სახელმწიფო ინვესტიციები მშპ-ის ღირებულების 6-7-ს% არ აღემატება. ექსპერტების პროგნოზი, რომ პრივატიზების შედეგად დაიწყებოდა უცხოური ინვესტიციების მოდინება, არ გამართლდა. ინვესტიციური ხასიათის კრედიტების თანხიდან კაპიტალდაბანდებებისათვის გამოიყენება მხოლოდ 15-20 პროცენტი.

საჭიროა ქვეყანაში შეიქმნას ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო უცხოური ინვესტიციების აქტიურად მოზიდვის მიზნით. დაბალი შემოსავლებისა და შეზღუდული სახელმწიფო ფინანსური რესურსების პირობებში კაპიტალდაბანდებათა ძირითადი წყარო უნდა გახდეს უცხოური ინვესტიციები.

უცხოური ინვესტიციები განხილულ უნდა იქნეს, როგორც ეკონომიკური და ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სანარმოო პროცესების ორგანიზაციის მონინავე მეთოდების დაუფლების და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების დონეზე კადრების მომზადების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა უნდა განხორციელდეს სამენარმეო და სასესხო ფორმით, ამასთან,

მხარი უნდა დავუჭიროთ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ყველაზე პოპულარულ ფორმას – ერთობლივი საწარმოების შექმნას.

11. დღეს საქართველოში ბიუჯეტის დეფიციტი და მზარდი სახელმწიფო ვალი ეკონომიკურ პრობლემათა ცენტრშია.

ყოველწლიური დეფიციტის აბსოლუტური სიდიდე (ისევე, როგორც სახელმწიფოებრივი ვალისა) 1996-2001 წლებში გიგანტურად გაიზარდა. გარღვევა 1.508.0 მლნ ლარია.

ბიუჯეტის დეფიციტთან ერთად იზრდება სახელმწიფო ვალის ძირითადი თანხა და სარგებლის გადასახდელები.

დეფიციტის თავიდან ასაცილებლად საჭირო იქნება დაქვეითების ფაზაში მკვეთრად გამოხატული შემზღუდავი ფისკალური პოლიტიკის გამოყენება.

უნდა გაიზარდოს ბიუჯეტში გადასახადების მობილიზების მაჩვენებელი მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებიდან.

საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა უნდა წარიმართოს საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის – დაბეგვრის თანასწორობის, სამართლიანობის, ეფექტიანობის, ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების დანესების საფუძველზე.

საგადასახადო სისტემაში არსებული ნაკლოვანებებისა და მისი სრულყოფის მიზნით, აუცილებელია საგადასახადო სისტემის გამარტივება და რაციონალიზაცია გადასახადების რაოდენობის შემცირებისა და საგადასახადო კანონმდებლობის კონსოლიდაციის გზით.

12. წარმოების განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საბანკო სისტემამ. სანესდებო კაპიტალის სიმცირის გამო, ისინი სრულყოფილად ვერ ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს. ამას ემატება უნდობლობა მოსახლეობის მხრიდან (რაც შეანაბრეთა მოტყუებამ გამოიწვია), რის გამოც დიდია ბანკების გარეთ მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის რაოდენობა. მწირი საკრედიტო რესურსების პირობებში ბუნებრივია რომ ბანკებს ორიენტაცია აღებული აქვთ მოკლევადიან დაკრედიტებაზე, მაშინ, როცა მხოლოდ გრძელვადიან დაკრედიტებას შეუძლია შექმნას ეროვნული ეკონომიკის გაჯანსაღებისა და განვითარების საფუძველი, რაც აუცილებე-

ლია ტრანსფორმაციის მთელი პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის.

საწარმოთა გრძელვადიანი საბანკო დაკრედიტების გაფართოების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

ა) აუცილებელია დაწესდეს ყველა საწარმოსათვის ბანკებში წალკის ფულის სავალდებულო ინკასაცია, ხოლო საკასო დისციპლინის ნებისმიერი დამრღვევის მიმართ გატარდეს მკაცრი ღონისძიებები;

ბ) კომერციულ ბანკებს უნდა მიეცეთ სრული დამოუკიდებლობა თავად შეარჩიონ დაკრედიტების ობიექტები. თავადვე განსაზღვრონ, რომელ საწარმოს აქვს საიმედო პერსპექტივები და რომელი ვერ შესძლებს კრედიტის დაბრუნებას. პერსპექტიულ და მომგებიან სტრუქტურაზე სახსრების გაცემით კომერციული ბანკები უზრუნველყოფენ არა მარტო საკუთარ მოგებას, არამედ ხელს შეუწყობენ წარმოების განვითარებას და შესაბამისად ეკონომიკურ ზრდას საქართველოში;

გ) უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ეროვნული ვალუტის სტაბილიზაცია. ეროვნულმა ბანკმა მკაცრად უნდა გააკონტროლოს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოსვლა და გადინება, რაც დაეხმარება მას „დოლარიზაციის“ პრობლემის გადაწყვეტაში.

13. მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი და საბოლოოდ აღმოფხვრილი სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ეროვნული ბანკის მიერ პირდაპირი კრედიტებით და საგარეო სესხებით დაფინანსების მავნე პრაქტიკა. უნდა გამოინახოს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ეფექტიანი გზები.

ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა მხოლოდ შეღავათიან კრედიტებსა და არაემისიურ შიდა წყაროებზე უნდა იქნეს დაფუძნებული. პირველ რიგში, საჭიროა სახელმწიფოს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვება.

სახაზინო ვალდებულებების, როგორც დეფიციტის შევსების არაინფლაციური წყაროს წილი, სახელმწიფო ბიუჯეტის დისბალანსის დასაფინანსებლად გამოყენებულ რესურსებში თანდათანობით უნდა გაიზარდოს. სახაზინო ვალდებულებები

უზრუნველყოფენ ქვეყანაში მყარ ფულად-საკრედიტო მდგომარეობას და წარმოადგენენ ეკონომიკის სტაბილიზაციის და სწრაფი ტემპით განვითარების ერთ-ერთ მთავარ პირობას.

ფასიანი ქაღალდების მეშვეობით დეფიციტის შევსების უზრუნველსაყოფად საჭიროა ფინანსური ბაზრის სრულყოფა, კერძოდ, აუცილებელია შეიქმნას ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი.

14. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ექსპორტის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება იმპორტის ზრდის ტემპს, ხოლო კრედიტზე გადახდილი საპროცენტო თანხა აჭარბებს ექსპორტის ზრდის ტემპს. ეს ნეგატიური მოვლენაა.

თუ ქვეყანას სურს თავიდან აიცილოს სავალო კრიზისი, ექსპორტის ზრდა უფრო მაღალი ტემპით უნდა განხორციელდეს, ვიდრე იმპორტისა, რადგან ექსპორტი ქვეყანაში უცხოური ვალუტების შემოსვლის ძირითად წყაროს წარმოადგენს.

როგორც ამას მონაცემები მოწმობენ, საქართველოს საექსპორტო კვოტა (ქვეყნის იმპორტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან) ჯერ კიდევ დაბალია და მიუთითებს მსოფლიო ბაზართან ეროვნული ეკონომიკის კავშირურთიერთობის ვიწრო მასშტაბზე.

საექსპორტო კვოტა 1995-2001 წლებში უმნიშვნელოდ შეიცვალა. 1995 წლის მაჩვენებელთან შედარებით 2001 წელს იგი გაიზარდა მხოლოდ 4,7 პროცენტით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მსოფლიო ბაზარზე ქვეყანაში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მცირე ნაწილი გაიტანება.

რაც შეეხება საიმპორტო კვოტას, იგი საკმაოდ დიდია. მან 2001 წლისათვის 21,3 %-ი შეადგინა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს შიდა ბაზრის მოთხოვნის დიდი ნაწილი იმპორტით კმაყოფილდება.

იმპორტის ნაწილი საქართველოს საგარეო ვაჭრობის მოცულობაში მუდმივად აღემატება ექსპორტის წილს, რაც განაპირობებს საგარეო ვაჭრობის ქრონიკულ უარყოფით კვოტას.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი უარყოფითია და ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

საგარეო ვაჭრობის დეფიციტმა 1994-2001 წლებში 3.406.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს საგარეო ვაჭრობის საშუალო წლიური დეფიციტი 485 მლნ აშშ დოლარს უდრის. ამასთან, იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. საქართველოში 2001 წელს ექსპორტით დაიფარა იმპორტის მხოლოდ 47,1%.

1998-2002 წლებში ჩამოყალიბდა რთული საგადამხდელი ბალანსი. ერთის მხრივ, გაიზარდა დეფიციტი (ექსპორტი-იმპორტი შორის სხვაობა), მეორე მხრივ, იკლო საგარეო ვაჭრობის (ბრუნვის) მთლიანმა მოცულობამ.

ექსპორტით იმპორტის დაფარვის ასეთი დაბალი დონე მეტად საგანგაშოა, რადგანაც იგი ქვეყანას უმზადებს საგარეო ვალების ზრდის დიდ საშიშროებას.

დეფიციტის ზრდა იმდენად შემაშფოთებელია, რომ დღის წესრიგში დგას საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობა.

საჭიროა გატარდეს ექსპორტის ზრდისაკენ მიზანმიმართული ღონისძიებები, უპირველეს ყოვლისა, გადაისინჯოს საგარეო ვაჭრობის რეჟიმი, როგორც ერთ-ერთი საშუალება ექსპორტის გაფართოებისათვის.

საიმიპორტო საქონლის სტრუქტურაში უნდა მოხდეს ისეთი სახეობების თანდათანობითი შემცირება, რომელთა შეცვლა შესაძლებელია ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით – „იმპორტ შეცვლით“.

თუ საქართველოში იმპორტული პროდუქციის ნუსხას გადავხედავთ, ჩანს, რომ ბევრი მათგანი იმ საქონელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა წარმოება ადგილობრივადაც შეიძლება და თანაც უკეთესი ხარისხისა.

ამასთან, უნდა გაძლიერდეს ექსპორტზე ორიენტაცია, რაც გამოიწვევს შიდა ეროვნული ბაზრის გაფართოებას და უდიდეს შესაძლებლობას შექმნის სავალუტო შემოსავლების გადიდების მიმართულებით.

საქართველოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად მიჩნეულ უნდა იქნეს საგარეო ვაჭრობის, კერძოდ, ექსპორტი-იმპორტის რეგულირება, რომლის გაუმჯობესების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის სავალუტო

შემოსავლების შევსება, ადგილობრივი წარმოების გაფართოება, დასაქმების ზრდა, ჯანსაღი კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბება და ეკონომიკის სტრუქტურული სრულყოფა. უნდა დაჩქარდეს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის სრულფასოვანი ინტეგრაციის პროცესი.

საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის ძირითად მიზანს ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება წარმოადგენს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ისეთი დარგების განვითარებას, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნებიან როგორც შიდა, ისე საგარეო ბაზარზე. ასევე, საჭიროა გამოვლინდეს ახალი საექსპორტო პროდუქციის სახეები. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პროდუქციის ხარისხს, როგორც ექსპორტის გაფართოების უპირველეს გარანტს.

სავაჭრო პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულება უნდა გახდეს პრიორიტეტული დარგების პრეფერენციულ მდგომარეობაში ჩაყენება სახელმწიფოს მხრიდან და ამ დარგების პროდუქციის ექსპორტის სუბსიდირება, რაც საბოლოო ანგარიშში ხელს შეუწყობს ექსპორტის მოცულობის გაფართოებას და ქვეყნის სავალუტო რეზერვების შევსებას.

15. ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილმა საგარეო და შიდა ვალების დეპარტამენტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საგარეო და შიდა ვალის მართვის საკითხებს. მათი საქმიანობა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ადმინისტრაციული, სააღრიცხვო და სტატისტიკური მონაცემების შეგროვებით და ვალის ძირითადი თანხისა და სარგებლის გადახდაზე ზედამხედველობით, არამედ კონტროლი უნდა დააწესონ კრედიტების მიზნობრივ გამოყენებაზე. დეპარტამენტი უნდა დაკომპლექტდეს სავალო პრობლემებში გათვითცნობიერებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, რომლებიც ახალი სესხების მისაღებად გამართულ მოლაპარაკებებში მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას, რათა დაკრედიტების პირობების განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნეს მათი რჩევები და რეკომენდაციები.

საქართველოს მთავრობა სათანადო დონეზე ვერ აკონტროლებს აღებული კრედიტების მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენ-



ნებას, რის გამოც მისი ნაწილი ხდება უპატიოსნო, კორუმპირებულ პირთა ხელში. გამომდინარე აქედან, სასურველია დეპარტამენტთან ფუნქციონირებდეს ანალიტიკური ჯგუფი, რომელიც გააანალიზებდა უცხოური სესხების ხარჯვის ეფექტიანობას, მოახდენდა ქვეყნის ეკონომიკაზე ვალების ზემოქმედების შედეგების პროგნოზირებას და სხვ.

აუცილებელია ჩამოყალიბდეს უცხოური დახმარებების და კრედიტების განკარგვის ქმედითი და გამჭვირვალე მექანიზმი. ამ ამოცანების გადასაწყვეტად შესწავლილ და გაზიარებულ უნდა იქნეს მსოფლიოს გამოცდილება.

უცხოური გრანტებისა და ჰუმანიტარული დახმარებების შეღავათიანი დაბეგვრის პირობებიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა გამკაცრდეს მათი ადმინისტრირების პროცედურები და სახელმწიფოებრივი ზედამხედველობა. ზედმინვენით უნდა იქნეს დაცული ამგვარი დახმარებების მიზნობრიობა. ამისათვის უახლოეს პერიოდში უნდა მოხდეს ამ პროცესების მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის საფუძვლიანი რევიზია და ა.შ.

საზოგადოების მღელვარებას იწვევს საგარეო ვალების გამოყენების (ხარჯების) გაუმჭვირვალობა. საზოგადოებამ არ იცის, სად, ვის მიერ და როგორ მოიხმარება უცხოური სესხები. საზოგადოებას სურს ჰქონდეს ზუსტი ინფორმაცია ვალების მიზანმიმართული გამოყენების შესახებ. ინფორმაციული ვაკუუმი კი ბადებს ეჭვს ვალებთან დაკავშირებული სამთავრობო ჯგუფების კორუმპირებულობის თაობაზე.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია საგარეო ვალების შესახებ ისეთი კანონის მიღება, რომლითაც შეიზღუდება საგარეო ვალის აღება, განისაზღვრება მათი გამოყენების კონტროლის და ეფექტიანი გამოყენების ფორმები და მეთოდები.

16. ქვეყანაში ბევრი ისეთი სანარმოა პრივატიზებული, რომელთაც სახელმწიფოსაგან მიღებული ჰქონდათ დიდი რაოდენობით საგარეო სესხები. ვალის სამართალმემკვიდრეობის საკითხების გაურკვეველობის გამო დღეს ამ ვალების გადახდაზე პასუხისმგებლობა ავტომატურად დაკისრებული აქვს სახელმწიფო ბიუჯეტს.

ამდენად, საჭიროა ჩატარდეს საგარეო ვალების სრულყოფილი ინვენტარიზაცია, მისი მიმღებისა და გადახდაზე პასუხისმგებლის დადგენის მიზნით.

17. უნდა აღმოიფხვრას საქართველოს ეკონომიკაში ფეხმოკიდებული ისეთი უარყოფითი ფაქტორის როლი, როგორიცაა არალეგალური ეკონომიკური საქმიანობა, ანუ ჩრდილოვანი (დაუკვირვებადი) სექტორის არსებობა, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია უპირატესად საფინანსო კონტროლისაგან თავის არიდებისა და რეალური შემოსავლების დამალვის მიმართულებით. ასევე, არ უნდა დავეუშვათ საბიუჯეტო შემოსავლების გეგმის შეუსრულებლობა, ოფიციალურად რეგისტრირებული იმპორტის შემცირება და კონტრაბანდის ადეკვატური ზრდა.

მხედველობაშია მისაღები მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი რუსეთთან არაორგანიზებული ვაჭრობის მნიშვნელოვანი მასშტაბები. მასში დიდი ხვედრითი წილი უკავია კონტრაბანდული გზით შემოტანილ საქონელს (ძირითადად ნავთობპროდუქტები, სურსათი, ფართო მოხმარების ნაწარმი, თამბაქო და სხვ.), რაც ნეგატიური მოვლენაა და უმოკლეს ვადაში უნდა აღმოიფხვრას.

18. მეტად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნების მიერ განეული დახმარება. გვიგზავნიან სურსათს, საწვავს, მედიკამენტებს, აპარატურა-დანადგარებს, ტრანსპორტის საშუალებებს და ა.შ. მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ პრაქტიკულად ეს საკრედიტო რესურსები არ გამოიყენება ქვეყანაში სტრატეგიული ხასიათის პრიორიტეტული სანარმოებისათვის. საგარეო ურთიერთობების სტრატეგია ისეთია, რომ, ჯერ ერთი, გაცემული ხესხის დაბანდება (ათვისება) იმ ქვეყანაში ხდება, რომელი ქვეყნიდანაც იგი შემოდის; მეორეც, ყოვლად დაუშვებელია მსოფლიო ბანკის საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროგაერთიანების, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და ა.შ. კრედიტები სხვა დანიშნულებით გამოიყენება (მაგალითად, ჯანმრთელობის სფეროში შემოსული ფინანსური რესურსები არ გამოიყენება მხოლოდ ჯანდაცვის დანებსებულებების ნამ-

ლებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის). თითოეულ სესხს აქვს თავისი მონიტორინგი (მიზანმიმართულება) და იგი მკაცრად კონტროლდება.

იქიდან გამომდინარე, რომ ეს სესხები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მატერიალური წარმოების სფეროს პრიორიტეტული საწარმოების ასამოქმედებლად, მთავრობამ (ფინანსთა სამინისტრომ) ქვეყნის ბიუჯეტიდან ჯანდაცვის დანებსებულებების წამლებითა და ტექნიკით უზრუნველყოფისათვის გასაცემი თანხა უნდა გამოყოს ბიუჯეტიდან და მიმართოს სწორედ იმ საწარმოების ასამოქმედებლად, რომელთაც სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნიათ.

ანალოგიურად უნდა მოვიქცეთ სხვა დარგების მიმართ გაცემული დახმარების შემთხვევაშიც. საერთაშორისო დახმარების მოცულობით ქვეყნის ბიუჯეტიდან უნდა გამოვათავისუფლოთ თანხები და წარვმართოთ ისინი ინვესტიციებისათვის. ფინანსთა სამინისტროს მოვალეობა და მონოდება ამ შემთხვევაში სწორედ ისაა, რომ ერთმანეთს დაუკავშიროს ქვეყნის საინვესტიციო და საბიუჯეტო პოლიტიკა.

მაშასადამე, უარი უნდა ვთქვათ საგარეო კრედიტებით იმ პროექტების დაფინანსებაზე, რომლებიც მომავალში არ ქმნიან დავალიანების დაფარვის გარანტიას. მთავრობამ მაქსიმალურად უნდა შეზღუდოს საგარეო ვალის აღება. ქვეყნის ბიუჯეტში მოზიდულ უნდა იქნეს სახსრები მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოების გადიდების გზით, იმპორტთან შედარებით ექსპორტის სიჭარბითა და სხვა ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებით.

ეკონომიკურად ჩამორჩენილი ბევრი ქვეყანა (განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ჩინეთი) იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კონკურენცია და პირადი ეკონომიკური დაინტერესება ეკონომიკის ზრდის უმთავრესი ფაქტორია. დღეს მსოფლიოში სულ უფრო მეტად აღიარებენ იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოებმა საკუთარი ძალისხმევით უფრო მეტი სარგებლობა უნდა მიიღონ წარმოების გაფართოების ღონისძიებებიდან, ვიდრე საგარეო ვალების აღებით.

საჭიროა საინვესტიციო პროგრამის მიზნობრივი და ეფექტიანი დაფინანსება, რაც მიღწეულ უნდა იქნეს შიდა დანაზოგების სრული გამოვლენის საფუძველზე.

19. საგარეო ვალის ზრდა საბაზრო ეკონომიკის გზაზე მდგარი ქვეყნისათვის ტიპური მოვლენაა. მართალია, კრედიტის სახით მოზიდული უცხოური კაპიტალი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პოტენციურ შესაძლებლობებს ზრდის, მაგრამ საჭიროა მიღებული სესხების გასტუმრება. საგარეო სესხების ფასი სისტემატურად იზრდება, სესხის მომსახურების ხარჯები ხშირ შემთხვევაში (განსაკუთრებით სესხების არაეფექტიანად გამოყენებისას) აჭარბებს მოსალოდნელ შედეგს. დიდი მოცულობით საგარეო ვალის დაგროვების დროს წარმოიქმნება მისი მომსახურების პრობლემა და ა.შ.

ამასთან, წარმოქმნილმა საგარეო დავალიანებამ ხელი არ უნდა შეუშალოს ქვეყნის წინსვლას და არ უნდა გახდეს თავისუფალი ეკონომიკური პოლიტიკის შეზღუდვისა და პოლიტიკური დეზორიენტაციის საფუძველი.

სახელმწიფო საგარეო ვალის აღება ნამდვილად აყენებს ზოგიერთ რეალურ და პოტენციურ დილემას. ქვეყნის ხელმძღვანელები არაერთგვაროვან შეფასებას აძლევენ ამ პრობლემას. ზოგიერთს ჰგონია, რომ საგარეო ვალებს ჩამოგვანერენ. ეს შეცდომაა.

საგარეო ვალების გადაუხდელობის შემთხვევაში საერთაშორისო ორგანიზაციები და განვითარებული უცხოური ქვეყნები მიმართავენ მკაცრ სანქციებს და ვალს მაინც დაიბრუნებენ.

მაშასადამე, საჭიროა ქვეყანაში შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებიც შეამცირებენ სესხის აღების საჭიროებას.

## შინაარსი

შესავალი \_\_\_\_\_ 3

### თავი I. სახელმწიფო ვალის არსი და სოციალურ-ეკონომიკური

#### ფუნქცია

1.1. სახელმწიფო ვალის არსი და ნარმოქმნის მიზეზები \_\_\_\_\_ 8

1.2. განვითარებადი ქვეყნების საგარეო დავალიანების

პრობლემები \_\_\_\_\_ 14

1.3. საგარეო დავალიანებების შეფასების კრიტერიუმები \_\_\_\_\_ 28

### თავი II საპარტეზალურ სახელმწიფო ვალეზის დინამიკა და

#### სტრუქტურა

2.1. სახელმწიფო საგარეო ვალი \_\_\_\_\_ 36

2.2. საქართველოს სახელმწიფო შიდა ვალი \_\_\_\_\_ 83

2.3. საგარეო დავალიანების ძირითადი თანხის დაფარვისა და  
ვალის მომსახურების (პროცენტების გადახდის) პრობლემები \_\_\_\_\_ 97

2.4. „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირება – გონივრული  
გადანყვეტილება თუ შეცდომა? \_\_\_\_\_ 122

### თავი III. საპარტეზალურ სახელმწიფო საბარეო ვალის მართვის

#### სრულყოფისა და ეფექტიანად გამოყენების პრობლემები

3.1. სახელმწიფო საგარეო ვალის გამოყენების ეფექტიანობა \_\_\_\_\_ 137

3.2. სახელმწიფო სავალო კრიზისის დაძლევის ღონისძიებები \_\_\_\_\_ 155

დასკვნები და წინადადებები \_\_\_\_\_ 190

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ელიზბარაშვილი  
ტექნედაქტორი ფ. ბუღალაშვილი  
კორექტორი ქ. გაჩეჩილაძე  
კომპიუტერული უზრუნველყოფა თ. მუსერიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.07-03

საბეჭდი ქაღალდი 60X84 1/16

პირ. ნაბეჭდი თაბახი 13,25

სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 10,1

შეკვეთა № 118 ტირაჟი 200

ფასი სახელშეკრულებო